


780
1977



1977

1977 5



გსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

საქმეგბერი
ოქტომბერი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

1977

შინაარსი

ლიტერატურული შეფასებები

უილიამ ზეჟსკირი. ტომონ ათენელი. პიესა. დასასრული.
ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ნიშნიანიძემ 143

კრიტიკა. კუბლიცისტობა

მურმან ჯგუბურია. „ამაღლებულისათვის“
თედო ბეჟიშვილი. „ორესტია“ და მიესი მთარგმნელი 221
ჯემალ სტეფანაძე. მეტორგებთ საუკუნის ზირვანელი
კოებები დემეტრე I შესახებ 225
ლევან ბრეგაძე. შეცდომა? — სტერეოტიპი! 231
ნატალია ორლოვსკაია. იბერიი XVII საუკუნის ფრანგულ
რომანში 235
ლაიოზ ტარდი. შეხვედრა თბილისში. 239

გარეკანზე: მარტ შაგალი. „გასეირნება“.

კ. მარქსის საზ. საფ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა



ქართული
ენების ინსტიტუტი



რომანი

იტალიურიდან თარგმნა მერი ტიტვინიკაძე

IV

დოქტორი მაქსი დაინიშნა. ამ ამბავმა ყველა გააოცა და ააფორიაქა. სელენეს თუ დაეჯერება, ახალ შენობაში (იქ კი ორასზე მეტი თანამშრომელია) მხოლოდ ამაზე ლაპარაკობენ, თუმცა რიგიანად არავინ არაფერი იცის. დოქტორ მაქსს ამის თაობაზე ჩემთან კრინტი არ დაუძრავს; მარტო მე კი არა, ეტყობა, მისი მშობლებიც არ არიან ბაიბურში. ეს კი გასაკვირია, რადგან დოქტორ მაქსის დედამ, დოქტორმა ურადამ შვილის ყოველი ნაბიჯი იცის, სულ მას დასდევს და დაჰკანკალებს. ბევრსა ჰგონია, დოქტორ მაქსისთვის ქორწინება პირდაპირ მისწრებააო, იმედი აქვთ, ამის წყალობით ზოგიერთი საკითხი მაინც მოგვარდებაო (როგორც მისი პირადი, ისე ფირმისა). მეც ამ აზრს ვიზიარებ, თუმცა იმისიც მეშინია, რომ დოქტორ მაქსზე გავლენის მქონე პირებს კიდევ ერთი ადამიანი შეემატება და მისი ზემოქმედება უეჭველად გადამწყვეტი იქნება.

დოქტორ მაქსის დანიშვნასა და ქორწინებაზე ისე ლაპარაკობენ, თითქოს იციან, რომ ამ საკითხის მოგვარებასთან ერთად მისი შინაგანი ორგანოები დაცხრება და დაშოშმინდება. მაშინ კი, რაღა თქმა უნდა, ფირმის საქმეც უკეთ წავა, წარმოებისა და რეკლამისაც, გასაღება და ნაღდი თუ განვადებითი ვაჭრობაც მოწესრიგდება, ჩვეულებრივი თუ ელექტრო-გამომთვლელი ბუღალტერიაც კალაპოტში ჩადგება, ხელფასის გადახდის საკითხი თუ კიდევ ბევრი რამ მოგვარდება.

უნდა ვაღიარო, რომ დოქტორ მაქსის დანიშვნის ამბავი ჩემთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა (კაცმა რომ თქვას, ვითომ რატომ? განა დოქტორი მაქსი ჩვენისთანა არ არის? არა, არ არის! ის სულ სხვა, განსაკუთრებული მოდ-

გმის ადამიანებს ეკუთვნის; ამას თუნდაც თეთრი ლაქები მოწმობს მისი ბაგის გარშემო). როგორ წარმოვიდგენდი, რომ დღენიადაგ შრომითი ზნეობისა და ფირმის საქმეებით გართულ დოქტორ მაქსს შეეძლო ცოლის შერთვა გადაწყვიტა. მაშასადამე, მისი ხასიათის რომელიღაც საგულისხმო მხარე გამომჩნა. არცაა გასაკვირი, ამისთანა რამეებს ქალები უკეთ ამჩნევენ მაგრამ ის კი უნდა ვთქვა, რომ ბომბოლოს იქედნურად არაერთხელ გადაუკრავს სიტყვა დოქტორი მაქსის ხასიათის სწორედ ამ ჩვენთვის გაუგებარ მხარეზე. ცხადია, მას ამ საკითხზე უფიქრია, მე კი არა; თუმცა ვერც ბომბოლო გაერკვა დიდად ამ ამბავში. საკვირველი და თავსატეხი საკმაოდ გვქონდა, რადგან ჩვენი ბედიცა და უბედობაც ამ ქორწინებაზე ეყიდა; ბედნიერი იქნება კია ეს ქორწინება? შეეფერება კია დოქტორ მაქსს მისი საცოლე? თუმცა წინასწარ აბა რა ითქმის, როცა დოქტორი მაქსიც კი ვერაფერს იტყოდა. იქნება კიდევ შეეფერება, იქნება არა. საქმე ხომ წმინდა ქიმიურ რეაქციას შეეხება. ქიმიკი მე ვერ ვერკვევი, თუნდაც ვერკვეოდე, რას მივხვდები, რამდენად საჭიროა ეს კავშირი? თუ მათი შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედება ერთმანეთს არ შეეფარდება, მაშინ ისიც საფიქრელი გამიხდება, რა ზეგავლენას მოახდენს ეს ამბავი ფირმაზე და კერძოდ ჩემზე! იმედი უნდა ვიქონიო, რომ ზნეობის საკითხებით გატაცებული დოქტორი მაქსი ყურადღებასაც არ მიექცევს თავისი საცოლის შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებს (სამაგიეროდ, თვითონ საცოლე ატეხს ერთ ამბავს ამის თაობაზე) და მხოლოდ საქმის ზნეობრივ მხარეზე იზრუნებს (ანუ თვით საცოლეზე და საერთოდ ქორწინების ინსტიტუტზე).

მარტო იმის გაგება მოვახერხე, რომ საცოლე ღარიბი ყოფილა. არავინ იცის, ლამაზია იგი თუ ულამაზო, კეთილია თუ ბოროტი, პატიოსანი თუ უპატიოსნო, მარტო ის იციან, რომ ღარიბია. ეს გარემოება ნათელს ფენს ჩვენთვის საგულისხმო საკითხს და იმასაც ადასტურებს, რომ დოქტორ მაქსს არჩევანისას წმინდა ზნეობრივი პრინციპები ამოძრავებდა. მაშასადამე, მდიდარზე მდიდარმა დოქტორმა მაქსმა მეუღლედ აირჩია ღარიბზე ღარიბი ქალიშვილი. ეს ამბავი, ერთი შეხედვით, შეიძლება კარგის მომასწავებლადაც ჩაითვალოს; დოქტორმა მაქსმა ამით დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი თანასწორია და ჩვენსავით შეუძლია ღარიბი ქალი შეირთოს. მისი ეს საქციელი საკუთარ საპირფარეშოზე უარის თქმას უტოლდება, როცა არ ისურვა უპირატესობით ესარგებლა და ამის წყალობით კაბინეტი მაჩუქა. თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით მოგეჩვენებათ ასე. რამეთუ დოქტორმა მაქსმა არ უწყის, რომ სიმდიდრე ანუ დიდძალი ფული უპირატესობა გახლავთ განსაკუთრებული ჯურის ხალხისა, ამ ჯურის ხალხი კი არაფრით ჰგვანან ღარიბებს. ამასთან სიტყვა „ჯური“ ამ შემთხვევაში ბიოლოგიური მნიშვნელობით იხმარება; მაშასადამე, ლაპარაკია გარკვეულ ფიზიკურ, ფსიქიკურსა და ფსიქოლოგიურ თავისებურებათა ჯამზე, რასაც თითქმის ვერ აღმოუჩენ სხვა ჯურის წარმომადგენელთ. ზოგჯერ რაღაც გარემოებათა მეოხებით (თუმცა ვერ ვიტყვი, კერძოდ რა გარემოებანია ესენი) ღარიბების ორგანიზმშიც აღმოჩნდება ხოლმე ისეთი ნივთიერებანი, რაიც სიმდიდრეს მოაპოვებინებს მას. სწორედ ასევე შეიძლება აღმოაჩნდეს მდიდარსაც ის ნივთიერებანი, სიმდიდრეს რომ გაანიავებინებს და სიღარიბისკენ წაუბიძგებს. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მოცემული ჯური გარდამავალ საფეხურზეა—ანუ ღარიბები აღმავლობის

გზას აღგანან, მდიდრები კი დაღმავალს. მცდარი იქნებოდა გვეფიქრა, დოქტორი მაქსი ამ გარდამავალ საფეხურზეაო, რადგანაც მისი სიმდიდრე წინა თაობის მიერაა დაგროვილი; მაგრამ ვერც იმას ვიტყვოდი, დოქტორი მაქსი აღმავლობის გზას აღგას-მეთქი. მოგეხსენებათ, სიფრთხილეს თავი არ სტკივო, თანაც იგი ძალზე ახალგაზრდაა. თუმცა არც იმის საბაზი მაქვს ვთქვა, დაღმა მიექანება-მეთქი. დოქტორი მაქსი უდავოდ შეიძლება მივათვალოთ ამ ჯურის ახალგაზრდა, ჯანმანათლებლო წარმომადგენელთა რიცხვს, თუმცადა მოწამვლის აშკარა ნიშნებს ამჟღავნებს, ანუ ზნეობაზე ლაპარაკი უყვარს, სუსტი აღნაგობა აქვს თუ სხვა და სხვა. მას ნიშანწყალიც არ ეტყობა არც უძლურების, არც სევდისა თუ დაბნეულობისა, არც უმიზეზო ტანჯვისა თუ ნეტარი და ამასთან მჭმუნვარე წინათგონობისა, ჭეშმარიტი მიზეზი რომ გახლავთ დაკნინებისა (ფინანსურისა) და ხშირად დასასრულის მომასწავებლად გვევლინება. არა, დოქტორი მაქსი ამისგან შორსა დგას, და თუმცა თავისებური ხასიათის პატრონია, სწორედ ამ ჯურის წარმომადგენლად უნდა მივიჩნიოთ. შემდეგ რა იქნება, ვნახოთ.

გუშინ დილას დოქტორმა მაქსმა დამირეკა და მითხრა, ნახევარ საათში გამოვივლიო. საბაზი და მიზეზი არ მიკითხავს. ჩვეულებრივ, როგორც ყოველ კვირა დილას, ვიბანავე, ჩავიცვი სუფთა პერანგი, გამოვეწყვე და ჩავედი დაბლა. ამჯერად იგი თავისი პატარა მანქანით კი არ მოვიდა, ვეება ატმისფერი მანქანით მოგრილდა (ამან მიმახვედრა, რომ რამდენიმე დღეში ყველაფერი ძირფესვიანად შეცვლილიყო); მან უცბად დაამუხრუჭა მანქანა, გაბადრული ღიმილით (დოქტორი მაქსი არასოდეს იცინის, ამიტომ მისი ღიმილი კეთილის მაუწყებლად მივიჩნიე) ფართოდ გააღო კარი და მიმიპატიჟა; მანქანაში ჩავჯექი და ლამის ჩავეფალ ლეოპარდის ტყავგადაკრულ საგარძელში. დოქტორმა მაქსმა ღიმილითვე წარმოთქვა იმდენად უცნაური სიტყვები, გულახდილად რომ ვთქვა, ვერც გავიგე და არც მინდოდა გაგება, რამეთუ კარგად მომეხსენება, რა მოულოდნელი ხლართებისა და ქარაგმებისადმია მიდრეკილი მისი გონება. ნათქვამი ასე ჟღერდა:

— მოგწონთ? ვიცი, ვიცი, რომ უზნეობაა, მაგრამ ფეხებზე მკიდია!— ამ სიტყვებით მოიჯახუნა კარი და გზას დავადექით.

მანქანა ყურადღებით დავათვალიერე; ამერიკულია, სახურავი გადასახდელი აქვს, საგარძლებზე ბეწვი გადაუკრავთ, კარებსა და სახურავზე კი—ვარდისფერი ტყავი. ურიცხვი ღილაკები თუ ინდიკატორული ნათურების სამართავი დაფა სადაფით არის მოოჭვილი, მინები ცისფერია. დოქტორი მაქსი დიდი სისწრაფით მიჰქროდა მივარდნილ ქუჩებში. მერე ერთი სახლის წინ შეჩერდა. მანქანა იმდენ ხანს ქანობდა თვლებზე, ლამის გულს მაზიდა. სახლიდან ბომბოლო გამოვიდა; სიცილ-სიცილითა და ქება-დიდების სიტყვებით მიესალმა დოქტორ მაქსს და მანქანაში ჩაჯდა. მე, რასაკვირველია, არ მომესალმა და არც გამკვირვებია, რადგან ვიცი, რომ არ მამჩნევს. ეს კია, დოქტორ მაქსთან საუბრისას რატომღაც მაინც მომიხსენია, თუმცა სახელი არ წამოსცდენია და „ნორჩი თესლი“ მიწოდა. მალე კიდევ ჩაეძინა; ძილში ისე ლაპარაკობდა და ხელებს იქნევდა, გეგონებოდათ, ვილაცას იგერიებდნო.

გადავსერეთ ქალაქი, გზატკეცილზე გავედით და ისეთი სისწრაფით გავქანდით, რომ ყველაფერი — ბუნება, ფერები თუ ბალახის სურნელი ერთმანეთში აირია, შეირწყა და ცისარტყელასმაგვარი ზოლის მეტი, ფანჯრებს მიღ-

მა რომ გარბოდა, სხვა არაფერი შემიმჩნევია. ბოლოს გამოჩნდა მაღალი მთები და ჩვენ თვალწინ წყნარი, მუქი ფერის ტბა ალაპლაპდა. მანქანამ ტბისკენ დაქანებულ დაკლაკნილ გზაზე გადაუხვია და მალე ობსერვატორიის გუმბათით მრგვალ სახლთან გაჩერდა. გუმბათში დატანებული ალუმინის ორი „ღებანი-კარი“ გაიხსნა და ყმაწვილი ქალი გამოვიდა; კუბოვრული ქვედაკაბა და ღია ნაცრისფერი სვიტრი ეცვა; მხრებზე ჩამოშვებული ხვეული თმა მუბლზე შავი ხავერდის ბაბთით შეეკრა. მანქანიდან რომ გადმოვედით, დოქტორმა მაქსმა თქვა:

— გაიცანით, ეს ჩემი ორი თანამშრომელია! ეს კი ჩემი საცოლე გახლავთ!

ყმაწვილი ქალი რაღაც უცნაური, ფართო ნაბიჯით წამოვიდა ჩვენკენ. იღიმებოდა და თან ისე ასავსავებდა ენის წვერს, გეგონება, საულვაშეს ილოკავსო; თვალეხსაც ასევე აფეთებდა აქეთ-იქით.

— ძალიან ცაციაშენია, — წაითლიფინა მან და გაფარჩხული თითები გამოგვიწოდა.

მე და ბომბოლომ მოწიწებით ჩამოვართვით ხელი და ასევე მოწიწებით გავდექით განზე.

მერე ყველანი შინ შევედით ამ უცნაური სახლის დასათვალიერებლად, დოქტორ სატურნოს ვაჟიშვილისთვის რომ ეჩუქებინა. გულისყურით დავავგირდი დოქტორი მაქსის საცოლესაც. სახელად მინი ჰქვია; ხმა თითქოს ჩვეულებრივი აქვს, თუმცა განებივრებული, ჭირვეული ბავშვივით ლაპარაკობს (ოღონდაც ზიზღს მაინც არ იწვევს). მეტისმეტად ბევრს მოძრაობს და თან ამ მოძრაობებს უცნაურ შეძახილებს და ბგერებს აყოლებს. ლაპარაკის დროს სასაცილოდ იმანჭება. როცა დოქტორ მაქსს მიეაღერსება, „სციპ“-ო, წამოიძახებს ხოლმე, ლოყაზე ხელს რომ მოუთათუნებს—„მანგ“, გვერდში მუჯლუგუნს თუ უთავაზებს (რასაკვირველია, ხუმრობით) — „სმაკ“, როცა კოცნის — „სშაკ“, ძილი მოერევა და აკრუტუნდება „რონ-რონ“, მოშივდება და იღრინება — „გრონ-გრონ“ და, ვინ იცის, კიდევ რა. რაღა თქმა უნდა, ამგვარ ბგერებს კარგა სასიერო მოძრაობებსაც მოაყოლებს ხოლმე; მერე უეცრად კოპებს შეიკრავს, მუშტებს მოიმარჯვებს, ფართო, გაჩაჩხული ნაბიჯით გაემართება დოქტორ მაქსისკენ და ლაზათიანად წაუთაქებს; შემდეგ გრძელ წამწამებს დააფახულებს, მავედრებელივით გულხელს დაიკრეფს და „სჩაკ.“ — ლოყაზე აკოცებს; „რუფ-რუფ“ — ფრუტუნით თმას აუწეწავს, „სპლაკ“, ხმამაღლა წამოიკივლებს, ხელ-ფეხს გაჩაჩხავს, ენას გამოაგდებს და სავარძელში ზღართანს მოადენს. სხვა მხრივ კი თითქოს ჩვეულებრივი უნდა იყოს. კარგა ხანს ვუყურე და მაინც ვერ მივხვდი, რად შეაჩერა თავისი არჩევანი მილიარდების პატრონმა მაქსმა ამ „სჩაკებით“, „სმაკებითა“ და „რონ-რონებით“ მოლაპარაკე ქალზე. ამან ამირია მთელი ჩემი მოსაზრებები და ვარაუდები, თავდაყირა დააყენა ქორწინების ქიმიური, ისტორიული და ეკონომიური კანონების ცოდნა; მოდი და გამოიცანი, დადებითი შედეგი მოჰყვება თუ უარყოფითი მათ შეუღლებას, რა გავლენას მოახდენს სავაჭრო ფირმაზე, მისი ორასზე მეტი თანამშრომლის ბედზე, ადმინისტრაციულ თუ სავაჭრო დაგეგმარების განყოფილებებზე, ძველსა და ახალ შენობებზე, მთლიანად ფირმაზე და ბოლოს ჩემსა და ჩემს კაბინეტზე!

სახლის დათვალიერების შემდეგ მინიმ უეცრად „სციპ“ დაიწკმუტუნა და მაშინვე ექიმის თეთრ ხალათში გამოწყობილი მეკარე-მაიმუნნი გამოგვეცხადა. დოქტორმა მაქსმა გაიღიმა. მეკარე-სანიტარი მოგვიახლოვდა და დაიბუბუნა:

— ნემსი!

ბომბოლოს სიცილი აუტყდა და თან „გასაგიჟებელია“, „ზღაპრულიაო“, გაიძახოდა. არც კი ესმოდა, რა ხდებოდა, და თავისი ჭიხვინით ყველაფერი ხუმრობაში უნდოდა გაეტარებინა. მაგრამ მაიმუნ-თავისქალა-მეკარეს სულაც არ ეხუმრებოდა. იფიქრა, ბომბოლო დამცინისო, და მუქარით დაიძრა მისკენ.

მინიმ მაშინლა აგვიხსნა:

— ძვილფას სტუმლებს ვიტამინის ნემსებით ვუმასპინძლდებით! — თან გვიჩვენა, როგორ აკეთებენ თურმე ნემსს, და დაიწკმუტუნა: — „სციი-იპ“!

ვერც მე და ვერც ბომბოლომ ვერაფერი გავიგეთ. ბომბოლო ნელ-ნელა ჩაცხრა და ცხვირსახოცით თვალების წმედას მოჰყვა, რაკი არ იცოდა, რა ექნა. მერე დოქტორი მაქსიც ჩაერია:

— მე და მინი ვიტამინის ნემსებს ვიკეთებთ და გვინდა თქვენც გაგიმასპინძლდეთ. ერთი სიტყვით, თუ გინდათ გაიკეთეთ, ჩემზე დიდებულად მოქმედებს.

მე მოვიბოდიშე და უარი განვაცხადე. ბომბოლომ კი, პირიქით, სიამოვნებით, თქვა.

კარისკაცმა სიტყვის დამთავრებაც არ აცალა, პირდაპირ მეზობელ ოთახში შეათრია. რამდენსამე წუთს მინის ბუტბუტის — „გრონ-გრონ-გრონ“-ის მეტი არაფერი ისმოდა, მერე მეზობელ ოთახში ყვირილი გაისმა და მალე ბომბოლოც გამოვიდა; ყველა ღილი შეკრული ჰქონდა.

ახლა ჩემი ჯერი დადგა.

— არა, არა, — გავჯიუტდი მე, — დიდ მადლობას მოგახსენებთ, არ მჭირდება, გმადლობთ!

მაგრამ ვინ იყო გამგონი.

მინიმ იმდენ ხანს უძახა დოქტორ მაქსს „სციი-ციი-ციი“-ო, სანამ მოთმინება არ დააკარგვინა და არ ააღრიალა:

— ყეყეჰო, როცა გეუბნებიან, გაიგონეთ! არა, შეხედეთ ერთი ამ ყეყეჰს! — და გადაიხარხარა.

მე მაინც არ ვნებდებოდი. კარისკაცმა მტაცა ხელი და ძალით შემათრია მეზობელ ოთახში. ტომარასავით გადავეკიდე მკლავზე, ფეხებს უსიცოცხლოდ მივათრევდი. მან ტახტზე დამახეთქა, ბანჯგვლიანი ხელით გამიხსნა შარვალი და კარგა გრძელი ნემსი მატაკა თეძოში. ძალიან მეტკინა. ბომბოლოზე დიდხანს გამაჩერა, ეტყობა, მეტი წამალი გამიკეთა და მერე კმაყოფილი გამერიდა. ჩავიცვი და სასტუმრო ოთახში გამოვედი. ჩემს დანახვაზე ყველა ერთხმად ახვიხვინდა, — „უაფ-უაფ“-ო, გაჰკიოდა მინი და თან მუცელზე ხელებს იტყაპუნებდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაწყნარდნენ. დოქტორმა მაქსმა, ბომბოლომ და მე ფირმაზე წამოვიწყეთ საუბარი; სასადილოშიაც ფირმაზე განვაგრძეთ მასლაათი. მინი ყურადღებით გვისმენდა, დროდადრო თავის შენიშვნებს ჩაურთავდა ხოლმე კნავილითა და ხელების ქნევით. მის ლაპარაკს მარტო დოქტორი მაქსი ხვდებოდა, ყოველ შემთხვევაში, სწორად მაინც პასუხობდა. მინის დიდი რეზინის ჩაქუჩი ეჭირა ხელში და თავს ირთობდა; ბოლოს, ეტყობა, მობეზრდა ჩვენი საქმიანი საუბარი, წამოიკივლა „უუუ“, მომიახლოვდა და ანაზდად — „ბონგ“ — თავში ჩამცხო. გონება დავკარგე.

ვერ გამირკვევია, რით ჩაიჭირა და მოხიბლა მინიმ დოქტორი მაქსი. პირველი ნიშნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მისი გავლენა მაინც კეთილის-

მყოფელი უნდა იყოს, ვინაიდან ჩვენს პატრონს პირის გარშემო თეთრი ლაქები გაუქრა, ზნეობის საკითხებზე მსჯელობასაც ნელ-ნელა შეეშვა; სამაგიეროდ, აშკარად გამოაჩნდა ძალადობის სურვილი, მაგრამ იმას ვერ ვხვდები, ეს სხვამ შთაუწერა თუ მისი ბუნებით მოდგამს. ასეა თუ ისე, ბოლო ხანებში დოქტორი მაქსი ვეღარ ერევა თავის თავს.

იქნებ სწორედ ის მოხდა, რისიც თავიდანვე მეშინოდა; ნუთუ მათი სიყვარული შეცდომა იყო? ნუთუ ისინი ერთმანეთს არ შეეფერებიან? თუ ყველაფერი რიგზეა, მაშინ ასე რამ გააშმაგა და გააცოფა ბოლო ხანებში დოქტორი მაქსი? ან იქნებ მათ შორის სიახლოვე არ ყოფილა და იგი მუშაობითა და გადაჭარბებული საქმიანობით იკლავს თავის დაუკმაყოფილებელ წადილს. მაგრამ მაშინ თეთრი ლაქები რატომღა გაუქრა? რასაკვირველია, ეს მისი პირადი საქმეა და ამაზე პასუხის გაცემაც მხოლოდ მას ძალუძს; მე კი შემიძლია გარაუდი გამოვთქვა. ჩემი აზრით, დოქტორი მაქსი ცდილობს საცოლეს დაუმტკიცოს, რომ ნამდვილი მამაკაცია, მაგრამ ეს ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. ამასთან არც იმ ძალაუფლების ჩვენება უნდა, მამამისის ფულების წყალობით რომ მოიპოვა. არა, მას უნდა ის ძალა გააჩნდეს, რაც ჩვეულებრივ ვითარებაში საქმით და ადამიანებზე ზემოქმედებით მჟღავნდება; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დოქტორ მაქსს სურს იბატონოს მამამისის, დოქტორ სატურნოს ნაცვლად, ვინც ეს ქონება მოიპოვა. ეს ყველაფერი ჩემი ვარაუდია, მაგრამ ერთი რამ აშკარაა: დოქტორი მაქსი შეიცვალა. ერთი მხრით თითქოს უფრო დატკბა, ადრინდელივით აღარ უკმეხობს და აღარც ყველაფერში გეწინააღმდეგება; მეორე მხრივ კი უფრო მეტად შმაგობს და ბორგავს. დედამისი, დოქტორი ურადა ერთობ შეშფოთებულია, მისი გაჟი რომ ასე შეიცვალა.

მისთვის აქამდე თვალი არ მომიკრავს და სახტად დავრჩი, როცა გუშინ ვიღაც წითელთმიანმა ქალმა ჩემი კაბინეტის კარი შემოაღო.

— მე დოქტორი ურადა გახლავართ, დოქტორ მაქსის დედა, — მითხრა ღიმილით და ლოყაზე ხელი მომითათუნა, — დღეს ჩემთან მობრძანდით საუზმეზე, მინდა მოგელაპარაკოთ.

წამოდგომას ვაპირებდი, მაგრამ დოქტორმა ურადამ ხელით მანიშნა, იჯექიო. მერე ჩემი პატარა ოთახი შეათვალიერა და თქვა:

— ჩინებული კაბინეტი გქონიათ, — შემდეგ გაიღიმა და თითი დამიქნია. ვერ მივხვდი, რაზე მიქნევდა თითს. — ეს სულ თქვენი ბრალია, მაქსი რომ საერთო საპირფარეშოში დადის. მე, რასაკვირველია, წინააღმდეგობა არ გამოწევია, მაგრამ მაინც მერჩივნა, საკუთარი საპირფარეშო ჰქონოდა. ეს ხომ მე მოვიფიქრე, მან კი ჩემს ჯიბრზე ბრძანა გაეუქმებინათ და თქვენთვის კაბინეტი მოეწყოთ.

— დოქტორ ურადა, თუ გნებავთ, მე მზად ვარ... — მინდოდა მაშინვე ამეხსნა, რომ არაფერ შუაში ვიყავი და დოქტორმა მაქსმა თავად იწება ეს ოთახი ჩემთვის მოეცა.

— ფიცი, ფიცი, რომ თავად ბრძანა! სწორადაც მოიქცა, მისი გადაწყვეტილება ჭეშმარიტად ზნეობრივი იყო... (როგორ, დოქტორი ურადაც ზნეობაზე მსჯელობს? იქნება დოქტორ მაქსს ესეც ზემოკიდებობით მოსდგამს? მაშინლა მივხვდი მისი მოულოდნელი სტუმრობის მიზეზს. ამდენ ხანს აქა ვმუშაობ და ერთხელაც არ შემოუხედავს ჩემთან), — როგორ უნდა შევუთავსოთ ზნეობა და ჰიგიენა ერთმანეთს? დღევანდელი დღის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ,

არც ისე იოლი საქმეა. ასე არაა? მაშ მოხვალთ? — მე ცოტა შევყოყმანდი, ერთბაშად ვერ მოვისაზრე, რა მეტქვა, — ზუსტად პირველის ნახევარზე გელოდებით, შუადღისას, — სწრაფად წაიხურჩულა მან და გაქრა.

კვლავ სამუშაოზე დავიწყე ფიქრი, მაგრამ თავში სულ დოქტორი ურადი და მისი ნათქვამი მიტრიალებდა. რაში დასჭირდა ჩემი დაპატიჟება? საკუთრივ ჩემს სამუშაოს (და არა მარტო ჩემს, არამედ თითქმის მთელი ფირმის თანამშრომლებისაც) არსებითად ხომ ის შეადგენს, რომ გზივარ და ვფიქრობ ჩვენს დამოკიდებულებაზე ერთმანეთთან და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, დოქტორ მაქსთან (მის საწყისსა, განვითარებასა და დასასრულზე, თუმცა დასასრული ჩვეულებრივ ერთია). ჩვენ აგრეთვე ვფიქრობთ განყოფილებათა შორის მუდმივ დავაზე, რაც ასევეა დამოკიდებული დოქტორი მაქსის შეხედულებებსა და გუნებ-განწყობაზე, იმაზე, თუ ვისადმი განიმსჭვალა კეთილად, ვისადმი — ბოროტად, და ბოლოს ვფიქრობთ თვით დოქტორ მაქსის დამოკიდებულებაზე სხვებთან, სხვა განყოფილებებთან, იმათზეც, ვისაც ნაკლებად ვიცნობთ და ვისთან ურთიერთობისას გეზი კვლავ დოქტორი მაქსის განწყობის მიხედვით უნდა ავიდეთ.

ახლა კიდევ დოქტორი ურადი დაემატა ყველაფერს. რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან? რაღა მაინცდამაინც მე დამპატიჟა საუზმეზე? ცოტა არ იყოს ავფორიაქდი და მთელი დილა, ღამის პირველ საათამდე სულ იმაზე ვფიქრობდი, დოქტორი ურადის განზრახვას თუ ვერ მივხვდები, მისი სიტყვების აზრს მაინც უნდა ჩავწვდე და ის გამოვიცნო, რაც მისმა რბილმა, ცეცხლივით წითელმა თმის ბულბულმა მამცნო-მეტქი; დიახ, დოქტორ ურადის თმა მეტად დამახასიათებელი რამ გახლავთ; ეს ბუმბულივით მსუბუქი და რბილი თმა ერთთავად ყალყზე დგას (შესაძლოა, სწორედ ამ ზეგითკენ სწრაფვამ განსაზღვრა კიდევ დოქტორ ურადისა და მისი გაჟიშვილის მდგომარეობაც), ჰაერის ოღნავ მოძრაობაზეც კი ცხენის ფაფარივით ულივლივებს. იქნებ მის თმას თავისებური მაგნეტიზმი ან ელექტრული მუხტი აქვს და ზევით, სივრცეშიც ის ეზიდება ათასი უწვრილესი ანტენის მსგავსად. შესაძლოა ის თეთრი ლაქებიც შინაგანი სეკრეციის დარღვევის ნიშანია. თეთრი ლაქები ხომ დოქტორ ურადისაც აჩნია პირის გარშემო. დოქტორ მაქსს ესეც მემკვიდრეობით გამოჰყვა ალბათ დედისგან.

დოქტორმა ურადამ ჩემზე ერთსა და იმავე დროს კარგი შთაბეჭდილებაც დატოვა და ცუდიც. კარგი იმიტომ, რომ მისი ღიმილი რაღაც ბავშვური, სუფთა მეჩვენა და ამასთან ქუში და გაყინულიც; ასე ალბათ კოლოები თუ ილიმებიან. ცუდი იმიტომ, რომ მისი თმა საოცრად მგრძნობიარე ხელსაწყოს მაგონებს, სხვისთვის მიუწვდომელს და გაუგებარს. იქნება სხვა ვერც კი ამჩნევს და ვერც რაიმე განსაკუთრებულსა და საშიშს ხედავს ამაში, მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ჩვეულებრივი მგრძნობიარე ხელსაწყოებისგან განსხვავებით დოქტორ ურადის თმა წარმოადგენს ძლიერ იარაღს და ისიც, უეჭველია, ამით სარგებლობს. ისიც მჯერა, რომ ჩემთან და ჩემს ოთახთან მოახლოებაც კი საკმარისი იყო (დოქტორი ურადი ოთახშიაც არ შემოსულა, მხოლოდ თავი შემოჰყო), რომ მის თმას ჩემზე რაღაც უხილავი საშუალებით ისეთი ცნობები მიეწოდებინა, თვითონ რომ წარმოადგენაც არა მაქვს.

ზუსტად პირველის ნახევარზე ჩავედი პირველ სართულზე, სადაც უკვე მიცდიდა ის საზიზღარი მეკარე (არასოდეს დამავიწყდება, რა სიმდაბლეს არ

სჩადიოდა ეს კაცი მხოლოდ და მხოლოდ თავისი რკინის კუნთების იმედით). ვითომც არაფერი მომხდარაო, ან ვითომც პირველად მხედავსო (უფრო სწორად, ჩემთვის არც შემოუხედავს), მშვიდად გამოაღო კედელში დატანებული მომცრო კარი. ფირმაში მოსვლის პირველ დღესვე რომ ვიგარაუდე, ისე აღმოჩნდა: ამ კედლის მიღმა, შუშის გუმბათის ქვეშ მართლა ხეები იდგა და ბოტანიკურ ბაღსა თუ პატარა ორანჟერეას მოგაგონებდათ. ნოტიო ჰაერმა, ყვავილებისა და მცენარეების მძაფრმა სუნმა წამით სული შემეიფუბა, მაგრამ მალე მოვეგე გონს. სანამ ორანჟერეიდან ვინმე გამოვიდოდა ჩემთან (დოქტორი ურადას სამყოფელი ფირმის ახალი 'შენობის ქვედა სართულზეა), ვიდექი და ვათვალიერებდი ხეების ამაზრზენად სქელ ფოთლებს, მსუბუქ ღრუბლებად გაფანტულ კაპელვენერეს ბუჩქებს, მიწიდან ამოზრდილი ადამიანის თმას რომ მოგაგონებდათ (სხვათა შორის, ძალზე ჰგავდა დოქტორ ურადას თმას), რბილ, მოქნილ, ერთმანეთში გადახლართულ გლიცინიის ტოტებსა და მრგვალი აუზის ფსკერზე მოდებულ ხავსს; ბაღიდან დოქტორ ურადას სამყოფელისაკენ ჩვეულებრივი გზა არ მიდიოდა, ხავსითა და ზამბახის გრძელი ღეროებით დაფარული ბილიკებით უნდა გეგლო. იქ იდგა ფორთოხლის ხეებიც, ლიმონებიც, თეთრი, ქორფა ყვავილებით გადაპენტილი მაგნოლიაც; რაკი გუმბათქვეშ გაზრდის საშუალება არა ჰქონდათ, ხეები თვალეზადმოკარკლულ ჯმუხს ქონდრისკაცების ბრბოს დამსგავსებოდნენ. პატარა, მეტისმეტად ნაპატივეები მცენარეები სიმსუქნისაგან თითქოს გატანჯული იდგნენ. ფოთლებშუა აქა-იქ მიმოფანტული ყვავილები თითქოს ქორფად გამოიყურებოდნენ, თითქოს ახლახან გაშლილიყვნენ, მაგრამ თვითელი ფურცელი უზომოდ გაზრდილიყო, გაცრეცილიყო და ხორცის ნაჭრებსა თუ სისხლიანი კანის ნაფლეთებს მოგაგონებდათ. მაგნოლიაც, რამდენიმე ატმის ხეც და ვაზებიც ქონდრისკაცის ფეხებივით ჯმუხი და დაკუნთული გეჩვენებოდათ.

ბაღი თითქოს ზღაპრულად ლამაზი იყო, ირგვლივ კეთილსურნელებაც იდგა, მაგრამ ამავე დროს სასაფლაოსაც ჰგავდა, როგორც ყოველივე ხელოვნურად შექმნილი გვაგონებს ხოლმე; ამ ხეებსა და ტოტებში, ნაპატივეებ ფოთლებსა თუ ყვავილებში მიმაღულიყო რაღაც უყმური და მრისხანე ძალა, რაც ბუნებრივი ფლორის სუნთქვას კი არ მოგაგონებდათ, არამედ უზარმაზარი ფაუნის ქშენას, მსხვერპლს რომ ჩასაფრებია ტევრში. თავში გამიელვა, რომ ეს ბაღი ყველა ჩვენი, ფირმაში მომუშავეთა განსახიერება იყო, მათ შორის დოქტორ მაქსისა და თვით დოქტორ ურადასი. ჩვენ ყველანი, ასევე პატრონიცა და მისი მეუღლეც გავებით უზარმაზარ მახეში და ამ ატმის ხეების, ვაზების, გლიცინიებისა და მაგნოლიების მსგავსად იძულებული გავხდით შეგვეჩერებინა ჩვენი ბუნებრივი ზრდა-განვითარება, არ მიგვეცა გამოსავალი ძალისთვის, ბოლოს კი ასევე დავკნინებულიყავით და დავმახინჯებულიყავით. მაგრამ ამ მცენარეთაგან განსხვავებით, თავიანთი სიმახინჯე შეუგნებლად რომ გამოეგლინათ ფერთა განსაკუთრებულ სიკაშკაშითა და სინოტივით, ჩვენ ჩვენს სიმახინჯეს ვმალავთ და ვჩქმალავთ და ამიტომაც დღითი დღე უფრო და უფრო გვიგროვდება ერთმანეთის სიძულვილი.

ამ ფიქრებიდან თეთრქურთუკიანმა მსახურმა გამომარკვია და მანიშნა, უკან მივეყოლოდი. მეც ფეხდაფეხ მივდიე და აივანს მივადექი, იქიდან დერეფანში გავედი, ავიარე კიბე და აღმოვჩნდი ძველებური ავეჯით მოწყობილ და ხალიჩებითა და გობელენებით მოფარდაგებულ სასტუმრო ოთახში. შუა

ოთახში ფანჯრისკენ მიბრუნებული დივანი იდგა, საიდანაც მოჩანდა ახალი შენობის შესასვლელი და მანქანებით გაჭედილი ქუჩა. შესვლისთანავე შეგამჩნიე, რომ დივანზე ვიღაც იჯდა და თვლემდა; ეს ვიღაც კი თურმე, დოქტორი სატურნო გახლდათ.

იგი მოხუცი იყო, საკმაოდ მოხუცი, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგად გამოიყურებოდა, თუმცაღა დაღლა ეტყობოდა და მოშვებული იჯდა; კვადრატული თავი, გრძელი, ჭაღარა თმა, დიდრონი, ოდესღაც ალბათ ღონიერი ხელები, ცისფერი, კრიალა და თან ბავშვურად უცოდველი თვალები ჰქონდა. ახლა ეს ბავშვურად უცოდველი მხიარული და ამავე დროს ხარბად მომზირალი თვალები მე მომაპყრო; მათ სიღრმეში რაღაც მოთეთრო ჩრდილი ჩამდგარიყო, შენჯღრეული რძის ნალექის მსგავსი, და მათი ელვარება დაებინდა.

დოქტორმა სატურნომ თავისი ბავშვური თვალებით შემომხედა (მოთეთრო ჩრდილიც მაშინვე გამოჩნდა), მერე დივანს ხელი დაარტყა და დამიძახა:

— აქ დაჯექი!

მეც დავჯექი. მან პიჯაკის გვერდითა ჯიბიდან ნახევარმთვარისებური შუშის პენსნე ამოიღო, გაიკეთა, კიდევ ერთხელ შემომხედა და კმაყოფილებით გაიღიმა.

— იცი, რას გეტყვი, — წარმოთქვა ხმადაბლა და კარგა ხნით დადუმდა, — ფული არაფერსაც არ ნიშნავს, გაიგე? დაიხსოვო. მე ვიცი, რასაც ვამბობ.

მან კვლავ შემომხედა, ალბათ უნდოდა შეემოწმებინა, რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე მისმა სიტყვებმა. თავი ვერ შევიკავე და წავიფრუტუნე. მან ფერმკრთალი, მიცვალებულივით მოკრუნხული თითი ტუჩებთან მიიტანა.

— სუ-სუუ, მხოლოდ არავინ გაგვიგოს, თორემ მომადგებიან და გულს გამიწვრილებენ, გლახუჭასავით იქცევიო. რაღა გულის გაწვრილება მინდა. ენამწარას ამბავი არ იცი?

— ენამწარა ვილა? — გკითხე მე.

— ენამწარა? ეეჰ, ჩემო კარგო, ენამწარა ვილაო? აბა მისმინე! — იგი კრუსუნით წამოდგა დივანიდან და დაბალი ხმით წაიმღერა:

ცალი ფეხი ხისა აქვს,
მეორე კი მუყაოსი,
კარტოფილებზე შემდგარი,
ყანყალებს და დაბარბაცებს.

ამ უცნაური სიმღერის შემდეგ ძლივს გაიშალა წელში და გაწყობილი სუფრისკენ ყვირილით გაემართა:

— ვჭამთ თუ არა? რაღას ვუცდით?

მერე მაგიდას მიუჯდა და ვერცხლის თეფშებზე კოვზის კაკუნი ატეხა. მაშინვე მსახურმა მოირბინა, მას დოქტორი ურაძაც მოჰყვა.

— რა იყო, რა მოხდა?

— ვჭამთ თუ არა? რას მომჩერებიხარ, შე დოცლაპიავე? ჩემს ყურებას გირჩევნია საჭმელი მოიტანო.

— სატურნო, ჯერ ხომ... — წამოიწყო დოქტორმა ურაძამ, მაგრამ მან ხელი სტაცა და ძალით მოისვა გვერდით.

სადილზე დოქტორ სატურნოს ხმა არ ამოუღია. ბოლოს დოქტორი მაქსიც გამოგვეცხადა. შვილის დანახვაზე დოქტორ სატურნოს ისეთი სიცილი აუტყდა, ცრემლები წამოსცვივდა. ბოლოს ჰკითხა:

— ერთი გამაგებინე, დოქტორ, შენს საცოლეს მართლა მინი ჰქვია? თავუნია ტოპოლინოს¹ ცოლიც მინი არ არის?

დოქტორ მაქსს მკვდრისფერი დაედო.

— ნებას არ მოგცემთ... — დაიწყო მან, მაგრამ ენა დაება და რაღაც გაუგებარი წაილულულა.

— ბე-ბე-ბე!... დოქტორ! რაკი შენ ცოლს მინი ერქმევა, მაშინ შენც თავუნია ტოპოლინოდ უნდა იქცე, მე კი პეპერონ დეი პეპერონი ვიქნები. ასე არ არის? აბა, აბა, ტოპოლინო, რასა ბრაზობ!..

დოქტორი ურაცა მეუღლეს ხელს ხელზე უჭერდა და ანიშნებდა, გაჩერდიო, მაგრამ დოქტორ სატურნოს ყურიც არ შეუბერტყია ცოლის მუდარაზე, გულიანად იცინოდა. დოქტორი მაქსი კი მთლად გაცოფდა.

— ნებას არ მოგცემთ, ნებას არ მოგცემთ... — ერთხელ კიდევ გამოსცრა, მაგრამ ნიკაპი აუკანკალდა და სიტყვა ვერ დაასრულა. ნიკაპიდან სიბრაზე ზევით წაუვიდა, პირისახე მოეზრიცა და სლუკუნი აუვარდა. ერთი სიტყვით, ატირებული დოქტორი მაქსი ოთახიდან გავარდა.

— ერთი ამას დამიხედეთ, რის ნებას არ მომცემ, შე დოქტორ, შენა! ეგ შენი მინიც კარგი გაქნილი ვინმე. ჩანს...

დოქტორმა სატურნომ მშვიდად მოიმარჯვა კოვზი და ნაყინს დაუწყო სანსვლა. დოქტორი ურაცა მაშინვე გაედევნა შვილს. სუფრას ისევ ჩვენ ორნი შევრჩით. დოქტორ სატურნოს სიტყვაც არ დაუძრავს. ნაყინი რომ მოათავა, წამოდგა, გვერდით ჩამიარა, არც შემოუხედავს ჩემთვის და აჩქარებული, მტკიცე ნაბიჯით გავიდა ოთახიდან.

აი, თურმე როგორი ყოფილა ეს დოქტორი სატურნო! ამ კაცმა ჩაუყარა საფუძველი ჩვენს სავაჭრო ფირმასა და ეს აურაცხელი ქონება დააგროვა. მას შემდეგ, რაც ამ დიდ ქალაქში ჩამოვედი და ამ ფირმაში დავიწყე მუშაობა, პირველად დამეუფლა გრძნობა, რაც თითქმის დავიწყებული მქონდა, ეს იყო სინამდვილის გრძნობა. ამ ქალაქში ჩემთვის ნაცნობი ადამიანების დამახასიათებელი ნიშანი ხომ აშკარად ფანტასტიკურობა იყო. მე ისინი არასებულად, საძაგელ ხალხად მეჩვენებოდნენ, თითქოს ცოცხალი ადამიანები კი არა, მთვარეულები იყვნენ. ხოლო დოქტორ სატურნოს, მისი სახელის მიუხედავად, ეს თვისება არ ჰქონდა, იგი სრულიად რეალური არსება გახლდათ. ამდენი ხნის შემდეგ პირველად ვხედავდი კაცს და არა ლანდს. ასეთსავე შთაბეჭდილებას ახდენდა ოთახში მდებარე საგნებიც: თევზები, დანა-ჩანგალი, სურათები, გობელენები, დივნები, ფანჯრები, გარეთ კი ქუჩები და მანქანები. ეს ყველაფერი ნამდვილი იყო, შეგეძლო ხელითაც შეხებოდი, სახელსაც უწოდებდი. ლაქია, სუფრაზე რომ გვემსახურებოდა, იყო მხოლოდ ლაქია და მეტი არაფერი, დოქტორი ურაცა — უბედური ბებრუხუნა, დოქტორი მაქსი — ბავშვი, ვისაც მამა ბავშვივით ექცეოდა. მაგრამ ეს შეგრძნება იქამდე მიმყვა, სანამ დოქტორი სატურნო იყო აქ. როგორც კი იგი გავიდა, გარშემომდებარე საგნები, ადამიანებიც და ყველა ნივთი ნელ-ნელა კვლავ ლანდებად იქცა,

¹ ცნობილი იტალიური კომიქსების გმირები.

ხოლო როცა დოქტორი ურადა შემოვიდა, რეალურობაზე ლაპარაკი უკვე აღარც შეიძლებოდა.

იგი ატირებული მომიჯდა გვერდით, დივანზე. მისი გიზგიზა თმა წყალმცენარის ბუჩქივით ლივლივებდა ჰაერში.

— ნახეთ, ნახეთ, როგორ ეჭცევა? — აღელვებით წამოიწყო მან და ხელზე წამეტანა. — ნახეთ? ამის ატანა აღარ შემიძლია. ვგრძნობ, რომ აღსასრული მიახლოვდება!

— რას ბრძანებთ, დოქტორ ურადა, უბრალოდ, ეხუმრებოდა, დოქტორი მაქსი ხომ მისი პირმშოა! — დასამშვიდებლად ესლა ვუთხარი.

— ეხუმრებოდაო? — სიტყვა გამაწყვეტინა მან, თან ისევ ისე მიჭერდა ხელს. — პირიქით, განგებ შეუტრაცხოფს, აშმაგებს, განსაკუთრებით უცხოთა თანდასწრებით. ამჯერადაც თქვენი აქ ყოფნით ისარგებლა; სულ იმას ცდილობს, როგორმე დაამციროს სხვის თვალში, დაუმტკიცოს, პატრონი მაინც მე ვარო და არა შენ. ახლა მაქსი სადღაც გაიქცა; ისევ შეტევა მოუვა. ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის. შვილი არაფრად მაგდებს, კიდევ გამარტყა...

— გაგარტყათ?!

— გამარტყა, დიახ, გამარტყა, აი შეხედეთ! — დოქტორმა ურადამ პირისახიდან სველი ცხვირსახოცი მოიშორა. მარცხენა ყვრიმალე შესიებოდა და სილურჯე დაჰკრავდა.

ვერასოდეს ვერ დავიჯერებდი, დოქტორი მაქსი თუ ისე გაბოროტდებოდა, მშობელ დედას ხელით შეეხებოდა. მაგრამ სინამდვილეს სად გაეჭცევი. ან იქნებ თვითონ დაუცდა ფეხი დოქტორ ურადას, დაეცა და ახლა გალურჯებულ ლოყას იმიტომ მაჩვენებს, რომ გული ამიჩუყოს. მან ხომ დილასვე გამოშინცხადა, შენთან საუბარი მსურსო. მაშინ დოქტორი სატურნოს ხსენებაც არ ყოფილა. არც მიფიქრია, რომ აქ დამხვდებოდა. ვფიქრობდი, დოქტორი ურადა მინიზე დამიწყებს ლაპარაკს ან დოქტორი მაქსის ნიშნობაზე ისურვებს-მეთქი საუბარს.

— განა ეს უმსგავსობა არ არის? — განაგრძო დოქტორმა ურადამ და თან ყვრიმალზე ძმრით გაჟღენთილ ცხვირსახოცს იფარებდა. — ლამის გული გამისკდეს. ისე გამწარდა, იქნებ რაიმე სისულელე ჩაიდინოს. სულ ასეთი შიშის ზარი მაქვს, ამიტომ ვურჩევ ხოლმე, მთელი ჯავრი გარშემო მყოფებზე იყარე-მეთქი, თუნდაც ჩემზე; ჯანმრთელობისათვის ესა სჯობია, ვიდრე თავი შეიკავოს. მაგრამ ერთი ეს მითხარით, კეთილი ხართ? — სხაპასხუპით მომაყარა მან.

— ვინ, მე?

— დიახ, თქვენ, თქვენ. კეთილი ხართ? ჩემი მეგობარი ხართ?

მისმა კითხვამ დამაფიქრა. ვარ კეთილი? ვარ მისი მეგობარი? არ ვიცი. პასუხი კი, ვგრძნობდი, სწრაფად უნდა გამეცა და თანაც დამაკმაყოფილებელი. სიტყვები თავისთავად მომწყდა ბაგიდან:

— არ ვიცი, კეთილი ვარ თუ არა. იმედია, ვარ; რაც შეგეხებათ თქვენ, დოქტორ ურადა, როგორ გითხრათ, რომ თქვენი მეგობარი ვარ, როცა დღეს პირველად გხედავთ. მე შემიძლია ვთქვა, დოქტორი მაქსის მეგობარი ვარ-მეთქი...

— აი, აი, სწორედ ამის გაგონება მინდოდა თქვენგან. თუ დოქტორ მაქსის მეგობარი ხართ, მაშასადამე, ჩემიც ყოფილხართ. მე ხომ დედა ვარ მისი

და ამდენად... სწორედ ამის გაგება მინდოდა თქვენგანაც... აჰ, მაპატიეთ, ყავას ხომ არ ინებებთ?

ლაქია დიდი ხანია იქვე იდგა და გველოდა. დოქტორ ურადამ მე სულ და ვავიწყდი, თავისთვის აიღო ფინჯანი, დაშაქრა და დალია. ლაქიამ კი თავად ვერ გაბედა ჩემთვისაც შემოეთავაზებინა. ის-ის იყო წასვლას აპირებდა, რომ ფინჯანი ჩამოვართვი, მაგრამ არ დამილევია, შემეშინდა, დოქტორ ურადამ არ ეფიქრა, მაშთან საუბარზე მეტად ყავა უფრო რომ შეამებოდა.

— ნახეთ, როგორ მოიქცა? განა მაქსი ოდესმე შესძლებს უფროსობას, თუკი მშობელი მამა ასე აბუჩად იგდებს? თუმცა ჩემი მხრივ კი ყოველთვის ჩავაგონებდი, რომ თავისი უპირატესობით არ ესარგებლა, ხელქვეითთა მიმართ ყურადღებიანი ყოფილიყო, გულისხმას აჰყოლოდა და ძალა არ ეხმარა. ამიტომაც მინდოდა გამეგო, კეთილი ხართ თუ არა. ვგონებ, ეს საკითხავიც არ იყო, ისედაც ვიცოდი მაქსისგან. გმადლობთ, გმადლობთ, რაც აქამდე გააკეთეთ და შემდეგშიც გააკეთებთ მაქსის გულისთვის. მე ვიცი, რამდენს აკეთებთ მისთვის. ვიცი, ყველაფერი ვიცი...

— სიმართლე რომ ითქვას, არაფერსაც არ ვაკეთებ...

— აი, სწორედ ეს პასუხი მეტყველებს იმაზე, რა კეთილი ხართ. თქვენ მართლაც არაფერს აკეთებთ, სულ არაფერს. — დოქტორმა ურადამ პირზე ხელი აიფარა და ჩაიფხუკუნა. — მაგრამ თქვენი პირით მაინც აღიარებთ ამას. სხვებიც კი სხედან უქმად, მაგრამ განა გამოტყდებიან? გაიგეთ, თუ ადამიანი არაფერს აკეთებს, თუ თითს თითზე არ აკარებს და თან ამაში ფულსაც იღებს, იგი, ბუნებრივია, თვითონვე უყრის თავს მარყუჟში, პატრონი უბრალოდ იძულებული ხდება...

— უკაცრავად, მაგრამ არ მესმის...

მართლა არ მესმოდა, რაზე მელაპარაკებოდა. მაგრამ ვხვდებოდი კია, რომ დოქტორმა ურადამაც იგივე ქადაგება წამოიწყო ზნეობასა და შრომაზე. ქუთუთოები ტყვიასავით დამიმძიმდა და თვლელმა მომერია; საბედნიეროდ, დოქტორმა ურადამ ხმას აუწია და გამომავსიზლა.

— როგორ თუ არ გესმით? რატომ არ გესმით, იმიტომ, რომ ყველჩი ხართ, თუ იმიტომ, რომ გძინავთ? — ცივი ხმით წამოიკივლა მან და მაგიდაზე ხელი ისე დაარტყა, რომ მონასტრის აღმზრდელი გამახსენდა. — რას ნიშნავს, „არ მესმის“? ყველა რატომღაც თავს იკატუნებს, ვითომ არ ესმის, რასაც ეუბნებიან, დოქტორ მაქსს ფულებს სცინცლავენ და სასოწარკვეთილებამდე მიჰყავთ. ვიცი, რომ თქვენ ისეთი არა ხართ, თუმცა თქვენც კი... უკაცრავად, რამდენს იღებთ? თქვით, ნუ გერიდებათ, მე ხომ დედად გეკუთვნივ...

— თვეში სამოცდაათი ათას ლირას, — წავილულლულე მე. მაგრამ დოქტორმა ურადამ, ეტყობა, ეს თანხა საკმარისზე მეტად მიიჩნია.

— არც ისე ცოტაა... — ჩაილაპარაკა თავისთვის, — მაქსს ძალზე კეთილი გული აქვს. ის ხომ ყველაფერს თავად აკეთებს, ყველაფერს, თუმცა კი მის განკარგულებაში ორასზე მეტი კაცია. ეგ მუშაობს, სხვები კი გასამრჯელოს თხოულობენ. სწორია, გასამრჯელო უნდა მისცე, ხელქვეითს კუთვნილი ხელფასი გადაუხადო, მაგრამ ამ საკითხშიაც უნდა გაარჩიო ბოროტი კეთილისაგან. კარგი უნდა წაახალისო, ცუდი დასაჯო. — დოქტორმა ურადამ კვლავ დაარტყა მაგიდას ხელი, — აი, მაგალითად, თქვენ კარგი ადამიანი ხართ. როდესაც მაქსმა მიაგზო, რომ მის ყოფილ საპირფარეოში მოგიწყვეს კაბინეტი და

იქ მუშაობთ, იმდენი ვიცინეთ, იმდენი, მოვკვდით სიცილით! მარტო სატურ-
ნოს არ ეცინებოდა, მაგრამ ის ხომ არც არასდროს იცინის და არც ვინმეს
უსმენს. საერთოდ არავინ ენადვლება. ცხადად მახსოვს, ერთ დღეს მოდის
ჩემთან მაქსი, ისეთი მხიარულია და ისე იცინის, ბავშვობისას რომ იცოდა
ხოლმე, მერე მეუბნება: „იცი, დედა, სავაჭრო დაგეგმარებაში ერთი ძალიან
კარგი ყმაწვილი მიიღეს“. ეს ყმაწვილი მგეგმავი თქვენ იყავით. თუმცა, მარ-
თალი რომ ითქვას, არც თქვენი გეგმები და არც ვაჭრობა არ გვინახავს. რამ-
დენი ვიცინეთ. მაგრამ მე მაშინვე მივხვდი, რომ თქვენ ალბათ კარგი ადამი-
ანი იყავით, თუნდაც... — დოქტორმა ურადამ შეიცადა, ყურადღებით შემათ-
ვლიერა და დაასკვნა, — თუნდაც განვადებით ყიდულობდეთ ნივთებს იმ
დროს, როცა ჯერ არც იყავით ჩამდგარი სამსახურში...

— არ ვიცოდი, სინიორა... — გაუბედავად შევეპასუხე მე.

— კარგით, ამაზე ლაპარაკი აღარ ღირს, ახლა ყველა ასე იქცევა, თუმცა
თქვენს ასაკში არა. ისეთივე შეუბღალავი დარჩით, როგორიც აქამდე იყავით,
არ დაიდოთ ვალები და არ გაყოყოჩდეთ. ერთი სიტყვით, ისეთი იყავით, რო-
გორიც ახლა ხართ, ყველაფერზე უარი თქვით. აი, ნახავთ, თუ შესძლებთ
დოქტორი მაქსის ხატრით ყველაფერზე უარი თქვათ, თუ საჭირო იქნა, ხელ-
ფასზედაც კი, მაშინ მასაც ეყვარებით და თავის გულში სამუდამოდ ადგილს
მიგიჩენთ. მან ხომ პირად საპირფარეოზე თქვა უარი, ოღონდაც ახლოს
ჰყოლოდით.

— ვიცი, ვიცი, — ვუპასუხე და კვლავ ვიგრძენი, რომ თვალები მებლი-
ტებოდა; ყავაში ძილისმომგვრელი წამალი ხომ არ ჩამიყარეს-მეთქი, თუმცა
მხოლოდ ერთი ყლუპი მოვსვი, სულ ცოტა, და მართლა რომ არ დამძინებო-
და, საათს დავხედე, — ჩემი წასვლის დროა, — წამოვიძახე და მაშინვე წამოვ-
ხტი დივნიდან.

— ასე მალე? თუმცა, რაკი საქმეები გაქვთ, რასაკვირველია... მაქსსაც
სულ ეჩქარება, — თქვა დოქტორმა ურადამ და თვითონაც წამოდგა. იგი დაბ-
ნეული იყურებოდა აქეთ-იქით, თითქოს კიდევ რაღაცის თქმა უნდა და ვერ
გაუბედიო. ბოლოს მკითხა: — გავიგე, მინი გაგიცვნიათ, მართალია?

— დიახ.


— ძალიან სასაცილო კია, სამაგიეროდ ლამაზია, არა?

— დიახ, — კვლავ დავუდასტურე მე, რადგან არ ვიცოდი, სხვა რა მეთ-
ქვა.

— მთავარია, სინამდვილეშიც ისეთი კარგი აღმოჩნდეს, როგორიც პირვე-
ლი შეხედვით ჩანს. მაქსისთვის აუცილებელია, ცოტა გული გადააყოლოს,
სამუშაოს გარდასხვა რამეზეც იფიქროს; მინი კი მისთვის სრულიად უცოდ-
ველი გასართობია. მაქსს ყოველთვის უყვარდა ტოპოლინოს ამბავი და აქამდე
შერჩა ეს სიყვარული. მინი კი ძალზე ართობს. გამომიტყდა, ბავშვობიდანვე
ვოცნებობდი მინის შერთვაზე და კიდევ ვიპოვეო. მაგრამ ყველაზე მთავარი
ისაა, რომ იგი ღარიბია. მდიდარი რომ ყოფილიყო, მაშინ, რასაკვირველია,
მინიც არ იქნებოდა. თქვენ რას ფიქრობთ?

კვლავ აღარ მესმოდა, რაზე მელაპარაკებოდა დოქტორი ურადა.

— ოღონდ კი ჩემზე გულს არ აიცრუებდეს... აი, დღეს, მაგალითად,
კარგი მუშტი მითავაზა, ვიცი, რომ იხუმრა, მაგრამ აქამდე ეს არ უქნია. ადრე
მჩქმეტდა და ხელებს მიგრეხდა, მაგრამ გარტყმით კი არასოდეს გაურტყამს.



იქნება მინიმ წააქეზა? თქვენ მოგეხსენებათ, რა ადვილია მაქსის დაყოლიება. თქვენ როგორ გგონიათ? გულახდილად მითხარით...

დიდ გასაჭირში ჩავვარდი. მეთქვა, მინი არაფერ შუაშია, ის არ უკარნახებდა დოქტორ მაქსს, თუნდაც ხუმრობით, დედაზე ხელი შეემაართა-მეთქი, ეს იმას ნიშნავდა, რომ მან დედას შეგნებით გაართყა; მაშინ დოქტორ ურადამს ეწყინებოდა და შვილს საყვედურებით აავსებდა. მეთქვა, მართალი ბრძანდებით, დოქტორმა მაქსმა მართლაც ხუმრობით, სიყვარულით გაგართყათ, როგორც ადრე გჩქმეტდათ და ხელებს გიგრეხდათ-მეთქი, მაშინ გამოვიდოდა, რომ ეს უვნებელი სილა მინის წაქეზებით გააწნა შვილმა; ამ შემთხვევაში მინი აღარ იქნებოდა უცოდველი გასართობი, ასე იოლად რომ დაიჯერა და წარმოიდგინა დოქტორმა ურადამ. მინი გადაიქცეოდა იმ პიროვნებად, ვისაც დედაზე მეტი გავლენა ექნებოდა დოქტორ მაქსზე.

— ჩემი აზრით, დოქტორ ურადა... — წავილულულე მე, თუმცაღა ჯერ არ ვიცოდი, რას ვიტყოდი.

— თქვენი აზრით რა?..

იგი ისე დაჟინებით ჩამაშტერდა, რომ დაუყოვნებლივ უნდა მომეგონებინა რაიმე პასუხი! ერთ წამში უნდა მეთქვა, რაც კი ენაზე მომადგებოდა.

— ჩემი აზრით, ეს სილა დოქტორ სატურნოს უფრო ეკუთვნოდა, — რაღაც ზეშთაგონებით წამოვიძახე მე.

— მაშინ მე რატომღა მომხვდა?

გულში გავივლე, დოქტორ ურადასთვის უცხო არაა-მეთქი ლოგიკა და, მაშასადამე, მეც ლოგიკურად უნდა განმესაჯა.

— იმიტომ, რომ დოქტორი სატურნო მოხუცია და უძლური. დოქტორი მაქსი ამით ხომ არ ისარგებლებდა. ჰოდა, მთელი ჯავრი თქვენზე იყარა.

— ააჰ, ასე ხომ? — მიკნავებული ხმით წარმოთქვა დოქტორმა ურადამ. მაგრამ, ეტყობოდა, დიდად ვერ დავარწმუნე.

— მე მგონია, მინი არაფერ შუაშია...

— ჩხუბი ხომ სწორედ მას უყვარს, რასაკვირველია, ხუმრობით, მაგრამ...

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ ამჯერად ის არაფერ შუაშია.

— მაშ თქვენ გგონიათ, რომ დოქტორ სატურნოზე გაჯავრებულმა გამართყა და არა იმიტომ, რომ მინიმ უკარნახა, დედას მუშტები უთავაზეო?

— რასაკვირველია! ტყუილად ფიქრობთ ამას! დოქტორ მაქსს ძალიან უყვარხართ და საცემად ვერ გაგიმეტებდათ; და თუ მაინც გაგიმეტათ, ან ხუმრობით ჩაიღინა, ანდა მოთმინება დაკარგა და აღარ იცოდა, ვისზე ეყარა ჯავრი.

დოქტორმა ურადამ გაიღიმა და თვალზე ცრემლი მოადგა.

— გზადლობთ, გზადლობთ! — რამდენჯერმე გაიმეორა აღელვებისაგან ჩახლეჩილი ხმით, — იცით, როცა ადამიანი ჩემსავით მარტოა, ათასი ოხრობა მოუვა თავში! დიდი მადლობელი ვარ თქვენი, მართლაც ძალიან კეთილი ყოფილხართ, — ამ სიტყვებით იგი მომეხვია; დაწვებზე ცრემლები ჩამოსდიოდა, ვხედავდი, რა მარტო იყო, როგორ იტანჯებოდა და არ შემეძლო მის ალერსზე არ მეპასუხა. იმ წუთში იგი ჩემთვის მხოლოდ უბედური ქალი იყო, ვისზედაც ღვიძლმა შვილმა ხელი აღმართა; ძალზე ნაზი და გულწრფელი მეჩვენა, როცა მეხვეოდა. ჩვეულებრივად კი ამას ვერ შეატყობდით. წითელი თმა მხრებზე ჩამოეშალა. მერე ხელი გამიშვა და თქვა: — ერთი წუთით მომიცა-

დეთ! — იგი გაიქცა; ნალე დაბრუნდა, ხელში რაღაც ფუთა ეჭირა, თმა ისევ ისე აბულულებოდა. — აჰა, — მითხრა მან, — გამომართვით, დოქტორი მაქსის კოსტუმია; სულ ახალთახალია, მას ცოტა ვიწრო აქვს, თქვენ კი კარგად გაქნებათ. მადლობელი ვარ, დიდად მადლობელი. ჰო, კოსტუმის თაობაზე დოქტორ მაქსთან კრინტი არ დასძრათ, თორემ გაბრაზდება, პატერნალიზმს დამაბრალებს და ბოლოს და ბოლოს თქვენც გაგიწყრებათ. რა ვქნა, მე სხვა თაობას ვეკუთვნი და თქვენსავე, ახალგაზრდებივით, გრძნობების ალაგმვა არ მეხერხება! — მან ფუთა ხელში მომაჩუჩა და ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

ალარ ვიცოდი, რა მექნა: მივიღო საჩუქრად დოქტორი მაქსის ნახმარი კოსტუმი, დოქტორი მაქსი გამიბრაზდება. არ მივიღო და მაშინ დოქტორ ურადას ვაწყენინებ; მას კი დიდი გავლენა აქვს შვილზე და თუ არ ეწყენება, იმას მაინც იფიქრებს, რომ არამტკიცე და მეტისმეტად მერყევი საკუთრება ვარ. მეორე მხრივ, თუმცა საჩუქარს ვიღებ დოქტორ ურადასაგან და არა მისი შვილისაგან, სულ ერთია, ეს მაინც დოქტორი მაქსის გამონაცვალ კოსტუმია და მას ალბათ კიდევ ჩავიცვამ (ნუთუ ამასაც ვიზამ?). მაშასადამე, ამით ერთხელ კიდევ ვაღიარებ თავს დოქტორი მაქსის საკუთრებად. არა, არა, ეს შეუძლებელია! რამდენი არ ვიმტკიცე, თვე, გამოსავალი მაინც ვერ მოვიფიქრე. მესაკუთრეობის საკითხში, ისევე როგორც სიყვარულში, თვალთმაქცობა არ შეიძლება; ან მთელი არსებით ვეკუთვნი დოქტორ მაქსს, ან სულ არ ვეკუთვნი. იმას არა აქვს მნიშვნელობა, რომ დოქტორი ურადა მისი დედაა და ის კოსტუმიც მისი შვილის გამონაცვალია. მთავარი მაინც ისაა, რომ კოსტუმი დოქტორმა მაქსმა კი არა, სხვა ადამიანმა მაჩუქა. ხოლო დოქტორი მაქსისთვის ასეთი პატერნალიზმი, თუკი ეს უშუალოდ მისგან არ მომდინარეობს (სხვათა შორის, მისი გულკეთილობა ერთ ბოთლ კოკა-კოლას არ გასცილებია), თავალებში ნაცრის შეყრას უდრის. მაშასადამე, ერთი გამოსავალია დამრჩენია, — მოვუყვე ეს ამბავი დოქტორ მაქსს, ამ ფუთით შევიღე მასთან და ვცადო ყველაფერი ხუმრობაში ჩავატარო. ასეც მოვიქეცი და იმავე დღეს მივედი მასთან, მაგრამ ეს ფანდი არ გამივიდა. დოქტორი მაქსი ისედაც გაჯავრებული იყო დედ-მამაზე, მინის მტრულად ექცევიანო, და ახლა სულ განრისხდა.

— ჰაი, თქვენ მასხარავ! ნუთუ საკუთარი ღირსების გრძნობა არ გაგაჩნიათ? თქვენ, უმსხვილესი სავაჭრო ფირმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი (ეს ჩემთვის ახალი ამბავი იყო, მან პირველად მიწოდა ხელმძღვანელი მდივნის თანდასწრებით), საჩუქრად იღებთ სხვის გამონაცვალ კოსტუმს; მე რა, რომ ჩემია, როგორ არა გრცხვენიათ? მაშასადამე, მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერაფერი შეითვისეთ! სადა ვცხოვრობთ? თავისუფალი ადამიანები ვართ თუ მონები? ესეც არ იყოს, რა საქმე გაქვთ დედაჩემთან?

— ვიფიქრე, უზრდელობაში არ ჩამომართვას, თუ... — შევკადრე მორიდებით.

— რას თვლით თქვენ უზრდელობად?

— იმას, რომ მე...

— მით უარესი, მაშასადამე, თქვენ საჩუქარი ზრდილობის გულისთვის მიიღეთ და არა იმიტომ, რომ გჭირდებოდათ. რომ გამოგდგომოდათ, კიდევ არაფერი, მაგრამ ზრდილობის გულისთვის? კარგად დაიხსომეთ, დედაჩემთან არავითარი საქმე არა გაქვთ. არავითარი! ვის ექვემდებარებით, მე თუ ჩემს მშობლებს?

— თქვენ.

— მაშინ დაუყოვნებლივ დაუბრუნეთ ეგ ძონძები. ეწყინება თუ არა დედაჩემს, ეს მისი საქმეა; ან დაუბრუნეთ, ან გადაყარეთ.

— დოქტორ მაქს, მომისმინეთ, არ მინდა დოქტორ ურადას ვაწყენინო, მას ხომ მხოლოდ კეთილი ზრახვა ამოძრავებდა; მერწმუნეთ, ასეა...

— როგორც გეუნებოთ, ისე მოიქეცით, წადით! მეც ავდგები და ამის მიხედვით ვიმოქმედებ. კარგად ბრძანდებოდეთ! — და რადგანაც არ გავნძრეულვარ, კიდევ ერთხელ გამიმეორა: — კარგად ბრძანდებოდეთ!

გამოვედი და ჩემს კაბინეტში შევიკეტე. რა უნდა მექნა? მაშინვე ყველას თვალწინ დამებრუნებინა ეს ფუთა დოქტორი ურადასთვის, თუ დამეტოვებინა და დოქტორი მაქსისთვის ეჭვის საფუძველი მიმეცა, ღმერთმა უწყის, დედამისთან რა ურთიერთობა გავაბი? საღამომდე ვეწვალე და გერაფერი გადავწყვიტე. რას ნიშნავდა დოქტორი მაქსის სიტყვები: „მეც ავდგები და ამის მიხედვით ვიმოქმედებო“?

იმავე საღამოს დოქტორ მაქსს მინისტრთან ერთად შევხვდი და კინოში დამპატიჟა. გამიხარდა, იქნებ იმ კოსტუმის ამბავი როგორმე მოგვარდეს-მეთქი. მართლაც, შესვენების დროს დოქტორმა მაქსმა ხელი გამომდო და ჩვეულებრივად ყურში ნდობით ჩამჩურჩულა:

— დღევანდელი უცმეხობისთვის ბოდიში უნდა მოგიხადოთ. მაგრამ პატერნალიზმს ვერ ვიტან, განსაკუთრებით ჩვენი თანამედროვე საწარმოში. ფირმის მუშაკი, ღვთის წყალობით, მონა არ არის, იგი თავისუფალი ადამიანია, ფირმაში სამუშაოდაც ხომ თავისი ნება-სურვილით მოდის, თვითონ წყვეტს, გადაიქცეს თუ არა ფირმის და, მაშასადამე, პატრონის საკუთრებად. მას ხომ არავინ აიძულებს?! არის თუ არა ჩვენთან კონკურენცია? მართალი გითხრათ, სწორად მოიქეცით, დედაჩემის საჩუქარი რომ მიიღეთ. თქვენი საქმეა, ჩაიცვამთ თუ არა ჩემს კოსტუმს, მაგრამ კარგი კი ქენით, რომ გამოართვით. ახლა დედაჩემსა და მამაჩემ სატურნოს — დედაჩემი ხომ მას ყველაფერს წვრილად ჩაუკაცლავს — ეცოდინებათ, რა დამოკიდებულება გვაქვს მე და თქვენ... ერთი სიტყვით, რაკი ჩემი ნახმარი კოსტუმი მიიღეთ საჩუქრად, ამით მე გამიწიეთ სამსახური. ბოლოს და ბოლოს მამაჩემი გაიგებს, ვინაა აქ პატრონი... სხვათა შორის, ხვალიდან ვიტამინის ნემსების კეთებას დამიწყებენ, თუ გახსოვთ, მაშინ ვილაში თქვენც რომ გაგიკეთეს. გირჩევთ შემთხვევით ნაგდეთ. დილაობით ჩვენი მეკარე მოვა ხოლმე, ის ხომ ჩინებული, დიპლომირებული მედმუშაკია, და ორივეს გაგვიკეთებს. თქვენ მარტოს ძვირი დაგიჯდებათ, ახლა კი მთელ ხარჯებს მე ვიკისრებ, თანახმა ხართ?

მეტი რა გზა მქონდა, დავეთანხმე, თორემ ისევ თავიდან დამიწყებდა ქადაგებას ზნეობაზე, საკუთრებაზე, არჩევანის თავისუფლებაზე.

V

ყოველ დილას ზუსტად ათის ნახევარზე კარზე კაკუნი გაისმის. ეს ლოტარია, მაიმუნი-თავისქალა-მეკარე, ნემსის გასაკეთებლად მოსული; დიმილითა და მანჭვა-გრესით მომესალმება და მზადებას შეუდგება. უკვე ზეპირად ვიცი, რას გააკეთებს: შემოიტანს ქალის სამგზავრო ჩანთისოდენა და-

უჟანგავი რკინის ყუთს, სადაც შპრიცი, მარლაში გახვეული რამდენიმე ნემსი, ამბულები, ეთერის შუშა და ბამბის ფთილა აწყვია. ყუთს მაგიდაზე დადებს, ღილაკს თითს დააჭერს და ყუთი გაიხსნება, ოთახში ეთერის სუნის დატრიალდება. ამ დროს მე უნდა წამოვდგე და პიჯაკი გავიძრო. სანამ შარვალს ვიხსნი, ლოტარი აიღებს ორ ამბულას — ერთი დიდია, მეორე მომცრო, პატარაში ვიტამინია, დიდში — გამოხდილი წყალი, ჯერ პატარას შეანჯღრევს, მეორე — დიდს. ლოტარი მზადაა, მეც მზადა ვარ, მაგიდას დავეყრდნობი, პირს კარისკენ მივაბრუნებ და ველოდები.

ზოგჯერ დოქტორი მაქსიც შემოვა ხოლმე, დადგება, ჯერ მე მომაპყრობს მზერას, მეორე ნემსს მიაშტერდება, დგას პირმომუწული, სანამ ლოტარი თავის საქმეს მორჩება, შემდეგ გაიხურავს კარს, გავა და თავის კაბინეტში ელოდება ლოტარს. იგი ყველაფერს ისევ რკინის ყუთში ჩააწყობს, ეთერის სუნის გასანიაველად ფანჯარას გააღებს (მე კი მისი წასვლის უმაღლეს ვხურავ), კვლავ გამოწირავს ღიმილს, ან დაინიშნება და მიდის.

როგორც მოგახსენეთ, ეს ვიტამინები ძალზე მტკივნეულია, თითქმის მთელი დღე მეწვის ნანემსარი. მაგრამ ჩემს ფსიქოლოგიურ ტანჯვასთან შედარებით ტკივილი სათქმელად არც ღირს. მე იმის შეგნება უფრო მაწვალებს, რომ დოქტორმა მაქსმა ეს ნემსები ერთადერთი მიზნით მომახვია თავს — იცის, რა მტკივნეულია და უნდა ლოტარის ხელით მაწამოს.

ათასჯერ მაინც ვუთხარი დოქტორ მაქსს, არავითარი ნემსი არ მჭირდება. მეტქი, მაგრამ როცა მივხვდი, თავის განზრახვაზე ხელს ვერა და ვერ ავაღებინებდი, ვთხოვე ექიმებთან შევემოწმებინე (რასაკვირველია, ეს სისულელე იყო, რომელი ექიმი არ იტყვის, ვიტამინის ნემსები მავნებელი კი არაა, ყველასათვის აუცილებელიც არისო). ჩემი თხოვნა რომ მოისმინა, დოქტორი მაქსი მიტკალივით გათეთრდა, თავზე ხელები შემოიჭდო, დაკვირვებით შემომხედა და დაიწრიპინა:

— მაშასადამე, თქვენ გგონიათ, მავნებელია და ეჭვი გეპარებათ, რომ თქვენი მოწამვლა მინდა? რა მიწას ჩასჩერებიხართ, თვალებში შემომხედეთ და მართალი თქვით.

მე თვალი გავუსწორე.

— ეჭვი რა სათქმელია, დოქტორ მაქს, უბრალოდ დარწმუნებული ვარ, ნემსები არ მჭირდება, ეს არის და ეს.

— მეც ხომ ვიცეთებ! მშვენივრად იცით, რომ მეც ზუსტად მაგ ნემსებს ვიცეთებ. იქნება გგონიათ, რომ მე სხვა რამეს მიშნაპუნებენ? თუ გინდათ დამესწარით, საკუთარი თვალთი იხილეთ და დარწმუნდით! მაშასადამე, არ მენდობით! ეს მე ფრიად და ფრიად მალონებს. თუ ასე უნდობლად მეკიდებით, ჩემს ფირმაში რატომღა მუშაობთ? ამ ჯოჯოხეთში ყოფნას არ გირჩევნიათ გაეცალოთ აქაურობას და თავს უშველოთ? — ესა თქვა და დადუმდა.

ერთი სიტყვით, ბედს დავმორჩილდი. რატომ დავმორჩილდი? ვითომ იმიტომ, დოქტორს მაქსს არ ეფიქრა, რომ ეჭვი მეპარება, ჩემი მოწამვლა უნდამეტქი? არა, მე მართლა გირწმუნე მისი გულწრფელობა, ის ნამდვილად ზრუნავს ჩემს კეთილდღეობაზე, ჩემს ჯანმრთელობაზე; ისიც მშვენივრად ვიცი, რომ ეს ნემსები არც საწამლაია, არც მავნებს და ზუსტად ასეთსავე ნემსებს უყვებებს ლოტარი ყოველ დილას დოქტორ მაქსსაც. ვიტამინები რომ სასარგებლოა და ადამიანს აკაჟებს, გასაგებია, მაგრამ იმ ამბავმა, რომ ჩხვლეტა

ძალზე მტკივნეულია და თანაც გაკეთება ლოტარს დაავალა, მაფიქრებინა, დოქტორმა მაქსმა ეს ამბავი ჩემს გასაწამებლად წამოიწყა-მეთქი.

ექვანიოზა არა მიხვევია, პირიქით, ზომასზე მეტად მიმნდობი ვარ და ისიც მჯერა, რომ აღამიანები ერთიმეორეს კეთილი განზრახვით ეხმარებიან, მათ ერთმანეთის სიყვარული თუ რაღაც ქვეშეცნეული გრძნობა ამოძრავებთ; დახმარების სურვილი ჭეშმარიტად კაცთმოყვარეობით, მეგობრული გულითა-დობითა თუ თანაგრძნობითაა ნაკარნახევი; სხვისი კეთილდღეობისთვის ბეგ-რი არ გადასდებს თავს. ეს მეც კარგად ვიცი და არც ისეთი მიაშიტი ვარ, ვი-ფიქრო, დოქტორი მაქსი ჩემი გულისთვის ცეცხლში ჩადგება-მეთქი; ეს უბრა-ლოდ დიდსულოვნების გამოჩენის სურვილი გახლავთ, რაც სრულიად საწინა-აღმდეგო გრძნობებს უღვიძებს მერე, ავიწყებს წინანდელ სწრაფვას და ყველაფერი ისევ ძველებურად რჩება. მაგალითად, არაერთხელ მომხდარა, რომ დოქტორ მაქსს ჩემთვის სამმაგად გაუზრდია ხელფასი (ერთხელ ათმაგა-დაც კი), არათუ სხვების თანდასწრებით, ანდა სიტყვიერი განკარგულებით, არამედ ბუღალტერიისთვის წერილობითი ბრძანებაც უკარნახებია ჩემ თვალ-წინ და ასლი მე მიმიღია; მერე ეს ბრძანება, სამიოდე დღის შემდეგ, რასაკ-ვირველია, გაუუქმებია ასევე სხვათა თანდასწრებით ან მთავარ ბუღალტერ-თან პირისპირ საუბრისას და მეც ისევ ადრინდელი ხელფასი მიმიღია. რა თქმა უნდა, აზრადაც არ მომსვლია, წავსულიყავი ბუღალტერიაში და ბრძანე-ბის ჩემი ასლი წარმედგინა; ამას ის მოჰყვებოდა, რომ დოქტორი მაქსი გან-რისხდებოდა და თავის საყვარელ სასჯელს დამატებდა თავზე ანუ ხელფასს დამაკლებდა, ეს კი, მაღლობა ღმერთს, აქამდე არ მომხდარა. ნემსების ამბა-ვიც სწორედ ერთ-ერთი ასეთი განწყობილების შედეგად მივიჩნიე, დარწმუნე-ბული ვიყავი, რომ მალე თვითონვე მობეზრდებოდა ჩხვლეტა და თუ მეც სულ უარზე ვიდგებოდი (სინამდვილეში ასეც ვიქცეოდი), იგი საბოლოოდ შემომწყრებოდა და ნემსებსაც ხელფასის მომატების ბრძანების მსგავსად გააუქმებდა.

ჩემი ვარაუდი არ გამართლდა. უარი არ გამივიდა, იგი ჯიქურ იდგა თა-ვის სიტყვაზე და იქამდე მივიდა, ისეთი უნდობლობა და გაუგონარი ეჭვი-ანობა დამწამა, სულაც რომ არ მიხვევია. მოკლედ, ლამის გიჟად გამომაცხადა. რაკი სიგიჟე ჩემგან ძალიან შორს არის და არც ეჭვიანობისკენ მაქვს მიდრე-კილება, ბოლოს და ბოლოს ხვედრს დავმორჩილდი. ეს ამბავი მხოლოდ დოქ-ტორი მაქსის მიზეზით გაჭიანურდა, თორემ მე მეტი რა გზა მქონდა, კბილი კბილს უნდა დამეჭირა და მეთმინა. ვიტამინის ნემსი მართლა რას მავნებდა, ეგ არის ჩხვლეტა დიდ ფიზიკურ ტკივილს მაყენებდა და უფრო მეტად კი სულიერს. ჩემი უსასრულო ტანჯვა დილის ათის ნახევრიდან იწყება (როცა კარზე კაკუნი გაისმის და ოთახში ლოტარი შემოდის), და არც დღე, არც ღამე ერთი წამითაც არ მტოვებს.

ლოტარი უკვე დასაწყისშივე დავახასიათე და დაწვრილებით აღარ შევ-ჩერდები მის პიროვნებაზე, რადგან მასზე ფიქრიც კი ზიზღსა მგვრის. ამ კაცს ყველაფერი გამოუდის ხელიდან: იგი მეკარეა, ჩუმ-ჩუმად უსმენს ტელეფო-ნით საუბრებს, თვალყურს ადევნებს ფოსტას (სულ პატარა ეჭვისთანავე აკა-ვებს თანამშრომელთა პირად წერილებს და დოქტორ მაქსთან მიარბენინებს), იგია აგრეთვე მედმუშაკიც, მებაღეც, მძღოლიც და, თუ საჭიროა, პატრონებს სუფრაზეც ემსახურება. მაგრამ სინამდვილეში ლოტარი რაღაც კიდევ უფრო

მეტია. იგი ბრმა და ჩლუნგი ძალაა; ბრძანებას, თუ საით მიმართოს ეს ძალა, გარედან ანუ დოქტორ მაქსისგან იღებს, მაგრამ რა ხერხით მიაღწიოს მიზანს, თავად წყვეტს. რაც კი რამ თავისი საკუთარი და დამოუკიდებელი გააჩნია, ყველაფერს გაბოროტებული ეროტიკის კვალი ატყვია და ყოველთვის ერთი გარკვეული მიზნისკენ არის მიმართული. რასაც არ უნდა აკეთებდეს და რა დავალებასაც არ ასრულებდეს, მთელი მისი არსება რაღაც ბოროტი, უტყვო, ლამის გაყინული მიზნითაა გამსჭვალული. მაშინაც კი, როცა უბრალოდ დგას ან ზის, ამ კაცში მაინც რაღაც იძვრის და რაღაც მიზნისკენ ისწრაფვის. ხოლო თუ მოძრაობს, მაშინ ხომ განსაკუთრებით ჩანს ეს მისი მიზანსწრაფვა. ამ დროს მისი სხეულის ყოველ ნაკვთს უკიდურესი, ლამის კოსმოსური სისწრაფე ეუფლება; ერთი სიტყვით, ლოტარი გახლავთ სამართავი ხელსაწყო, მაგრამ ბუნების მოვლენებისგან — ელვის, წვიმის, მიწისძვრის, ვულკანის ამოფრქვევისგან განსხვავებით, რასაც ასე წააგავს თავისი ბრმა სიშმაგით, იგი ეკუთვნის და ემორჩილება დოქტორ მაქსს.

როცა იგი შემოდის ჩემს კაბინეტში, ნემსი რომ გამიკეთოს, ჩემთვის უკვე აღარაფერი არსებობს, აღარაფერი მახსოვს, აღარც ჩხვლეტა, აღარც ვიტამინი, ეთერი, ბამბა, დოქტორი მაქსის ბრძანებები, მისი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები, არსებობს მხოლოდ ერთი ლოტარი. აი, იგი მიახლოვდება, აი, მის ცხელ სუნთქვას უკვე ზურგზე ვგრძნობ. კაცმა რომ თქვას, ისეთს რას აკეთებს — ნემსი რა ბედენაა! მაგრამ ის შინაგანი მხეცური ჟინი, ნემსს რომ ჩამასობს ხოლმე თეძოში (მართალი რომ ითქვას, ისე მსუბუქად ირჭება, მისი ხელებისა და თითების პატრონისაგან გასაკვირიც კია) და მწვავე ტკივილი, ერთბაშად რომ დამივლის მთელ ფეხში, მარტო წამლის შეშხაპუნება როდია. როცა ჩემს სხეულში ნემსით იჭრება, ასე მგონია, ბლაგვი დანით ნაკუწ-ნაკუწ მიჩხავს და დოქტორი მაქსის ბრძანებით ჩემზე ძალადობას ახდენს. მერე რობოტიკით ზუსტი ლოტარი ყველაფერს ისევ ყუთში ათავსებს, ცარიელ ამბულებს კალათაში ყრის, ალებს ფანჯარას, დამშვიდობებისას ოდნავ დამიკრავს თავს და გადის. მერე მესმის, როგორ აკაკუნებს დოქტორი მაქსის კარზე, მესმის მისი ხმაც: „შემოდით“, ამის შემდეგ სიჩუმე დგება. რამდენიმე წუთის შემდეგ ლოტარი გამოდის დოქტორი მაქსის კაბინეტიდანაც, მისი ლანდი გაიელვებს ჩემი კარის მინაში და ბოლოს ქრება. სინამდვილეში იგი სულაც არ გამქრალა, იგი ჩემთან რჩება, ყოველგან თან დამყვება, მტკივანი ფეხი ყოველ წუთს მახსენებს მის თავს.

დამდამობით, სიზმარში კვლავ მეცხადება ლოტარი; ეს სიზმარი სულ სხვადასხვა და ამავე დროს ერთი და იგივეა. ვხედავ, თითქოს ლოტარი ჩემს საცოლე მარიას აუბატიურებს; მარიას საქორწილო თეთრი კაბა აცვია, მორჩილია, დამყოლი; ლოტარი ტანსაცმელს ხდის და მზით შერუჯულ უმანკო სხეულს ეალერსება; მერე მეჩვენება, რომ მარია ათი-თორმეტი წლის ბავშვია, მოკლე თეთრი კაბა და ტენისის ფეხსაცმელი აცვია, პირისახე შეღებილი აქვს, ქუთუთოები მიღულული, სუსტად შეჰკივლებს და ვითომ აღშფოთდება; მერე უკვე ლოტარის ცოლია თუ საყვარელი, ზის მის პატარა გომურში, ტელევიზორს უყურებს და თან ლოტარს ჰკოცნის; ხან მდებლობა გაშხლართული, ირგვლივ პეპლები და ჭრიჭინები ირევიან, მსუბუქი, ყვითელი კაბა აცვია, თმა ჩამოშლია, ბავშვური, ნუშისებური თვალები მიბნედია, აღტაცებულია, იცინის.

იმ სიზმრებს დილით ვიგონებ; გზად ყველა წვრილმანს აღვიდგენ ხოლმე გონებაში, ტროლეიბუსში, ბარში, კაბინეტში სულ თვალწინ მიდგას ნანახი. მეკარის გომურს რომ ჩავუვლი, გავხედავ, ლოტარი თუ მოვიდა-მეთქი; ავღივარ კიბეზე, შევალ ჩემს ოთახში, მივუჯდები მაგიდას და წინ საათს დავიდებ. ზუსტად ათის ნახევარზე გაისმის კაკუნი, ლოტარი არ აყოვნებს, გამომეცხადება და მცირე შემზადების შემდეგ ისევ ის მწარე ტკივილი, ისევ სასოწარკვეთილება და უსასრულო წამება მეუფლება. როგორ დავალწიო თავი ამას! რა აზრები არ მომდის თავში, ჭკვიანური თუ უჭკუო, ხეირიანი კი ვერაფერი მომიფიქრებია. მაგალითად, ერთ მშვენიერ დღეს ვაპირებდი, როგორც კი შემოვა, ვეტყვი-მეთქი: „მომისმინე, ლოტარ, დღეს მე ნემსს არ გავიკეთებ!“ მართლაც ამას ვეტყვი და მორჩა; მაგრამ დავუშვათ, რომ ვუთხარი. ლოტარი ჩემს ნათქვამს ერთი ყურიდან მეორეში გაუშვებს, ჩვეულებრივად დადგამს მაგიდაზე რკინის ყუთს და თავის საქმეს შეუდგება. „გაიგეთ? დღეს არ გაჩხვლექინებთ!“ — ვეუბნები და თან ადგილიდან ფეხს არ ვიცვლი, ვითომდა სამუშაო თავს მაყრია. გაგიგონია? ლოტარი უსიტყვოდ ხსნის ყუთს. მე მაგიდას ჩავჩერებივარ და ვიცდი. აი, მოარგო ნემსი შპრიცს, აი, გატეხა ამბულა, მოგლიჯა ბამბის ფთილა, ეთერში დაასველა. მერე მომზადებული შპრიცი მალლა შემართა. მე კი არ ვინძრევი, ვითომ ლოტარი არც არსებობს. ის ცოტას იცდის და მეუბნება: „აბა, მოდით, რა ბავშვობაა, სულ ერთია, მაინც არ აგცდებათ“.

მაშინ კი უეცრად შევიგრძნობ ჩემს სრულ უმწეობას და ავტირდები ხოლმე. ვტირი ჩუმად, მაგიდაზე დამხობილი, ცრემლები ეღვენთება ჩემ წინ გაშლილ სავაჭრო პროექტს. მეჩვენება, როგორ მამშვიდებენ ერთხმად დედა, მამა, მარია:

„გაგონილა, ამ პატარა ჩხვლექამ ასე წაგახდინოს! ეს ხომ სულ უბრალო რამაა. აბა წარმოიდგინე, სხვები რას უძლებენ, მაგალითად, ავადმყოფები, მეშახტეები, დღენიადავ ქვესკნელში რომ მუშაობენ, მენაგვეები, ნაყარნუყარსა და სიბინძურეში რომ იქექებიან და მაინც ყველაფერს ითმენენ. შენ როგორ ვერ უნდა მოითმინო! მით უმეტეს, რომ ეს ნემსები მარგებელია. აბა, დამშვიდდი, გამაგრდი!...“ მაგრამ ამავე დროს სხვა ხმებიც მესმის, თითქოს სახელგანთქმული ადამიანები — ფრენკ სინატრა, ალ კაპონე, იულიუს კეისარი, ჩეზარე ბორჯია, მარცელიუს კასიუს კლეი და აინშტაინი ერთხმად ჩამაგონებენ: „რას აყოვნებ, როგორ იქცევი, იმოქმედე, რას ჭოჭმანობ, აგერ მაგიდაზე ქაღალდის საჭრელი დანა დევს, გაუყარე მუცელში და მორჩა!“ მერე ხმები წყდება, მე კი მაგიდაზე დაყრდნობილი ვდგავარ და ლოტარი თეძოს მიზელს.

უაზროდ, ბავშვურად, ვფიქრობ, როგორ ვიძიო ამ კაცზე შური, ათასი ფიქრი მომდის თავში. ერთხელ ვიფიქრე, იქნება დოქტორი მაქსი როგორმე დავიყოლიო და ლოტარი გავაგდებინო-მეთქი; ვიცი, ამას კარგა დიდი დრო დასჭირდება, თან არც იმედი მაქვს, რომ მართლა გააგდებს. ლოტარი ხომ მისი ოჯახისათვის უსულო საგანიც არის და სულიერიც, მასავით მთლიანად და განუყოფლად მთელ ფირმაში არავინ ეკუთვნით და არც არავიზე აქვთ ასეთი ყოვლისმომცველი ძალა. ერთი პირობა ისიც კი გადავწყვიტე, მოვისყიდი, ფულს მივცემ და ნემსებზე ხელს ავაღებინებ-მეთქი, მაშინ იგი ჩემი საკუთრებაც გახდება და ჩემზე უფლება წაერთმევა; მაგრამ აქაც ვერაფერს გავხდები,

რადგან იგი ერთხელ და სამუდამოდ უკვე მოსყიდული ჰყავს დოქტორ მაქსს, ან შე იმდენს რას მივცემ, რასაც ის უხდის! მაშასადამე, ერთი გზაა დამრჩენია, ლოტარი უნდა ჩავთვალო მხოლოდ და მხოლოდ მედიცინის მუშაკად და თავი გავანებო ასეთ სისულელეებზე ფიქრს, საბოლოოდ შევურიგდე სინამდვილეს, აღვიკვეცო ყოველგვარი ფიქრი და ოცნება. სინამდვილე კი ასეთი გახლავთ: ყოველ დილას მოდის ჩემთან კაცი და მიკეთებს ნემსს. ეს არის და ეს. მაგრამ ამას გარდა დილის ათის ნახევრიდან იწყება კიდევ რაღაც სხვა, ასევე მტანჯველი და ასევე სავსებით ცხადი და მწარე.

იმდენს ვფიქრობ ლოტარზე, რომ დოქტორი მაქსი სულ გადამავიწყდა. ლოტარი ხომ დოქტორ მაქსის ბრმა იარაღია და მეტი არაფერი. ნეტავი რაში დასჭირდა დოქტორ მაქსს ჩემი წამება? რად დამინიშნა ეს საბუდისწერო ნემსები, თუ ჩემი წამება არ უნდოდა? სულ თავგზა დამებნა; ნეტავი რა მოსაზრება ამოძრავებს? თავად კარგად იცის, რა მტკივნეულია ეს ნემსები, მაგრამ მაინც მაიძულებს გავიკეთო და თანაც მის ხარჯზე. მაშასადამე, მარტო სიკეთის სურვილი ამოქმედებს. თუმცა კი თავადვე ექიმის უკითხავად გადაწყვიტა, რაკი იცის, რომ არ არსებობს ადამიანი, ვიტამინი არ უხდებოდეს. არ მერჩივნა, სულ არ მოვსულიყავი ამ ფირმაში და თანაც ამ განყოფილებაში? ეს დიანბეტე საიდანღა გამოჩნდა! ანდა რა იქნებოდა, სულაც არ გამეცნო დოქტორი მაქსი. ყველას ის სჯობდა შეუმჩნეველად მოვწყობილიყავი ფირმაში, გავმხდარიყავი რიგითი მუშაკი და დოქტორი მაქსიც წელიწადში ორჯერ ძლივს მენახა, სადმე დერეფანში შემთხვევით შევჩეხებოდე, მასთან არავითარი საქმე არა მქონოდა და მარტო ახალი შენობის ხელმძღვანელებს დავმორჩილებოდე. იმ შენობაში ყველაფერი მექანიზებულია; ადამიანებიც ავტომატური სიზუსტით მუშაობენ, ნელ-ნელა ერწყმიან ნივთებს და იმდენად განუყოფელი ხდებიან მათგან, რომ დოქტორი მაქსიც კი ძლივს არჩევს მათ. სწორედ ამიტომ ლანძღავს ახალ შენობას უზნეობისთვის, რომ იქ ამდენი ხალხია, ასეთი უსახო და უსახელო მასა და მათ ცალ-ცალკე კი არ სჭირდებათ თვალყურის დევნება, არამედ ერთად ანდა ჯგუფურად. მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, არც ეს არის გამოსავალი. ახალ შენობაში სხვა ხელმძღვანელები, სექციებისა და განყოფილების გამგეები არიან და თვითელი მათგანი სათავეში უდგას ადამიანთა განსაზღვრულ წრეს. სხვა სიტყვებით, იქაც არიან დიდი და პატარა „დოქტორი მაქსები“. შეიძლება ისინი არ აიძულებენ სხვებს ნემსები გაიკეთონ, მაგრამ ეჭვგარეშეა, სხვა რამეს აძალებენ. მაშასადამე, თავი უნდა დავანებო ყოველგვარ ვარაუდს, მიწაზე დავეშვა და ფხიზლად შევხედო სინამდვილეს; მე აქ, ამ კაბინეტში, მეორე სართულზე ვმუშაობ, პირადად დოქტორ მაქსთან, სამი მეტრის მოშორებით, და არა სხვაგან. რაკი ასე მოეწყო ჩემი საქმე, ნემსები ნემსებად უნდა აღვიქვა და სატანჯველად არ წარმოვიდგინო. მეც შევეცადე ლოტარი იმ კაცად ჩამეთვალა, ვინც იცის თავისი საქმე და არცთუ ურიგო კაცია. ძალიან მკაცრად მიჭირავს ხოლმე თავი მასთან. ზოგჯერ ვეუბნები კიდევ, არა მცალია და გვიან მოდი-მეთქი; ასეთ ხრიკებს ხანდახან კი მივმართავ, მაგრამ ნემსები სულ მთლიანად მაინც ვერ ავიცდინე დოქტორი მაქსის ბრძანებას ლოტარი რომ არაფრის გულისთვის არ დაარღვევს, ეს მეც კარგად გავიგე. ერთხელ გადავწყვიტე საუბარი გამემა მასთან. ვიფიქრე, ახლოს რომ გავიცნო, იქნებ ისე მწვავედ აღარ განვიცადო ეს ნემსები და აღარც სიზმარში მომელანდოს-მეთქი; იქნება სულაც არ არის ისეთი,

როგორც მეჩვენება, შესაძლოა სამაგალითო მამაც კია, ცხოვრებამ აიძულა მეკარედ დამდგარიყო და პატრონების ჭკუაზე ერბინა-მეთქი. მართლაც ერთ დილას ნამდვილი დაკითხვა მოვუწყვე. ისიც მპასუხობდა, უკმაყოფილებავერ შევამჩნიე, მაგრამ ისე ეჭირა თავი, გეგონებათ, ახლაც სხვების ბრძანებას ემორჩილებათ.

- ლოტარ, აქ მოსვლამდე რას აკეთებდით?
- არაფერს, ომში ვიყავი.
- იქ რას აკეთებდით?
- რა კითხვაა! ვიბრძოდი.
- ჩინი გქონდათ?
- რიგითი ჯარისკაცი ვიყავი.
- ბრძოლებშიც მონაწილეობდით?
- ხანდახან. ჯერ შიკრიკი ვიყავი, მერე პოლონეთში გამგზავნეს.
- პოლონეთში რაღას აკეთებდით?
- ტყვეთა ბანაკში ვიყავი.
- იქ რაღას აკეთებდით?
- იქაც შიკრიკი ვიყავი.
- ვისი?
- ერთი გერმანელი ოფიცრისა.
- მაშ გერმანული გეცოდინებათ.
- თავიდანვე ვიცოდი, დედა გერმანელი მყავს.
- ცოლიანი ხართ?
- დიახ.
- შვილები გყავთ?
- ორი, ქალ-ვაჟი.
- მე კი უცოლო მეგონეთ.
- ცოლიანი ვარ, მაშ, — გაიღიმა მან.
- რამდენი წლისა ხართ, ლოტარ?
- ორმოცდახუთის.
- მაშასადამე, ოცი წელიწადია აქ მუშაობთ.
- თითქმის.
- აქ როგორ მოეწყვეთ?
- დოქტორი სატურნო ბავშვობიდანვე მიცნობდა. ჩემი მშობლებიც ამ ფირმაში მუშაობდნენ.
- მოგწონთ აქაურობა?
- ძალიან.
- რატომ?
- როგორ თუ რატომ? ვმუშაობ, ხელფასს ვიღებ და გცხოვრობ ასე. რა საკითხავია!
- ჰო, მაგრამ ბევრი რამ გაკისრიათ.
- ყველაფერი გამომდის ხელიდან, შრომას კი ბავშვობიდან მივეჩვიე, შიკრიკად მოწყობასაც ყოველთვის ვახერხებდი. წესრიგი მიყვარს, ბრძანების შესრულება არ მეზარება, თანაც ზოგიერთივით შფოთისთავი არა ვარ.
- შფოთისთავი ვილაა?
- ეეჰ, ბევრია, ბევრი, ჩვენ ასეთებიც ბლომად გვყავს აქა.

— ბრძანების შესრულება არ შეუძლებელია, რომ თქვით, მაინც რას გულისხმობთ, როგორ გესმით ეს სიტყვები? დოქტორმა მაქსმა ან დოქტორმა სატურნომ რაიმე სისულელე რომ დაგავალოს, დაემორჩილებით?

— ჯერ ერთი, ისინი სისულელეს არასდროს დამავალებენ, კიდევ რომ დამავალონ, მაშასადამე, რაღაც მოსაზრებები ექნებათ, მე კი მათი განსჯა არ მეკითხება. ხელფასს მორჩილებაში მაძლევენ, ეგაა ჩემი ხელობა, სხვა რა მომეთხოვება.

— გამოდის, რომ არასდროს გიკითხავთ თქვენი თავისთვის, რატომ შეკეთებინებენო ამ საქმეს, და არც ის გენადვლებათ, მოსაწონია თუ არა ეს საქმე?

— ჩემს თავს მე არაფერს ვეკითხები. გინდა თუ არ გინდა, მაინც უნდა დაემორჩილო. ტყუილად კი არ არის ნათქვამი: „როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო“.

— ოჰო, მაშასადამე, იმიტომ ემორჩილებით, რომ ადგილის დაკარგვისა გეშინიათ?!

— არა, მორჩილება უბრალოდ ძვალ-რბილში მაქვს გამჯდარი, განსაკუთრებით კი დოქტორი მაქსისა და დოქტორი სატურნოსი.

— რატომ სწორედ მათი და არა სხვა ვინმესი?

— ჯერ ერთი იმიტომ, რომ ისინი ყოველთვის კარგად მეპყრობოდნენ, მეორეც იმიტომ, რომ ერთგული კაცი ვარ; რაკი მათი სამსახური ვიკისრე, მთელი ცხოვრება უნდა ვემსახურო.

— რომ დაგიტხოვონ?

— ვინც ჩემს ადგილს დაიჭერს, ან შემომაკვდება, ან შევაკვდება.

— მაშ, შეაკვდებით?! განა სულ ერთი არ არის, სად იმუშავებთ?

— სულ ერთია, მაგრამ როცა მთელი სულით და გულით ვინმეზე ხარ მინდობილი, მაშინ სხვაა. მე კი დოქტორ სატურნოსა და დოქტორ მაქსს სულითა და გულით მივენდე და ამიტომაც ვემსახურები. ესეც იგულისხმეთ!

უკანასკნელი სიტყვები მუქარით წარმოთქვა. ამიტომ მაშინვე შევცვალე საუბრის თემა.

— მომისმინეთ, ლოტარ, გულახდილად მითხარით, ქალები გიყვართ?

— ვის არ უყვარს! — გაიღრიჭა იგი.

— თქვენ მაინც განსაკუთრებით, არა?

— აბა რა ვიცი.

— აქ ბევრი საყვარელი გყავდათ?

— სურვილი რომ მქონოდა, რამდენიც მინდოდა, იმდენი მეყოლებოდა.

— ისინიც დაგთანხმდებოდნენ?

— რატომაც არა, — მომიგო ლოტარმა.

მის ხმაში ტრაზახის ნატამალი არ იგრძნობოდა. ეტყობა, მართალს ამბობდა.

— გეტყობათ, ცოლის დიდი ერთგული ხართ.

— დიახ. აკი გითხარით, ბუნებით ერთგული კაცი ვარ-მეთქი.

— ნუთუ სურვილი არ გქონიათ, რომელიმე აქაურ ქალთან რომანი გაგებათ?

— იქნება კი მქონია, მაგრამ არ შეიძლებოდა.

— რატომ?



- იმიტომ, რომ არ შეიძლებოდა.
- კიდევ ერთი შეკითხვა, ლოტარ. თქვენ ცოლთან ხშირად...?!
- არა, ჩვეულებრივად.
- რას ნიშნავს ჩვეულებრივად?
- ერთხელ დილას, ერთხელ საღამოს.
- ყოველ დღე?
- ყოველ დღე.
- გმადლობთ, ლოტარ.
- არაფერს, — მიბასუხა მან, თავის რკინის ყუთს ხელი წამოავლო და

გავიდა.

ამ საუბარმა კიდევ უფრო გამიბტკიცა ლოტარზე ადრევე შექმნილი შეხედულება. იგი დაზადებით მონაა, იმდენად მიჩვეული მორჩილებას, რომ მეც კი არ გამიჯიუტდა, დამემორჩილა. მართლაც ისე აქვს გამჭდარი ძვალ-რბილში ეს მორჩილება, საკმარისია კითხვა მისცე, რომ პასუხს მყის მოგაგებს. მაშასადამე, მართალი ვყოფილვარ, როცა იგი სამართავი და თვითმმართვეი ჯურის ადამიანებს მივაკუთვნე. გარედან მართვა ეფუძნება მის მორჩილებას, ხოლო თვითმართვა — მის რწმენას თავისი საქმიანობის აუცილებლობაზე. არ შევმცდარვარ მაშინაც, როცა ჩემი სიზმრების საფუძველზე იგი საოცარ ეროტომანად მივჩინე; ისიც ინიშნეთ, რომ თავს სრულიად ჩვეულებრივ ადამიანად თვლის და ჰგონია, უნარი შესწევს გამოიცნოს, ვინ არის „შფოთისთავი“; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ლოტარი არის იმ მაღალი ზნეობის მქონე ადამიანის ნიმუში, ვისაც ალტაცებაში მოჰყავს დოქტორი მაქსი და დოქტორი ურადა. მათი აზრით, სწორედ ასეთი უნდა იყოს იდეალური, სანიმუშო ხელქვეითი. ამ ფიქრებმა ისე შემაშფოთა, რომ გადავწყვიტე გამომერკვია, რას ფიქრობდა ამ საკითხებზე თავად დოქტორი მაქსი.

ერთ დღეს ავდექი და მასაც იგივე გამოვკითხე, რაც ლოტარს. დოქტორი მაქსი, ეტყობა, კარგ გუნებაზე გახლდათ, რადგან იმ დღეებში დიდი ტაციობა იყო ხმაგაუმტარ მასალაზე, ჩრდილოეთიდან რომ მიიღეს.

პარკში შევედი. დოქტორმა მაქსმა თავისთვის ჯოხზე წამოცმული ესკი-მო „ლოკე-ლოკე“ იყიდა. ვიფიქრე, ამაზე ხელსაყრელი დრო არ მექნება, რადგან ახლა ჩაფიქრებისა და ტვინის ჭყლეტის საშუალება არა აქვს-მეთქი, ჩვეულებრივ რომ განაცალკევებს ხოლმე გარე სამყაროსგან. მეც ვითომ სხვათა შორის სიტყვა ლოტარზე ჩამოვუგდე.

— ლოტარი ჩინებული ადამიანია, ზნეობრივად ხომ უნაკლოა (ისევ ზნეობაზე გააბა! თუმცა მომეჩვენა, რომ ამჯერად უფრო გაფიცხდა)! ჯერ ის რად ღირს, რომ თითქმის ოცი წელიწადია ჩვენთან მსახურობს.

— დიახ, მითხრა.

— თქვენ გელაპარაკათ? უცნაურია, ლოტარი არავის არ ელაპარაკება ხოლმე. წარმოგიდგენიათ, ამ გოლიათს ბავშვის გული აქვს. ძალზე მორიდებულია, ჩემთან ლაპარაკსაც კი ვერ ბედავს. მიკვირს, თქვენ რომ გაგესაუბრათ.

— მართალი რომ ვთქვა, საუბარი მე წამოვუწყე, ვეკითხებოდი და პასუხი ხომ უნდა გაეცა.

— მაინც რა გითხრათ?

— ისეთი არაფერი. ვკითხე, ცოლიანი ხარ თუ არა, ადრე, აქ მოსვლამდე რას აკეთებდი-მეთქი.

— ლოტარი მტკიცე ნების კაცია, თავისი პრინციპები აქვს და ანხორციელებს კიდევ. ნეტავი კი ბლომად მოგვცა ასეთი ადამიანები!

— თქვენი დიდი ერთგულია.

— ვიცი, ჩემი გულისთვის ცეცხლში ჩადგება!

— ერთი სიტყვით, ხელქვეითის იდეალური ნიმუშია, არა?

— ერთი მხრივ კი, მაგრამ ცოტა გონებაზეზღუდულია, კულტურის ნატამალი არ გააჩნია. ამიტომაც ხელქვეითის პირობაზე მართლაც უნაკლოა. ნეტავი მაგისტანები ბლომად გვყავდეს. ფირმის მუშაკთა უმრავლესობისაგან განსხვავებით, ლოტარი თავის საქმეს ერთგულად და თან სიყვარულით აკეთებს, ამას ვერ დავუკარგავთ. მისთვის ფირმა ეკლესიაც არის და ერთადერთი რელიგიაც. მისი რელიგია ხომ მორჩილებაა. ყველა რომ მას ჰგავდეს, რაღა მიჭირს.

— ასეთი ყაიდის ხალხს, საუბედუროდ, არ გააჩნიათ საკუთარი ინიციატივა.

— დიახ, მართალს ბრძანებთ, მასაც სწორედ ეს აკლია, აი, ესეც რომ ჰქონდეს, რაღაში შევედგებოდით. ისეთები რომ მყვანდნენ ჩემს ფირმაში, თაოსნობის უნარიც ჰქონდეთ და დიდი გულიც...

— ეს რაღას ნიშნავს?

— იმას, რომ ადამიანს უნდა გააჩნდეს არა მარტო ინიციატივა, ცოცხალი ანალიზური გონება და განსაკუთრებით კი სელექციური აზროვნებისკენ მიდრეკილება, არამედ გრძნობებიც. საუბედუროდ, ჩვენს დროში გრძნობები...

— ვერ გავიგე, დოქტორ მაქს, ეგებ უფრო დაგეზუსტებინათ თქვენი აზრი.

— რა არის აქ გაუგებარი? არსებობს ისეთი გრძნობა თუ ვნება, გულიდან რომ მოდის და მთელ ქვეყანაზე ყველაზე მეტად ფირმას შეგაყვარებს. მაგრამ ვაი, რომ ახლანდელ ადამიანებს მარტო ფული უყვართ!

— ფირმაზე რომ ლაპარაკობთ, მარტო სამუშაოს გულისხმობთ თუ საკუთარ თავსაც?

— განა ეს ერთი და იგივე, არ არის? მე და ფირმა, შეიძლება ითქვას, ერთმანეთისაგან განუყოფელი ვართ. ხელქვეითთა თვალში მე წარმოვადგენ ფირმას, ერთი სიტყვით, განვასახიერებ მას.

— განა ფირმის სხვა მუშაკები არ წარმოადგენენ და არ განასახიერებენ ფირმას?

— აბა, საიდან! განა ვერ ხედავთ, რომ მე და ფირმა ერთ მთლიანს შევადგენთ? მე ხომ მისი პატრონი გახლავართ. ფირმა და ფირმის პატრონი კი ერთი და იგივეა. ისინი კი მხოლოდ ხელქვეითები არიან და არც ფირმასთან აქვთ ხელი. განა ამის ერთმანეთში არევა შეიძლება? ვერ ატყობთ, რომ დღეს რაღაც დაგზნელებიან გონება?

— ისეთი შთაბეჭდილება შემეჭმნა, თითქოს იმას ჩივით, ჩემს ხელქვეითებს საკმარისად არ ვუყვარვარო.

— არა, სცდებით, მე ეგ არ მითქვამს; რატომაც არ ვუყვარვარ, ვუყვარვარ და ეს მეც კარგად ვიცი. მართალია, აქ ისეთებიც მყვანან, ვისაც არ ვუყვარვარ, მაგრამ ნელ-ნელა, უნდათ თუ არ უნდათ, ისინიც შემიყვარებენ, ამას ვერსად წაუვლენ. ესაა ჩემი უახლოესი წლების გეგმაც. სიყვარულით კი ვუყვარვარ, მაგრამ ისეთი თავდავიწყებით მაინც არა, როგორც ლოტარს.

— ახლა თავად არ ბრძანეთ, ლოტარს გული აქვს, სხვა არაფერიო?

— მართალია, ამიტომ ისეთი შემსრულებელი და ხელმძღვანელი ხალხი უნდა შეირჩეს, რომ ეს ორივე თვისება ჰქონდეთ: უსაზღვრო ერთგულება და თან საკუთარი ინიციატივა. მაშინ კი შევძლებდი სადმე ხოფლად წასვლას და მეცნიერებასაც მოვკიდებდი ხელს.

— არსად წამსვლელი არა ხართ, ტყუილად იმუქრებით, ეგ ლიტონი სიტყვებია, მაგის ჩამდენი თქვენ არ ბრძანდებით.

— რას ამბობთ, ისე რომ აეწყობოდეს საქმე, როგორც გამბობ, მეორე დღეს აქ ჩემს ფეხს ვერ ნახავდით. ვილასთვის უნდა მედევნებინა თვალყური? აი, ლოტარს, მაგალითად, სულაც არ სჭირდება თვალყურის დევნება, მანქანასავით შეუსვენებლად მუშაობს და გულითა და სულით ერთგულიც არის. მეტი რა მინდა?

— იცით, ამას წინათ რა მითხრა მამათქვენმა?—შევაწყვეტინე სიტყვა,— ფული არაფერს ნიშნავსო.

— შერე, რა მოხდა, ერთი მხრივ ასეც არის, მაგრამ მხოლოდ მისი ხნის ხალხისთვის. ჩემს ასაკში კი ფული ბევრს ნიშნავს, მეტსაც გეტყვით, ფული ყველაფერია. აბა ფირმა სხვა რა არის, თუ არა ფული? ფულს კი პატრონი ჰყავს, ჩემო კარგო, და იცით, ვინ არის მისი პატრონი?

— არა.

— გული!

— როგორ თუ გული?

დოქტორმა მაქსმა გაიცინა და თქვა:

— მასწავლებელი უნდა გამოვსულიყავი და არა საქმოსანი! გულს რომ გამბობ, გრძნობას ვგულისხმობ. გრძნობის ანუ სიკეთის სურვილის გარეშე ფული ყოველგვარ აზრს კარგავს, ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის. რასაკვირველია, ამით არ მინდა საეჭვო გავხადო ფულის მნიშვნელობა; მაგალითად, მამაჩემს არაფრად უღირს, უფრო სწორად, არ უღირდა (ახლა საამისოდ საკმაოდ მოხუცია), კაზინოში 150000 ლირა წაეგო. გრძნობებში კი ვგულისხმობ ზნეობრივ საწყისს, რაც მხოლოდ ფულის მეშვეობით შეიძლება გამოჰყდებოდეს.

— ვერ გამიგია, კარგად ამიხსენით.

— მაგალითს მოგიყვანთ. მე გარკვეული მოსაზრებები მაქვს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იყოს მოწყობილი ეს ქვეყანა, კაცობრიობა, საზოგადოება და საერთოდ ყველაფერი. ჩემი მოსაზრება გახლავთ ის, რომ ზნეობას, თუ შეიძლება ითქვას, წარმოშობს კაცთმოყვარეობის გრძნობა. რაც მეტი ფული მაქვს, მაშასადამე, რაც მეტი მატერიალური უფლება გამაჩნია, მით უფრო ვუახლოვდები ჩემი აზრის განხორციელებას. ახლა გასაგებია?

— მაინც რა აზრი გაქვთ ასეთი?

— რა აზრი?

— დიახ!

— ჩემი აზრი მარტო ფირმას ეხება. სამწუხაროდ, იმდენი ფული არ მაქვს, რომ მთელ ქვეყანას გავწვდე.

— მაინც რაა ასეთი?

— მე მინდა ჩემი ფირმა ერთგვარ რელიგიურ თემს წარმოადგენდეს, სადაც სამუშაო რელიგიური წესმსახურებასავით წარიმართება, სხვა მრავალი

ფირმისა და პატრონისაგან განსხვავებით, ფულის კეთებაზე რომ ფიქრობენ და ადამიანებს არაფრად აგდებენ.

— ეს კარგი, მაგრამ ყოველ რელიგიურ თემს ხომ თავისი წესმსახურება აქვს და თავისი ღმერთი ჰყავს ანუ ღმერთის თავისი იდეა; ერთისთვის ღმერთი კეთილი და სამართლიანია, მეორისთვის, პირიქით, სასტიკი და უწყალო. თქვენი ღმერთი როგორიდაა?

დოქტორმა მაქსმა გაიღიმა.

— გამოიცანით!

— გამოვიცანი კიდეც!

— მაშ თქვით,—დოქტორი მაქსი გაფითრდა და დაჟინებით მომაშტერდა.

— ღმერთი თქვენვე ხართ!

დოქტორ მაქსი ახლა ხელოვნურ ტბაში მოჭყუმპალავე იხვებს მიაშტერდა, კარგა ხანს დუმდა... კენჭებს კრეფდა და სათითაოდ ისროდა წყალში, თან ყეყეჩ იხვებს დასცინოდა, კენჭების გულისთვის შლამში რომ ყვინთავდნენ.

— გგონიათ, თავს გაართმევთ? — ვკითხე მე.

— უნდა გავართვა. აბა რისთვის ვცხვოვრობ!

— მაინც რა საშუალებებით შეიძლება თქვენი იდეის განხორციელებას?

— უპირველეს ყოვლისა, წესრიგით, ეს არის ჩვეულებრივი იარაღი. ძალას აკი წესრიგი ქმნის. ძალა კი, როგორც მოგეხსენებათ, ყოველთვის იმარჯვებს.

მან ხელახლა დაიწყო კენჭების სროლა; ამისთანა მხიარული იგი არასდროს მინახავს.

— ახლა კი წავიდეთ, — თქვა მან ბოლოს, — ექვს საათზე, თათბირი მაქვს დანიშნული.

ამის თქმა და მისი ფიქრებში წასვლა ერთი იყო. უკან დაბრუნებისას ხმა აღარ გაგვიღია.

V

ახლა შინა ვარ, ჩემს ქალაქში. დოქტორ მაქსს რამდენიმე დღის შვებულება ვთხოვე და უსიტყვოდ მომცა. ეჭვიც არ აღძვრია, რომ ეს სულის მოთქმა იმისთვის დამჭირდა, რომ ჩავფიქრებოდი ჩემს ცხოვრებას, ასე განუყოფლად მასთან დაკავშირებულს. ამას რატომ ვამბობ? იმიტომ, რომ სინამდვილეში ჩემსა და მას შორის მხოლოდ საქმიან-ეკონომიური დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო. მაგრამ ერთია, როგორი უნდა ყოფილიყო, და მეორე — როგორია სინამდვილეში ჩემი შინაგანი მდგომარეობა, რომლის წყალობით სულითა და ხორციით ვარ მიჯაჭვული მასთან და მის ფირმასთან. ჩემდა სავალალოდ, იმავე დღეებში გავარკვიე ისიც, რომ უკვე აღარაფერი მაკავშირებს აღარც მამას, აღარც დედას, აღარც მშობლიურ ქალაქს. აღარაფერი შემომრჩენია, აღარც გრძნობები და აღარც მოგონებები. პირიქით, აქ ყველაფერი მაღიზიანებს, სევდას მგვრის, ყველაფერი უაზროდ და სულელურად მეჩვენება; ჩემს მშობლებსა და მარიას რომ ვესაუბრები, სულ იმაზე ვფიქრობ, ამ ხალხთან რა მინდა-მეთქი; დედაჩემი უბრალო, უფერულ ქალად მეჩვენება, მამაც ასევე უბრალო, უფერულ ნოხუცად, მარია კი... ნუთუ იგი

ოდესმე მიყვარდა? ჩვენი სახლი პირქუში და უხალისოა, ჩემი საწოლი მე-
უცხოვება, ქალაქი კი ყველა პროვინციულ ქალაქივით მოსაწყენი და ძილის-
მომგვრელია.

დედა და მამა შეცითხვებით თავს მახეზრებენ, წვრილად უნდათ იცოდ-
ნენ, როგორ ვცხოვრობ იქ, იმ დიდ ქალაქში. დროდადრო ერთმანეთს გადახე-
დავენ ხოლმე. გუშინ მამაჩემმა ვერ მოითმინა და მიიხრა:

— ვხვდები, რატომ არაფერს გვიყვები შენს ცხოვრებასა და მუშაობაზე.
გგონია, ბაქიოზაში ჩამოგართმევთ! არა, შენი წარმატებების ამბავი აქ უკვე
იციან, ასე რომ ტყუილად მორცხვობ, შენ ხომ შენი ჭკუისა და ნებისყოფის
წყალობით მიაღწიე ამას. ჩვენ მარტო სწავლაში შეგიწყვეთ ხელი, დანარ-
ჩენი შენზე იყო დამოკიდებული; ხომ შეიძლებოდა შუა გზაზე გაჩხერილი-
ყავი, სადმე სოფელში ჩარჩენილიყავი, მაშინ რაღას იზამდი. ასე რომ უკან
ნუღარ დაიხევ, რაც მთავარია, ნუ დაიმორცხვებ. შენ უკვე საკმაო წარმატე-
ბას მიაღწიე და აღარავის მოერიდო. შენ ხომ ლამის კბილებით დაითრიე შე-
ნი ადგილი ცხოვრებაში; კაცი უბრძოლველად თავს ვერ გაიტანს. აკი გაიმარჯვე
კიდევ. ნამდვილად ვამაყობ შენით!

მამაჩემს ხმამ უმტყუნა, თვალთაგან ორი მსხვილი კურცხალი გადმო-
უგორდა, მაგიდაზე გადმოიხარა და ჯერ ლოყაზე, მერე კი ხელზე მაკოცა. ეს
ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ხელის წართმევაც ვერ მოვასწარი.

— დიახ, შენით ვამაყობ, ვამაყობ, — განაგრძო მან, — შენთვის ხომ ასე-
თი სიტყვები აქამდე არ მითქვამს, გრძნობებს არასდროს ავყოლივარ, არასო-
დეს მოგფერებივარ, მაგრამ ხომ ხედავ, შენმა წარმატებებმა ისე დამახვია
თავბრუ, რომ შენ წინაშე ქედს ვიხრი! — ამ სიტყვებით ადგა, ცეკვა-ცეკვით და
თავის დაკვრით მაგიდას შემოუარა, დედაჩემს კისერზე ხელი შემოხვია, მერე
მე გადმომხედა და თქვა: — ერთი ჩვენს ბუთხუზა ბიჭს შეხედე!

ისინი დიდხანს შემომცქეროდნენ მღუშარედ.

ნაშუადღევს ჩვენი ნათესავების უბრალო, ღარიბული საფლავების სანა-
ხავად წავედით. მამაჩემმა ჩვენი საგვარეულო აკლდამა მაჩვენა, რისთვისაც
შავი დღისთვის შემონახული ფულიც არ დაეზოგა.

— მე და დედაშენი რომ დავიხოცებით, შენი წყალობით ღირსეულად
დაგვასაფლავებენ, ჩვენი ნათესავების მსგავსად მიწაში აღარ ჩავფლავენ. ეს
აკლდამა შენს სახელზეა დაწერილი, აქედან დაიწყება ჩვენი ოჯახის ახალი ხა-
ნაც და მომავალი თაობაც...

კიდევ დიდხანს ლაპარაკობდა ამაზე, დედაჩემი კი ამასობაში საფლავებ-
ზე თითბრის მოსართავეებს აპრიალებდა. აღარ მახსოვს, რას მეჩიჩინებოდა
მაშინ ბედნიერებითა და კმაყოფილებით სახეგასხივოსნებული მამაჩემი; მისი
ტუჩების მოძრაობას კი ვხედავდი, მაგრამ არაფერი შესმოდა, თითქოს მისი
ხმა ამ უზარმაზარ საგვარეულო აკლდამაში ინთქმებოდა; მისახელებდა ნაც-
ნობ გვარებს, მაგრამ ვერ ვიხსენებდი, მაჩვენებდა ბრინჯაოსა და თოვლივით
თეთრ მარმარილოს, მაგრამ ვერ ვხედავდი. მშობლები იმდენად მეუცხოვე-
ბოდნენ, რომ მიკვირდა, ამ ორ ბებერთან ამ სასაფლაოზე როგორ მოვხვდი-
მეთქი. მარტო მშობლები კი არ მეუცხოვებოდნენ, ვეღარც მარია და მშობ-
ლიური ქალაქი დავაკავშირე ჩემს ახლანდელ ცხოვრებას. ამიტომ გადავწყვი-
ტე მომენახულებინა მარიას მშობლები და ჩვენი ნიშნობა დამერღვია, თუმცა
ვიცოდი, რომ ეს ამბავი მისი ოჯახისა თუ ჩემიანებისთვის დიდი ელდა იქნე-

ბოდა. სრულიად ძალდაუტანებლად განვუცხადე მათ ჩემი გადაწყვეტილება. კრინტიც არავის დაუძრავს, ყველა ამოყმა ღუმელმა მოიცვა; მხოლოდ მამა-ჩემმა მკითხა:

— მაინც რა მოხდა?

— არ ვიცი.

ეტყობა, მაინც მოხდა, რაკი გული აღარც დედ-მამისკენ მიმიწევს, აღარც საცოლისაკენ და აღარც შშობლიური ქალაქისკენ! ნუთუ ამ მოკლე ხანში ისე წაიშალა მთელი წარსული, რომ კვალიც კი არ დამიტოვა არც სულში და არც მახსოვრობაში. ნუთუ დიდმა ქალაქმა, ფირმამ და, რაც მთავარია, დოქტორმა მაქსმა შესძლეს ასე უკვალოდ მოესპოთ ყველაფერი, რაც ჩემს ცხოვრებას ავსებდა?

დოქტორი მაქსი! მთელი ჩემი ფიქრები ახლაც კი, როცა სახლში ვარ, მაინც მის გარშემო ტრიალებს, მთელი ჩემი გრძნობები მისკენ ილტვის, გული აღარ მითმენს, მინდა ჩქარა წავიდე და იმასაც ვგრძნობ, რომ აქეთ პირს აღარასოდეს ვიბრუნებ.

VII

მოცალოების ჟამს თანამშრომლებთან დავიწყე სიარული, ხან ვახშმად, ხან ტელევიზორის საყურებლად. ვალში არც მე ვრჩები, ზოგჯერ რესტორანში ვეპატიჟები სადილად, ზოგჯერ — კინოში. ასე, დავუახლოვდი სავაჭრო აგენტების ხელმძღვანელს — პლუტოსა და რეკლამის განყოფილების ჯერჯერობით უშტატო თანამშრომელს — პიპოს. ორივე ცოლიანია, პლუტოს სამი შვილი ჰყავს, პიპოს — ერთი, გოგონა. მთელი ჩვენი საუბრები (მე ნაკლებად ვერვგი, უფრო მეტად ვისმენ) ძირითადად ორი საგნის გარშემო ტრიალებს: ერთია დოქტორი მაქსი ან ფირმა, მეორე — მათი სნეულებანი. ყველა რაღაცას უჩივის, — პლუტოს სამწვერა ნერვის ანთება აწუხებს, ამის გარდა კუჭის წყლულზეც ეჭვობენ, პიპოს გულის ფრიალი და ნეფრიტის ნიშნებიც აქვს. ჩვენი მასლაათის საგანი — ან სამუშაოა ან ავადმყოფობა. მაგრამ ორივე ისე იხლართება ერთმანეთში, თითქოს ერთსა და იმავე ამბავზე ვლაპარაკობდეთ. ცოლებიც არ რჩებიან უკან, რაც კი განყოფილებაში ხდება, ყველაფერი წვრილად იციან; ისინიც ჩივიან, კარგად ვერა ვართო. პლუტოს ცოლს, ჩინციას ძარღვების აშლილობა აღონებს და მხედველობა, სმენა, ყნოსვა და შეგრძნებაც შესუსტებია ამის წყალობით. ცოლებიც და ქმრებიც იმ დასკვნამდე მიდიან, მკურნალობა და დასვენება აუცილებელიაო, მაგრამ ამის არც საშუალება და არც უფლება არც ერთს არა აქვს.

ერთ საღამოს პლუტომ მე, პიპო და მისი ცოლი ვახშმად დაგვპატიჟა. შუა ღამეში რომ ვიყავით და თან გაცხარებული ვსაუბრობდით, ბავშვებმა ტელევიზორის ჩართვა აიტყბეს; ჩვენც ნელ-ნელა მივჩუმდით და ბოლოს სულ დადუმდით. მაგრამ სანამ შუქი ჩაქრებოდა, ვმსჯელობდით იმ უსიამოვნო ამბავზე, პლუტოს რომ შეემთხვა რამდენიმე დღის წინ. თურმე თავის კაბინეტში იჯდა და რაღაც წერილს ასწორებდა. უცბად იგრძნო, როგორ დაასხა ცივმა ოფლმა, თვალი დაუბნელდა, სკამიდან ჩამოცურდა და მაგიდის ქვეშ გაიშხლართა. მდივანმა ქალმა ასეთ ყოფაში რომ დაინახა, იფიქრა, უბედურება

მოხდაო, და განგაში ატეხა. გამოცვივდა ხალხი. მე და დოქტორი მაქსიც მაშინვე იქით გავქანდით (პლუტოს კაბინეტი ახალ შენობაშია). მყისვე გამოვიძახეთ ექიმი. დოქტორი მაქსი ისე აღელდა, რომ ესეც კი თქვა:

— აი კაცი! ფირმისთვის სიცოცხლეს არ იშურებს. სულ იმას ვეჩიჩინები, რამდენიმე დღე დაისვენე, მუშაობით თავს 'ნუ იკლავ-მეთქი. გავგონებაც კი არ სურს. მთელი დღე ყვირის, დარბის, ფუსფუსებს, რა გასაკვირია, რომ ბოლოს და ბოლოს ქანცი გაუწყდა. პლუტო ბრწყინვალე მუშაკია, სამუშაოზე გადაგებული, ამიტომაც არის სამსაგალითო.

ექიმმა პლუტოს საგანგაშო ვერაფერი აღმოუჩინა. ლოტარმა თავისი ხელით ჩაიყვანა ძირს და შინ სამსახურის მანქანით გააცილა. პლუტო მხოლოდ გზაში მოეგო გონს, არ ახსოვდა, რა შეემთხვა, და ისევ მე მოვუყევი ცოლისა და სტუმრების თანდასწრებით.

— დოქტორი მაქსი მართალია, — ღიმილით წამოიძახა მან.

მომეჩვენა, გულის წასვლითა და განსაკუთრებით დოქტორი მაქსის სიტყვებით მეტისმეტად კმაყოფილია-მეთქი, და ჩემი ეჭვი ხმამაღლა გამოვთქვი.

— კმაყოფილიო? ჭკუაზე ხართ? ხომ შეიძლება მოვმკვდარიყავი? სწორედ ამ დილას დამირეკა ექიმმა და მითხრა, კიდევ ხუთი წუთი რომ უგრძნობლად ყოფილიყავი, კოშმა დაგემართებოდაო!

— მე მხოლოდ დოქტორი მაქსის სიტყვებზე მოგახსენებდით!

— რასაკვირველია, სასიამოვნოა, როცა პატრონი შრომას დაგიფასებს, მაგრამ მეჩიჩინა, თავდადებითაც მემუშავნა და ჯანაც შემენარჩუნებინა. ნევრალგია რომ არ მაწუხებდეს და ჯანი ადრინდელი მომდევდეს, ასჯერ მეტს გავაკეთებდი!

— მაინც რა გაგიხდა ერთი კვირისა თუ ათი დღის შვებულება, აიღე და დაისვენე, — ჩაერია საუბარში პლუტოს ცოლი ფაბრიცია. — დოქტორი მაქსიც ხომ სულ ამას გეჩიჩინება! მეც კი მითხრა...

— შენ? შენ როდისღა გელაპარაკა? ჩემთვის რომ არაფერი გითქვამს!

— სანამ შინ მოგიყვანდნენ, მაშინ დამირეკა და ძალზე თავაზიანადაც მესაუბრა. ეტყობა, ამ ბოლო ხანებში საქმე კარგად მიდის, თორემ სხვა დროს ისეთ გუნებაზეა ხოლმე...

— ეგ საიდანღა იცი? — შეაწყვეტინა პლუტომ.

— შენ თვითონ არ მითხარი?..

— ჰოოო! რასაკვირველია, თქმით კი იტყოდა, მაგრამ აბა ერთი ვითხოვო შვებულება და მთელი კვირა წავიდე! ვის ანაბარა დავტოვო განყოფილება, როგორ მივატოვო ამდენი საქმე, ამაზე არ ფიქრობ?..

ცოლ-ქმარი ერთხანს კიდევ დაობდა. პლუტომ ფაბრიციას უსაყვედურა, თვალი სულ გაქცევაზე და დასვენებაზე გიჭირავსო.

დროდადრო პიპო და მისი ცოლიც ჩაურთავდნენ ხოლმე სიტყვას. ნელ-ნელა ისინიც შეჰყვნენ და ერთი დავა გააბეს თავთავიანთ სატკივარზე. მერე ისიც თქვეს, პიპო მეტისმეტად ბევრ წამალს სვამსო. სიმართლე რომ ითქვას, მათ შორის მართო პიპოა ავადმყოფი, პირისახე სულ მუდამ შეჭარხლებული აქვს და ხელებიც უკანკალებს. მათთან მივახშმია. პიპოსაც ზუსტად პლუტოსნაირ სახლში პლუტოსნაირი ბინა აქვს, ოთახებიც ზუსტად ერთნაირადაა განლაგებული, მაგრამ არსებითად განსხვავებულია; პლუტოს ბინა ჩვეულებრივ, თანამედროვე ყაიდაზეა მოწყობილი, პიპოსი კი ძველებური ავეჯით არის

სავსე. ასეთივე საკმაოდ დაძველებული სადილის გერცხლეული, სამწვენივები და დრომოჭმული სურათები აქვს. მაგრამ ავეჯს, გერცხლეულსა თუ სხვა ოჯახურ ნივთებსა და მათთან ერთად პიპოს მოხუც დედას (მასთან რომ ცხოვრობს) რაღაც მოქუშული იერი აქვთ, თითქოსდა საუკუნეების მტვერი დასდებიან. ეს კი სულ არ ეხამება არც ოთახების სწორ, კუბურ ფორმას და არც ამ ვეება, ერთნაირი ბინებისაგან შეკოწიწებულ აწოწილ სახლს. ეს ნივთები სადმე სხვენზე რომ ეწყოს, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ასეთ სახლებში სხვენი არ არის. პიპო და მისი ცოლი ჩინცია, ეტყობა, შეეგუენ ერთსაც და მეორესაც და დიდად არ აწუხებთ ეს შეუსაბამობა. სხვათა შორის მათშიც იგივე წინააღმდეგობრიობა იგრძნობა. არც გასაკვირია, რომ ერთმანეთისკენ ლტოლვა უგრძნიათ და ცოლ-ქმარი გამხდარან. ორთავეს რაღაც საერთო აქვს ამ ბინასთან და ამ ძველებურ ნივთებთანაც. ორთავე იმ უცნაურ ადამიანთა მოდგმას ეკუთვნის, ვინც კიდევ გვხვდება ამ ქალაქში. ისინი სადღაც სრულიად განსხვავებულ ორ სამყაროს შორის გახილულან და მათ შერიგებას ცდილობენ. პიპოს თავისი სატკივრის დალი პირისახეზე ამჩნევია. ერთი შეხედვისთანავე მიხვდებით, რომ მისი ოჯახი სულ სხვა ხანას ეკუთვნის, ჩვენს დროში სტუმარივით გრძნობს თავს და დაღუპვა-გადაშენებისთვის არის განწირული. თუნდაც მათ გოგონაზე ვთქვათ. ბავშვი ჯერ ორი წლისაა და უკვე სათვალეს ატარებს. სამივეს ნაზად უყვარს ერთმანეთი (დედას თვალი მოგვარი მხოლოდ, საწოლზე მისვენებულიყო და გაქუცული ბეწვის ქურთუკი წაეფარებინა). ისინი ვერა ხვდებიან, რომ მათ თვალებში მოციმციმე სიყვარული დასასრულის წინათგრძნობაა და სამივე ხელიხელჩაკიდებული უახლოვდება არყოფნის, არარსობის უფსკრულს. რასაკვირველია, თავად ამას ვერ შეიცნობენ, მაგრამ ამაზე თუნდაც მათი ცხოვრების ყაიდა მეტყველებს. მართო ეს ერთი ბინა რად ღირს; ახლა მოხუცი დედა თქვით, იმის მაგივრად, რომ დავაღომილთა თავშესაფარში წავიდეს, მათთან ცხოვრობს, თუმცა კი სული კბილით უჭირავს. თავად პიპო სულ დაფუსფუსებს, შფოთავს, მაგრამ გულს მაინც არ იტეხს. საბაბი კი აქვს, ვერ იქნა და ფირმაში ფეხი ვერ მოიკიდა. ერთხელ დოქტორ მაქსსაც ვკითხე, რატომ პიპოს სამსახურში არ ჩარიცხავთ-მეთქი, მაგრამ ისე შემომხედა, უსიტყვოდ მიცხვდი ყველაფერს. პიპო უდავოდ საქმიანი კაცია, მაგრამ ხელები უკანკალებს. ესეც არ იყოს, ძალლი ჰყავს. თანაც ისე უყვარს ის თავისი ბებერი, გაქუცული გოშია, სულ თან ატარებს, სამსახურშიც კი მოჰყავს ხოლმე და, ლოტარის ბუზღუნის მიუხედავად, შემოსასვლელ დარბაზში ტოვებს. ძალლი სულ ქსუტუნებს, აცემინებს, უკვე იმ ქვეყნისკენ აქვს პირი, მაგრამ პიპო მაინც ვიტამინებით ჰყიპავს, ელოლია-ავება. ეს ამბავი ძალზე აღიზიანებს დოქტორ მაქსს, რადგან მისი აზრით ხელქვეითთა ცხოველებისადმი სიყვარული ფირმისადმი სიყვარულს ანელებს. პიპოს ეს არ ესმის (ვითომ არ ესმის?) და გვერდიდან არ იშორებს ძალს. ნამდვილად კი შეეძლო ამაში მაინც დაჰყოლოდა პატრონის სურვილს, შინ დაეტოვებინა და, თუ რამეს ჰკითხავდნენ, ეთქვა, მოკვდაო. არც არავის გაუკვირდებოდა. პიპოს წამალი ღვინოა, ღვინოში ახშობს მთელ თავის ვარამს, შეიტანს კაბინეტში (კაბინეტიც დროებითი აქვს) აპერიტივის ბოთლებს და სვამს.

პიპოს ცოლი ჩინცია მასწავლებელია და კითხილშობილი ოჯახიდან არის. სწორედ ეს აღიზიანებს დოქტორ მაქსსაც და ფირმის თანამშრომლებსაც. მათ

შორის ერთი აზნაურიც არ არის, თითქმის ყველა სოფლიდანაა ჩამოსული და რაღაც ბიოლოგიური სიძულვილი აქვთ დიდკაცთა მიმართ. ეს გახლავთ სიძულვილი ახალი საზოგადოების საშუალო ფენისა — ჯანმრთელი, გამძლე და მეტნაკლებად ერთი ყაიდის ადამიანების მთავარი ნიშანთვისება. ჩინცია მშვიდი ქალია, საკმაოდ ულამაზოც, წინაპართაგან მემკვიდრეობით მოსდევს თავაზიანობა და თავშეკავება, ჩვეულებრივ ადამიანები ნევრასტენიამდე რომ მიჰყავს. თქვენ წარმოიდგინეთ, არც ჩინციაა გამონაკლისი. მათი გოგო ერთი მტკაველის იქით ვერაფერს ხედავს. მშობლები მას მუდამ სუფრასთან სვამენ ხოლმე (მხოლოდ რამდენიმე ბალიშს დაუწყობენ); დიდივით სწორად და გამართულად ლაპარაკობს, სიტყვებს არ ამახინჯებს, ჭკვიანურად და აზრიანად პასუხობს კითხვებზე, ტელევიზორს არ უყურებს, სულ ერთია, მაინც ვერაფერს დაინახავს. მთელი ოჯახი გულისამაჩუყებელი გულმოდგინებით ცდილობს ფირმის საქმიანობაში ჩაებას, ასე ძირფესვიანად რომ განსხვავდებოდნენ მათი საკუთარი ცხოვრებისგან. გოგო ყველაზე თანამედროვე საბავშვო ბაღში დადის, სადაც სრული თავისუფლების პრინციპით ზრდიან და კარგა ბლომად ფულიც უჯდებათ, მაგრამ რა თავისუფლებაზე შეიძლება ილაპარაკო, როცა ბავშვი ვერაფერს ხედავს, სულ ერთ ადგილზეა მიჯაჭვული. რაც არ უნდა მოხდეს მის ირგვლივ, ადგილიდან ფეხს ვერ მოიცვლის. მიაჩნდება კედლის საბავშვო საანგარიშოს და დგას დალურსმულივით, მისთვის ყველანაირი გართობა მიუწვდომელია. პიპო სულ ერთთავად სამუშაოს ძებნაშია და დიდად ცდება, რომ ამაზე ხმამაღლა ლაპარაკობს. დოქტორმა მაქსმა იგი ორჯერ დასაჯა, ხელფასი დაუკლო. ცხადია, რაკი პიპო სამსახურში არ ჩარიცხა, როცა მოეპრიანება, მაშინ მიაბრძანებს ფირმიდან. ბოლო დროს მაინც დოქტორი მაქსი სულ ჯიბრში უდგას, ალბათ უნდა აიძულოს თავისი ნებით წავიდეს, მაგრამ პიპო საკმაოდ სქელტყავიანი გამოდგა და ჯერჯერობით ფეხს არ იცვლის.

ერთი შეხედვით, პლუტოსა და პიპოს ოჯახებს თითქოს საერთო ბევრი აქვთ, სინამდვილეში კი სულ სხვადასხვა ყაიდის ხალხია. ამ სხვაობას კი იმდენად მათი ხასიათები და ცხოვრების ყაიდა არა ქმნის (ჩვენ ყველა, ასე თუ ისე, ერთნაირად ვცხოვრობთ), რამდენადაც მათი ბიოლოგიური თავისებურებანი. პიპოსა და მისი ოჯახის წევრებს მოახლოებული აღსასრულის დაღი ასვიათ. მე მგონია, პიპო დიდი-დიდი ერთი ან ორი წელი გააჩერონ ფირმაში. პლუტოს კი არავითარი საფრთხე არ ელის. თუ ავადმყოფობა არ გაუტოვლდა ან ეჭვებმა არ აიყოლია, შეიძლება კიდევ დააწინაურონ. ამას თავის ცოლს, ფაბრიციას უნდა უმადლოდეს; იგი კვერცხვით ქალია, მკვრივი და შეკრული. არც ეს მსგავსებაა შემთხვევითი, მის გარეგნობასა და შინაგან ორგანოებს შორის ნამდვილად რაღაც თვალშეუვლები კავშირი არსებობს. იგი დარწმუნებულია, რომ საკვერცხეების საქმე ვერა აქვს რიგზე და სულ ამაზე ლაპარაკობს. ალბათ ჰგონია, თუ ისიც იწუწუნებს, როგორც ყველა, ამით თავისი არსებობის უფლებასაც განიმტკიცებს. მე კი დარწმუნებული ვარ, არავისც არასტკივა, არც ექიმები უდასტურებენ რამეს. ყოველ შემთხვევაში, პლუტოს გვარი არ მოიხსობა: მისი სამი შვილი უკვე სამაგალითო პატარა ხელქვეითნი არიან, მომავალზეც ფიქრობენ და სოციალური უზრუნველყოფისა და დაზღვევის ამბებშიც ჩემზე უკეთ ერკვევიან.

ერთ საღამოსაც ასე ვისხედით, ტელევიზორს ვუყურებდით და თან ვლა-

პარაკობდით, კეთილია თუ ბოროტი დოქტორი მაქსი. კაცები ამტკიცებდნენ, კეთილიაო, და საბუთად მისი ზნეობა მოჰყავდათ, ქალები კი, განსაკუთრებით ფაბრიცია, ამ საბუთებს წმინდა რეალურ მოსაზრებებს უპირისპირებდნენ, მაგალითად, ხელფასს ანდა ფიზიოლოგიურ მოვლენებს — თეთრ ლაქებსა და ავადმყოფურ იერს. ამ ლაპარაკს ის მოჰყვა, რომ ყველამ სათითაოდ აწერა თავისი დაავადება და ბევრი საერთოდ აღმოაჩინეს; მაგალითად, გამოირკვა, რომ პლუტოს სამწვერა ნერვის ანთება რაღაც გარეგანი ნიშნებით პიპოს გულის ფრიალის ნიშნებს ემთხვევა, ჩინციას ყნოსვის დაქვეითება კი დაკავშირებული ყოფილა არა ნერვებთან, რასაც აქამდე ვარაუდობდნენ, არამედ საკვერცხეების საერთო მოშლილობასთან, რადგანაც ფაბრიციაც თავისი ავადმყოფობის გამწვავებისას ყნოსვის მნიშვნელოვან გაუარესებას ამჩნევს. მერე წამლების თაობაზე წამოიწყეს საუბარი. ბუნებრივია, სხვადასხვა ავადმყოფობას სხვადასხვა წამლით მკურნალობენ და თუმცა არავინ არაა კმაყოფილი, საკმარისია, რაიმე ახალი წამალი გამოჩნდეს, მაშინვე აფთიაქებში გარბიან.

ახლა კი მესმის, რომ პიპო და პლუტო მარტო იმისთვის მუშაობენ და იმისთვის იღებენ ფულს, რომ თავიანთ სნებას უმკურნალონ და თავს მოუხარონ, რამეთუ ავადმყოფობა ერთადერთი გამართლებაა პატრონისადმი მორჩილებისა. დოქტორი მაქსი მათთვის ობიექტური სინამდვილის განსაზიერებაა, ხოლო მათი ცოლებისთვის ეს სინამდვილე ქმრები და მათი ხელფასი გახლავთ. მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, იმაზე ფიქრობენ, რაც შეიძლება უკეთესად მოეწყვნენ მათი ქმრები და მეტი ხელფასი მიიღონ. ცოლების სატკივარი პირდაპირ დამოკიდებულებაშია ქმრების სნეულებებთან, რადგან ცოლებსაც ასევე სჭირდებათ თავის მართლება. მათ კარგად ესმით, რომ თუ ავადმყოფის გვერდით ცხოვრობ, არ შეიძლება შენ იყო სულ ჯანმრთელი, რომ ოჯახური კავშირი, განსაკუთრებით კი მტკიცე კავშირი, შეუძლებელია, თუ ერთ-ერთი მეუღლე ჯანმრთელია, მეორე კი ავადმყოფი. ამიტომ მდგომარეობა ისე უნდა გააწონასწორო, რომ ცოლსა და ქმარს შეეძლოთ ერთმანეთს შესჩივლონ თავიანთ სატკივარზე; მაშინ აქვს ოჯახურ ცხოვრებას აზრიც და მიზანაც (მართლა და მართლა ყველაფერი შვილები და გვარის გაგრძელება როდია), საწინააღმდეგო შემთხვევაში კი ასე არ იქნება.

ამ ორი წყვილის შემხედვარემ გონების თვალთ წარმოვიდგინე მათი ცოლქმრობის მთელი საიდუმლო. პიპოსა და მისი მეუღლის ურთიერთობას არაჩვეულებრივი სისათუთისა და კეთილშობილობის კვალი აცხია. ეს სისპეტაკე ჩინციას გარეგნობაშიც ეტყობა. ასე მგონია, მათი ურთიერთობა ორი უბედური არსების მსუბუქი, ნაზი ალერსია, უბედურებად იმასაც რომ თვლიან, რაც ჩვეულებრივ ადამიანებს ბედნიერებას უნდა ანიჭებდეს (გავიხსენოთ თუნდაც მათი ბეცი შვილი). რაც შეეხება პლუტოსა და მის ცოლს, მათი ურთიერთობა, ეტყობა, ჩვეულებრივ მიმდინარეობს. ასე თუ მივუდგებით, მაშინ ეს ორი წყვილი მართლაც განსხვავდება ერთმანეთისგან, და ამ ამბავს, სამწუხაროდ, მათ მონაგარზეც უმოქმედია, რამეთუ გვარის გაგრძელება ერთადერთი ჭეშმარიტი ბიძგია ცხოვრებისა. თუ პიპოსა და მისი მეუღლისთვის ცოლქმრული სიახლოვე მხოლოდ დამატებაა, თანაც ტრაგიკული დამატება იმ იმედისა, ეს ორი არსება თავიანთ კავშირზე რომ ამყარებს, მათი ალერსიც უბიწო და გრძნობით გამსჭვალული უნდა იყოს (უბიწოებისა და გრძნობის შედეგი კი სათვალისანი შვილი გახლავთ). პლუტოსა და მისი მეუღ-

ლისათვის კი სქესობრივი ურთიერთობა თვითმიზანია და ამიტომ შეესატყვი-
სება მთელი მათი ცხოვრების ბუნებრივ მდინარებას.

ზოგჯერ ფირმის სხვა თანამშრომლებიც მიწვევენ ხოლმე სტუმრად, მათი
ოჯახებიც მეტნაკლებად ჩამოგვანან პლუტოსა და პიპოს ოჯახებს. მათ შორის
დიდ სხვაობას ვერ გამოჩნევ, თუ დაავადებას არ ჩავთვლით, რადგან ყველას
თავისი სატყეივარი სჭირს.

ხშირად შინაც ვრჩები ხოლმე. მაშინ ჩემი ბინის პატრონები ყავაზე და
ლიქიორზე მეპატიჟებიან. ისინი მთელ დღეებს ძილში ატარებენ. კიდეც მიკ-
ვირს, რითი ცხოვრობენ. ოჯახის უფროსს საქმე არა აქვს. ის საქონელი, რი-
თიც იგი ვაჭრობს, დიდი ხანია აღარც იყიდება და აღარც მზადდება, მაშა-
სადამე, უმუშევრად დარჩა კაცი. ასაკიც ისეთი აქვს, რომ ახალ საქმეს ვერ
მოეჭიდება, ისე რომ უსაქმობისგან ან სძინავს, ან არადა მე მესაუბრება. იგი
უჭკუო კაცი არ არის, იცის, რომ წლებს თავისი მიაქვს და მისი წირვა უკვე
გამოსულია. რაც შეეხება მათ კოსტაპრუწა ვაჟიშვილს (სულ რამდენჯერმე
კი შევხვდი), ეტყობა, საქმე ურიგოდ არ მისდის, სწავლაშიც წარმატებებს
აღწევს და თავისუფალ დროს კიდეც მუშაობს. დედამისიც არაფრის მაქნისი
გახლავთ, ეგ არის და ეგ, ერთი ვნებიანი ქალია, თან აღარც ახალგაზრდაა,
უგემოვნოდაც იცვამს, შინ სულ გახუნებული ხალათით დადის, ჩემი ოთახის
შუშის კარიდან ვუყურებ ხოლმე, ყავა რომ მოაქვს ჩემთან და არაერთხელ
დამიჭერია თავი იმაზე, რა ნდომით ვუყურებ მის ვნებით ანთებულ თვალებს,
შემრგვალებულ, რბილ თეთრ მკლავებს, მოკლე, მსუქან თითებსა და წითლად
შეღებულ წაწვეტილებულ ფრჩხილებს. ხან იმასაც ვუცდი, რომ გადაკალთული
ხალათი გადაეწიოს და ნაზი ხორცი გამოუჩნდეს. ზოგჯერ მგონია, რომ მაც-
დუნებს (ქმარი მეზობელ ოთახში ხვრინავს) და თან არცთუ უანგაროდ. ჩა-
მოვჯდები ხოლმე ბინის პატრონებთან, ჩუმ-ჩუმად ვუთვალთვალებ დიასახ-
ლისს, უხმაუროდ რომ დაფუსფუსებს სამზარეულოში და დროდარო ღიმი-
ლით გადმომხედავს, მერე კი მივდივარ ჩემს ოთახში. უკვე აღარც ის მაწუ-
ხებს, რომ ჩემი ოთახის შემინული კარი დერეფანში გამოდის (თავდაპირვე-
ლად ცოტა ნირწამხდარი ვიყავი, ვფიქრობდი, მითვალთვალებენ-მეთქი), მი-
ვუჯდები მაგიდას და ვზივარ ასე, სანამ ძილი არ მომერევა. ჩვეულებრივ
ვფიქრობ დოქტორ მაქსზე, ჩემს მშობლებზე, მარიასა და ჩემს ცხოვრებაზე.
მაგონდება ჩემიანებთან გატარებული რამდენიმე დღე და მიკვირს, რა აუღელ-
ვებლად და გულგრილად ვფიქრობ მათზე. რა მოხდა მაინც, ასე მალე რამ
გაღამავიწყა ისინი? მაგრამ არავითარი გრძნობა არავისადმი არა მაქვს. მხო-
ლოდ დოქტორი მაქსისადმი ვგრძნობ რაღაცას და ისიც ვერ გამიჩვევია, რას.
მარტო დოქტორი მაქსი და ფირმა ავსებს მთელ ჩემს ცხოვრებას. მათთან მაქვს
ყოველ დღე საქმე და მატერიალურადაც მათზე ვერ დამოკიდებული. ხშირად
ვეკითხები ხოლმე თავს, მაინც რა გრძნობა მაქვს დოქტორი მაქსისადმი ან ამ
გრძნობას რა ჰქვია-მეთქი; მერე კი ვხვდები, რომ განწირულებისა და მიმსგავ-
სების სურვილის მეტი სულში არაფერი ჩამრჩენია (განწირულება და მიმს-
გავსების სურვილი კი აბა სადაური გრძნობებია). მაშასადამე, მე ვცხოვრობ
არა როგორც წარმოებული დოქტორი მაქსისაგან, არამედ უკვე მასთან შერ-
წყმული, თითქოს ის სხვა ადამიანი კი არ არის, ჩემივე. ნაწილია, მამაზეც და
დედაზეც უფრო ახლობელი. კარგად რომ დავუფიქრდე, ასეც არის: ფირმა
ცხოვრებას იწყებს ცხრის ნახევარზე და მეც ასე ვიწყებ, ფირმას ორი საათი

აქვს შესვენება და მეც ასე მაქვს, ოთხის ნახევარზე შეუდგება ხელახლა მუშაობას და შვიდის ნახევარზე ამთავრებს, მეც ასევე. დანარჩენი საათები, იმის გარდა, რასაც ძილზე, ჭამაზე, კინოსა და სხვა გასართობზე ვხარჯავ, ვერაფრით შემიღვსია, ცხოვრება კარგავს აზრს, ხდება არარაობა. ფირმაც ხომ ასეა, დღეში რვა საათი ცხოვრობს, დანარჩენ დროს კი არაფრის მაქნის უკაცურ ადგილს წარმოადგენს. დოქტორი მაქსი კი სულ სხვაა, იგი არის ფირმის გული, ფირმის ღმერთი და ღვთაება. მის ფიქრებსა, ოცნებასა და გეგმებში ფირმა რვა საათზე გაცილებით მეტ ხანს ცხოვრობს. ამიტომ მეზადება სურვილი მივემსგავსო მას, მასავით მშთანთქმას გეგმებმა და პრობლემებმა, რომი ჩემი ცხოვრებაც, ფირმის მსგავსად, დროდადრო არ ჩაკვდეს. მე რომ სხვა თანამშრომლებივით შევგუებოდი იმ აზრს, რომ მარტო იარაღი ანდა რაღაც საბუღალტრო საანგარიშო მანქანა თუ სხვა რამ ნივთი ვარ-მეთქი და ამით დავკმაყოფილებულიყავი (თავდაპირველად ხომ აღტაცებული ვიყავი ამ აზრით), ყველაფერი რიგზე იქნებოდა, მეც უსულო ნივთივით ვიარსებებდი, არც ბედნიერებას ვიგრძნობდი და არც უბედურობას, ვიქნებოდი ჩემთვის და მორჩა! შეიძლება ცოლიც შემერთო, ოჯახს მოვკიდებოდი, შვილები მყოლოდა. მაშინ იქნებ გამჩენოდა იმ ნივთებივით გულუბრყვლო და მორჩილი შეგუების გრძნობა და, ვინ იცის, ნელ-ნელა, რაკი მაინც ადამიანი ვარ და არა ნივთი, დამეძლია ეს უმოქმედობა და სულ სხვა, განსაკუთრებული ბედნიერება მწეოდა — წმინდა, თითქმის რელიგიური გრძნობა გამჩენოდა ნეტარებისა და ერთგულებისა, ანუ ვქცეულიყავი დოქტორი მაქსის საოცნებო ხელქვეითად, საყვარელ ნივთად, იარაღად, ვისაც ნივთად და იარაღად ქცევაც კი ბედნიერებას ანიჭებს. მაგრამ ასე არ ხდება. თითქმის ყველა გრძნობა გამიქრა, ვეღარც ფირმისა და დოქტორი მაქსის სიყვარულს დავიქადნი, თუმცა ისინი ჩემთვის გაიგივებულია. მოკლედ, აღარავინ და აღარაფერი მაღელვებს, თუ მაღელვებს, ისევ დოქტორი მაქსი მაღელვებს. მართალია, სიყვარულით მე იგი არ მიყვარს — რომ მყვარებოდა, არც ასეთ მსჯელობას მოვყვებოდი და მის ბრმა იარაღად ვიქცეოდი. მაგრამ ერთი რამ მაინც მძინდა — მძინდა მას მივემსგავსო, თუმცა ეს სურვილიც უაზრო და განუხორციელებელია, მე იგი ვერასოდეს გავხდები, არც მისი სიმდიდრე მექნება და არც მისი უფლებები. ვეღარ გამიგია, ეს განწირულებისა და მიმსგავსების სურვილი თუ გრძნობა რატომღა მომერია? ვეცდები უფრო ნათლად გამოვთქვა. განწირულებაზე რომ ვამბობ, მე ვგულისხმობ დოქტორი მაქსისადმი ჩემს დაუოკებელსა და საბედისწერო ლტოლვას. მაგალითად, უცბად მომერევა ხოლმე მასთან ყოფნის სურვილი და სადაც არ უნდა ვიყო, მოვწყდები და მისკენ მივექანები; მიმსგავსება კი ნიშნავს ჩემს გაურკვეველ, შეუცნობელ სწრაფვას — გავითქვიფო მასში, უფრო სწორად იმაში, რასაც იგი წარმოადგენს. ერთი სიტყვით, დავიბენი მთელ ამ აბდაუბდაში. ერთადერთი სინათლის სხივი ის ფიქრია, თითქოს სინამდვილეში ამის მსგავსი არაფერი არსებობს, — არც დოქტორი მაქსი, არც ფირმა, არც დიდი ქალაქი; თითქოს მთელი თვეები მეძინა, ძილში მესიზმრა ეს შავბნელი სურათები და ლანდები, მათ კი არაფერი აქვთ საერთო ცხადთან. მაგრამ ვაი რომ, მათი არარეალურობის მიუხედავად, ჩემთვის ერთადერთი სინამდვილე ისევ დოქტორი მაქსი და მისი ფირმაა. მაშინ კი ერთბაშად მომერევა ხოლმე შიში, სასოწარკვეთა და მგონია, რომ მორევში მოვხვდი, რომ გადარჩენის ერთადერთი საშუალება ჩემთვის დოქტორი მაქსის დაღუპვაა. ნე.

ტავი უეცრად მოკვდებოდეს და თვალთ აღარასოდეს ვიხილავდე. საკმარისია ეს გავიფიქრო, რომ კვლავ მიიხედება ჩვეულებრივი ჭეშმარიტი სინამდვილის შეგრძნება. მაშინ ადამიანი ადამიანია, ნივთი — ნივთი და მეტი არაფერი. კვლავ მიცოცხლდება ის სახეები და ის ადგილები, რასაც დოქტორი მაქსის გამოჩენამ ჩემს ცხოვრებაში სულ დაუკარგა აზრი.

VIII

ფირმაში დიდი ამბები ხდება. ბევრი რამ შეიცვალა და კიდევ უფრო დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. ამის მიზეზი ორი გარემოებაა: დოქტორი მაქსის ქორწინება და ფირმაში დოქტორ რებოს გენერალურ დირექტორად დანიშვნა. ჩვენ ვიწყებთ ფირმის გადახალისებას და თანამშრომელთა ზნეობრივი გარდაქმნის იმ გეგმის განხორციელებას, ამას წინათ დოქტორმა მაქსმა რომ გამიზიარა.

სანამ ამ ცვლილებებზე მოგიყვებოდეთ, მოგახსენებთ, რომ კაბინეტი შევიცვალე. ამჟამად დოქტორი მაქსის ყოფილ საპირფარეშოში აღარ ვზივარ, ახალ შენობაში, პლუტოსთან გადავედი. ამასთან ერთად საჭიროდ მიმაჩნია რებოც აგიწეროთ. მე მას „სიმეტრიული კაცი“ შევარქვი; მართლაც, ყველაზე მეტად ამ ორმოციოდე წლის კაცის სიმეტრიულობა მაკვირვებს. მისი სხეულის მარცხენა მხარე, მარცხენა თვალი, მარცხენა ნესტო, ლოყა, ყური, ხელი, ფეხი, ერთი სიტყვით, მისი სხეულის მარცხენა ნაწილი მარჯვენა მხარის ზუსტი ასლია. ეს კი სრულყოფილი სიმეტრიულობის საოცარ შთაბეჭდილებას ქმნის. თითქოს რებო ყველასაგან განსხვავებული კაცია, ვერც შეამჩნევთ ყველა ადამიანისთვის დამახასიათებელ უსწორობას, ვერც ასიმეტრიულობას და ვერც უსიამოვნო (თუ პირიქით, სასიამოვნო) ნაკვთებს. იგი თითქოს რაღაც ხელოვნურ თუ მექანიკურ ყალიბზეა ჩამოსხმული, ეს კი საქციელს გიკარგავს და ცუდად გხდის. თუ სიმეტრია წმინდა აბსტრაქტულ ფორმაში, ანუ გეომეტრიაში არ გამოვლინდა, მაშინ სულაც არ გახლავთ სილამაზის ტოლფასი. შეიძლება სილამაზის იდეალს კი უპასუხოს, მაგრამ ეს მეტაფიზიკური სილამაზე იქნება და არა ადამიანური. აი, ამიტომ რებო გვერდიდან შეიძლება ძალიან ლამაზიც მოგეჩვენოთ, მაგრამ ერთიანად იგი საშინელია. მის პირისახეს, ხელებს, სიარულს თუ ლაპარაკს ასიმეტრიულობის ნიშანწყალიც არ ატყვია. თითქოს მის აზრებსაც ისეთი უზადო, თუმცა გაუგებარი პარაბოლების სიმეტრია ახასიათებს, მხოლოდ უმაღლეს მათემატიკაში რომ შეგვხვედრია. მისი თხელი, მბზინავი შავი თმა მანეკენების ნეილონის პარიკს გაგახსენებთ, გეგონებათ, თვალები შუშისა აქვს, კბილები — პლასტმასისაო, თუმცა სინამდვილეში თმაც, თვალებიც და კბილებიც თავისი აქვს და არა ნეილონისა, შუშისა თუ პლასტმასისა. ხმა ვაჟკაცური, მაგრამ რბილი და უმეტყველო აქვს, გეგონებათ, შეიგნით რაღაც პაწაწინა აპარატი უდგას და ამ ხმებს ის გამოსცემსო. ჩემი აღწერის საფუძველზე შეიძლება იფიქროთ, რებო რობოტს ჰგავს, სინამდვილეში კი სულაც არ არის ასე. რებო — რებოა, მსხვილი სავაჭრო ფირმის ხელმძღვანელი და დოქტორმა მაქსმა იგი დიდი ხელფასის ემზით გადმოიბირა. რებოს ჩაცმულობას აღარ აგიწერთ, ჩვეულებრივ ალბათ ასე აცვიათ ფირმის სხვა ხელმძღვანელებს. სათვალეს ატარებს? დიახ, ატარებს.

ასე და ამგვარად, ერთ მშვენიერ დილას გაიღო ჩემი კაბინეტის კარი, შემოვიდა დოქტორი მაქსი რებოს თანხლებით და ერთმანეთი გაგვაცნო. მე ფეხზე ავდექი, რებომ რობოტივით გამომიწოდა ხელი და ღიმილით წარმოთქვა:

— ფრიად მოხარული ვარ, რომ გაგიცანით, დოქტორმა მაქსმა ძალიან გაქოთ; თქვენ, მგონი, სავაჭრო დაგეგმარებაზე აპირებთ — თუ უკვე დაიწყეთ კიდევ მუშაობა? (პირველად მესმის) სამუშაო შემოქმედებითიცაა და ძალზე საინტერესოც. ამდენად ეს ოთახი თქვენთვის საკმაოდ მოსახერხებელია (რებომ არ იცოდა, რა იყო აქ ადრე), აქ სიმყუდროვეა და ყურადღება არ დაგეფანტებათ, მაგრამ ცოტა არ იყოს, გასაღების განყოფილებისგან მოშორებულია და ალბათ იძულებული ხართ ტელეფონით დაუკავშირდეთ, ეს კი, უეჭველია, გარიყულობის გრძნობას შეგიქმნით. დოქტორი მაქსის კაბინეტთან სიახლოვემ შეიძლება თქვენზე და თქვენს სამუშაოზე ანდამატური ზემოქმედება მოახდინოს, თუმცა ჯერ ვერ გეტყვით, დადებითი იქნება ეს ზემოქმედება თუ უარყოფითი.

ეს მონოლოგი რომ დაასრულა, პირი მომუწა, მაგრამ იმწამშივე თვალისმომჭრელი კბილები დაკრიჭა.

— რებო ფირმის გენერალურ დირექტორად დანიშნეს და ძირითადად თანამშრომლებს უხელმძღვანელებს, — განმარტა დოქტორმა მაქსმა. — გადავწყვიტე, თავიდან ბოლომდე ყველაფერი შევცვალო, ამიტომ პირადად ვერ მოვახერხებ თვალყური ვადევნო წესრიგს, რებო კი წესრიგსაც თვითონ დაამყარებს და თვალსაც თვითონვე მიადევნებს.

რებომ კვლავ გააღო პირი:

— წესრიგი ეს არის თვისება, რაც დაბადებიდანვე დაჰყვება ადამიანს და ისე აქვს ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ ხშირად გარეგნობაზეც ეტყობა (თავისი თავი ხომ არა ჰყავს მხედველობაში?). ამავე დროს ადამიანმა ეს თვისება შეიძლება კიდევ შეიძინოს სხვათა მიმხედურობით და საკუთარი სურვილითაც. საერთოდ, წესრიგის სიყვარულმა ხასიათის ყველა სხვა თვისებას უნდა გადასძლიოს. ზოგჯერ შეძენილი წესრიგის სიყვარული თანდაყოლილზე მტკიცეა ხოლმე, რამეთუ ამ უკანასკნელმა შეიძლება მოულოდნელი და არცთუ ყოველთვის სასურველი გადახრები მოგვცეს.

რებომ პირი დაშუწა. ამ საუბრის შემდეგ ორი დღე არც ისა და არც დოქტორი მაქსი აღარ მიწახავს. მესამე დღეს გამომეცხადა შიკრიკი და ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, თითქოს რაღაც ნიშნისმოგებითაც კი (აკივთქვი, ჩემი უბრალო, ადამიანური ღირსებების დამამცირებელი კაბინეტიც კი, დოქტორი მაქსის კაბინეტთან სიახლოვის გამო, ყველას შურის საგნად იქცა-ნეთქი), სიცილით გამომიცხადა:

— ადგილსამყოფელი უნდა შეიცვალოს!

მისმა სიტყვებმა სულაც არ გამაკვირვა, მაშინვე წამოვკრიფე ჩემი მცირეოდენი ბარგი-ბარხანა. სხვა დროს ამისთანა პატარა ამბავი ეჭვებისა და სასოწარკვეთილების მორევში მომაქცევდა, ახლა კი ჩემთვის ყველაფერი სულ ერთი გახდა. მშვენივრად ვიცოდი, რომ ეს რებოს ბრძანებით იყო და არა დოქტორი მაქსისა. დარწმუნებული ვიყავი, ერთ მშვენიერ დღეს დოქტორ მაქსს თვალში მოაკლდება ის ერთადერთი ადამიანი, ვინც ასე უსიტყვოდ და ალტაცებითაც კი დათანხმდა დაეკავებინა ეს უბრალოზე უბრალო კუთხე, ოღონდაც პატრონის გვერდით ყოფილიყო, მაგრამ უკვე გვიან იქნება. ჰოდა,

მოგვრიფე ჩემი ბარგი და მეოთხე სართულზე, პლუტოს კაბინეტში ავედი. იქ ჩემთვის მაგიდაც დაედგათ (მისი მაგიდის გვერდით). პლუტო გულთაღად შემხვდა, თუმცა მიხვდით, რომ დიდად არ ეამა ოცნებით წარმოდგენილი საკუთრება ვინმესთან გაეყო. მაგრამ იგი მიცნობდა და ისიც იცოდა, რომ ყველა დანარჩენებისაგან განსხვავებით მე არ ვისწრაფოდი ფირმის სულ მცირე საკუთრებას კი მიმეთვისებინა, პირიქით, თვითონვე ვცდილობდი ფირმის საკუთრებად ვქცეულიყავი. ეტყობა, ამან დაამშვიდა.

ჩემს ყოფილ კაბინეტში კვლავ საპირფარეშო მოაწყვეს. ამგვარად, გულდაწყვეტის საფუძველი არც უნდა მქონოდა. ეს ბრძანებაც, შექველია, რებომ გასცა (მას არ უნდოდა უსარგებლო ეჭვები გაეღვიძებინა), მაგრამ ისიც ცხადია, რომ დოქტორმა ურადამ უკარნახა, — მისი ფიქრები ხომ გამუდმებით შვილს დატრიალებდა.

ფირმაში სხვა სიახლეებიც დაინერგა: მაგალითად, აღადგინეს ფირმის მოძრავი ბიბლიოთეკა და მინის ჩააბარეს. იგი დიდი გულმოდგინებით და ბეჯითად შეუდგა ბიბლიოთეკის უახლესი ლიტერატურით გამდიდრებას. რომანები და მოძველებული, უვარგისი ნარკვევები გადაყარეს, — მინის კომიქსების მეტი არაფერი იტაცებს, და მართლაც, მანდრეიკიდან დაწყებული „ნილბიანი კაცი“ დამთავრებული, ყველა კომიქსი რამდენიმე ცალად შეიძინა. კვირაში კი მაინც ერთ წიგნს ატანს მკითხველს. უნდა ვაღიარო, რომ მინის წამოწყებას ყველა აღფრთოვანებით შეხვდა; ბიბლიოთეკის მომცრო დარბაზი, სადაც იგი თავის მდივანთან ერთად ზის, ყოველთვის ხალხითაა სავსე. მინი სწორად იქცევა, როცა გორდონის, სუპერმანისა ანდა ბატის ჭუკ პეპერინოს თავგადასავალს მთელ სერიებად არ არიგებს, ასე მკითხველიც უფრო იგრძელებს სიამოვნებას. მინიმ ამის გარდა რამდენიმე ამერიკული კომიქსიც იშოვა, თან, ვინც ინგლისური არ იცის, თავისივე თარგმანს სთავაზობს.

ერთი სიტყვით, მინის დიდი წარმატება აქვს, ყველა იცნობს, პატივს სცემს და ბიბლიოთეკაშიც მუდამ ხალხმრავლობაა. ბევრი ქალი (წარმოიდგინეთ, კაცებიც კი) ცდილობს მასავით იაროს, მასავით შორისდებულებით ილაპარაკოს, მაგრამ ამაოდ. დერეფანში ხშირ-ხშირად გაიგონებთ ახლა „სმაკებს“, „სბანგებს“, „გრონ-გრონებს“ და სხვა მრავალს. ასე რომ მინი ყველაზე ცნობილი პიროვნებაა ჩვენთან, ამ ამბავმა ჩვენს ფირმაში გარკვეული სიცოცხლე შემოიტანა, თუმცაღა რებოს სიდარბაისლე ყოველივეს აწონასწორებს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ვთქვა, რომ რებოს კაბინეტი არა აქვს და სულ ოთახებში დადის, ამ წუთში აქაა, იმ წუთში იქ; ისეთ დროს გამოჩნდება ხოლმე, სულ რომ არ ელი, დაიჭერს ქუდს ხელში და დადის აღმა-დაღმა (ისეთი ქუდი აქვს, ფრენკ სინატრას რომ ახურავს, ფართო, ჭრელბაბთიანი). თან ცდილობს იმგვარი შთაბეჭდილება შექმნას, თითქოს ერთი წუთით შემოიარა და დასაჯდომი ადგილიც არ გააჩნია. დოქტორმა მაქსმა ამიხსნა, ეს ორ მიზანს ემსახურებაო: ჯერ ერთი, რებოს მუშაობის დინამიური ხერხი აჩინოს და მეორეც — პატრონის სახე არ დაჩრდილოსო, საერთოდ არც არავინ დაჩრდილოს და შური არ გამოიწვიოსო. ასე და ამგვარად, რებო სულ ზეზეულად მუშაობს, ყველას უღიმის, ყველას ერთნაირად ელაპარაკება, შენიშვნას არავის აძლევს, მხოლოდ კითხვებით მაძარტავს ხოლმე, და თანაც ისე თავაზიანად, არ შეიძლება პასუხი არ გასცე. სწორედ ამ შეკითხვების მეშვეობით

მიახვედრებს ხოლმე ხელქვეითს, ესა თუ ის სამუშაო შეიძლებოდა სულ სხვაგვარად შესრულებულიყო, და ამგვარად სწორ გზაზე აყენებს. ხელქვეითი შუბლში ხელს იტკიცავს და წამოიძახებს: „აბა უყურე, თავად ვერც მოგიფიქრებდიო“, და შესაბამისად იმოქმედებს. რეზო არც უყვართ და არც სძულთ, იგი მოსაუბრეს არავითარ გრძნობას არ აღუძრავს და მისი ყველაზე დიდი ღირსებაც სწორედ ეს არის. ერთხელაც არა გამიგია, ვინმეს აუგად ეხსენებინოს ან ექოს. ეს კია, ყველას უნდა გაიგოს, რა კაცია და ყველა კანკალებს მის წინაშე. დოქტორი მაქსის წინაშეც კანკალებენ, მაგრამ რა შედარებაა! რეზოსთან საუბრის შემდეგ კაცს რაღაც რწმენა მაინც გემატება. სინამდვილეში, როცა რეზო (მაღალ-მაღალი, სიმეტრიული, ერთსადაც ქუდი რომ უჭირავს ხელში) კაბინეტში შემოდის, გეგონებათ, შემთხვევით შემოიარა და ფირმასთან არავითარი ურთიერთობა არა აქვსო. მოჰყვება ამ მთისას, იმ მთისას, მერე კი საქმიან საუბარზე გადადის, თანამშრომელთა შრომის ხერხებზე ჩამოაგდებს სიტყვას. ამგვარად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს უცხო კაცი მოსულა და თავისი მოწადინებით გაძლევს რჩევა-დარიგებას, თუ როგორ შეცვალო ან დააჩქარო მუშაობის მსვლელობა, რომ შელავათი შენვე მოგიტანოს. თანამშრომელი არ შეიძლება არ დაეთანხმოს რეზოს ლოგიკასა და დიალექტიკას, თანაც მისი რჩევა მუდამ სასარგებლოა. ამიტომ ჰგონია, რომ თავადვე მოიფიქრა ყელაფური და, თუ საკუთარ ხეირზე ფიქრობდა, არც საქმისთვის დაუკლია ხელი.

დარწმუნებული ვარ, რეზო ფირმისთვის დიდი მონაპოვარია და ტყუილად არ აძლევენ ამდენ ფულს. ისიც სწორია, რომ მიწიმ და მისმა ბიბლიოთეკამ ფირმის უხალისო გარემოში ახალი სიცოცხლე და სილადე შემოიტანა. ძალზე კი მეეჭვება, რომ დოქტორ მაქსს ჰკუაში დიდად უჯდებოდეს ახალი წესების ზნეობრივი მხარე, მაგრამ არ შეიძლება მისი სიკეთე და სარგებლობა არ აღიაროს.

— დიახ, დიახ, — ჭოჭმანით მითხრა მან ამას წინათ და ხელი გამომდო, — მიწის კომიქსებმა და რეზოს დარიგებებმა ხალხი მხიარულ გუნებ-განწყობაზე დააყენა, და რაკი მხიარულად არიან, მაშასადამე, უკეთაც მუშაობენ, თუმცა შეგნება არ მომატებიათ. ისე გამხიარულდნენ, გეგონებათ, შრომა გართობა იყოს და არა ზნეობრივი ვალდებულება. მართალია, ჩემი მიზნის მისაღწევად ერთიც მჭირდება და მეორეც — მიწნა თან მხიარულად იმუშაონ, თან ისიც შეიგნონ, რომ რაკი მუშაობენ და ხელს უწყობენ ფირმის აყვავებას, მაშასადამე, ამით ჩემ წინაშე ზნეობრივ ვალს იხდიან. ადრე მათ ზნეობრივი ვალდებულების შეგნება კი ჰქონდათ, მაგრამ მხიარულება აკლდათ: ახლა მხიარულება შეემატათ, ზნეობრივი ვალდებულების შეგნება კი გაუქრათ. მე ასე მგონია, თუმცა იქნებ ვცდები, თქვენ რას იტყვიან?

რა უნდა მეთქვას? მართალი იყო. უფრო მეტიც (მაგრამ ამის თქმას, რასაკვირველია, მოვერიდე), თუ ადრე დოქტორი მაქსი ანსახიერებდა ზნეობრივ მოვალეობას, ახლა მიწი და რეზო ანსახიერებენ მხიარულებას და ხელქვეითთა გულში დოქტორი მაქსის ადგილი დაიკავეს. ეს კიდევ არ იქნებოდა დიდი უბედურება, დოქტორ მაქსს მათ სინდისზე მაინც რომ შეენარჩუნებინა გავლენა, მაგრამ ვაი, რომ მხიარულებამ მოვალეობა დაავიწყათ. ოგორც ჩანს, მათი მოვალეობის გრძნობა ბევრზე ეკიდა და მარტო მისი შეფუცხუნებისა ეწინოდათ. მას ჰგონია, რომ უყვართ, სინამდვილეში კი ესეც ხელიდან გამო-

ეცალა. მან ეს არ იცის, ანდა თუ იცის, ურჩევნია ეს ამბავი რეზოს კი არა, ისევ მინის გადააბრალოს. რაც უნდა იყოს, მისი ცოლია. მეც ვეცადე ზოგადი და ბრტყელი სიტყვებით დამეძვრინა თავი.

— დიახ, ასეა, — დაფიქრებით ვთქვი მე, — ზნეობრივი მოვალეობის გრძნობამ, რასაკვირველია, ადგილი დაუთმო მხიარულებას.

— მერე თქვენ ეს არაფრად მიგაჩნიათ? — შემფოთდა დოქტორი მაქსი.

— ჩემი აზრით, ეს ერთი და იგივეა.

— როგორ თუ ერთი და იგივე? მე მგონია, პირიქით, სულ საპირისპიროა. გესმით კი, რას ამბობთ?

შევხედე და გამეცინა.

— ხომ მუშაობენ? — ვკითხე მე.

— მუშაობენ, მუშაობენ. მერე რა?

— მხიარულად მუშაობენ?

— კი, მუშაობენ. მერე?

— მერე ის, რომ მხიარული მუშაობა უფრო ნაყოფიერია, ფირმაც უკეთ მოქმედებს, შემოსავალი იზრდება. ვის აძლევს ეს ხელს? თქვენ!

— მაგრამ ეს ხომ წმინდა წყლის მატერიალიზმია, ჩემო კარგო! — მას უკვე ბრაზი მოერია, ტუჩის კუთხეებში თეთრი ლაქები დააჩნდა. — ეს ხომ იმის მტკიცებას უდრის, ვითომ მე მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, როგორ გავზარდო შემოსავალი და ჩემს თანამშრომლებსაც ხელფასი მოვუმატო! ის დაგავიწყდათ, რომ ეს მიაჩვევთ მფლანგველობას, დაიწყებენ სირბილს, ყიდვა-შეძენას, ფული წყალივით წავა; ეს ხომ გარყვნილებაა, მე კი პირიქით, მინდა ამას გავექცე! მე თვითონ უნდა გადავწყვიტო, რამდენი ხარჯონ და როგორ ხარჯონ. უფრო მეტსაც გეტყვით, მათ ჯერ სამუშაოზე უნდა იფიქრონ, მერე კი ფულზე. ფული ფირმის სეიფებში უნდა ეწყოს და არა მათ ჯიბეში, ვინაიდან მე ვიცი ფულის ყადრი, მათ კი არა. გასაგებია? იქნება ნათლად ვერ გამოვთქვი? — ამ სიტყვებით დოქტორმა მაქსმა შუბლზე მომიკაკუნა თითები.

— ხელფასის მომატების თაობაზე ხომ ჯერ კრინტიც არავის დაუძრავს, მაშასადამე...

— აი ნახავთ, თუ არ დასძრავენ. პირველად რეზო მოითხოვს მომატებას, დაიხსომეთ ჩემი სიტყვა! ჯერ სხვებისთვის მოითხოვს, მერე თავისთვისაც!

— სამაგიეროდ, სინიორა მინი არ მოითხოვს.

— ის რაღა შუაშია? მინი ჩემი ცოლია, ის ხომ ფულის გულისთვის არ მუშაობს, უბრალოდ მოსწონს მუშაობა და მუშაობს. ყველა რომ მას ჰგავდეს...

— სწორედ სინიორა მინიმ ბრძანა, ყველა კაბინეტში რადიომიმღები დავდგათ და ამერიკულ მუსიკას ვუსმინოთ!

— არა, ძვირფასო, ეს ჩემი აზრი გახლავთ!

— ამერიკულ მუსიკაზე?

— არა, ამერიკულ მუსიკაზე მინიმ თქვა, კაბინეტების რადიოფიციირების აზრი კი მე დამეზადა, თუმცა სულ სხვა მიზნით...

— მაშეც მითხარით.

— არ გეტყვით.

— მითხარით, რა!

— მსურდა საეკლესიო გალობის გადმოცემა მომეწყო. ჯერ ამერიკული მუსიკით დავიწყებდით, მერე კი, შეიძლება მონაცვლეობით, საგალობლებიც გადმოგვეცა.

— ძალიან კარგი, მაგრამ მხიარულებას რაღას უზამთ?

— იმას, რომ ჯერ მსუბუქი მხიარულებით დავიწყებთ, ამაში ამერიკული მუსიკა შეგვიწყობს ხელს, მერე კი ნელ-ნელა მივიყვანთ იმ შინაგან მხიარულებამდე, საეკლესიო გალობა რომ ანიჭებს კაცს. ამგვარად დიდ მიზანსაც მივაღწევთ—გულუბრყვილო გართობას მაღალი, ზნეობრივი ტკბობით შევცვლით.

— ერთი სიტყვით, თქვენი ხელქვეითები გინდათ მორწმუნეებად აქციოთ.

— რასაკვირველია.

— ვის სცემენ ისინი თაყვანს?

— რაკი ჩემს ფირმაში მუშაობენ, მაშასადამე, მე!

ამ დროს დერეფნის ბოლოში რეზო გამოჩნდა, თავისი ჩვეული ღიმილით სახეგაბრწყინებული მოდიოდა და ქუდიც ჩვეულებისამებრ ხელში ეჭირა. დოქტორი მაქსი იმის მაგივრად, რომ შეგებებოდა და ღიმილზე ღიმილითვე ეპასუხნა, ელვის სისწრაფით შეტრიალდა და თავპირისმტვრევით გავარდა ლიფტისკენ — კარი პირდაპირ რეზოს მიუჯახუნა ცხვირწინ (რადგან მან ნაბიჯს აუჩქარა). რეზოს წარბიც არ შერხევია. „სიმეტრიულმა“ კაცმა ისეთი სახე მიიღო, ვითომც არაფერი შეემჩნიოს, მაშასადამე, თავისივე თავს დაუმალა, რომ დოქტორი მაქსი სწორედ მას გაექცა. მომიახლოვდა, ხელი ჩამომართვა. მთელ სხეულში უცხო სითბომ დამიარა. მერე ორივე ხელით ქუდჩაბლუჯულმა თავი გვერდზე გადახარა, თუმცა ისევ ისე მიყურებდა და ისევ ისე კრეჭდა კბილებსაც.

— აქ საიდან გაჩნდით? ბომბოლოსთან ხომ არ მიდიხართ? ერთი გზა გვქონია, წავიდეთ.

— არა, სხვაგან მივდივარ.

— აჰ, ასე? კარგი. მაინც სად, შეიძლება გავიგოთ? ანდა იქნებ კადნიერებაა ამის კითხვა?

— რასა ბრძანებთ! საპირფარეშოში მივდივარ.

რეზომ სიმეტრიულად აჭიმა ხშირი, მზინავი შავი წარბები და გაოცებით შემომხედა. მერე ხელი ასწია — საათზე მიმითითა.

— როგორ? დილის თერთმეტ საათზე?

— დიახ, თერთმეტ საათზე.

— გშადლობთ,

— როგორ გეკადრებათ! — ვუპასუხე მე. რეზომ მისებური მსუბუქი ნაბიჯით განაგრძო გზა.

ამგვარად შევიტყვე, რომ რეზოს დანახვაზე დოქტორი მაქსი გარბის. რატომ? მან ხომ თავად მოიწვია იგი! იქნებ მისი წარმატებები შეშურდა? თუ ეს მისი ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობების კიდევ ერთი გამოვლინებაა! ან იქნებ რეზო დოქტორი მაქსის თვალში იმ მხიარულების განსახიერებაა, მინისა და მისი მუშაობის დაწყების შემდეგ რომ დაისადგურა ფირმაში, ანუ ზნეობრივი მოვალეობას შეგნების სრულიად საწინააღმდეგო რამ? ანდა შესაძლოა, თვითონ დოქტორ მაქსსაც ერიდება მისი, თუმცაღა რეზო ერთ-ერთი მისი ხელქვეითია, და უხერხულად რომ არ იგრძნოს თავი, იმიტომ გარბის! მაშინ კაცმა უაზროზე უაზრო დასკვნა უნდა გამოიტანო: ნუთუ დოქტორი მაქ-

სი გრძნობს, რომ რეზოა ახლა პატრონი? მაგრამ განა შეიძლება პატრონს პატრონი ჰყავდეს, ანდა ვილაციის მიმართ ფსიქოლოგიური დამოკიდებულების შეგრძნება ჰქონდეს? დოქტორ მაქსს პატრონი ჰყავდეს? შეუძლებელია! პატრონი თვითონ არის. მაგრამ ეს გაქცევა ხომ აშკარად ხელქვეითის გაქცევა იყო უფროსის გამოჩენაზე. მე ხომ არ გავქცეულვარ, ადგილზევე დავრჩი და პირდაპირ ვუპასუხე, საპირფარეშოში მივდივარ-მეთქი, ვიფიქრე რა, რომ ბოლო-ბოლო რეზოც ასევე ხელქვეითი იყო. მაგრამ თუკი დოქტორი მაქსი, თავად პატრონი, ხელქვეითივით გარბის, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, მაშინ მე რაღა მეშველება, როცა რეზოს ისეთი პასუხი მივცე?

დოქტორ მაქსს პატრონი ჰყავს! არ მინდა დავიჯერო და მიჩვევნი მიწი გაქცევაც ეჭვიანობის გრძნობას მივაწერო; დოქტორი მაქსისთვის რეზო გახდა ფირმაზე და მინიზე ეჭვიანობის მიზეზი. ახლა ხომ ყველას სალაპარაკო მძინე და რეზოა, — დოქტორი მაქსი აღარავის ახსოვს. ჩემთვის ნათელი გახდა ისიც, თუ რატომ დაუკვეთა დოქტორმა მაქსმა მხატვარ ორაციოს თავისივე შეთხზული მოთხრობისათვის სურათები და ეს დასურათებული მოთხრობა ყველა განყოფილებაში ჩამოაბრია.

მოთხრობას ჰქვია „აბრეშუმის ჭია“, მე თვითონ გადავწერე იგი. სურათებზე ვერაფერს ვიტყვი. ოღონდაც ვერ გამიგია, რაღა მაინცდამაინც ორაციოს დაახატვინა, ორაციო მაძინე ნამდვილი მხატვარია, მოთხრობაში კი დასახატი იყო ფირმის მარტო ერთი ოთახი, მაგიდა და მაგიდასთან ერთი თანამშრომელი. აი ეს მოთხრობაც.

„ერთ ფირმაში თითქმის ათი წელია მუშაობს ვინმე სინიორ მარიო. ჰყავს ცოლი და ორი შვილი. გაზაფხულია. იმის მაგივრად, რომ საქმეს მოჰკიდოს ხელი, სინიორ მარიო ფანჯარაში იყურება და ფიქრობს: „რა მშვენიერი ამინდია, რა სჯობია ახლა სადმე ქალაქგარეთ ვიყო, წამოვწვე მდელოზე, დავტკბე ცისა და პეპლების ყურებით, ყური მივუგდო კუტკალიების ჭრიჭინს და თან ბალახი ვწიწვნო. რა კარგია პეპელასავით იფრინო და კუტკალიასავით იჭრიჭინო, ქინკლებივით ლაღად იცხოვრო ველად“. — ამ ფიქრებში გადის მთელი დღი და შუადღეც. სინიორ მარიო ხან ცხენად წარმოიდგენს თავს, ხან ძაღლად, ზედ, პეპლად, ჭრიჭინად, ხან კიდევ ჭიანჭველად. დღეც იწურება, ის კი იმის მაგივრად, რომ მაგიდაზე დახვავებულ სამუშაოს მიჰხედოს, სულ ამაზე ფიქრობს. უცბად რაღაც ხმაური შემოესმის. უყურებს კარს — არავინ ჩანს; ხმაური კვლავ გაისმის და აი, მის წინ, საწერ მაგიდაზე სწორედ ერთ-ერთი იმათგანი გაჩნდება, ვისზეც ეს-ეს არის ფიქრობდა. აბრეშუმის ჭია! აქ რა უნდა? სინიორ მარიო თვალებს არ უჯერებს. მაგრამ რარიგ გაოცდა, როცა აბრეშუმის ჭია აღაპარაკდა.

— ნუ გგონია, რომ ყველაზე ჭკვიანი ხარ, — სიცილით უთხრა ჭიამ. — ნურც იმის იმედი გაქვს, რომ თვალყურს გადარჩები. არა, მე არც ფირმას ვგულისხმობ და არც იმ საბრალოებს, ვისაც ჰგონია, რომ შენც მათსავით პატიოსნად ასრულებ მოვალეობას, მე სულ სხვა მაქვს მხედველობაში — მე ვგულისხმობ იმ თვალყურს, ბუნება რომ ანზორციელებს. იმას კი არაფერი გამოეპარება. აი, შენ ზიხარ და ფიქრობ ჩემზე; გგონია, რომ არაფერს ვაკეთებ, არ ვმრომობ. სინამდვილეში საქმე არ მელევა, შრომაში ტოლს არავის დავუდებ, ყოველ შემთხვევაში, შენზე მეტს მაინც ვაკეთებ, შე უსაქმურო, მთელი დღეები ბუზებს რომ ითვლი. დაიხსომე, დღედაღამე ვმრომობ, ჭამითაც

მარტო იმიტომ ვჭამ, რომ მუშაობა შევძლო და მეუღლეს მარტო იმიტომ მჭირდება, რომ ჩემ შემდეგ აბრეშუმის გამომყვანი დარჩეს. შენ კი მართლაც არაფერს ქმნი, მაშასადამე, პარაზიტი, მუქთახორა ხარ. პარაზიტი ცხოველებისა და მცენარეების სამყაროში კიდევ დასაშვებია, მაგრამ შენ ადამიანი ხარ და უფლება არა გაქვს ასე იცხოვრო — რაღაცა მაინც უნდა აკეთო. აბა, მითხარი, რას აკეთებ, რას ქმნი?

ჩიხში მომწყვდეული მარიო არაფერს ამბობს, ცდილობს დრო გააჭიანუროს, მაგრამ ჭია არ ეშვება და არა:

— ჰო, თქვი, თქვი!

სინიორ მარიო ფიქრობს: „რა უნდა ჩემგან? მე ხომ ადამიანი ვარ და არა აბრეშუმის ჭია!“ და ასე ეუბნება:

— რა ვალდებული ვარ, ანგარიში ჩაგაბაროთ? მე ადამიანი ვარ, თქვენ კი აბრეშუმის ჭია. თქვენ თქვენი აბრეშუმის ძაფები დაართეთ და მე, თავი დამანებეთ!

აბრეშუმის ჭია იცინის:

— მით უმეტეს! ადამიანი რომ ხარ, სწორედ ამიტომ უნდა იმუშაო და უქმად არ იყილო. მე თუ მიყურებ, ერთი პატარა აბრეშუმის ჭია ვარ, პარკს ვახვევ, ეგ არის და ეგ, მეტი არაფერი მომეთხოვება, შენ კი კაცი ხარ და მორალური ვალდებულების გრძნობაც უნდა გაგაჩნდეს!

— ერთი შენც, რა დაშავდება, რომ კარგ ამინდში კაცმა იოცნებოს? — ეუბნება სინიორ მარიო.

— ის დაშავდება, რომ კარგ ამინდში ფუტკრები, პეპლები, ჭიანჭველები, ყველა მწერი და მხეცი შრომობს, შენც უნდა გაისარჯო და არ იყალთაბანდო. მხოლოდ ამით მიემსგავსები მათ და მათივე მსგავსად იცხოვრებ ბუნების კანონების მიხედვით.

— მე კი მაინც ქალაქგარეთ მირჩევნია გასეირნება, — აღიარებს სინიორ მარიო.

— რა სეირნობაზე ლაპარაკობ! იქნება გგონია, რომ სულ სეირნობასა და გართობაში ვატარებ დროს და ის შეგშურდა? აბა, დაუფიქრდი, რას ამბობ! არა გჯერა, რომ გეუბნები, მთელი დღე მოსვენება არა მაქვს-მეთქი?

— მაშ როდისდა ერთობი?

— ჩემი და ჩემისთანების გართობა შრომაა, თუკი არ მუშაობ, ცოცხლებშიც არ ითვლები, მაშასადამე, ვერც გაერთობი. ყველას რაღაც სარგებელი უნდა მოჰქონდეს. ასეთია ბუნების კანონი. სწორედ ამიტომ გეუბნები, ნამდვილი უსაქმური ხარ-მეთქი.

სინიორ მარიო ჩაფიქრდა. როცა თავი ასწია, აბრეშუმის ჭიის კვალიც გამქრალიყო. გახედა ფანჯრიდან ცას სინიორ მარიომ და აღიარა, რაც აბრეშუმის ჭიამ მითხრა, ყველაფერი მართალიაო. იგი სინდისის ქენჯნამ შეაწუხა, მთელი დღე მართლაც უქმად გავატარეო, და მაშინვე მხიარულად შეუდგა შრომას.

მოთხრობას დიდი წარმატება არა ჰქონია, სურათები ყველას ერთფეროვნად ეჩვენა, აზრს კი უბრალოდ ვერავინ ჩასწვდა. რაკი დოქტორმა მაქსმა მოთხრობას ხელი არ მოაწერა, ბევრმა მინის შესჩივლა. სუპერმენი, ნემბო კიდი ანდა ტოპოლინო უფრო საინტერესოა, ვიდრე ეს სისულელეო.

პიპომაც სრულიად არაფერი იცოდა (მხოლოდ რამდენიმე კაცმა გაიგო,

რომ „აბრეშუმის ჭიის“ ავტორი დოქტორი მაქსი იყო) და იმდენად გაკადნიერდა, ყველას გასაგონად განაცხადა, ეს რა აბღაუბდააო.

დოქტორი მაქსი შემთხვევით შეესწრო ამ ლაპარაკს, მიტკალივით გათეთრდა და პიპოს დაეძგერა:

— მაინც რატომსაა აბღაუბდა, ერთი ამიხსენით!

— იმიტომ, რომ გაუგებარია. ნუთუ თქვენ მოგწონთ?

— მომწონს თუ არ მომწონს, თქვენი საქმე, არ არის! თქვენ ის გამაგებინეთ, რატომ არის აბღაუბდა!

პიპოს ცახცახი აუვარდა, თავადაც ვერ მიხვდა, რამე შეაშინა, მაგრამ დოქტორი მაქსი ისე განრისხდა, რომ ასაცახცახებლად ესეც კმაროდა.

— აქი გითხარით, დოქტორ მაქს, მოთხრობა სრულიად გაუგებარია, ყოველ შემთხვევაში, მე ვერაფერი გავიგე. არ მესმის, აბრეშუმის ჭიასთან ადამიანი რა შესადარებელია და ვერც ამ შედარების აზრი გავიგე! — ბუტბუტებდა პიპო.

— იქ ლაპარაკია ადამიანის დანიშნულებაზე ბუნებაში, — ვუკარნახე.

— თქვენ გაჩუმდით! — დამიღრიალა დოქტორმა მაქსმა.

პიპო დაბნეული იყურებოდა აქეთ-იქით, დილით ნაგემმა აპერიტივმა და ამ მოულოდნელმა უსიამოვნებამ სულ მთლად დაუბინდა ტვინი.

— ჰო, მართლა, მეც მომეჩვენა, თითქოს ლაპარაკი იყო...

— მერე? — უტევდა დოქტორი მაქსი.

— მაშასადამე... შეიძლება... არ ვიცი...

— როგორ თუ არ იცით? აბა, აბა, თქვით.

— მართლა არ ვიცი, ვერ ვხვდები, დოქტორ მაქს, მაპატიეთ, მაგრამ... — როგორც იქნა ამოღერდა პიპომ. პირველად, ეტყობა, კიდევ აპირებდა შებასუხებას, მერე კი ყოყმანმა აიტანა და, დოქტორი მაქსის მუქარით შეშინებული, საბოლოოდ ჩაჩუმდა.

— მაშინ მე აგიხსნით, რატომ არაფერი იცით და რატომ არაფერი გესმით, პიპო! ლოთი ხართ, დაღუპული კაცი და მე სამადლოდ გინახავთ! კარგად დაიხსომეთ, სამადლოდ გინახავთ! ახლა კი თავს ძალა დაატანეთ და მიხვდებით, რომ იმ მოთხრობაში გაუგებარი არაფერია!

ამ სიტყვებით დოქტორი მაქსი იქაურობას გაშორდა, საბრალო პიპო კი ძალზე დათრგუნვილი დატოვა. ასე იყო თუ ისე, დოქტორ მაქსზე ლახვარივით ამოქმედა „აბრეშუმის ჭიის“ მარცხმა, თუმცა იხტიბარს არ იტეხს. რეზოსა და მინისადმი შურის გრძნობაც იმიტომ აღეძრა. ცხადი იყო, მათ მეტი წარმატება ჰქონდათ. დოქტორი მაქსი სულ შხამს აფრქვევს და არავის ინდობს. მე განმიცხადა:

— იცით, ამ დილას ჩემს საპირფარეშოში რომ შევედი, უნიტაზის მაგივრად უეცრად თქვენ მომეჩვენეთ! აი, რას ნიშნავს მიჩვევა, ცოტაც და დაველაპარაკებოდით, ისე პატარა განსხვავებაა თქვენ შორის! — თავის სიტყვაზე თვითონვე გაეცინა და წავიდა.

პიპოსგან განსხვავებით, თავის კაბინეტში რომ ჩაიკეტება ხოლმე და იქ ღვრის ცრემლებს, დოქტორი მაქსის ეს ბოროტი ხუმრობა მე აინუნშიც არ ჩამიგდია. მთავარი ის არის, რომ მე მაინც ადამიანი ვარ და არა უნიტაზი, გინდაც იმდენად უღირსი, რომ კაცს ფეხსადგილში შევეშალო (თუმცა ეს სხვა საკითხია); პიპო კი სწორედ ის არის, რაც დოქტორმა მაქსმა უთხრა, მაგრამ

თავად ვერ ხვდება. დიდხანს ვერ გააღწევს საბრალო. სალამოხანს დავინახე, რა დაუზოგავად სცემდა თავის ძალს საფუთავი ყუთის ფიცრით. საბრალო მიწას გაჰკვროდა, შიშისაგან ყურები დაეწკიბა და გაბმით წკმუტუნებდა, გეგონებოდათ, სლუკუნებსო. მაგრამ არ იყუფებოდა, არ ყმუოდა და არც გაქცევას ლამობდა. პიპო ისე მივინვარედ ურტყამდა, ქუჩის ხმაურიც ვერ ახშობდა ძაღლის ზურგზე ფიცრის რახუნს, იფიქრებდით, ძონძების გროვას უტყუაპუნებენო. შორიდან მოვკარი თვალი, გარშემო ხალხი შემოხვეოდა და უსიტყვოდ უყურებდა ამ შემზარავ სურათს. მაშინვე გავექანე და პიპოს ფიცარი ხელიდან გამოვვლიჯე. იგი მოწყვეტით დაენარცხა ტროტუარზე, სახლის კედელს მიეყრდნო და ერთხანს ასე იჯდა. პიპო ძალზე მთვრალი იყო. ცოტა ხნის შემდეგ ძლივს წამოდგა. მაშინდა მიხვდა, რაც მოიმოქმედა, დაიხარა და აქოშინებულ ძაღლს ალერსი დაუწყო, კოცნიდა და თან მოჩვარულ ლოყებზე ცრემლი ჩამოსდიოდა. ძაღლი ტროტუარზე მოკუნტულიყო. როცა პიპომ თავები გაუსწორა და სცადა ფეხზე წამოეყენებინა, დაიყმუვლა. ბოლოს, როგორც იქნა, ხელში აიყვანა და შინისკენ წაიხანჩალდა.

რებომ გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი ჩვენი ფირმის ესოდენ მტკიცეულ საკითხს — მუშა-მოსამსახურეთა ავადმყოფის ამბავს. თითქმის ყველა თანამშრომელს რაღაც სატკივარი სჭირს, ზოგს უფრო მძიმე, ზოგს უფრო მსუბუქი. მძიმედ დაავადებულებს სახელმწიფო საავადმყოფოებში ათავსებენ სამკურნალოდ, უფრო მსუბუქად დაავადებულები კი ვალდებული არიან ექიმებს მიმართონ სახელმწიფო ხარჯზე. ისინი კი დიდად სანდონი არ არიან, ამიტომ ავადმყოფს ურჩევენია თვითონ მოძებნოს ექიმიცა და წამალიც. მაგრამ ხშირად არც წამალი აკმაყოფილებს ავადმყოფს, — ხან რაც საჭიროა, იმას არ უწერენ, ხან წამალი უარესად ხდის. ამ ნიადაგზე კი გაუთავებელი დავა აქვთ ექიმებსა და აფთიაქარებთან. ასეა თუ ისე, ავადმყოფობა პირდაპირ ფირმის უბედურებად იქცა. თანამშრომელმა იცის, რომ მძიმედ დაავადების უფლება არა აქვს და თავს უნდა მოუაროს. მძიმე სნებით ჩვეულებრივ ყველაზე დაბალი რანგის მოსამსახურეები ხდებიან ავად — საწყობის მუშები, მტვირთავები და სხვანი. ავად გახდომა კიდევ იმიტომ არ შეიძლება, რომ, თუ რამდენიმე თვე სამსახურში არ გამოცხადდა, სულ დაივიწყებენ. მაგრამ ამის მიუხედავად, ავად მაინც ხდებიან, თუმცა კი სამუშაოზე ცხადდებიან: აქაოდა ავად ვართ და მაინც ვმუშაობთო, თუ თქვენს მოთხოვნებს ვერ ვაკმაყოფილებთ, რა გქნათ, მიზეზი ავადმყოფობააო, გამოთაყვანებულიც ამიტომ ვართ, ძილიც ამიტომ გვერევა, ხელები გვიდუნდება, მხედველობა და სმენა გვისუსტდება და სხვა ათასი რამეც ამიტომ გვემართებაო. თუ თანამშრომელი იმდენად მძიმედ გახდა ავად, რომ სამსახურში ვერ გამოცხადდა, მაშინ მისი შეცვლის საკითხიც წამოიჭრება. რა გაეწყობა, ასეა. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა სნეულება მემკვიდრეობითია და დიდხანს გრძელდება, ზოგჯერ სიკვდილის საშიშროებაც ღვება, მაშინ ან დიდი ხნით უნდა განთავისუფლდეს, ან სულ დაანებოს თავი სამსახურს. თუ სამსახურში არ ცხადდება, ეს, რასაკვირველია, საქმეს ზარალს აყენებს და მოსამსახურის ზნეობასაც ნათელს ხდის. დოქტორმა მაქსმა ამის თაობაზე გარკვეული აზრი შეიმუშავა. როცა თანამშრომელი ავად ხდება, იგი ამბობს: „ძალზე ვწუხვარ, მაგრამ ასეთია ბუნების კანონი, თუ კაცს მუშაობის უნარი არ შესწევს, ფული რილასთვის უნდა გაძლიო? თუ კვდება, მაშასადამე, ბუნებას მისი მუშაობა კი არადა, მისი სიცო-

ცხლეც არ ნებავს. თუ აღსასრული კარგა ხანს აყოვნებს, ეს იმას ნიშნავს, რომ კაცს ნათელი წარმოდგენა არა ჰქონია საგნებზე. კაცი რომ დარმწუნდება, სარგებლის მოტანა არ ძალმიძსო, სიცოცხლეს კი არ უნდა ჩაებლაუჭოს, პირიქით, თვითონვე ინატროს სიკვდილი“. როცა ავადმყოფი მაინც დადის სამსახურში, მაშინ დოქტორი მაქსი ამბობს: „აი, ხედავთ? კაცი ავადია, მაგრამ მაინც მუშაობს. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშაობისა და, რასაკვირველია, სიცოცხლის სურვილი ავადმყოფობაზე ძლიერია“, და დაასკვნის: „ბედისწერას ვერ გაექცევი. ან ძლიერი ხარ კაცი ან სუსტი (ამბობენ, სისუსტე მემკვიდრეობით გადაეცემაო, მაგრამ მემკვიდრეობაზე დანდობა არ შეიძლება. ეს ძალზე შორს წაგვიყვანდა, სხვათა შორის, ზნეობრივი თვისებებიც ასევე თაობიდან თაობას გადაეცემა), ადამიანი კი, როგორც წესი, მაშინაა სუსტი, როცა საკმაო ზნეობრივი ძალა არ გააჩნია. აქ უკვე ველარას გააწყობ, ჩემო კარგო, ასეთი კაცი ბედისგან განწირული ყოფილა, ადრე თუ გვიან მაინც მოკვდება“.

სხვათა შორის, ამას წინათ დოქტორი მაქსი იძულებული გახდა დაედასტურებინა, რომ ფირმის სამ მეოთხედზე მეტი თანამშრომელი რალაციით იყო ავად, თუმცა დიაგნოზის დასმა კი ძალზე ჭირდა. აბა რა დიაგნოზი უნდა დაუსვა კაცს, ვინც ნაშუადღევს უკვე ველარაფერს ხედავს, ან სულისხმუთა აწუხებს, ან ხველა აუტყდება ან ფხანა; რას გააწყობ იმათთან, ვისაც სულ ჩხუბისკენ უჭირავს თვალი ან საპირფარეშოებში იკეტებიან ან კიდევ ერთმანეთს ეკუთრებიან ან არადა, ჩივიან, მხედველობა შეგვისუსტდა, ხელ-ფეხი წაგვერთვაო. ვითომ ეს ავადმყოფობაა, ანდა თუ ავადმყოფობაა, განუკურნებელია? სულაც არა. ეს ხალხი ხომ სამსახურში წესიერად დადის, ზუსტად ათის ნახევარზე ადგილზე არიან. მაშ რა უნდა იღონო კაცმა? ერთხანს დოქტორი მაქსი კიდევ ამაყობდა იმ თანამშრომლებით, ავადმყოფობის მიუხედავად მაინც რომ ცხადდებიან სამსახურში, მერე კი ეჭვით დაუწყო ყურება. იფიქრა, ეს მხოლოდ საბაბია, საყვედურები და სასჯელი თავიდან რომ აიცილონო. ვისაც ფსიქიური აშლილობის გამო ქავილი აუტყდება და საპირფარეშოებში იკეტება, დოქტორი მაქსი „სექსუალურად დაავადებულებს“ უწოდებს. ძალზე აფიქრებს ის ამბავიც, რომ ასეთ ავადმყოფს სამუშაოსთვის მეტისმეტად ცოტა დრო რჩება. რებო კი სულ იმაზე იმტვრევს თავს, როგორ გადაწყვიტოს ეს საკითხი. ამიტომ იფიქრა ალბათ, ახალ შენობაში ამბულატორიასა და აფთიაქს მოვაწყობო. ამ სიახლემ დიდი ჩოჩქოლი გამოიწვია, აქაოდა ავადმყოფებს ყურადღება მოგვაქციესო. ისე ჩაბლაუჭებიან ამ თავიანთ სწეულებებს, თითქოს ფირმაშიც და ცხოვრებაშიც ადგილი სწორედ ამ ავადმყოფობის წყალობით მოეპოვებინათ.

დოქტორი მაქსის აზრით „სექსუალური დაავადება“ თავისებური აღვირახსნილობაა. ამ საკითხზე რებო მუშაობს. მასაც სჯერა, რომ ასეთი დაავადება არ არსებობს (მეც ასე მგონია). რებომ ისიც დაადგინა, ჯანმრთელი და ბედნიერი ახალგაზრდები მხოლოდ ჯიბრით ჩაბმულან საერთო ორომტრიალში და ექიმებთან და აფთიაქებშიც ამიტომ დარბიანო. ბოლოს და ბოლოს, თუ ასე ჩავეძიეთ ყველა დაავადებას, მაშინ მთელი ქალაქის ექიმები ფირმაში უნდა გადმოვიბიროთ. დოქტორმა მაქსმა დაბოლოს აღიარა, დაავადებანი ფირმაში გარდაუვალიაო, მაგრამ მისთვის მთავარი მაინც მისი პიროვნებისა და ფირმისადმი სიყვარულია. რებო კი ცდილობს ექიმებითა და წამლებით და-

აშოშმინოს ეს ხალხი, თუმცა მათი შეხედულებების დაპირისპირებებისას აშკარა ხდება რეზოს (და აგრეთვე მინის), ცოტა არ იყოს, არამტკიცე პოზიცია.

IX

დოქტორი მაქსის სახელის ხსენებაც კი აღარ შემოიძლია, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ იგი ჩემთვის არ არსებობს. პირიქით, არსებობს კი არადა, იმდენად გაიგივებული ვარ მასთან, მის გარეშე საკუთარ თავზე ფიქრიც არ შემოიძლია. გახა მარტო მე, ფირმის თითქმის ყველა თანამშრომელიც ასეა, თავიანთ სატკივარსა და დოქტორ მაქსზე მეტი სალაპარაკო არცა აქვთ. თუმცა ისინი ჩემზე მეტად თავისუფლები არიან. რაღაი დოქტორ მაქსს ყოველგვარი დაავადება აფრთხობს, მე კი არაფერი მჭირს, არაფერი მაწუხებს, პირიქით, ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, დოქტორ მაქსს სულ გვერდით უნდა ვყავდე, მელაპარაკოს, მიყუროს, ისე რომ თავი ვერა და ვერ დამილწევია.

დოქტორი მაქსის სახეს ველარანაირად ველარ აღვიქვამ, სულ დაკარგა რეალური იერი. სხვების თვალში იგი ფულისა და უფლების ცოცხალი განსახიერებაა, რაზეც ყველა ოცნებობს. ყველა ცდილობს მას მიბაძოს, რადგანაც იგი მდიდარია, ძალზე მდიდარი, თუმცა კი, მათი აზრით, ფულის ყადრი არ იცის. მისი ფულები რომ ჰქონდეთ, იცოცხლე, ისინი მოუნახავდნენ ამ ფულებს გზას. ნუ აჭმევ, ნუ ასმევ, ოღონდ კი იმაზე აოცნებე, როგორ დაამღერებდნენ დოქტორი მაქსის ფულებს. მე კი დოქტორ მაქსს ველარც სიმდიდრის სიმბოლოდ აღვიქვამ. იგი ჩემთვის მხოლოდ პატრონია, ჩემი დროის, ჩემი მოქმედების, ჩემი ფიქრების, გრძნობების, მოცალეობის პატრონი და მთელ დროსაც მასთან ვფლანგავ დაუზოგავად. დოქტორი მაქსივით მდიდარი რომ ვიყო, თავადვე ვიქნებოდი პატრონიც და ჩემი დაუძინებელი მოქიშპეც დღენიადაგ ფეხდაფეხ არ მდევდა, მაგრამ ღარიბი ვარ და ვერც ვერასდროს გავმდიდრდები. ამიტომ იძულებული ვარ ყოველ ცისმარე დღე ვითმინო მისი მზერა და ვისმინო მისი დაუსრულებელი ქადაგებები ზნეობაზე. განა გასაკვირია, რომ მისი მოკვლის სურვილი დამებადა? რამდენჯერ მომსვლია თავში ეს აზრი, ზოგჯერ ისეთი სიძულვილი მომერევა ხოლმე, მზადა ვარ ყელში ვწვდე და მივახრჩო. ბოლო წუთებში კი თავს ვიკავებ, ლოგიკასა და გონიერებას თავისი გააქვს. ეტყობა, ეს მაშინ მემართება, როცა დოქტორი მაქსი მეტისმეტი სიცხადით გრძნობს თავის უსაზღვრო უფლებებს. წინააღმდეგ შემთხვევაში განა ასე დამელაპარაკება ან მომექცევა? მაშასადამე, მას აზრადაც არ მოსდის, ასეთ დროს სასწოროზე რომაა მისი სიცოცხლე შეგდებული. ასეთ წუთებში ჩემს თავს ვეუბნები, კი, მაგრამ რისთვის? დავუშვათ ჩავაძალღე, აქვე, ადგილზევე ვწვდი ყელში კბილებით გამძვინვარებული ქოფაკივით! მერე რა იქნება? მთელი ცხოვრება ციხეში გამომაწყვდევენ, დოქტორი მაქსის ადგილს კი სხვა დაიკავებს. მაშასადამე, ამ ჩემს საბედისწერო საქციელს ნაყოფი მაინც არ მოჰყვება, რაც მთავარია, ვერც მე მიხსნის მისგან, იმიტომ, რომ მთელი ჩემი შემდგომი ცხოვრება მისი პირდაპირი გავლენით აეწყობა. კარგად ვიცი, თუ რომ კაცის სულში მხეცმა გაიღვიძა და მკვლელობა ჩაიდინა, იგი ასეთ მსჯელობას არ მოჰყვება. თუ მსჯელობას მოჰყვები, მაშასადამე, შენში

არც მხეცს გაუღვიძია, უამისოდ კი იშვიათად კლავს კაცი კაცს. ამიტომ კვლავ ვაჭერებ თავს, რომ დოქტორი მაქსი მართალია, რომ მდიდარი ყოველთვის მართალია და არც ღარიბი შეიძლება დარჩეს დაუსჯელი. ამიტომ ჩემი მხრივ თვითნებობის ყოველგვარი გამოვლინება არათუ უაზრობა, უზნეობაც იქნება, დოქტორი მაქსი კი, როცა თავის ძალასა და უფლებებს იყენებს, კანონიერად მოქმედებს და ზნეობრივადაც მართალია. ესეც არ იყოს, იგი არავის კლავს, რადგანაც მისი ძალაუფლების იარაღი — სიმდიდრე ამას არა სთხოვს. მისთვის ისიც კმარა, ხალხი ამუშაოს. დოქტორ მაქსს მთელი გულით სძულს ყველა, ვინც მასზე მდიდარია, და მათი მოსპობაც უნდა, მაგრამ ასეთ აუხდენელ მიზნებს იგი არ ისახავს, თავისი ფირმით ისაზღვრება და ფიქრიც არ უნდა იმაზე, რომ არიან ადამიანები, ვინც მის საკუთრებას არ წარმოადგენს და არსებობის უფლებას კი მაინც აცხადებს.

ამავე დროს დოქტორი მაქსი არც ისე ყოვლისშემძლეა, რომ საბაბი ჰქონდეს თავის თავზე და თავის დანიშნულებაზე ესოდენ დიდი წარმოდგენა შეიქმნას. და საკუთარი თავი სხვათა ბედის გამგებლად მიიჩნიოს. სწორედ ეს არის კიდევ ის საბედისწერო წინააღმდეგობა, რაც საფუძვლად უდევს მის ქადაგებას ზნეობაზე; რაც მისი პიროვნების განდიდებას ემსახურება, ყველაფერს სიკეთედ მიიჩნევს, დანარჩენს კი — ბოროტებად. ესეც არ იყოს, რამდენიც არ უნდა იქადაგოს ზნეობაზე, იმსჯელოს სიკეთესა და ბოროტებაზე, მაინც ვერ შესძლებს ყველას კერპი გახდეს, თუმცა კი დღენიადაგ ამაზე ოცნებობს. ეს იმდენად ცხადია, რომ, ჩემი აზრით, მისთვისაც კი აღარ წარმოადგენს საიდუმლოს და თავისი პიროვნების განსაზღვრებად მხოლოდ ძალაუფლების იმედილა აქვს. იგი ასე მსჯელობს: „სჯობია შიშმა მოადრეკინოთ ჩემ წინ თავი, ვიდრე სულ არ მოიდრიკონო“. უნდა ვაღიარო, რომ ნაწილობრივ მაინც მიაღწია წარმატებას — ყველა მასზე ლაპარაკობს და მასზე ფიქრობს.

ხანდახან მეჩვენება, ყველაფერს ხომ არ ვაზვიადებ-მეთქი. იმდენად დამალა დღენიადაგ მის გვერდით ყოფნამ, რომ ყველა ჩემი უბედურების მიზეზად ის მიმაჩნია, თუმცა სინამდვილეში ერთი ჩვეულებრივი კაცუნაა და ყურადღების ღირსი არც არის. მაგრამ რა გინდა რომ ქნა? მერე რა, რომ პატარა კაცუნაა, მერე რა, რომ ფირმა თავისთავად მუშაობს და არა მისი გიჟური აზრებითა და გეგმებით, ძალაუფლება ხომ მის ხელშია. ცხადია, რომელიმე სხვა ფირმის თანამშრომლისთვის დოქტორი მაქსი სხვა არა არის რა, თუ არ უბრალო შემხვედრი, მწერს რომ წააგავს და ზიზღის მეტს არაფერს იწვევს. ჩემთვის კი იგი არის დოქტორი მაქსი, ანუ ჩემი ცხოვრების ღერძი, ვის გარშემოც ტრიალებს მთელი ჩემი ფიქრები და აზრები დღენიადაგ.

შურისგების ბავშვურ გეგმებს თავიდან მაინც ვერ ვიცვილებ. მინდა ისე მოვკლა, რომ არავინ გამიგოს. ჰოი, რა დიდებული რამ იქნება! ციანმჟავას მარილის კრისტალებიც კი ვიშოვე და ასპირინის შუშაში ჩავყარე. ჩემი სკოლის მეგობარი დიდ ქიმიურ ფირმაში მუშაობს და ერთ დღეს ლაბორატორიის დავალიერების საბაბით ვეწვიე. მან ციანმჟავას მარილი მაჩვენა და იმავე წუთს გავიდა დასარეკად, რომ ყავა დაეკვეთა. მეც ვიხელთე დრო, მოვეფარე ბოთლს, ამოვიღე ერთი მწიკვი მარილი და ჯიბეში ჩავიდე (ჩემს ცხოვრებაში

პირველად ვიქტორდე კაცმა). თუ გამჟღავნდებოდა, ბოდიშს მოვიხდიდი და ვეტყუდი, ჩემთვის მინდოდა-მეთქი. მაგრამ ვერაფერი გაიგო. დავლიეთ ყავა, დავემშვიდობე და აღვუთქვი, კვლავაც გინახულებ-მეთქი. გზად სულმა წამძლია და თითით გავსრისე ერთი კრისტალი, რომ გემო გამესინჯა, მაგრამ შემეშინდა და თავი შევიკავე. მივედი სახლში, ფრთხილად ამოვიღე ჯიბიდან, თეთრი ქაღალდის ფურცელზე დავყარე და შუქზე გამადიდებელი შუშით კარგად დავათვალიერე (კრისტალები ძვირფას სველ ქვებს წააგავდა), მერე ასპირინის ბოთლში ჩავყარე და მაგრად დავხუფე. ერთხელ ვიფიქრე, ამ საქმეში ლოტარიც კი შემიძლია გამოვიყენო-მეთქი; მაშასადამე, ლოტარი კვლავ იარაღად წარმოვიდგინე. იგი ყოველდღე შედიოდა დოქტორი მაქსის კაბინეტში და ნემსს უკეთებდა. ჩვეულებრივად ორ ამბულას ურევდა ხოლმე ერთმანეთში. როცა მე მიკეთებდა ნემსს, შევამჩნიე, ვიტამინის პატარა ამბულა ბოთლს წააგავდა. ამ ვიტამინის სახელიც ვიცოდი და ფაბრიკის მარკაც. ვიფიქრე, ვიციდი ერთ ასეთ შუშას და შევუცვლი-მეთქი. მაშინ ციანმუჟას მარლისაგან თეთრი, გამჭვირვალე ხსნარი უნდა გამომეყვანა და როგორც კი დროს ვიხელთებდი, შემეცვალა. არც ეს გამიჭირდებოდა, რადგანაც მე და ლოტარს შორის ნდობა დამყარდა. როცა იგი ფანჯრის გასაღებად მიტრიალდებოდა, მაშინ შევაპარებდი. დიდხანს ვიფიქრე და დავასკვენი, რომ ყველა ცდა ამოიქნებოდა. რასაკვირველია, ეჭვს პირველად ლოტარზე მიიტანდნენ, მით უმეტეს, რომ მას ნათქვამი ჰქონდა, ვინც ჩემს ადგილს დაიჭერს, მოვკლავო. ამის გარდა, ლოტარი ძალიან ეჭვიანია და სულ უბრალო რამ სწყინს (ამას ყველა ამჩნევს და იმასაც ხვდებიან, რომ მისი გუნებ-განწყობა უშუალოდ დამოკიდებულია დოქტორი მაქსის გუნებ-განწყობაზე). ადვილი შესაძლებელია შურისგებაზეც ეფიქრათ. ჩემზე ეჭვს ვერავინ აიღებდა, მაგრამ ნუთუ შიში არ მომერეოდა და ჩემივე პირით არ დავფქვავდი ყველაფერს? მერე ვიფიქრე, მესამე პირი სულ არ მჭირდება, მარტო ვიმოქმედებ-მეთქი. მოკლედ, სულ ახალ-ახალი აზრები მომდიოდა თავში, წარმოსახვა უფრო და უფრო შლიდა ფრთებს. ბოლოს ციანმუჟაზე ფიქრს მოვეშვი და გადავწყვიტე სხვა უფრო სწრაფი და პირდაპირი საშუალება გამომენახა. პირდაპირი და სწრაფი საშუალება კი დანა იქნებოდა. ერთ მშვენიერ საღამოს ქუჩაში დაველოდები, დამინახავს და მანქანას გამიჩერებს, ეჭვიც კი არ გაჰყრავს. როგორც კი მანქანაში ჩავჯდები, მაშინვე დავარტყამ დანას გულში. მერე მინდორში გავვარდები, ვინ რას გაიგებს! ეს სურათი სრულიად აუღელვებლად წარმოვიდგინე და დავასკვენი, ასევე აუღელვებლად განვახორციელებ-მეთქი. თვალწინ დამიდგა სურათი, როგორ ვჯდები მანქანაში, მარჯვენა ხელით ვიღებ დანას (გონების თვალთ დანაც კი დავინახე, როგორი იყო) და დოქტორ მაქსს დავაძგერებ. ისე ცოცხლად წარმომიდგა ეს სურათი, რომ ისიც კი ვიგრძენი, როგორ გამიძალიანდა, ისიც, როგორ შევიდა დანის ბასრი წვერი ნეკნებშუა. დავინახე დოქტორი მაქსის გაოცებული პირისახეც. შეიძლება მოესწრო და ასეც ეთქვა: „ახლა მე შენზე უფრო ძლიერი ვარ, მაშასადამე, უფრო ზნეობრივიც“. ეს კი უფრო გამაშმაგებდა. მართლა, უნდა გავფრთხილდე, რომ სისხლით არ დავისვარო, ამიტომ გამოსაცვლელად სხვა ტანისამოსს წავიღებ, სისხლიანს კი ტყეში გადავმაღავ ან მოვსპობ. მაგრამ ვაითუ ვინმემ დამინახა, ან თვითონ დოქტორმა მაქსმა მოასწრო და განგაში ატეხა! ყველაზე უარესი ის იქნება, თუ ზამთრის ბურუსში სულაც ვერ შემამჩნია და მანქანა არ გამიჩერა. ბუნებ-

რივია, საათსა და პორტფელსაც გავიტაცებ, მკვლელობა ხომ მეტწილად გა-
ძარცვის მიზნით ხდება. მერე ერთი წამით მივაყურადებ, — ხომ არ სუნთქავს,
არ ხროტინებს ან ზნეობაზე ხომ არ ბუტბუტებს-მეთქი. რა ფულებს დავე-
შვიდობება ეგ ყეყეჩი, ეგ ძაღლის რჯულისა! მერე მინდორში გავვარდები,
ქალაქს გავეცლები; გონება მინათდება, ზურგს უკან რჩება ქალაქის თავზე
ამაღლებული ვეება ასოებისგან გამოკვეთილი წარწერა: „ტორნადო“. აჰა,
უკვე ტრამვაიშიც ვზივარ, მერე ტროლეიბუსში. აი, კიბეზეც ავირბინე, უკვე
სახლში ვარ.

სწორედ ამ წუთში დარეკა ტელეფონმა.

— ყეყეჩო, რას აკეთებ? გძინავს?

ეს დოქტორი მაქსი გახლდათ!

X

პიპომ თავი მოიწამლა. გუშინ სადგურის სასტუმროს ოთახში ჩაკეტილა
და ბლომად დაუღევია ძილის წამალი. რატომ მაინცდამაინც სადგურის სას-
ტუმროში მოიკლა თავი, არავინ იცის. შეიძლება სადმე აპირებდა წასვლას,
მერე კი დოქტორი მაქსის სიტყვები გაახსენდა: „ზედს ვერსად გაექცევიო“,
და განზრახვაცა და გეზიც შეიცვალა.

ამ დილას ჩინციას სანახვად წავედი, იქნება რამე დახმარება გავუწიო-
მეთქი. კარგიც ვქენი, რომ წავედი, რადგან ჩინციას სულ დაკარგოდა თვა-
ლის ჩინი და ბრმასავით დაბორიალებდა. დედა ჩვეულებისამებრ იწვა, ბავ-
შვი კი მოუსვენრად დაფრატუნობდა კედელ-კედელ. ჩინციას ვკითხე, სათვალე
რა უყო-მეთქი. ვეძებე-ვეძებე და ბოლოს მოხუცის საწოლქვეშ მივაგენი. გო-
გომ მაშინვე ხელიდან გამომგლიჯა და გაიკეთა; სიფრთხილეს მიჩვეულმა
ირგვლივ მიიხედ-მოიხედა, დაინახა, დედა სამზარეულოში რომ იჯდა და ტირო-
და, ფრთხილად მიუახლოვდა, პირისახეზე სათვალეებით მიეკრა და ალერსით
უთხრა:

— ნუ ტირი, ჩინცია, აი, ნახე, სათვალე ვიპოვე!

საძინებელში შევედი. საწოლზე შარვლისა და მაისურის ამარა, უპიჯაოდ
და უპერანგოდ ესვენა პიპო, მაისურა ძალზე გაჭუჭყიანებოდა, ოთახშიც რა-
ღაც მომეჩავო სუნი იდგა; მაშინვე ფანჯარა გავაღე. სანამ გავხდიდი, გავბანდი
და კვლავ ჩავაცმევდი, დიდხანს ვუყურებდი. მიცვალებულზე ხშირად ამბობენ,
ილიმებაო. პიპოც ილიმებოდა, ჩვეული დონდლო ღიმილი შეჰყინოდა პირზე,
ტუჩის კუთხეები ლამის ნიკაპამდე დაშვებოდა ნაოჭებად. ვიფიქრე, ჩემი წი-
ნასწარმეტყველება გამართლდა-მეთქი, მაგრამ ცოტა უფრო ადრე, ვიდრე ვვა-
რაუდობდი. მართალი აღმოვჩნდი. ეს ჯერ კიდევ იმ საღამოს მიგრძნო გულმა,
როცა ისე დაუზოგავად სცემა ძაღლი, მერე კი რატომღაც აღარ გამჩსენებია.
ძაღლი კუთხეში, ძველ საბანზე იწვა, სამი ფეხი თაბაშირში ედო, გვერდით
ორი ჯამი მიედგათ, ერთი საჭმლის, მეორე წყლისა — ორივე ცარიელი იყო.
ძაღლი წყნარად იწვა და ბებრულად, მძიმედ სუნთქავდა. ფანჯარა რომ გავაღე
და ბუზები შემოფრინდნენ, მაშინვე მათკენ გაექცა ყურადღება, მაგრამ გან-
ძრევის თავი არ ჰქონდა.

პიპოს გაბანასა და ჩაცმას რომ მოვრჩი, ჩინცია შემოვიდა და მთხოვა,

ბავშვი გაართეო. სამზარეულოში შევედი. ჩინციას ხმა გარკვევით მესმოდა, მშვიდი, დაბალი ხმით ელაპარაკებოდა მიცვალებულს, გეგონებოდა, ხმამაღლა მსჯელობსო: „აბა, ახლა რაღა ვქნათ? ხომ იცი, რომ ჯანმრთელობა არ მივარ-გა, მთელი დღე სამსახურში ვარ; ისიც იცი, რომ ბავშვს მხედველობა სუსტი აქვს და გახანგრძლივებულ საბავშვო ბაღში ვერ დავტოვებ. დედა საწოლზეა მიჯაჭვული. მითხარი, რა ვიღონო, მოსამსახურე ავიყვანო? განა ერთხელ და ორჯერ დავვიანგარიშებია ჩვენი შემოსავალ-გასავალი? ხომ იცი, ძლივძლივობით გაგვაქვს თავი. ახლა კი აღარც შენი იმედი მექნება. მირჩიე, როგორ მოვიქცე, მირჩიე“. ეს სიტყვები აშკარად გავიგონე, მერე ფეხის ხმა მომესმა, ჩინცია ოთახში დადიოდა, კარადა გამოაღო, პირსახოცი გამოიღო და სააბაზანოში გავიდა. წყლის შხაპუნიც მომესმა, სააბაზანოდან ისევ საწოლ ოთახში შევიდა. იქ თითქმის ერთი საათი დაჰყო; ხან ბუტბუტებდა, ხან მიჩუმდებოდა.

ბავშვი წყნარად მეჯდა მუხლებზე და ქალების ჟურნალს ფურცლავდა. მერე საბავშვო სურათებიანი წიგნი აიღო.

ცოტა ხნის შემდეგ პლუტო და ფაბრიციაც დაბრუნდნენ — დაკრძალვის საქმეზე იყვნენ წასული. მალე დამმარხავი სააგენტოს ფორანიც მოვიდა. პიპო კერძო სამლოცველოში გადასვენეს, კვლავ გამოუცვალეს ტანისამოსი, შავი კოსტუმით შემოსეს და ისევ კუბოში ჩაასვენეს. სამლოცველო სასტუმრო ოთახს მოგაგონებდათ, რუხი ფერის ტახტებითა და სავარძლებით მოეწყოთ. მალე ფირმის თანამშრომლები მოვიდნენ, მათ შორის რებოც იყო.

დღის ბოლოს სიცხისაგან ჩახუთულ ქუჩაში გავედით და სასაფლაოსკენ გავემართეთ. ბავშვიც თან წამოიყვანეს. ფაბრიციას უნდოდა თავის ბავშვებთან ერთად შინ გაეგზავნა, მაგრამ ჩინციამ დაიჩემა, დარჩესო. გოგონას თეთრი კაბა ეცვა და გულზე შავი დოლბანდის ყვავილი ეკეთა. წყნარად იდგა. ჩინციასავით გარკვევით და სწორად ელაპარაკებდა, კითხვებზე აზრიანად პასუხობდა, თავს მწუხარედ აქნევდა. უეცრად ვიგრძენი, რომ პიჯაკის კალთაზე მეწეოდა. დავიხარე, სათვალე რომ სახესთან მომიტანა, მაშინდა მიცნო, გამიღიმა და თქვა:

— რა სამწუხაროა, მამა რომ გარდაიცვალა, რამდენი საზრუნავი გაგვიჩინა!

დიახ, სწორედ ასე თქვა. ან არ ესმოდა, რას ამბობდა, ან დედის თუ პლუტოს სიტყვებს იმეორებდა. სასაფლაოდან შებინდებისას დავბრუნდით. პლუტო მაშინვე შინისკენ გაეშურა, სამწვერა ნერვის ტკივილმა წამოუარა და უნდა დაწოლილიყო; ფაბრიცია კი ჩინციასთან დარჩა.

შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ პიპოს დასაფლავების დღე, ყველა სხვა დღესთან შედარებით, უფრო რეალური მეჩვენა. მანამდე ასეთივე სინამდვილის გრძნობა მხოლოდ ერთხელ, დოქტორ სატურნოსთან შეხვედრის დროს განვიცადე. მაშინაც დოქტორ სატურნოს თვალებსა თუ სიტყვებში ისეთი რამ ამოვიკითხე, მივხვდი, დიდი დღე არ ეწერა. ახლაც ისევ სიკვდილმა განმაცდევინა სინამდვილის ეს შეგრძნება. უეცრად აზრმა გამკრა, რომ ეს დამთხვევა შემთხვევითი არ იყო. მაშასადამე, უნდა ვიფიქრო, რომ ამქვეყნად არსებული ერთადერთი სინამდვილე სიკვდილია! მაშ ყველაფერი დანარჩენი რა-ღაა?!

ამ დილას ისევ გამომეცხადა სელები, — როგორც იცის, ქუთუბულად შე-
მოიპარა ოთახში, დამანახა თავისი დიდებული მკერდი, ისეთი, ამერიკული
კალენდრის ყდაზე რომ ხატავენ ხოლმე, და მამცნო, რეზოს თქვენი ნახვა
სურსო. ავედი ახალი შენობის ბოლო სართულზე, ფირმის გამგეობის უზარ-
მაზარ საკონფერენციო დარბაზში. მომწვანო-მოცისფრო შუშების იმედით
ფარდები არ ჩამოუფარებიათ, მზის სხივები კი ოთხივე მხრიდან ეძალევა და
თვალისმომჭრელი სინათლე დგას. თანაც სხივები ალუმინის იატაკიდანაც
ირეკლება, მტვრის ოქროსფერ ბუღში ატანს და ჭერს წვდება. ამ შუქის გამო
შუშა შავი ჩანს და კედლის მიღმა — მზის დისკოც. რეზო სავარძელში იჯდა,
თეთრი მარმარილოს მაგიდის წინ, და მელოდა. დიდი შავი სათვალე ეკეთა.
სათვალის ბრალი იყო თუ დარბაზის სიდიდისა, თავისი დიდებულებით ტა-
ძარს რომ მოგაგონებდათ და ამავე დროს სამარის იერი დაჰკრავდა, ისე მო-
მეჩვენა, რეზო ბუზსა ჰგავდა. ლიფტის კარი მიიხურა და პირდაპირ მისკენ
გავემართე. მან გამიღიმა, ხელი ჩამომართვა და სკამი შემომთავაზა.

— უპირველეს ყოვლისა, მაპატიეთ, რომ აქ ამოგიყვანეთ, მაგრამ მო-
გეხსენებათ, საკუთარი კაბინეტი არა მაქვს და ვიფიქრე, აქ შედარებით მეტი
მყუდროება იქნება-მეთქი. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვთ?

— არა, — ვუპასუხე მე, — მით უმეტეს, რომ ეს დარბაზი ჯერ არ მი-
ნახავს.

— რას ბრძანებთ? ჩინებული დარბაზია. არქიტექტურის თავისებური შე-
დეგია, თუმცა მეტისმეტად ნათელი კია. თუ ვიგულისხმებთ, რომ არქიტექ-
ტორის ჩანაფიქრის მიხედვით ეს უნდა იყოს ნათელი აზრისა ანდა, როგორც
თვითონ ბრძანებს, უმაღლესი მათემატიკის სიმბოლო, მაშინ დიდებულია! —
რეზომ გაიცინა, მისი სიცილიც მჟღერი და სიმეტრიული იყო.

— როგორ ცხოვრობთ? კარგად?

— ძალიან კარგად, გმადლობთ.

რეზო დადუმდა, მაგრამ ისევ ისე მიყურებდა და იღიმებოდა ნახევრად
სანდო, ნახევრად უნდო ღიმილით, თითქოს მეუბნებოდა, ჩემთან შეგიძლიათ
გულახდილი იყოთ, აქ ამისთვის გიხმეთო. მერე თქვა:

— მე კი მომეჩვენა, რომ კარგად ვერა გრძნობთ თავს, ანდა რაღაც გა-
წუხებთ.

— არა, რას ბრძანებთ, — ვუპასუხე და მეც კარგა ხნით დავდუმდი. ამას
კი რეზო არასგზით არ ელოდა. შავ სათვალეში ვერაფერს გამჩნევდი, მაგრამ
როცა დაინახა, ღუმილში დიდი დრო გადისო, ხელით რაღაც მანიშნა, თითქოს
სალაპარაკოდ მიწვევსო.

— მართლა კარგად ვგრძნობ თავს. — დავუდასტურე ღიმილით.

რეზოს, ეტყობა, საქციელი წაუხდა, ჩემმა პასუხმა დააზნია.

— რაკი ასეა, მოხარული ვარ. მაშინ ჩავთვალეთ, რომ ჩვენი საუბარიც
ამოწურულია, მეტი არაფერი მაქვს სათქმელი. მაგრამ იცოდეთ, ზოგჯერ კაცი
ფიქრობს, ყველაფერი რიგზე მაქვსო, სინამდვილეში კი ასე არაა. ხომ იცით,
გარედან უკეთ ჩანს.

— როგორ, თქვენ გგონიათ, რამე მაწუხებს? ცუდად ვგრძნობ თავს?

— არა, არა, ღვთის გულისათვის, ნუ შეშინდებით, მეც ვხედავ, რომ მშვენივრად გამოიყურებით და ვგონებ, არც ჯანმრთელობას უნდა უჩიოდეთ. მაგრამ გულახდილად რომ ვთქვათ, რაღაც გუნებაზე არ უნდა იყოთ. ასე ახალგაზრდას ასეთი თანამდებობა ეჭიროს, დოქტორი მაქსი მფარველობას უწევდეს და იმის მაგივრად, სახეგაბრწყინებული დადიოდეს, ცხვირ-პირი ჩამოსტირის! ასე არ არის?

„ასეთი თანამდებობაო“! მაინც როგორი თანამდებობა? რა თანამდებობაზე მელაპარაკება? მე უბრალოდ ვუბასუხე, არაფერს ვუჩივი-მეთქი. რებომ კი თავისი აბრეშუმის კოსტუმი ააშრილა, ფეხი ფეხზე გადაიდო, ერთი ხელი მუხლზე ააცაცუნა და განაგრძო:

— დაე, ასე იყოს, მაგრამ ერთი რამ მაინც გაითვალისწინეთ. ის, რის თაობაზეც მინდა გესაუბროთ, თქვენთვის შეიძლება ახალი არ არის, მაგრამ დიდად მნიშვნელოვანი კია. ეს გახლავთ მხიარულება.

— მხიარულება?

— დიახ, მხიარულება, რამ შეგაშინათ?

— არ შემშინებია!

— აი ყოჩაღ! მე შეგამჩნიეთ, რომ მხიარული არა ხართ. მოგეხსენებათ კია, რომ ყველა ცოცხალი არსება, დაწყებული სულ პატარა მცენარით და დამთავრებული ადამიანით, თუ ჯანმრთელად და მხნედ არის, ცხოვრებით ტკობას მხიარულებით გამოხატავს! მცენარეებსა და ცხოველებს მხიარულებას თვით არსებობა ანიჭებთ, ადამიანს კი შრომა. მაგალითისთვის ავიღოთ ჩვენი ფირმის მუშა-მოსამსახურეები. როგორ გგონიათ, მხიარულები არიან ისინი თუ სევდიანები?

— სწორე გითხრათ, ყველას არ ვიცნობ...

— ვისაც იცნობთ, იმათზე შიშობართ.

— იმათზე, ვისაც ვიცნობ, ვერაფერს ვიტყვი...

— თქვით, თქვით, ნუ გერიდებათ! როგორ ფიქრობთ, მხიარულები არიან თუ არა?

— ზოგიერთები ხშირად ავადმყოფობენ...

— ავადმყოფობას მოვეშვათ. თავადაც კარგად მოგეხსენებათ, ავადმყოფობა ხშირად ეჩვენება ადამიანს. ამიტომ სჯობს ჩემს კითხვაზე მიპასუხოთ! — შემაწყვეტინა განაწყენებულმა რებომ.

„რას ჩამაცივდა? — აღვმოფოთდი გულში, — ესეც დოქტორი მაქსი გამიხდა? რა ვუბასუხო?“

— მართალი გითხრათ, არ ვიცი, ჩემი აზრით, მხიარულების ხარისხი ხელფასით განისაზღვრება.

— სამართლიანი შენიშვნაა. თქვენი აზრით, მხიარულება დამოკიდებულია ხელფასზე ანუ ფულზე, არა? ერთი სიტყვით, ფული ყველაფერია, მხიარულების წყარო მხოლოდ ფულია, ასეა ჩომ?

— დიახ, მე ასე მგონია.

— კეთილი, ახლა ერთი წუთით დამიგდეთ ყური! ფული დამოკიდებულია სამუშაოზე, ასე არ არის? მაშასადამე, მხიარულების წყარო შრომაა? როგორ გგონიათ, ფული რომ გაურჯელად მოსდიოდეთ, მაშინაც მხიარულები იქნებოდნენ?

— ალბათ კი.

— ჩინებულია! იქნება ისიც დავამტკიცოთ, რომ ადამიანის მხიარულება იმ ფულის რაოდენობაზეა დამოკიდებული, რაც მას გააჩნია? მაშასადამე, თუ კაცზე მისი ფულების რაოდენობის მიხედვით ვიმსჯელებთ, მაშინ გამოდის, რომ ვინც ასი ათასს იღებს, ნაკლებ მხიარულია იმაზე, ვინც ხუთას ათასს იღებს, არა?

— ბუნებრივია!

— იცით, რატომაა ასე? იმიტომ, რომ ადამიანს ყოველთვის იმაზე მეტი უნდა, რაც გააჩნია. მაგალითად, თუ კაცს თვეში ასი ათასი აქვს, უნდა ხუთასი ათასი ჰქონდეს და ასე შემდეგ. მაშასადამე, მხიარულება ფულით არ შეიძლება გაიზომოს. აჰა, ხომ გაებით!

რებომ კმაყოფილებით გაიცინა, თუმცა მე მაინც ვერ მივხვდი, ამით რა დამისაბუთა.

— კეთილი, მაგრამ ჯერ დასკვნა გამოვიტანოთ: მხიარულების წყარო ფული კი არა, შრომა ყოფილა; შრომით კი ყველა ერთნაირად შრომობს, ისიც, ვინც ასი ათასს იღებს და ისიც, ვინც ხუთასი ათასს.

— და მაინც ყველას სხვადასხვა ხელფასი აქვს...

— ჯერ ამ ხელფასებსაც მოვეშვათ და მხოლოდ სამუშაოზე ვიფიქროთ. განა შრომა არ არის მხიარულების წყარო? ჰო თუ არა?

— არა, მხიარულების წყარო ფულია.

— ცდებით, ახლა არ დავამტკიცებთ, რომ მხიარულების წყარო შრომაა? ასეა თუ არა? დაფიქრდით და ისე მიპასუხეთ. შრომა თუ ფული?

— ფული.

— კეთილი, დაე, ასე იყოს. მაშინ მითხარით, ფულს რა დანიშნულება აქვს? რომ დაიხარჯოს, არა?

— დიახ, რომ დაიხარჯოს!

— აბა, იმ დასკვნამდე მივედით, რომ ფული უნდა დაიხარჯოს. ჩინებულია.

რებომ თავი დახარა და შუბლზე დიდი და საჩვენებელი თითები შემოიწყო, ჩაფიქრდა, თან თავისთვის ბუტბუტებდა:

— დავუშვათ, რომ მხიარულების წყარო ფულია. არა, არა, პირიქით, მხიარულების წყარო შრომაა, შრომა გვაძლევს ფულს, ფული კი უნდა დაიხარჯოს. არა, კარგად უნდა გავარკვიოთ... ჰო, აი, რა მიზნობა შეთქვა... ფული უნდა დაიხარჯოს, ხოლო შრომა, რაიც წარმოადგენს მხიარულების წყაროს... არა, რაღაც ასე არ არის...

რებო გაჩუმდა და ახლა თითების ქნევას მოჰყვა, თითქოს ანგარიშობს, როგორ დააღაგოს სათქმელი. დრო გადიოდა. მივხვდი, რებო ღელავდა, თუმცა გარეგნულად სრულიად დამშვიდებული ჩანდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— ერთი სიტყვით, მე თქვენთვის მიზნობა შეთქვა, მხიარული არა ხართ. შეთქი. ასეა თუ არა?

— არ ვიცი, არა მგონია.

— რატომ არ იცით? მაშ ვინ უნდა იცოდეს! მე მგონია, რომ თქვენ მხიარული არა ხართ.

— შეიძლება არა ვარ.

— მაშასადამე, რაღაც გაწუხებთ.

— არა მგონია, თავს მშვენივრად ვგრძნობ.

— ჩვენ ხომ ეს-ეს არის დავადგინეთ, რომ ცოცხალი და ჯანმრთელი არ-სებანი მხიარულებიც უნდა იყვნენ? ასე უხალისოდ რატომ მპასუხობთ? ეს საუბარი მე იმდენადვე მჭირდება, რამდენადაც თქვენ.

— რა გიპასუხობთ? თავს მშვენივრად ვგრძნობ, რაც შეეხება მხიარულე-ბას, იქნებ სულაც არ გამაჩნია ეს თვისება!

— მაშინ მითხარით, რატომ არა ხართ მხიარული?

— არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცით? ეს აღარ გამიგია! აბა, აბა, დაფიქრდით, რაღაც მიზეზი ხომ უნდა იყოს. იქნება მიზეზი მცირე ხელფასია. მაგრამ მე და თქვენ ხომ დავადგინეთ, რომ მხიარულების წყარო ფული კი არა, შრომაა. იქნება სამუშაო არ მოგწონთ? პირდაპირ თქვით, დაფიქრდით და ისე თქვით!

რას შემომიჩნდა! მოდი და უთხარი, რატომ არ ვარ მხიარული! კიდევ რომ ბრაზობს!..

— ეტყობა, ბუნებით არა ვარ მხიარული!

— შეუძლებელია, ესეც დავადგინეთ. მაშასადამე, ავად ხართ. თუმცა, არა, ისიც ვიცი, რომ ავადმყოფობა, აღამიანს ეჩვენება, — დინჯად წარმო-თქვა მან, თითქოს კვლავ ხმამაღლა ფიქრობსო, — უკაცრავად, განაგრძეთ!

— ჩემი სამუშაო, თუ შეიძლება ამას სამუშაო ეწოდოს, კარგად მიდის, ცოტას კი ვიღებ, მაგრამ დოქტორი მაქსი დამპირდა, მოგიმატებო. ასე რომ ვერ გეტყვით, რატომ არა ვარ მხიარული, — ვთქვი მე.

რეზო ადგა და ხელები გაასავსავა.

— არა, ასე მუშაობა შეუძლებელია, ასე ვერაფერს გავხდები. წესრიგა დაამყარეო — ადვილი სათქმელია. წესრიგი როგორ დავამყარო, როცა კო-თხეებზე არ მპასუხობენ, მაზნევენ, ტყუილს მეუბნებიან და ფულსა და შრო-მასაც ერთმანეთში ურევენ. განა ასე შეიძლება? ჩემიც ხომ უნდა გაიგოთ! თქვენ მაინც მითხარით, გეთაყვა, როგორ მოვიქცე?!

— როგორ მოიქცეთ?

— მასხრად ხომ არ მიგდებთ, ბარემ პირდაპირ მითხარით და მორჩა, — თქვა რეზომ. მერე დაჯდა და ისევ დაანდო შუბლი დიდსა და საჩვენებელ თითს. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა.

— მართალს მოგახსენებთ, მასხრად აგდება რა საკადრისია, — მოწიწე-ბით ვცადე ამეხსნა, — თქვენ მკითხეთ, მხიარული ვარ თუ არა, მე გიპასუხეთ, არ ვიცი-მეთქი, თქვენ მითხარით, მოწყენილი ხარო, მე გიპასუხეთ, შეიძლება ვარ-მეთქი, ვერ გამიგია, მეტი რა გინდათ ჩემგან. მკითხეთ და გიპასუხებთ.

— ეჰ, მე თავადაც აღარ ვიცი... — თქვა რეზომ და თავი ასწია, — ერთი წუთით კიდევ მოიცადეთ, თუ არ გეჩქარებათ.

— დიახ, დიახ, დავიცდი! — ვუპასუხე მე.

— მაშ ასე, ვეცდები, უფრო გასაგებად გითხრათ. ცოლს რატომ არ ირთავთ? — ცოტა ხნის დუმილის შემდეგ მკითხა რეზომ, — თქვენი პირადი საქმიდან ვიცი, რომ უკვე ოცდაორი წლისა ხართ, ცოლს კი არ ირთავთ. სა-ცოლე მაინც გყავთ? ქალებთან დადიხართ?

— არა, საცოლე არა მყავს. ადრე მყავდა, ახლა აღარა მყავს. ქალებთან დავდივარ, ცოლის შერთვას კი ჯერ არ ვაპირებ! — სხაპასუხობით მივაყარე ამ იმედით, ჩემი დაკითხვა დასასრულს უახლოვდება-მეთქი. მაგრამ ჩემდა გა-

საოცრად, რეზოს პირისახე ღიმილმა გაუნათა, თავი ასწია და ხელები გაშალა.

— ოჰო, ძლივს არ აგალაპარაკეთ! ახლა ეს მითხარით, ქალებთან რას აკეთებთ?

— იმას, რასაც სხვები.

— მაინც რას, მითხარით!

— სქესობრივ ურთიერთობას ვამყარებ.

— ჩინებულა, მაგრამ მაინც რანაირ სქესობრივ ურთიერთობას ამყარებთ?

— ისეთს, როგორსაც ყველა.

— სისულელეა. თქვენ ალბათ მაინც თქვენებურად იქცევით!

— რასაკვირველია.

— აბა მითხარით, როგორ!

— ჩემებურად.

— მაინც?... კარგით, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. მაშასადამე, დავდგინეთ, რომ სქესობრივი ურთიერთობები გქონიათ, ცოლი არა გყავთ, დანიშნული იყავით, ამჟამად კი არც დანიშნული გყავთ და არც ცოლის შერთვას აპირებთ. მაშ დავიწყეთ თავიდან. რატომ არა გყავთ ცოლი?

— არა მყავს იმიტომ, რომ არა მყავს.

— გთხოვთ თავაზიანად მიპასუხოთ! ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ სამუშაოებაზე ვართ. რასაკვირველია, თქვენთვის ეს ამბები...

— ცოლი იმიტომ არა მყავს, რომ აქამდე შესაფერისი ქალი არ შემხვედრია.

— დანიშნული ხომ იყავით!

— ვიყავი.

— ნიშნობა რატომ ჩაიშალა?

— დავშორდით ერთმანეთს და იმიტომ.

— რატომ დაშორდით?

— იმიტომ, რომ არ მიყვარდა. ამას გარდა, მინდოდა მხოლოდ სამუშაოს გადგეგმულიყავი მთელი არსებით, პირველ წლებში მაინც...

— ჩინებულა, ყოჩაღ! საცოლესთან თუ გქონდათ სიახლოვე?

— არა.

— რატომ? ფიზიკურად არ გიზიდავთ?

— მიზიდავდა, მაგრამ სიახლოვე არა მქონია. ჩვენ ორივე ისე გაგვზარდეს, ამას ქორწინებამდე ვერ გავბედავდით.

— საქმეც ეგ არის. ახლა ხომ გაქვთ ქალებთან ურთიერთობა?

— დიახ.

— ცოლის შერთვას კი მაინც არ აპირებთ.

— არა.

— დოქტორ ურადას იცნობთ?

— ვკითხე, დოქტორი ურადა რაღა შუაშია-მეთქი.

— სწორედაც რომ შუაშია! — მიპაუხა რებომ და თითქმის წრე შემოხაზა, თითქმის საქმე დამში მოიყვანაო.

— იცნობთ?

— დიახ, ვიცნობ.

— ჰოდა, დოქტორ ურადას ძალზე ასიამოვნებთ, თუ ნაშუადღევს ოთხ

საათზე ბავშვთა აღმზრდელობით ცენტრში გაჰყვებით. დღეს იქ ქალბატონები იკრიბებიან და თან სკოლის დათვალეობაც მოეწყობა. დრო გაქვთ?

— დიახ, — მივუგე მე.

— ძალიან კარგი, დღეისთვის კმარა, — თქვა რებომ, — მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის და წარმატებას გისურვებთ. ლიფტით ხომ არ ჩავიდეთ?

რა წარმატებას მისურვებს? ან რაში მოეხსიათა ჩემი წარმატება? ჩვენ ერთად ჩავედით ლიფტით. სელენე ჩემს კაბინეტში მიცდიდა. ამჯერად ბოლომდე ჩაიხსნა ხალათი და წამიერად თავისი მზით გარუჯული, მშვენიერი სხეული დამანახა.

ოთხ საათზე ლოტარმა შემახსენა, ქვევით რომ უნდა ჩავსულიყავი. დოქტორი ურადამ შავ მანქანაში იჯდა და მიცდიდა. მომესალმა და აბულულებული თავი გარეთ გამოჰყო. მე ლოტარის გვერდით დავჯექი.

— რარიგ მიხარია, რომ მოდიხართ! — წამოიძახა ღიმილით დოქტორმა ურადამ, — მაგრამ იცით კი, სად მივდივართ?

— რებომ მითხრა რაღაც, მაგრამ მართალი გითხრათ, ვერ გავიგე.

— გაიგებთ, სულ მალე გაიგებთ, — წაიღილინა მან და მუხლებზე გაშლილ საქალაქდევში ჩარგო თავი.

მანქანა ნელა მიდიოდა. მზარავდა ლოტარის გვერდით ჯდომა, იმიტომ, რომ ამ კაცმა რამდენიმე თვე ასე მაწამა და მტანჯა. ვაკვირდებოდი, როგორ მიჰყავდა მანქანა. მთელი გულისყურით, ვნებიანად ეჭირა საჭე. ქალაქს გავცდით, უკაცრიელ გზატკეცილზე გავედით და მანქანაც ისარივით გაქანდა. მალე მარჯვნივ შევუხვით. გზა თეთრი ხრეშით იყო მოკირწყლული და ინგლისურ ყაიდაზე დაბლა შეკრეჭილ მდელოებს მიჰყვებოდა. ალაყაფში შევედით და უეცრად აღვმოჩნდით უზარმაზარი ლარიქსებითა და კედრებით შემორავულ მზესუმზირებით სავსე ბაღში. ხეებს შორის რამდენიმე კუბური შუშის პავილიონი ბრჭყვიალებდა (ეტყობა, იმავე არქიტექტორს აეგო, ფირმის ახალი შენობა რომ ააშენა). მანქანა ერთ-ერთ პავილიონთან შეჩერდა. იქიდან ხმამაღალი შეძახილებითა და ხელების ქნევით ქალების მთელი ჯგრო გამოცვივდა.

— გაუმარჯოს ჩვენს დამაარსებელს, გაუმარჯოს, გაუმარჯოს! — ერთხმად შესძახეს მათ. ერთ-ერთი ქალი ყვავილების დიდი თაიგულით მანქანასთან მოიჭრა.

— როგორ მომაბეზრეს თავი, გაისად უნდა მოვშორდე აქაურობას! — მიჩურჩულა დოქტორმა ურადამ, თუმცაღა გაიღიმა და ცრემლიც მოერია. მერე თაიგული გამოართვა, რამდენიმე ქალი გადაკოცნა, შემდეგ მეც მანიშნა. მანქანიდან გადმოდიო, და ქალებს გამაცნო. ცოტა არ იყოს, თავი უხერხულად ვიგრძენი, რადგან ერთადერთი მამაკაცი ვიყავი, თუ ლოტარს არ ჩავთვლით. იგი ისევე მოღუშული იჯდა თავის ადგილზე და ხელთათმნიანი ხელები საჭეზე დაეწყო.

— მაშ თქვენა ბრძანდებით დოქტორი მაქსის განთქმული ხელქვეითი! — მითხრა ერთ-ერთმა ქალმა და ოდნავ მიბიძგა პავილიონთან შეჯგუფებული ქალებისაკენ. მერე ხმადაბლა დაუმატა: — ალბათ დოქტორი ურადამ რამდენიმე სიტყვას გვეტყვის მომავალი კონფერენციის თაობაზე, თუმცა თქვენ ხომ ამის გულისთვის არ მოსულხართ! — იღუმალი იერით გაიღიმა მან.

— მართალი გითხრათ, მეც არ ვიცი, რისთვის მოვედი, — ვუპასუხე მე.

— ოჰ, რა ეშმაკი ხართ, ვითომ არ იცით?

— მართალს მოგახსენებთ, არ ვიცი!

— ჰო, კარგი, კარგი, გასაგებია! — და თითქმის ჩამჩურჩულა, — განა ცილეთას გულისთვის არ მობრძანდით, დოქტორი ურადამ რომ მფარველობს!

ეტყობა, დოქტორმა ურადამ ბგერა „ც“-ს მოჰკრა ყური, ან სულაც ყველაფერი კარგად გაიგონა, ვინაიდან მიუბრუნდა და უკმეხად მიახალა:

— ჩუმად, ძალიან ნუ გაგიგრძელებია ენა! — და მეც კარგი მუჯლუგუნი მითავაზა (ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასეთი ღონე ექნებოდა), მერე ახლოს მიათრია თავისთან. ქალები გარს შემოეხვივნენ, ყველას უნდოდა მასთან ლაპარაკი, დოქტორი ურადამ კი ხელით ანიშნებდა, ყველას ერთად ვერ გაგწვდებოდა, ცოტა მოითმინეთო. ამ დროს ქალების ჯგროს გამოეყო ძალზე უბრალოდ ჩაცმული ქალიშვილი. ღია მწვანე ფერის სადად შეკერილი კაბა ეცვა, თეთრი მძივი ეკეთა, სწორი, გადასლექილი თმა მხრებზე ჩამოშლოდა და პირისახეს ნახევრად უფარავდა. უწყინარი, ოდნავ გაოცებული გამომეტყველება ჰქონდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, ჰკუთასუსტი რომ იყო. უზომოდ დიდი ყურები, პირი და თვალები წინ წამოგრძელებულ კისერზე მოყანყაღე თავს უმძიმებდა და ისე გეგონებოდათ, საალერსოდ, საკოცნელად მოიწევსო. და მაინც ზიზღსა და სიბრაღულს არ იწვევდა. ტანი თითქოს ურიგო არ ჰქონდა, მხოლოდ ტერფები და ხელის მტევნები ჩვილი ბავშვივით რბილი და ფუნთუშა უჩანდა. ხელებსაც ჩვილი ბავშვივით იქნევდა აქეთ-იქით. სწორედ ბავშვთან ეს მსგავსება აძლევდა ასეთ უცოდველსა და ქალურ იერს. მაგრამ ასაკთან ერთად მისი სინაზე თუ ბავშვური ქცევა თითქოს შეუგნებლად დაუცხრომელ ვნებიანობაში გადაზრდილიყო.

იგი დოქტორ ურადას მიუახლოვდა და აკოცა. მან მკერდზე მიიკრა ქალიშვილი, მერე მე მომიტრიალდა და მითხრა:

— აი, ეს არის ცილეთა, ღვიძლ შვილშიაც რომ ვერ გამიჩრჩევია.

ცილეთამ ხელი გამომიწოდა, შემომხედა, კარგა ხანს მიყურა, მერე შერცხვა, გაწითლდა და პირისახე დოქტორი ურადას მკერდში ჩამალა. დოქტორი ურადამ თითქოს გაახარა მისმა დარცხვენამ, ხელი გამომდო და ყურში ჩამჩურჩულა:

— საბრალო ცილეთას ძალიან ენატრება ალერსი. მშობლები ადრე დაკარგა, არავინ არა ჰყავს, ქმარი უნდა! — უკანასკნელ სიტყვაზე ეშმაკურად ჩაიქირქილა. — ახლა კი წავიდეთ, სკოლას გაჩვენებთ, აქ აღზრდის ჩემი ხერხებით მუშაობენ, ეს ხერხი ჯერ კიდევ დოქტორ მაქსზე ვცადე.

შუშის ერთ-ერთ პავილიონთან მივედით. ქალების ამაღლა უკან გამოგვყვა. ფართო, დაცარიელებული შესასვლელი დარბაზი გავიარეთ (კედელზე დოქტორი ურადას სურათი ეკიდა და ხელში პატარა დოქტორი მაქსი ეჭირა) და საკლასო ოთახში შევედით. რეზინის თეთრ იატაკზე ათამდე ბავშვი იჯდა და თავზე ცხვირწაწვეტებული ზედამხედველი ადგათ. ბავშვები წყნარად თამაშობდნენ. წინ კონსტრუქტორის ნაწილები ეწყოთ და ცათამბჟენს აშენებდნენ. ბავშვები დაკვირვებით შევათვალიერე. გარდისფერი და ცისფერი წინსაფრები ეკეთათ, მაგრამ დიდებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე პატარებს. ბიჭებს ძალადობის რაღაც უაზრო წყურვილი ენთოთ თვალებში, გოგონებს კი ქედმაღლობისა და ზიზღის ბეჭედი აჩნდათ. ბავშვები წვალობდნენ, პირისახეზე რისხვა და

მუქარა ეწერათ. თვითეულს სახლის რაღაც ნაწილი ჩაებლუჯა — კიბე, ფანჯარა, პაწაწა ფილა და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მუშაობდნენ.

ჩვენ რომ შევედით, ზედამხედველი ფეხზე წამოდგა, მაგრამ დოქტორმა ურადამ ანიშნა, დაბრძანდიო. ამ დროს ერთი პატარა უსიამოვნო ამბავი მოხდა: ერთ ბიჭუნას, ცათამბჯენის აშენებაში გართულს, ყველაფერი დავიწყებოდა და იატაკზე მოესაქმებინა. მთელი ჯგუფი უსიტყვოდ გადგა განზე, ბიჭი კი მაშინვე წამოხტა, კუთხეში მიყუდებული ხის ნიჩაბი მოიტანა და თავისი დასვრილი თვითონვე აწმინდა. მერე საჭირო ოთახისკენ გაემართა, მაგრამ გზად, ეტყობა, გადაიფიქრა, მობრუნდა, ხელი ჩასტაკა იმაში, რაც მიჰქონდა, და თავის ამხანაგს პირისახეზე მიათითხნა. ბავშვი გაბოროტებული ჩხავილით დაეძგერა შეურაცხყოფელს. გაიმართა გააფთრებული ჩხუბი, ჩხუბობდნენ ისე, როგორც დიდები, ჰკბენდნენ ერთმანეთს, კაწრავდნენ, მუშტებს უშენდნენ და თან ცდილობდნენ ყველაზე მტკივნეულ ადგილზე მოერტყათ. სხვები კი ამ სურათს მშვიდად, გულგრილად შესცქეროდნენ. ბოლოს მოჩხუბარნი, როგორც იქნა, დაშოშმინდნენ და ერთად გაემართნენ საჭირო ოთახისაკენ, იქიდან კი ხელგადახვეულები გამოვიდნენ. ოთახში უკვე წესრიგი სუფევდა, ცათამბჯენის გარშემო კვლავ მუშაობა გაჩაღებულიყო.

— იცით, — ამიხსნა დოქტორმა ურადამ, — ზოგიერთი მომავალში ჩვენი თანამშრომელი იქნება, ზოგიერთი კი უკვე ფირმის პატრონიცაა (მათი ფირმები ჩვენს ფირმაზეა დამოკიდებული). ამ სკოლის ძირითადი პრინციპია ბავშვის პატივისცემა, იგი დამოუკიდებელია, რაც უნდა იმას აკეთებს, რადგან ამ ცხოვრებაში მხოლოდ ის გამოადგება, რაც პირადი გამოცდილებით შეუძენია. რასაკვირველია, როცა ძალიან გამწვავდება საქმე და ხშირადაც მწვავდება, მაშინ ზედამხედველი ჩაერევა ხოლმე. თვალი არ უნდა მოაცილო, თორემ ზოგი ბავშვი უფრო ღონიერია და შეიძლება ჩხუბის დროს მოწინააღმდეგე კიდევ დაახრჩოს. მეტი რა გზაა, უნდა გააშველო, ისე კი ჩაერევა კანონიერი არაა. ყოველ შემთხვევაში, ჩემი ხერხი და მეთოდი ამას არ ითვალისწინებს.

დოქტორმა ურადამ კიდევ სხვა კლასები და პავილიონები დამათვალიერებინა. ცილეთაც თან დაგვყვებოდა, იგი ჩუმად მოფრატუნობდა უკან. ქალებმა, ვისაც დოქტორი ურადა აქამდე არ გამოლაპარაკებია, ბუზღუნნი დაიწყეს. ბოლოს დიდ ოთახში შევედით, სადაც სუფრა გაეწყობო. აქაც ტაშით შეგვხვდნენ. დოქტორი ურადა მივიდა მომცრო კათედრასთან და იქ მყოფთ შემდეგი სიტყვით მიმართა:

— ჩემო ძვირფასო მეგობრებო, არაერთხელ მითქვამს და კიდევ გიმეორებთ, ჩვენი მიზანი მაღალზნეობრივი და ნაყოფიერია. ბავშვები თავისუფალი მეტოქეობის ვითარებაში იზრდებიან, დიდ-პატარის პრინციპის პატივისცემას ეჩვევიან, თვითეულმა კარგად იცის თავისი ოჯახის შემოსავალ-გასავალი, საღად აფასებს თავის ფიზიკურ ძალასა და გონებრივ შესაძლებლობებს. საერთო შრომითი ინტერესების მიუხედავად, ისინი ხშირად ჩხუბობენ (მაგრამ ზედამხედველი ხომ ამიტომ ადგათ თავზე). ნაკლებად შეძლებული ბავშვების მომეტებული ჯიბრიანობის გამო ზოგჯერ უსიამოვნო შემთხვევებსაც აქვს ადგილი, მაგრამ ალბათ დარწმუნდებოდით, რომ ყველაფერი კეთილად მთავრდება. ერთმანეთში ბოლოს და ბოლოს მაინც თანხმდებიან და საკუთარი გამოცდილებით იწვნივენ ხოლმე ამხანაგის ჭეშმარიტ ძალას. როცა

გაიზრდებიან, სამღურავი არაფერზე ეთქმით. აქ ყველას ერთნაირად ექცევიან, მდიდრებსაც და ღარიბებსაც, სუსტებსაც და ძლიერებსაც. ისინი თავად შეიცნობენ იმ ძირითად კანონებს, ადამიანთა საზოგადოება რომ ეფუძნება. კვლავ თქვენ მოგმართავთ, ჩემო ძვირფასებო, მოგიწოდებთ დამეხმაროთ და შემიწყნოთ ხელი, რომ განგებისა თუ შემთხვევის ძალით დავალებული ეს ძნელი საქმე განვახორციელო!

გაისმა მქუხარე ტაში. დოქტორ ურადას გული აუჩუყდა, კათედრიდან ჩამოვიდა და სათითაოდ მოეხვია ქალებს. მათ კი ხელში აიტაცეს თავისი ქალბატონი და სუფრასთან ციმციმ მიიყვანეს, სადაც უზარმაზარი ტორტი იდო. შემდეგ ყველანი ჩამოსხდნენ ოთახში ჩამორიგებულ სკამებზე და ახლა სხვა ქალები გამოიხმეს კათედრაზე. მსურველი ბევრი აღმოჩნდა; ჯერ ვიღაც ქალბიჭა სძნოდა გამოვიდა და ყველას თავბრუ დაგვახვია, მერე თანამედროვე მუსიკაზე მოვისმინეთ ლექცია. კიდევ ბევრი სხვა მოხსენება იყო, მათ შორის ჰორმონების საკითხებზეც ილაპარაკეს. მაგრამ დოქტორმა ურადამ ამ მომხსენებელს მკვახედ შეაწყვეტინა:

— ძალზე ვწუხვარ, ჩემო კარგო, მაგრამ ჰორმონებზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს!

— მე მხოლოდ ის მინდოდა დამემტკიცებინა... — თავი გაიმართლა ახალგაზრდა, ძალზე ლამაზმა, გემოვნებით ჩაცმულ-დახურულმა და უზომოდ შეთხიზნილმა ქალმა. იგი მომხიბვლელად ირხეოდა, ნატიფი ტანი და მაღალი ფეხები ჰქონდა. თეძოებზე ფარშავანგის კუდივით ჭრელი აბრეშუმი შემოკვართოდა, პატარა, ამაყ თავზე მსუბუქი ჩალის ფარფლებდაშვებული ქუდი ეხურა. — დოქტორ ურადა, ჩემი მოხსენება ხომ ჰორმონების თაობაზეა. ფოლიკულინი...

— ვიცით, ვიცით, ეგ ყველამ კარგად ვიცით, — კვლავ შეაწყვეტინა დოქტორმა ურადამ, — მაგრამ თქვენ მაინც არა გაქვთ უფლება ქორწინებას და გვარის გაგრძელებას ყოველგვარი პოეტურობა შემოაძარცვოთ.

— პოეზიაც ხომ შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მოქმედების შედეგია. სულაც არ მიფიქრია ქორწინების პოეტურობას შევხებოდი, პირიქით... თუ ნებას დამრთავთ, მე თქვენ აგიწერთ ყვავილს, მის ფურცლებს, როცა ფუტკარი...

— კმარა, კმარა, ჩემო კეთილო! ნუ გავიწყდებათ, რომ ჩვენ დაწყებით სკოლაში ვიმყოფებით. თავად საიდან ბრძანდებით? უკაცრავად, ჩემო ძვირფასო... — კვლავ გააწყვეტინა დოქტორმა ურადამ და მის უკან დაყუდებულ ქალს მიუბრუნდა:

— ამას თავში მხოლოდ ჰორმონები და ყვავილები უტრიალებს. ერთი გამაგებინეთ, ვინ ბრძანდება?

ერთ-ერთმა ქალმა საკმაოდ განთქმული სახელი უჩუქრულა, პლასტმასის წარმოებასთან რომ იყო დაკავშირებული. დოქტორი ურადა გაშმაგდა, წითელი თმა მრისხანედ აულიჯლივდა და მკაცრი, ხრინწიანი ხმით წამოიკივლა:

— ასეც მეგონა! მერე ვინ გაბედა ამ ქალბატონის მოპატიჟება, ვინ! ახლაც დამისახელეთ, ვინ!

დაუსახელეს.

— აჰ, ასე ხომ! კეთილი და პატიოსანი! — წამოიძახა მან, წამოხტა და გავარდა. შეშფოთებული ქალები წამოცვივდნენ, აჩოქოლდნენ. დარბაზში შე-

შინებული ხმები გაისმა. ლამაზი სინიორა კი ისევ ისე იდგა კათედრაზე, პირისახეზე გამომწვევი ღიმილი გადაჰფენოდა.

რასაკვირველია, მეც წამოვიწიე ასადგომად, დოქტორ ურადას მარტო ხომ არ გავუშვებდი. წამოვიწიე, მაგრამ ცილეტას ისე მაგრად ჩაებლუჯა ჩემი ხელი, ძლივს გამოვტაცე. გასასვლელისკენ რომ გავემართე, ისიც უკან გამომედევნა. მაშინ შევამჩნიე სწორედ, რა მოხდენილი ტან-ფეხი, წვრილი წელი და ლამაზი მკერდი ჰქონდა.

დოქტორი ურადა უკვე მანქანაში იჯდა და მოუთმენლად მელოდა. სასწრაფოდ აკოცა ცილეტას და გაბრაზებით დამიცაცხანა, ჩქარა დაჯექიო. მერე ლოტარს ნიშანი მისცა და მანქანაც უხმაუროდ დაიძრა. იმავე წუთს გამოცვივდნენ ქალები და ისეთი ხმაური ატეხეს, ძლივს გავასწარიტ.

ამჯერად დოქტორ ურადას გვერდით ვიჯექი, მაგრამ იგი თავის ფიქრებში იყო გართული და ხმას არ იღებდა. ცოტა ხნის შემდეგ თითქოს გადაუარა სიბრაზემ, აცახცახებული ხელით ფანჯარა ჩამოსწია და წამოიძახა:

— ჰაერი მინდა, ჰაერი! — ღია ფანჯარაში შემოჭრილი სუფთა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო, — კაცი შეიძლება გააგიჟოს მათი ნელსაცხების სუნმა, ლაპარაკმა, მათმა სიყეყეჩემ... არა, ეს განზრახ მომიწყვეს, განზრახ! არა, ამას ასე არ დავტოვებ! ვინც გაბედა და... აჰ, შავ დღეს დავაყრი... აჰ, ჰაერი, ღვთის გულისათვის! სუფთა ჰაერს განა რა შეედრება? ეს სამყარო, ჩემო კარგო, სუფთა და დახუთული ჰაერისგან შედგება, ეს არის და ეს. განა მართალი არა ვარ?

— დიახ, — დავუდასტურე მე, მეტი რა უნდა მეტქვა, არ ვიცოდი.

დოქტორმა ურადამ ხელი ხელზე მომკიდა, გამიღიმა და მითხრა:

— რა კარგი ყმაწვილი ყოფილხარო! იმედია, არ ვცდები! ყური მიგდეთ, ახლავე აგიხსნით ყველაფერს. ალბათ მიხვდით უკვე, რისთვის წამოგიყვანეთ ამ ჩერჩეტების შეკრებილობაზე. ამის მიზეზი ცილეტა გახლავთ. იგი სულ მარტოხელაა, ობოლი, ჩემს მეტი პატრონი არა ჰყავს. სულ პატარა იყო, რომ ავიყვანე და დღემდე ვზრუნავ მასზე. ახლა კი მინდა გავათხოვო, მინდა ოჯახი, ქმარ-შვილი ჰყავდეს. რებომ მითხრა, თურმე უცოლო ხარო, თუმცა ქალებთან ურთიერთობა კი გქონიათ. მაქსთანაც კარგა ხანია მუშაობთ, თქვენი ოჯახის ამბებიც გავიკითხეთ. ერთი სიტყვით, ძალიან მინდა ცილეტა ცოლად შეირთოთ. მე უკვე აღარ შემიძლია ვიზრუნო მასზე, თავის დროზე არაფერი დავაკელი, ახლა კი მძიმე ტვირთად მაწევს, პირდაპირ კალთაზე მყავს გამოკერებული. ესეც არ იყოს, გათხოვება მისთვის აუცილებელია, ექიმებმაც ასე თქვეს. მზითევსა და ბინაზე, რასაკვირველია, მე ვიზრუნებ, თქვენ არაფერზე შეგაწუხებთ... ქორწინების მერე კი თავად იფიქრეთ ყველაფერზე, საზოგადოებრივ მდგომარეობაზეც და კიდევ სხვა რამეებზე. ჰო, კინალამ დამავიწყდა, ქორწინებისთვის აუცილებელია მექორწინეთა სისხლის შემადგენლობის, მათი მემკვიდრეობის გამოკვლევა თუ სხვა მისთანები. მაპატიეთ, რომ ასე პირდაპირ გეუბნებით ყველაფერს, მაგრამ პირდაპირ თქმა ყველაფერს სჯობია, განა არა?

— ცილეტა ხომ ავადმყოფია... — წავიბუტბუტე გაუბედავად, მაგრამ დოქტორმა ურადამ მაშინვე შემაწყვეტინა.

— საიდან მოიტანეთ, რომ ავადმყოფია?

— არა, იქნება არცაა ავადმყოფი, მაგრამ ჭკუასუსტი რომაა, ცხადია...
ცუდი არ მინდა ვთქვა, ოღონდაც...

დოქტორმა ურადამ კვლავ შემაწყვეტინა:

— აბა რა სისულელეებს ჩმახავთ, ვინაა ჭკუასუსტი? რა შეატყვეთ ჭკუასუსტობისა? საღსალამათიცაა და ლამაზიც, მშვენიერი ტანი აქვს. დარწმუნებული ვარ, შესანიშნავ შვილებს გაგიჩენთ.

— მაგრამ პირისახე... — შევეპასუხე მე, — ხელ-ფეხი...

— რას ამბობთ, ასეთი წმინდა, კეთილშობილი და პატიოსანი პირისახე იშვიათია. მისთანა პირისახე მხოლოდ იმ ქალსა აქვს, ვინც მარტო გათხოვებასა და ოჯახის შექმნაზე ფიქრობს. იგი პატარა ნადირია, უცოდველი და ლამაზი. განა ვერ შეამჩნიეთ? ამას ხომ თვალის ერთი შევლებითაც დაინახავს კაცი. თუმცა თქვენი ნებაა, მე ჩემი გითხარით, თქვენ კი ისე მოიქეცით, როგორც გეწებოთ. ოღონდ არ დაივიწყოთ, რომ თქვენთვის ეს ორივე მხრივ სახეიროა: ჯერ ერთი, დიდ სიკეთეს ჩაიდენთ, მეორეც, ცოლი გეყოლებათ, ეს კი შემთხვევით გართობასა სჯობია. უარს ამბობთ? რა გაეწყობა. თქვენი უარის მიხედვით ჩვენც გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნება თქვენზე და თქვენს ზნეობრივ მიდრეკილებებზე. ეს კი, გამოგიტყდებით და, აქამდე არცთუ ნათელი იყო ჩვენთვის, უფრო სწორად, დაგვარწმუნებს, რომ ზნეობრივი თვალსაზრისით სქელკანიანი თავკერძა ვიღაც ბრძანდებით. თუმცა პირადად ჩემთვის ეს პირველივე დღიდან აშკარა იყო. ამის დასამტკიცებლად ისიც კმარა, რომ ერთხელაც არ ჩაგიცვამთ დოქტორი მაქსის კოსტუმი, კეთილი გულით რომ გაჩუქეთ. ერთი სიტყვით, თქვენ არაფრად გენადვლებათ არც დოქტორი მაქსი, არც ფირმა და არც მე.

დოქტორი ურადა გაჩუმდა, მთელი გზა კრინტი აღარ დაუძრავს, ბაგეზე მწარე ღიმილი შეეყინა. ამაოდ ვცდილობდი რაიმე მეთქვა: რამდენჯერაც პირი გავაღე, იმდენჯერ ხელით მანიშნა, შენი ხმა არ გამაგონო. ასე მივედით გარაჟამდე. იგი უსიტყვოდ შევიდა ლიფტში, მე კი ჩემს კაბინეტში დავბრუნდი.

მალე დავრწმუნდი, რომ ჩემი ჭოჭმანის ამბავი დოქტორი მაქსისთვის მაშინვე ეცნობებინა დედას. პირველივე შეხვედრაზე დოქტორმა მაქსმა ისეთივე ოინი მიყო, რაც ცოტა ხნის წინ რებოს. როგორც კი დამინახა, მიტრიალდა და უახლოეს კაბინეტს შეაფარა თავი, საიდანაც ჩუმად მითვალთვალებდა, ვინემ იქაურობას არ გავეცალე.

არა, ასე ხელალებით მაინც რატომ უნდა შევიერთო ცოლად ის უბედური ცილეტა? კეთილიაო! მაგისტანა ჭკუასუსტების სიკეთე მე კარგად ვიცი. ან ხელ-ფეხი რას უგავს, ან პირისახე. მაგისტანები, მგონი, ოც წლამდეც ძლივს ცოცხლობენ, ყურპანტურა, თვალეზადმოკარკლული ბაღლებივით დაჩანჩალებენ და სულ ხელით სათრევენი არიან. რატომ უნდა შევიერთო? მარტო იმიტომ, რომ დოქტორ ურადასა და მის ოჯახს ზნეობრივი უღელი მოვხსნა და ცილეტას ნორმალური სქესობრივი ცხოვრება უზრუნველვყო, რაკი ნდომის სურვილი გაღვიძებია? აქამდე მეგონა, რაღაი დიდ ხელფასს არ ვთხოვლობ და თავი დოქტორი მაქსის საკუთრებად გამიწირავს, თავისუფლებას მაინც შევინარჩუნებ-მეთქი, მაგრამ, ეტყობა, შევცდი და ეს შეცდომა ძვირად დამიჯდება. სანამ მარტო ვარ, კიდევ შემიძლია სხვა სამსახური ვეძებო. თუმცა ამის იმედიც არა მაქვს, ესეც ვიცი უკვე, რას ნიშნავს: თუ ჩემი ფირ-

მიდან წავალ, სულ უმუშევრად დავრჩები. მოხსნილსა თუ განთავისუფლებულ მოსამსახურეს, რაც არ უნდა უმწიკვლო და საქმიანი კაცის სახელი ჰქონდეს, მაინც იშვიათად მიიღებს სხვა ფირმა; გადაბირება კი სხვა საქმეა. მაშინ არც ავსა და კარგს დაგიდევინ, ოღონდ კი თავის მეტოქეს აჯობონ, თუმცა მაშინაც დიდი სიფხიზლე გმართებს კაცს, რომ სულ ცარიელზე არ დარჩე. ჩემთვის კი ყველაფერს სჯობია მოთმინება არ დავკარგო, გაივლის დრო და შეიძლება ყველაფერი ჩემს სასიკეთოდ შეტრიალდეს. ისიც ვიცი, რომ რაგინდ უბადრუკი ხელქვეითი არ ჰყავდეს, პატრონი მაინც ეჩვევა იმას და თავის საკუთრებაზე ხელის აღება ყოველთვის უჭირს. მაგრამ დაფასებით კი მაშინ უფრო აფასებს, როცა სხვა პატრონი გამოაცლის მას ხელიდან. ახალი პატრონი კი ახალი თავსატეხია. როგორც კი პირველი აღტაცება გაუვლის, მერე ასე იწყებს მსჯელობას: თუკი კაცმა ამდენი ხანი იმუშავა ფირმაში და წმინდა ეკონომიური მოსაზრებების გამო არჩია ახალი პატრონი, მაშასადამე, არც შემსახურება რწმენითა და სიმართლით და, მაშასადამე, მისი ნდობა არ შეიძლება. ხოლო ყველაზე უარესი ისაა, კაცი რომ სულ უმუშევარი დარჩება. მაშინ გაცილებით უფრო უჭირს სამსახურის შოვნა. მართალია, ძველ პატრონზე ნაწყენია, მაგრამ მაინც მისკენ მიუწევს გული; იგი იმ ქალსა ჰგავს, საყვარელმა რომ მიატოვა და საარსებო წყარო დაეშრიტა. პირველად ჯერ კიდევ აქვს სხვა მფარველის პოვნის იმედი, მაგრამ ბოლოს მაინც ქუჩაში ამოჰყოფს თავს. ასე ემართება უსამსახუროდ დარჩენილ კაცსაც: მცირეოდენი დახმარება დიდხანს არ ჰყოფნის. ამიტომ თუ თავისი ხელობის შესაფერისი ვერაფერი იშოვა, რასაც მოახელთებს, იმას უნდა ჩაებლაუჭოს, ისეთ სამუშაოზეც კი დათანხმდეს, რისიც არაფერი გაეგება. განა ასე ადვილია, თავიდან გაიარო შემოწმებები და გამოცდები, აიტანო აღმაცერი მზერა. მაშინ ყველაფერს ისა სჯობია ძველ ადგილზე დაბრუნდე და პატიება ითხოვო; თორემ სხვანაირად ვერც გადაურჩები დიდი ქალაქის აბოზოქრებულ ლავას, ბუნების სტიქიური ძალების მსგავსად რომ სპობს და ანადგურებს ყველაფერს, რაც უსარგებლო და უმაქნისია.

ვიცი, კარგად ვიცი ეს ყველაფერი, მაგრამ მაინც არ მინდა ცილეთა შევიროთ ცოლად, ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხანს თავს შევიკავებ. როგორ მოვიქცევი, ჯერჯერობით არ ვიცი. სამი გზა მაქვს; ან ცილეთა უნდა შევიერთო ცოლად (თუმცა არც ესაა გამოსავალი), ან დროის მოგება ვცადო (ხსნას ვერც ამას დავარქმევ) ანდა სხვა ფირმაში ვეძიო ადგილი (უკვე მოგახსენეთ, რა ცოტა იმედი გამაჩნია საამისოდ)!

XII

ჯერ ჩემზეც მოდგა, — ამ თვეში ხელფასი დამიკლეს, ლოტარმა ნემსები განმიახლა, ორჯერ გადამიყვანეს ერთი ადგილიდან მეორეზე და აღარც დოქტორი მაქსისტვის მომიკრავს თვალი. ძალიან მიკვირს, როგორ ახერხებს დამალვას. ისე უეცრად გაქრება, გეგონება, მიწამ უყოო პირი. სხვა თანმშრომლებიც რომ აიყოლია! ყველა მას ეხმარება და არც მიკვირს. ჯერ ერთი, საშუალება მიეცათ პატრონს ერთგულება დაუმტკიცონ და ამით მეტი ნდობა მოიპოვონ, მეორეც ერთობიან, თუმცა კი იციან, რომ ეს დღე ადრე თუ გვიან

მათაც არ ასცდება. ასე მაგალითად, დოქტორი მაქსი რომელიღაც კაბინეტში ზის, მე კი საქმე მაქვს და ძალაუნებურად უნდა შევიდე. მაგრამ გავაღებ თუ არა კარს, დოქტორი მაქსი უეცრად ქრება, მისი გაქცევის მოწმეები კი სიცილ-ხარხარით მხვდებიან.

სხვა კაბინეტში გადაყვანა მუდამ ერთი და იგივე წესით ხდება ჩვენთან. გამოგეცხადება ერთ მშვენიერ დილას შიკრიკი და გაცნობებს, ადმინისტრაციისა თუ დირექტორის ბრძანებით სხვა ადგილზე უნდა გადახვიდეო. ასე გადავდი მეხუთე სართულიდან უფანჯრებო, თუმცა საკმაოდ დიდ სარდაფში, იქიდან კი ახალ შენობაში, მაგრამ ცალკე კაბინეტი არ მოუციათ. უბრალოდ, მაგიდა და სკამი დამიდგეს საერთო დარბაზში, სალაროებთან, სადაც მთელი დღე ხალხი ირევა. ჩემი იქ გადაყვანა იმის მაუწყებელი იყო, კიდევ ცოტაც და ქუჩაში აღმოვჩნდებოდი. სანამ სარდაფში ვიჯექი, ნემსებს არ მიკეთებდნენ, ახლა კი ლოტარი ტელეფონით მირეკავს და მეც ვეახლები ხოლმე ხან მის ოთახში, ხან მისაღებში, ხან საპირფარეშოში, ხან აფთიაქის უკანა კუთხულში.

ეს ჩემი სავალალო მდგომარეობა ყველაზე მეტად ბომბოლოს ახარებს. თავად საცაა ფირმიდან გავარდება და თავს იმით ინუგეშებს, სანამ სხვებს ერჩიან, მე არ გავახსენდებიო. მან მშვენივრად იცის, რომ ჩემზე უარესად აქვს საქმე; ჩემი უსიამოვნება მხოლოდ დროებითია, დაე დამიკავონ ხელფასი, გადამისროლონ ერთი კაბინეტიდან მეორეში, შემიქმნან უარესი და უარესი სამუშაო პირობები, მიხვლიტონ ნემსები. ეს, რასაკვირველია, იმაზე მეტყველებს, რომ დროის ამ მონაკვეთში მართლაც არაფრად მაგდებენ; ბომბოლო კი ზის და ელოდება, აი, ახლა გამაგდებენ, აი ახლაო. მარტო იმის იმედიღა აქვს, სანამ მე მაწვალებენ, იმას ხელს არ ახლებენ, მერე კი რაღაც ეშველება. მაგრამ ტყუილი ნუგეშია, ჩემი წვალება იმას მაინც ვერ იხსნის.

ცხადია, ჩემი საქმე იმან გააფუჭა, რომ დოქტორი ურადას წინადადებას ცილეტას ცოლად შერთვის თაობაზე ალტაცებით არ დავთანხმდი. მტკიცედ გადავწყვიტე, დრო მომეგო, თუნდაც რომ რამდენიმე ნაბიჯით მივახლოვებოდი უფსკრულს, მაშასადამე, თავი გამეწირა და უმუშევრად დავრჩენილიყავი. კარგად უნდა დავფიქრდე, ყველაფერი ავწონ-დავწონო, ამიტომ დოქტორ ურადას წერილი მივეწრე და ვთხოვე, თუ შეიძლება ცილეტა ერთხელ კიდევ მაჩვენეთ-მეთქი. ამასობაში სამედიცინო შემოწმებასაც გავივლი, დროც გავა. ვფიქრობ, სწორად მოვიქეცი, თან ისიც გავითვალისწინე, რომ ცილეტასთვის ქმრის მოძებნა არც ისე ადვილი საქმეა, მით უმეტეს, ისეთი კაცისა, მათი მოსაწონი რომ იყოს. საწყობის მუშებს შორის ძებნას არ დაიწყებდნენ, თორემ მსურველი რამდენიც გინდა, იმდენი აღმოჩნდება. დოქტორი ურადა არავის ათქმევინებს, ცილეტას იმისთვის ათხოვებს, რომ გაასაღოს და თავი გაინთავისუფლოსო ზნეობრივი უღლისა და ხარჯებისგან... არა, მას ისე უჭირავს თავი, ვითომ ბოლომდე სურს მოიხადოს თავისი ვალი ცილეტას წინაშე, ბოლომდე შეასრულოს თავისი მაღალზნეობრივი დანიშნულება. ისეთი მეუღლე უშოვოს, ვისაც კარგი მომავალი ექნება, და მერე ხელი გაითავისუფლოს, მთელი პასუხისმგებლობა ქმარს დააკისროს (არცთუ პატარა პასუხისმგებლობა ელის, თუ ცილეტას ავადმყოფობას ვიგულისხმებთ). მე თუ დამაქორწინებს ცილეტაზე, ფირმაზეც სამუდამოდ მიმაჯაჭვავს.

დოქტორმა ურადამ ჩემი წერილის პასუხად მდივანი გამომიგზავნა და შე-

მატყობინა, ესა და ეს სამედიცინო შემოწმება უნდა გაიარო. მეტი რა გზა მქონდა, დავიწყე ექიმებთან სირბილი. პირველად სისხლის, შარდის და განავლის ანალიზები რომ გამიკეთეს, კიდევ არაფერი, მოსათმენი იყო, მერე კი, როცა ლორწოვანი გარსისა და შინაგანი ორგანოების გამოკვლევა დამიწყეს, აი მაშინ... ყველაზე უსიამოვნო (ფსიქოლოგიურად) თესლის აღება იყო (დოქტორმა ურადამ ხომ სპერმის რაოდენობისა და სიცოცხლისუნარიანობის გაგებაც ისურვა). ანალიზებს მთელი კვირა მოვუნდი. სულ იმედი მქონდა, იქნება ექიმებმა რაღაც ნაკლი აღმომიჩინონ და ქორწინება არ მირჩიონ-მეთქი. მაგრამ მე ისეთი რა უნდა აღმომიჩენოდა, რაც მეორე მხარეს, ანუ ცილეთას სჭირდა, მონგოლოიზმზე უარესი რა შეიძლება იყოს! მე კი ვარ ჯანმრთელი, შესამოწმებელი და გამოსაკვლევია ისევ ცილეთაა. თუმცა რას ვამბობ, იმას რა გამოკვლევა უნდა, ერთი შეხედვითაც ყველაფერი ცხადია! ორჯერ შევხვდი და კარგადაც დავტკბი მისი ყურებით. უყურე, არ უყურე, ახალს რას აღმოაჩენ, დებილია და მორჩა! ჩაცმა, თმის დავარცხნა და ლაპარაკი ისე კი ესწავლებინათ, რომ ცოტა მაინც დაეფარა თავისი ნაკლი (თუმცა „ნაკლი“ რა სათქმელია, ქალი არასრულფასოვანი გახლავთ), მაგრამ ამ ეგრეთწოდებულ „ნაკლს“ რა დაფარავს! იმ თავის გადმოკარკლულ თვალებს ისე უაზროდ აფეთებს, რომ, მგონი, ვერც ვერაფერს ხედავს; ტუჩები მუდამ დამსკდარი აქვს და სანამ დაილაპარაკებდეს, სქელი, გასიებული ენით ილოკავს; ხელებს ძლივძლივობით იმორჩილებს, ასევე ტერფებსაც (სულ სპილოს ფეხები მაგონდება), მაგრამ სხეული კი გასაოცრად ლამაზი აქვს — მკვრივი მკერდი, წვრილი წელი, განიერი თეძოები, გრძელი, მოხდენილი წვივები. პატარა ბავშვივით წვრილი ხმით ლაპარაკობს, სამაგიეროდ, ხმას ძლივს ამოაღებინებ და არც სმენას მიღლის. სანამ დაილაპარაკებდეს, წითლდება; სხვა მისთანა ჭკუასუსტებისაგან განსხვავებით, რასაც შეეკითხები, გაიგებს და პასუხსაც გაგცემს. ხელი მოგვიდევ და ბაღში გავასეირნე. იქ ყვავილზე მივუთითე და ვკითხე, რა არის-მეთქი. ყვავილიო, მიპასუხა. მერე ცა დავანახე, მიპასუხა — ცაო; სხვა საგნებიც ვაჩვენე და ყველაფერზე პასუხი გამცა, თან უთუოდ ხელს შეავლებს, თითქოს უნდა საგნისა და მისი სახელის ერთიანობაში დარწმუნდეს.

ერთი სიტყვით, ცილეთამ მრავალი საგნის დასახელება იცის. სანამ სიტყვას წარმოთქვამს, ერთი წამით შეიჭმუხნება. თუ გასამხნეველად თავს დავუქნევ, ანდა „ჰოს“, ვეტყვი, პირზე ბედნიერი ღიმილი გადაეფინება. ცილეთამ ჩაიხეც მიმიწვია (ჩაის მომზადებაც უსწავლებიათ და სხვა საოჯახო საქმეებიც), თვითონაც დალია. ვკითხე, ჩაი თუ გიყვარს-მეთქი, მაგრამ პასუხი არ გამცა, მერე კითხვა შევუბრუნე, ჩაი თუ გეგემრიელა-მეთქი, მაგრამ არც ამ კითხვაზე მიპასუხა. მეორე შეხვედრისას სხვა რაღაცეებზე ვკითხე. ყვავილი რომ დავანახე, ჯერ ხელით შეეხო, მერე თქვა „ყვავილიო“. შემდეგ ვკითხე, ლამაზია თუ არა-მეთქი. ამაზე გაჩუმდა. მაშასადამე, როცა საგნის სახელს ვეკითხები, მართალია, დაფიქრდება, მაგრამ მაინც მიპასუხებს, თუ ვკითხე როგორია, თითქოს კითხვა არც გაუგონიაო. ერთი კიდევ ვცადე, ვკითხე, გიყვარვარ-მეთქი თუ არა, თან კითხვა ორჯერ თუ სამჯერ გავუმეორე, პირველად ყურიც არ შეუბერტყავს, მერე კი მხოლოდ გაიღიმა, მაგრამ აშკარა იყო, გე-რაფერი გაიგო. შემდეგ ვკითხე, მე ვინა ვარ-მეთქი; მიპასუხა, მამაკაციო, და გაწითლდა. ამ საუბრის დროს ჩემი ხელი ხელიდან არ გაუშვია და დროდადრო კოცნიდა. როცა გამორთმევა დავაპირე, ეწყინა და სასოწარკვეთილი თვალებ-

ბით შემომხედა, მოიღუშა. მერე ჩიტი დავანახე. ცილეთამ გაიღიმა და მიპასუხა:

— ჩიტი.

— ჩიტი რა არის?

იგი ჩაფიქრდა, კარგა ხანს თითებს იკვნეტდა, მერე ისევ გაიმეორა:

— ჩიტი.

— კარგი, მაგრამ მაინც რა არის ჩიტი, ცხოველი, მცენარე თუ ადამიანი?

— არა, ჩიტი.

— ეს რაღაა?

— ავტომობილი.

— ავტომობილი რაღაა?

მან არ მიპასუხა. ამგვარად, რასაც არ ვკითხავდი, ხან მიპასუხებდა, ხან არა. ხომ უნდა გამეცნო, დავვახლოვებოდი, მაშასადამე, რაღაცაზე მელაპარაკნა, სხვა რა უნდა მექნა! დავანახებდი რაიმე საგანს, ის დაასახელებდა ან გაჩუმდებოდა. მერე გადავწყვიტე, სულ აღარ გავცემ ხმას და ჩუმად ვიჯდები-მეთქი. ვიცი, თუ მოვინდომებ, ადამიანს, ჩიტსა და ყვავილს შორის განსხვავებას მაინც ვასწავლი, მაგრამ რისთვის? ცილეთა ისედაც ბედნიერია. როცა იგი ყვავილს ან რაიმე სხვა საგანს ხელით ეხება, ეს შეხება პოეტურიც კი არის. სინამდვილეს იგი მორჩილად ხვდება, არავითარი კითხვა არ ებადება, მეტი არც არაფერი უნდა. სხვათა შორის, მეტი მართლაც არ სჭირდება ამ ცხოვრებაში, რასაც ხედავს და რისი სახელიც იცის, მისთვის ისიც საკმარისია.

ბუნებრივია, ჩემი ქორწინების ამბავი სულ თავში მიტრიალებს. ნეტავი რა სიკეთეს მომიტანს? იქნება მართლაც მომიტანოს სიკეთე, მაგრამ შევძლებ კია ცილეთასთან ცხოვრებას? შვილებზეც ხომ უნდა ვიფიქრო. ჯანსაღები იქნებიან თუ დედასავით ჭკუასუსტები?

პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილია. ცხადია, ცილეთაზე დაქორწინება ხელს მაძლევს, თუნდაც იმიტომ, რომ ფირმაში მტკიცედ მოვიკიდებ ფეხს, ბინასაც მომცემენ და ბოლოს და ბოლოს ცოლიც მეყოლება. მასთან ერთად ცხოვრებას შევძლებ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ვცდი. რასაკვირველია, ცილეთაზე გაცილებით ლამაზი ქალიშვილები შემხვედრია, თუნდაც იგივე სელენე ავიღოთ, მაგრამ განა ასეთი კითხვები მაშინ არ გაგიჩნდება? რაც შეეხება შვილებს, ლენჩი ბავშვი შეიძლება ჯანსაღ ქალსაც გაუჩნდეს. ცილეთა რომ ჯანმრთელ ბავშვებს ვერ გააჩენს, ეს წინასწარ ვიცი, მაგრამ როცა ზოგიერთი ჩემი თანამშრომლის შვილს ვიხსენებ, არც ისინი მეჩვენებიან დიდად სადსალამათნი. ამიტომ თავს ვიიშვებ, მე და ცილეთა რომ დავბერდებით, ჩვენ ლენჩ შვილსაც თავისი დოქტორი ურაძა გამოუჩნდება და ასეთსავე მფარველობას გაუწევს-მეთქი. ამ ფიქრებში გართულმა მამაჩემს მივწერე წერილი, გაკვრით ავუწერე შექმნილი ვითარება და დედაჩემიც შევამზადე, შეიძლება მალე დავქორწინდე-მეთქი.

ორიოდე დღეში მამაჩემი გამომეცხადა. სადგურიდან პირდაპირ სამსახურში მოვარდა გულამოვარდნილი. საღაროების ფანჯრებთან, საერთო დარბაზში, პატარა მაგიდასთან საცოდავად მიკუნჭული რომ დამინახა, გაოცება და გაწბილება ვერ დამალა.

— ეს არის შენი კაბინეტი? — აღმოხდა მას და ჩემოდანი იატაკზე დადგა.

— აქ დროებითა ვზივარ, მამა, გარეთ გავიდეთ და ყველაფერს ავიხს-

ნი, — ვუბასუხე მე და სადარბაზო კარისკენ წავიყვანე. ვიფიქრე, სჯობია სადმე სხვაგან, კაფეში ვილაპარაკოთ-მეთქი. — ძალიან დაიხლართა ჩემი საქმე და ასე ადვილად ვერ გაიგებ, — დავიწყე მე, — წვრილმანებს კი ყურადღებას ნუ მიაქცევ.

მამაჩემმა მაშინვე შემაწყვეტინა:

— რა არის აქ გაუგებარი! თქვენი ფირმის სავაჭრო აგენტმა მითხრა, მშვენიერი მდგომარეობა შეიქმნა, ისა და დოქტორი მაქსი განუყრელი მეგობრები გახდნენო. შენ კი აქ სად გნახე! შიკრიკივით შესასვლელში ზიხარ! ამას არასგზით არ ველოდი, წინასწარ მაინც შეგემზადებინე, გეცნობებინა, რა ხდება ასეთი შენს თავს! შიკრიკობა რა ისეთი სამარცხვინოა! ახლა ერთი ეგ შენი ქორწინების ამბავი გამაგებინე. ხომ იცი, სახლიდან იშვიათად გამოვდივარ, მგზავრობას ვერიდები, მაგრამ შენი წერილი რომ წავიკითხე, გულმა მიგრძნო, რაღაც ფარსავი არ იყო შენს თავს. აკი ასეც ყოფილა! შენისთანა განათლებული, სავაჭრო საქმეებში ჩახედული კაცი შიკრიკის ადგილზე უნდა დაესვათ?

— შენ ეგ ნუ გადარდებს, მამა, აკი მოგწერე, ჩემი საქმე დროებით ასე წავიდა-მეთქი. დამაცადე, ჯერ აგიხსნა საქმის ვითარებას და მერე გაიგებ მიზეზსაც. თუმცა რას გაიგებ, ისე ჩაბერდი პროვინციაში, აღარ იცი, რა ხდება ამ ქვეყანაზე.

— ჯერ ერთი, სასირცხვილოს აქ ვერაფერს ვხედავ. შენ ჩემი შვილი ხარ და სადაც არ უნდა მუშაობდე, მეეზოვეც რომ იყო, მაინც მეყვარები. ან ამისთანა რა მდგომარეობა შეგექმნა! ვიცი, ქალაქში სხვა ყაიდის ხალხია, ჩვენსავით არ ცხოვრობენ, მაგრამ ერთი რამ ვერ გამიგია: იმ ერთმეტრიან უბადრუკ მაგიდასთან მაინც რატომ დაგსვეს, ქალაქის ერთი ფურცელიც კი ვერ დავინახე! ან რა ხმაურია, რა ხორხოცი, რას აკეთებ! ჩვენ კი რა იმედებს ვამყარებდით შენზე! მაინც რა მოხდა?

— ვერ დაინახე, რომ ამ ქალაქში, სადაც არ უნდა გაიხედო, ყველგან ღრიანცელი და ხორხოცია?

— დავინახე, როგორ არ დავინახე, მაგრამ ტაქსით რომ მოვდიოდი, გზად ბევრი სხვა ფირმებიც დავინახე. მაინც რას აკეთებ? მაგიდა რატომ გაქვს ცარიელი? ან სად ცხოვრობ? საკუთარი ბინა გაქვს თუ ისევ ნაქირავებში ხარ? წერილებს არ გვწერ, არაფერს გვატყობინებ, რაც აქ ჩამოხვედი, ორჯერ თუ სამჯერ გნახეთ. მანქანა გაქვს? რამდენ იღებ? ჩვენ არც ეს ვიცით. მართალია, არ გეყითხებით, მაგრამ შენ თვითონ ხომ უნდა გეთქვა. ახლა ეს ქორწინების ამბავი გამაგებინე, რატომ ირთავ იმ ჭკუასუსტს? მართლა ჭკუასუსტია? მონგოლოიდი თურმე ჭკუასუსტს ნიშნავს. რომ წავიკითხე, ჯერ მონღოლი მეგონა, ვიფიქრე, ეს კიდევ არაფერი, დიდ ქალაქში ცხოვრობს, ვინ იცის, რა ჯურის ხალხს არ ხვდება-მეთქი; მერე გავიგე, მონღოლი კი არა, თურმე მონგოლოიდი ყოფილა. სახელმძღვანელოში კი წერია, მონგოლოიდი ფსიქიურად არასრულფასოვან ადამიანს ნიშნავსო. შენი წერილიდან ისე გავიგე, თიტქოს თავს ძალით მოგახვიეს. რისთვის? ისეთი მაინც რა ჩაიდინე!

მამა ხმამაღლა ლაპარაკობდა, სულ დაავიწყდა, რომ მარტონი არ ვიყავით, ირგვლივ უამრავი ხალხი ირეოდა და ჩვენც იყურებოდნენ. ამიტომ გამჯობნე ქუჩაში გამეყვანა, მაგრამ ასეთ მოძრაობას არ იყო მიჩვეული და სულ დარეტიანდა; მერე კაფეში შევედით, ერთ საათზე მეტი ველაპარაკე და დიდი

გაჭირვებით გავაგებინე საქმის ვითარება. ეჭვით მისმენდა, უკვირდა, წამდა-უწუმ სიტყვას მაწყვეტილებდა, აღშფოთებას ვერ იკავებდა.

— რაკი ასეა, წავალ და დოქტორ მაქსსაც და დედამისსაც თავად მოველაპარაკები. ამისთანა უსამართლობას ჯერ არ მოვსწრებივარ! — იგი ისე მკვირცხლად წამოხტა, ვიფიქრე, უკვე დოქტორ მაქსთან და დოქტორ ურადსთან მირბის-მეთქი. კალთა ჩამოვწიე და ისევ დავსვი.

— მამა, ვის რაში ენაღვლება სამართლიანობა თუ უსამართლობა! ამ ცნებამ დიდი ხანია დაკარგა აზრი. შენ სხვა თაობისა კაცი ხარ და სხვა შეხედულებებიც გაქვს. მაგ შეხედულებებს კი არათუ ანგარიშს გაუწევენ, ვერც გაიგებენ. პატრონებს რომ ეგ შენი აზრები მოახსენო, არ გალაპარაკებენ, მაგათ მხოლოდ თავიანთი საქმე იციან.

მამა ჩაფიქრდა, კარგა ხანს ჩუმად იჯდა და ქოლგის ტარს ატრიალებდა.

— მართალია, მე სხვა თაობის კაცი ვარ, ისიც მართალია, რომ ბოლო ხანებში ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ისე როგორ შეიცვალა, ან რა ისეთი ბებერი მე ვარ, ვერ გავიგო, რა ხეირს მოგიტანს ანგარიშიანი ქორწინება. მაგრამ ეს მაინც მეტიმეტია, ამისთანა რამ ჯერ არავის გაუგონია. ხედავ, რამდენი რამ გადაგიტანია! უსიამოვნება ვის არ შეხვედრია, მაგრამ თავს ასე ვის გავაქელვინებ, რაც არ უნდა მდიდარი იყოს. აი რა, ჩემო კარგო, მგლები კრავებს ჭამენ, შენ კი კრავი არა ხარ. მაშასადამე, რამე უნდა იღონო, კარგად მოვიფიქროთ და გადავწყვიტოთ, რა გზას დავადგეთ. უპირველეს ყოვლისა, სხვა სამუშაო უნდა ეძებო. შენი ნიჭისა და უმიწკვლო სახელის პატრონს, სამსახურის შოვნა არ უნდა გაგიჭირდეს. მთავარია, სულთ არ დაეცე, გამაგრდი. ჯერჯერობით სადმე პატარა სასტუმროში გავჩერდები, შენ გვერდით რომ ვიყო, იქნება რჩევა მაინც მოგცე რამე. წავიდეთ, რასა ვზივართ ამ სოროში და რა ცხვირი ჩამოგვიშვია. მირჩიე, რომელ სასტუმროში მოვეწყო, რომ არც ძალიან შორს იყოს და არც ძვირი დამიჯდეს.

მამა კვლავ წამოდგა, მაგრამ მაშინვე ვტაცე ხელი და დავსვი. იგი გაბრაზდა:

— რა იყო? ასე უქმად როდემდე უნდა ვისხდეთ! ცარიელი ლაპარაკით საქმეს რას ვუშველით! მოვიფიქროთ, გადავწყვიტოთ და ვიმოქმედოთ!

— გამიგონე, მამა, მე არ მითქვამს, იმ ცილეთას აუცილებლად შევირთავ-მეთქი. მარტო შექმნილი ვითარება აგიწერე და გითხარი, შეიძლება ეს საკითხიც წამოიჭრეს-მეთქი. რაც შეეხება სამუშაოს, ხელშეკრულებას ხელი მოვაწერე, ისე რომ ამიერიდან რაც კი სავაჭრო გეგმას შევადგენ, ყველა დოქტორ მაქსს ეკუთვნის. ასე რომ არ მექნა, ამ საბუთისთვის ხელი რომ არ მომეწერა, მარტო შრომისუნარიანობა და ნიჭი ვერას მიშველიდა, იოლად სამუშაოს ვერ ვიშოვიდი. იცი, რამდენი დრო, სირბილი და მოლაპარაკება სჭირდება ამას...

— რას მელაპარაკები, მე ზომ ვიცი, რომ გეგმების ავტორი შენა ხარ, მოწმედ დაგიდგები, თუ საჭიროა. ან რომელ კანონში წერია ამისთანა მონური ხელშეკრულების თაობაზე. ამდენი მეც კი ვიცი. რასაკვირველია, სისულელე ჩაგიდენია, რომ ხელი მოგიწერია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხელშეკრულება რაა, ქაღალდია მხოლოდ, შეგიძლია სასამართლოში იჩივლო და გააუქმებინო.

— ამას შენ მეუბნები? სულ იმას არ მეჩიჩინებოდი, საქმე სასამართლო-
დე არ მიიყვანო, თორემ ტყავს გაგადრობენო? განა შენ ჩემს ადგილზე დოქ-
ტორ მაქსს დავას აუტეხავდი? ამისთვის ან რა საბუთი მაქვს ან რა საფუძ-
ველი!

— მართალია, — დამეთანხმა მამა, იგი კვლავ ჩაფიქრდა და ისევ ქოლგის
ტარს დაუწყო წვალება, — საამისოდ დროცა და ფულიც ბლომად უნდა გქონ-
დეს. თუმცა შეუძლებელი არაფერია, ახლავე შეგიძლია პასუხისგებაში მისცე
ქმედუუნარო პირის მოტყუებისა და პიროვნებაზე ძალადობის გულისთვის.
აი რა იქნება ჩვენი პირველი: ბუმ! ბუმ! — და მან ორჯერ მოუქნია მუშტი
უჩინარ მტერს.

— უკაცრავად, ქმედუუნარო ვინაა? ან პიროვნებაზე ძალადობა რაღას
ნიშნავს?

— შენზე კი არა, აი, იმ ქალიშვილზე ვამბობ, ძალად რომ უნდა შეგროთონ!
მართლა, რა ჰქვია?

— ცილეტა.

— სახელიც კარგი გამოუჩნდებათ! თუ ჰკუთასუსტია, მაშასადამე, ქმედ-
უუნარო ყოფილა! თუკი ადამიანს გაგების უნარი არ გააჩნია და სურვილები
არა აქვს, არც მისი ქორწინება შეიძლება. ამას ამბობს კანონიც. რაც შეეხება
პიროვნებაზე ძალადობას, უნდა გამოვნახოთ შესაფერისი იურიდიული ფორმუ-
ლა, თუმცა პირადად ჩემთვის ისიც საკმარისია, იმ უხეირო მაგიდასთან მი-
კუნჭული რომ დაგინახე. ეს რა, გეცოტავენა, ან რაც შენ მომიყევი, ის არა
კმარა? მეტი რაღაა სალაპარაკო, ისე მოვიქცეთ, როგორც ლოგიკა და გო-
ნიერება გვიკარნახებს! აბა, აბა, წავიდეთ. აქ ჯდომა აღარ შემიძლია, ასე მგო-
ნია, ვიხრჩობი-მეთქი! — ამჯერად უკვე გადაწყვეტით ადგა, გადაიხადა ფული
და ფართო ნაბიჯით პირდაპირ კარისკენ გაემართა.

ფირმასთან ახლოს სასტუმროში დავაბინავე, კარამდე მივაცილე და და-
ვემშვიდობე. რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და მისი ხმა შემომესმა — კარებში
თავი გამოეყო და მომძახოდა:

— იცოდე, უჩემოდ არაფერი გადაწყვიტო, საღამომდე მოიცადე, ზუს-
ტად რვა საათზე აქ შევხვდეთ, კარგ ამბავს დაგახვედრებ, — ისე ხმამაღლა
ყვიროდა, რომ გამვლელები მოტრიალდნენ, გაოცებით შეხედეს და გაიღიმეს.
მამამ ხელი დამიქნია და კარი მიხურა.

მამა მართალია, ვუთხარი ჩემს თავს, ალბათ კაცი შეუპოვარი უნდა იყო,
თანაც სიცოცხლით სავსე და მჩქეფარე ბუნების, როგორც ჩვენი ფირმის
ზოგი წარმომადგენელია. როცა დოქტორი მაქსი ასეთ ადამიანებს შეეჯახება,
მაშინვე ჩუმდება. როგორც ჩანს, არც მტკიცე ხასიათი მაქვს და არც გადა-
წყვეტი ნაბიჯის გადადგმა შემიძლია, ვერც მოწინააღმდეგეს დავუხვდები ისე,
რომ ხმის ამოღებისთანავე გავაჩუმო და გავაგებინო, რომ მასზე მეტი თუ არა,
ნაკლები ძალა არა მაქვს. ეგებ ჩემი შეცდომა სწორედ ის იყო, რომ თავიდან-
ვე ფარხმალს დავყარე, მათ ნება-სურვილს დავყევი და ქედი მოვიხარე. ჯერ
ერთი, არ უნდა დავთანხმებოდი, როცა საპირფარეშოში დამსვენს სამუშაოდ.
მაშინვე უნდა მეტქვა, ამას თავის დამცირებად და შეურაცხყოფად ვთვლი-
მეთქი. არც დოქტორი მაქსის მასხრად აგდებას უნდა მოვრიდებოდი, არც ნახ-
მარი კოსტუმი უნდა გამომერთმია დოქტორი ურაცასთვის. ცივი უარი უნდა

მეტყიკა ნემსებზეც. ერთი სიტყვით, წინააღმდეგობა რომ გამეწია და ძალა-
დობაზე ძალადობითვე მეპასუხნა, მაშინ არც ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნე-
ბოდი, არც ცილეთას ამკიდებდნენ, კარგ ადგილსაც გავინაღდეზღი და დიდ
ხელფასსაც. ნუთუ ეს ყველაფერი შეცდომა იყო? ნუთუ ამხელა კაცი, იმის
მიუხედავად, რომ მშვენივრად მესმის ჩემი უფლება-მოვალეობანი, იმდენად
უსუსური აღმოვჩნდი, მამაჩემმა უნდა მიქომაგოს? ხომ სირცხვილით მოგ-
კვდი, რომ მხოლოდ თავისი მამობრივი უფლების წყალობით ერთ საღამოს
იმას მიაღწიოს, რასაც მე ამდენ ხანს ვერ მივაღწიე! მაშასადამე, არც გამბე-
დაობა მქონია და არც გამჭრიახობა. რა ნათლად აზროვნებს მამაჩემი! რა
კარგად ესმის თავისი უფლებები, რა ღირსეულად უჭირავს თავი და რა აღ-
შფოთებით ხვდება ეს სამოცდახუთი წლის მოხუცი უსამართლობას! მე კი,
შის შვილს, მასზე ორმოცი წლით უმცროსს, არც ნათელი აზროვნება, არც
საკუთარი ღირსების შეგრძნება, არც ხასიათის სიმტკიცე არ გამაჩნია. წინათ
თითქოს არ ვიყავი ასეთი. ნუთუ სულ დავკარგე სინამდვილის გრძნობა? ნუთუ
ფირმისა და დოქტორი მაქსისადმი ჩემს დამოკიდებულებას თავიდან ბოლომ-
დე განსაზღვრავდა არა ნამდვილი ცხოვრების მოთხოვნილებები და ადამია-
ნური სიამაყე, არამედ მხდალი და სულმდაბალი მოწის გრძნობები, მორჩილად
რომ იტანს ყოველგვარ შეურაცხყოფას?

მთელი დღე ამაზე ფიქრმა დამტანჯა და გამაწამა კაცი. უცბად ტელეფონ-
მა დარეკა. შიკრიკმა მაცნობა, მამათქვენი აქ, დერეფანში დადის და დოქტორი
მაქსის ან დოქტორი ურადას ნახვას ითხოვსო. მაშასადამე, მაინც მოვიდა და
პირდაპირ ლომის ბუნავში დააპირა შეჭრა. მე კი მორჩილად ვზივარ ცარიელ
მაგიდასთან და ველოდები, რა მოხდება, კიდევ რა უბედურება დამატყდება
თავს. მთელი დღე ვერ მოვისვენე. რვა საათზე სასტუმროში გავვარდი. მამა
უკვე მოსულიყო და ქვევით დაეტოვებინა ამავე, როგორც მოვიდეს, ჩემთან
ამოვიდესო. მაშინვე ზევით ავირბინე, სულ ორ-ორ საფეხურს ვახტებოდი და,
გულამოვარდნილმა, კარზე დავაკაკუნე.

— ვინ არის? — თითქოს შორეთიდან მომესმა სუსტი, მიკნავებული ხმა.
ვერ ვიცანი და ვიფიქრე, კარი ხომ არ შემეშალა-მეთქი.

— მე ვარ, მამა, — შევეხმიანე.

— შემოდი, შემოდი, — გამომძახა მან დაძაბულად და ხმაც უკვე მეცნო.
მახსოვს, ასეთი ხმა ყველაზე მძიმე წუთებში ჰქონდა ხოლმე. შევედი. იგი
იწვა (გამიკვირდა, მთელი ცხოვრება უძილობას უჩიოდა, ასე ადრე დაწოლი-
ლი არ მახსოვს), ხელში ქოლგა ეჭირა და იატაკზე აკაკუნებდა.

— ავაზაკები, ყაჩაღები! მე მაგათ ვაჩვენებ, როგორ უნდა სამოცდახუთი
წლის მოხუცის... — დაიწყო მან, თან ქოლგას კეტივით იქნევდა.
ახლოს მივედი.

— რა დაგემართა? ცუდად ხომ არა ხარ?

პირისახეზე აღმური მოსდებოდა და თითქოს სილურჯე დაჰკრავდა. ძალ-
ზე შემეშინდა, არ ვიცოდი, რა მეღონა, და ჭალარა თავზე ხელი გადავუსვი.
მან დაისლუკუნა, დაისლუკუნა მხოლოდ ერთხელ, მაგრამ ისეთი გულგამგმი-
რავი ხმა ჰქონდა, გეგონებათ, დაიყმუვლაო. მერე ისევ ქოლგის ქნევას მო-
ჰყვა.

მამა გასავათებული იწვა. ჩამქრალი, მიმტკნარებული ხმით მომიყვა, რაც
მომხდარიყო; თურმე დოქტორი მაქსისა და დოქტორი ურადასათვის ეთხოვნა,

შიმილეთო, მაგრამ ერთსაცა და მეორესაც უარით გამოესტუმრებინა. ბოლოს ისევ დოქტორ მაქსს დაერთო ნება, მაგრამ მის მაგივრად კაბინეტში ლოტარი შემოსულიყო და მამაჩემისთვის რაღაც ნემსი გაეკეთებინა. მამაჩემი თურმე გაძლიანებია, უყვირია და უღრიალია, მაგრამ არაფერმა გასჭრა, — ლოტარმა მშვიდად დაამთავრა თავისი საქმე. მამა კი სასტუმროში დაბრუნდა, ლოგინში ჩაწვა და ექიმი გამოიძახა (სწორედ ერთი ფეხით გამასწრო თურმე).

— ექიმმა რა გითხრა? — ვკითხე დუნედ, ლაპარაკის ხალისიც კი დამეკარგა. ვაი რომ ისევ მე აღმოვჩნდი მართალი და არა მამაჩემი; ვერც საკმაო სიფრთხილე გამოვიჩინე, ბავშვურად დავუჯერე და ვენდე მამაჩემს. ფირმაში მოსვლის ნებართვა არ უნდა მიმეცა. ახლა ისევ მე უნდა ვაგო პასუხი საკუთარ შეცდომებზეც, სინამდვილეში რომ არ ჩამიდენია (თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ძალიან მორიდებით ვთქვი, ცილეთაზე ვერ ვიქორწინებ-მეთქი) და მამაჩემის დაუფიქრებელ საქციელზეც.

— რა უნდა ეთქვა, მარტო ნაჩხვლეტი მიპოვა, შედეგი კი ხვალ გამოჩნდებაო. მე ვანანებ მაგ ავაზაკებს, ნახონ, რა შავ ღღეს დავაყრი!

— მაინც რას იზამ? — ვკითხე მე.

— აბა ეგ რა საკითხავია? ამდენი როგორ არ გესმის? ეს ხომ წინასწარ განზრახული ძალადობაა! რა დაგემართა? ძარღვებში წყალი ხომ არ ჩაგიდგა?

— მაინც რას იზამ? — კვლავ გავიმეორე.

— სამართალში მივცემ, აი, რას ვიზამ!

— ამისთვის საბუთი გჭირდება, მოწმეები უნდა გყავდეს!

— რაო? რა თქვი? ხმამალა გაიმეორე, ვერ გავიგონე!

— რა და, საბუთი უნდა გქონდეს და მოწმეები გყავდეს-მეთქი. ვინმემ დაინახა, ლოტარმა რომ ნემსი გაგიკეთა?

— არა, არავის არ დაუნახავს, მაგრამ ხვალ ექიმი მოვა და შედეგს ნახავს.

— შედეგის იმედი ნუ გექნება. ეს ვიტამინის ნემსია და მხოლოდ წმინდა სიმბოლურ ხასიათს ატარებს. რამდენიმე თვე მეც მიკეთებდნენ, შენ ვერ გაგიმხილე, შემრცხვა. მაგრამ მოწმეებიც რომ გყავდეს, მაინც ვერაფერს გააწყობ. შენ თვითონ გითქვამს, მოწმეებს ფული გამოვნივსო, ფული კი, იცოცხლე, დოქტორ მაქსს აქვს. გვირჩევნია ახლა იმაზე ვიფიქროთ, ამ შენი თარსი ჩარევით რა ღღე მეწევა.

— რა ღღე უნდა გეწიოს, ღღე თუ ეწევა, იმათ ეწევა! ჩემს ცხოვრებაში ამისთანა არაფერი გამიგონია! ამას რას მოვესწარი! აღშფოთება მაინც გამოთქვი, ასე უბრძოლველად როგორ ნებდები? ის ჭკუასუსტი რომ შეირთო, მთელი ცხოვრება კისერზე გეყოლება ჩამოკიდებული, ცოცხლად დაიმარხები! მაგ არამზადებს კი შავ ღღეს დავაყრი, აბა მაცადონ! ამას რას მოვესწარი! — იგი ქოლგის ტარს დაეყრდნო და საწოლიდან გადმოხტა. — კმარა, მატარებელი თერთმეტ საათსა და ხუთ წუთზე გადის, რილასთვის დავრჩე, დრო უქმად რატომ დავკარგო! აფსუს, სასტუმროში ღღე ღამისა რომ უნდა გადავიხადო. დილით ექიმი მოვა, შედეგს მაცნობებს. მაგრამ რა უჭირს, მეკარესა ვთხოვ და ფოსტით გამომიგზავნის, გამომადგება, ესეც ჩვენი ღირსებების დასაცავი საბუთი იქნება. ღმერთო, რა ხდება ამ ქვეყანაზე!

მან სწრაფად ჩაიცვა, ჩემოდანი დაკეტა და წასასვლელად მოემზადა. ქვევით რომ ჩავედით, მამამ ანგარიში გაასწორა და ტაქსის გამოძახება ითხოვა.

— მართლაც გადატრიალებულა ეს ქვეყანა და ეგაა. ეს ქალაქიც სულ სხვანაირი მახსოვს, როგორ შეცვლილა! მაგრამ ასეთი რამე მაინც ჩემს თვალებს არ უნახავს, — ისევ ისე ბუტბუტებდა მამაჩემი გზაში.

— მამა, აკი გეუბნებოდი, შენ სულ სხვა თაობას ეკუთვნი, ამ ქვეყანას სულ სხვა თვალებით უყურებ-მეთქი. დილასაც მიხდოდა მერჩია თავი შეგეკავებინა, არ მოსულიყავი, მაგრამ ისე იყავი დარწმუნებული, რომ...

— რასაკვირველია, დარწმუნებული ვიყავი, ახლაც დარწმუნებული ვარ. სადა გცხოვრობთ? ნუთუ გგონია, რომ დოქტორ მაქსს ნებას მივცემ შენსავით გადამქელოს? აი ნახავ, მე ჩემსას ვეცდები, ამას ასე მაინც არ დავტოვებ!

— კარგი, მამა, მაგრამ მაინც რას იზამ?

— უპირველეს ყოვლისა, ვეჭილს მივმართავ. იმასაც გეტყვი, მზადა ვარ დუელშიც გამოვიწვიო! გგონია, შემეშინდება? სულაც არა.

კამათს აზრი არა ჰქონდა და მეც ვაცალე, ლაპარაკით მაინც მოეოხებინა გული. მატარებლის გასვლამდე ორი საათი დარჩენილიყო და რესტორანში შევედით, სავახშმოდ. მამაჩემიც თითქოს დამშვიდდა, ჩვენი ქალაქის ამბები მომიყვა, დედაზეც მელაპარაკა, როცა დანაყრდა, ჩასთვლიმა. ვიჯექი და ვუყურებდი. თვალი რომ გაახილა, მატარებლის გასვლას უკვე ოცი წუთი აკლდა. ვაგონამდე მივაცილე, ადგილიც მოვუძებნე, მერე ბაქანზე ჩამომყვა.

— იცი, რას გეტყვი, მთელი ეს ხანი ბევრი ვიფიქრე. ჰოდა, თუ ჩემი ჩარევა კეთილს არაფერს დაგაყრის, ხმასაც არ ამოვიღებ. მაგრამ შენ თვითონ მაინც ეცადე რამეს, გაისარჯე, მიდექ-მოდექი, რამე სხვა სამსახური მოძებნე, სხვა პატრონი გამოიხე. ამ ქალაქში ფირმები რამ გამოლია! გიმეორებ, შენი სახელისა და განათლების პატრონს ეს არ უნდა გაგიჭირდეს. რა გული გაგიტეხია, შენი ვერაფერი გამიგია! აკი გეუბნები, ბევრი ვიფიქრე და მივხვდი, რომ მართლაც ბევრი რამ შეცვლილა; შენ ჩემზე უკეთ იცი, როგორ უნდა მოიქცე. მაგრამ სანამ იმ ქალიშვილის ცოლად შერთვას გადასწყვეტდე, დაფიქრდი, კარგად დაფიქრდი, აწონ-დაწონე, შედეგებიც გაითვალისწინე. შვილები გეყოლება, ესეც არ იყოს, ხალხში ტრიალებ, საზოგადოება გიცნობს, იმ გონჯთან ერთად კი თავი არსად გამოგეყოფა! ღმერთო ჩემო, მაინც რა დაგემართა, ასე რამ შეგცვალა, ველარა გცნობ! ანგარიშიანი ქორწინება გამიგონია, მაგრამ ავადმყოფ, ზელით სათრევ ქალზე? რა დაგემართა, შვილო, ასე როგორ დაეცი სულით! — ამის თქმაზე მამამ ისევ წაისლუკუნა, მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა, — სახელზეც იფიქრე, ისიც გაითვალისწინე, რა ტკივილს მიაყენებ დედაშენს, მაგრამ რაც მთავარია, საკუთარ თავზე იფიქრე, ჩვენზე ნუ შეწუხდები. ნემსებს მაინც რატომ გიკეთებდნენ, რა გჭირდა? როგორ ითმენდი! გაინძერი, იმოქმედე, გაიგე? — მან თავზე ხელები წამავლო და შემანჯღრია. მერე საათს დახედა და ვაგონში შევიდა, თუმცა იქიდანაც განაგრძობდა შეგონებას: — როგორც გერჩივნოს, ისე მოიქეცი, არ იდარდო და, რაც მთავარია, ჯანმრთელობას გაუფრთხილდი. თუ კარგად იქნები, ყველაფერს ეშველება. დაიხსომე, უპირველეს ყოვლისა, ჯანმრთელი უნდა იყო. დანარჩენი

კი, როგორც გიჯობდეს, ისე გადაწყვიტე! უკვე საკმაოდ მოზრდილი ხარ, შენი ბედი შენს ხელთაა. მე რაღა დამრჩენია, მალე იმქვეყნისკენ ვიზამ პირს. გამაგრდი, ფარხმალს ნუ დაყრი! თავი გამოიჩინე, შენი ჩიჭი ყველგან გამოგდება, გავლენიანი მეგობრები შეიგულებ და აი ნახავ, ყველაფერი მოგვარდება. გულ-ხელს ნუ დაიკრეფ, მიდექ-მოდექი, ერთ ადგილს ნუ მისციებიხარ, ქუჩაში ხშირად გამოდი, სუფთა ჰაერზე იარე, მტვრიან დარბაზში ყურყუტს სეირნობა სჯობია.

მატარებელი დაიძრა. მამამ ფანჯარა დასწია, თავი გამოჰყო და ხელი მტაცა.

— ნუ დანებდები, გესმის? გამაგრდი, გაიგონე? უკანასკნელად გიმეორებ, ყველაფერს ეშველება. კარგად იფიქრე, ყველაფერი აწონ-დაწონე! ისე მოიქეცი, როგორც სინდისი და გული გიკარნახებს, გამორჩენაზე ნუ იფიქრებ, სისულელეს ნუ ჩაიდენ, თორემ მერე ინანებ და გვიან კი იქნება. მშვიდობით, ძვირფასო! აი ნახავ, თუ ყველაფერი არ მოგვარდება, მჯერა, სწორ გზაზე დადგები და ბედნიერებას ეწევი...

მამამ ხელი გამიშვა, მატარებელმა სიჩქარეს უმატა და სადგურის თაღებს გასცილდა.

XIII

გადავწყვიტე, ფირმასაც დავტოვე, ამ ქალაქსაც და სხვაგან სადმე გადავიკარგები-მეთქი. მშვენივრად ვიცი, რასაც მიქადის მომავალი, მაგრამ თუ ცილეთას ცოლად არ შევირთავ, სხვა გზა არა მაქვს. რატომ არ ვირთავ ცილეთას, რატომ არ ვხუჭავ თვალს სინამდვილეზე და რატომ ვიტანჯავ თავს კითხვებითა და ეჭვებით? იქნებ თავისუფლების სიყვარულმა და ადამიანური ღირსებების ნარჩენმა გაიღვიძა ჩემში? მაგრამ ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ წარსულის გადმონაშთია, კვამლივით რომ ფანტავს ცხოვრებისეული გამოცდილება ანუ სინამდვილე!

სხვა სამუშაოს ძებნა დავიწყე, მაგრამ ყველგან ორჭოფული, გაურკვეველი პასუხი მივიღე. ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ვისაც კი მე მივმართე, მართალია, თავისი აზრი ხმამაღლა არ გამოუთქვამს, მაგრამ ჩემს მოქმედებას გულში გმობდა, თითქოს მეუბნებოდა: რატომ ეძებ სხვა ადგილს, როცა ასეთ ცნობილ ფირმაში, თანაც უშუალოდ დოქტორ მაქსთან მუშაობ, ვინც ღვიძლ ძმასავით გექცევაო. მაშასადამე, სხვა ფირმებშიც იცოდნენ ჩემი მუშაობისა და დოქტორი მაქსის ჩემდამი კეთილგანწყობის ამბავი. ვიცოდი, რომ თავად უყვარდა ამ საგანზე ლაპარაკი, რადგან ერთი მხრით მე, როგორც საკუთრებას, ფასს მიწევდა, მეორე მხრით კი მამდაბლებდა ანდა დამოუკიდებელი მუშაკის პირობაზე სულაც მსპობდა.

კარგა ხანია დოქტორი მაქსი არ მენახა. ვიფიქრე, იქნებ მოვიხელთო და ორიოდ სიტყვა მაინც ვუთხრა-მეთქი. შიკრიკს ვკითხე, სად შეიძლება ვნახო-მეთქი, მაგრამ ფრიად შეურაცხყოფელი პასუხი მივიღე:

— ცხოვრების ჩარხი წაღმა-უკუღმა ტრიალებს! ვინ იფიქრებდა, რომ დოქტორი მაქსი, თქვენი ესოდენ განუყრელი მეგობარი, ოდესმე საძებნელი გაგიხდებოდათ.

მართალიც იყო. პლუტოც თითქმის ყოველდღე ზვდება მას, მე კი მიმა-
ლავს, თუმცა ვხვდები, რომ წარამარა მასთან დარბის. ერთხელ თვალეში
შევხედე და ვუთხარი:

— პლუტო, შენ ხომ ხშირად ნახულობ დოქტორ მაქსს. თუ ჩემი მეგობ-
ბარი ხარ, მითხარი, სად შევხვდე?

პლუტომ ღიმილი ვერ შეიკავა და მიპასუხა:

— თვალეც არ მომიკრავს.

— ტყუილია, ვიცი, რომ ნახულობ და ჩემზეც ლაპარაკობთ. მე ხომ იმას
არ გეკითხები, რას ლაპარაკობთ, მარტო იმას გთხოვ, როგორმე მომეხმარე და
შემახვედრე.

პლუტო დაფიქრდა, კარგა ხანს დამყურებდა ზემოდან და შემდეგ მი-
თხრა:

— აკი გითხარი, რამდენი ხანია არ მინახავს-მეთქი, რა დასამალია ეს
ამბავი?

ამგვარად მივხვდი, რომ დოქტორ მაქსსა და მის ხელქვეითებს შორის
მტკიცე თანხმობა არსებობს და მათგან ვერასოდეს ვერაფერს შევიტყობ.
ამის შემდეგ გადავწყვიტე, საწყობში დავხვდები-მეთქი (იქ ყოველდღე დადის;
საწყობი საქონლით გამოტენილი და რკინის კარადებით ჩახერგილი ლაბირინ-
თივით გრძელი სადგომია). მართლაც ერთ დღეს კარადის უკან ჩავუსაფრდი
და ლოდინი დავუწყე; მალე დავინახე კიდეც, ჩემკენ მოდიოდა. ფეხის ხმაც
გავიგონე, ხან სწრაფი და ხან შენელებული, ხან მძიმე და ხან მსუბუქი. სია-
რულიც რომ მისი ხასიათის წინააღმდეგობრიობაზე მეტყველებს! აი, ამ წუთ-
ში აღარც კი მესმის, ეს იმას ნიშნავს, რომ აზრი გაუწყდა, ადვილი შესაძლე-
ბელია, უკანვე გატრიალდეს. მაგრამ აი უკვე გამოჩნდა, საცაა გამისწორდება.
მეც გამოვედი ჩემი საფრიდან. მან დამინახა, მოულოდნელობისაგან ყრულ
ჩაიციხა, მერე რაღაც ღრჭიალა ხმა გავიგონე და უცბად კარადების ლაბირინთ-
ში გაუჩინარდა. მალე მისი ნაბიჯების ხმა მიწყდა და საწყობში მარ-
ტო დავრჩი.

მეორე დღეს მისგან დაზღვეული წერილი მივიღე:

„ჩემო ძვირფასო!

გუშინ საღამოს მე თქვენ დაგინახეთ და ვერც დაგინახეთ. ისე იდუმალი
(და მრისხანე) იერით გამოხვედით კარადის მხრიდან, რომ ვერ გიცანით, უცხო
მეგონეთ და აღარ გავჩერდი. ბოდიშს გიხდით ასეთი უცნაური საქციელის-
თვის, უფრო სწორად, გაქცევისთვის. მაგრამ მე სულ სხვა კაცს გავექეცი და
არა თქვენ. არ იფიქროთ, რომ ამ წერილით მინდა გავამართლო ამდენი ხნის
უნახაობა. ჯერ ერთი, აუარება საქმე მქონდა და მეორეც, ვიფიქრე, არც თქვენ
გაწყენდათ დაფიქრება და აზრის მოკრეფა. ასეთ დროს ჩვენი შეხვედრა მხო-
ლოდ ვნებას მოგიტანდათ და შეიძლება ერთგვარი ზემოქმედებაც კი მოეხდინა
თქვენს გადაწყვეტილებაზე — თქვენი მოქმედების თავისუფლება შეეზღუდა და
თქვენი შეგნება დაეზნელებინა. ვიცი, რომ მძიმე განსაცდელში ხართ, სინამდვი-
ლეს, ფირმასაც და მეც ეჭვის თვალთ გვიყურებთ. ისიც ვიცი, რომ სხვა
ფირმებთან კავშირის გაბმაც სცადეთ. კარგად მოიქეცით, გულწრფელად და
მზურვალედ გიწონებთ ამ საქციელს.

კიდევ რომ მენახეთ, მაინც ვერაფერს გიშველიდით; იქნებ სიტყვით ან საქციელთ ჩემდა უნებურად თქვენს ახლანდელ მდგომარეობაზე არაკეთილ-სასურველი ზემოქმედება მომეხდინა. ვაითუ უფრო დაბნეულიყავით და ისე-დაც მძიმე სულიერი მდგომარეობა უფრო გაგმწვავებოდათ! ასე და ამგვარად, კარგად დაფიქრდით, იმაზე თავს ნუ შეიწუხებთ, რომ უსაქმოდ წიხართ. მე თვითონ გავეცი განკარგულება, სამუშაოთი არ დატვირთოთ-მეთქი (ჩემივე ბრძანებით გადაგიყვანეს ერთი ადგილიდან მეორეზე; ვცდილობდი თქვენი ინტელექტუალური თავისუფლებისთვის გასაქანი მიმეცა), რათა ამ ყოვლის-მშთანთქმელ ურჩხულს, ფირმა რომ ჰქვია, ხელი არ შეეშალა თქვენთვის და უკეთ მოგეკრიფათ აზრი. თქვენ ხომ ჯერ არა ხართ ამ მექანიზმის ბორბალი, შორიდან კი განსჯა ადვილია. თუმცა კმარა შედარებები. რაკი არ მუშაობთ და, ასე ვთქვათ, მაყურებლის როლში იმყოფებით, უფრო გაგიადვილდებათ თვალი მიაღვენოთ ფირმის ცხოვრებას და მისი ჭეშმარიტი სახეც დაინახოთ. ხელფასიც ჩემი ბრძანებით დაგიკლეს. თქვენი მგრძნობიარობის ამბავი რომ ვიცი, შეჭველია, გადასწყვეტეთ, რომ ამით თქვენი დასჯა მინდოდა. ღმერთმა დამიფაროს! ეს ხომ წმინდა ადმინისტრაციული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. თუ ერთი წუთით დაფიქრდებით, თავადვე მიხვდებით, რომ იშვიათი გულისხმიერება გამოიჩინეს თქვენდამი. თქვენ სინამდვილეში არ მუშაობთ, ხელფასს კი გაძლევენ. ალბათ დამეთანხმებით, რომ საქმიანი თვალსაზრისით ეს უაზრობაა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, დასჯილი ფირმა გამოდის, რამდენადაც ის გიხდით ფულს, სამაგიეროდ კი არაფერს იღებს. და მაინც მე არ გახლავართ მშრალი ბუღალტრული ანგარიშის კაცი. ჩემი ბუღალტერია სულ სხვაა, ის უფრო ზუსტი, გონივრული და, ასე ვთქვათ, წინდახედულია. ცხადია, თქვენ მთელ დროს ფიქრს ანდომებთ და ბუნებრივია, ფიქრობთ ისევ ფირმაზე. ესეც ხომ ერთგვარი შრომაა! ამიტომ სამართლიანობა მოითხოვს, ფული გადაგიხადოთ, მაგრამ, რასაკვირველია, იმდენი არა, როგორც ჩვეულებრივ სამუშაოში (სწორედ ასეთ სამუშაოს დაიწყებდით ჩემი ხელმძღვანელობით, ეს მძიმე განსაცდელი რომ არა). თქვენი სამუშაო მაინც მოითხოვს პატივისცემასა და ანაზღაურებას, თუმცა ჩვენი საწარმოსთვის ამჟამად არავითარი საფასური არა აქვს, მხოლოდ მომავალში გვპირდება ბრწყინვალე შედეგებს. ჩვეული გულახდილობით გეტყვით, რომ ყველაზე მეტად იმაზე ვწუხვარ, რომ თავს ტყუილუბრალოდ იწამებთ, თუმცა არც ეს ჩაგივლით მთლად უსარგებლოდ, ასეც უნდა იყოს, წამება მართლაც არ გაწყენთ. მეტსაც გეტყვით: მე ესოდენ დიდად ვაფასებ ადამიანის სინდისს, რომ ხარჯებზედაც კი არ დავიხვე უკან, კვლავაც გადაგიხდით თქვენს მცირეოდენ ხელფასს, ოღონდ კი სულ ახალ-ახალი საკვები მოგცეთ სინდისის საქენჯნად (იმედია, ამას სულ მალე მოეღება ბოლო). მაშასადამე, ასე შევთანხმდეთ: აზრი მოიკრიფეთ, კარგად დაფიქრდით, მაგრამ ერთი რამ კი მაინც მინდა გირჩიოთ: მხოლოდ საკუთარ თავს ენდეთ, სხვისი იმედი ნუ გექნებათ, საკუთარი თავის გარდა არავის ძალუძს თქვენი შველა.

თქვენი დოქტორი მაქსი.

ჰო, სულ დამავიწყდა, ალბათ მოგეხსენებათ, რომ ჩემთან მამათქვენი გახლდათ; შეხვედრა ძალზე უსიამოვნო იყო, მან თავს ნება მისცა და საშინელი გულისწყრომა გამოთქვა. ლოტარი თავაზიანად მოექცა, მაგრამ არც ამან გას-

ჭრა. მამათქვენი მოხუცია, ფიცხიც ჩანს, ვერაფერში ვერ ერკვევა, ამასთან ჯიუტიც ყოფილა. მაპატიეთ, ამას რომ გეუბნებით, მაგრამ ამით მინდა ხაზი გავუსვა ჩემი წერილის მთავარ აზრს: ვერა კაცი მთელ დედამიწაზე, ვერც მამა, ვერც დედა და ვერც სხვა მრჩეველი (გიჯობთ მათგან თავი შორს დაიჭიროთ) ვერას გიშველით. აი ნახავთ, ყველაფერი თავისთავად გადაწყდება. მაგრამ იცოდეთ, საკუთარ გულში ჩაიხედეთ და იქ ეძიეთ ხსნა, ეძიეთ მშვიდად, წყნარად, გახსოვდეთ, რომ არავინ გაჩქარებთ“.

საღად რომ განვსაჯე, იძულებული გავხდი მედიარებიანა, ამ წერილის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს-მეთქი. ჰოდა, კვლავაც მაღლიერების გრძნობით განვიმსჯვალე დოქტორი მაქსის მიმართ. რახან ასეა, მაშასადამე, მისი წერილი კეთილი გრძნობებით არის ნაკარნახევი. ახლა ისღა დამრჩენია, რომ ჩემ გარშემო შექმნილი სინამდვილის სიმართლეში დავრწმუნდე; ეს კი ჯერჯერობით მიჭირს. კიდევ რამდენიმე დღე გავატარე ამ მწარე ფიქრებში (სიცხემაც კი ამიწია და ლოგინში ჩავწექი), მაგრამ დასკვნა მაინც ვერ გამოვიტანე. მხოლოდ იმან გამაოცა, დოქტორი მაქსი რომ წერილში ცილეტას არც ახსენებდა, ჩემი გადაწყვეტილება კი მხოლოდ და მხოლოდ იმაზე იყო დამოკიდებული, ვაპირებდი თუ არა მის ცოლად შერთვას. ხოლო დოქტორმა მაქსმა ამ მთავარ საკითხს გვერდი აუარა; ანდა იქნება მთავარი სულაც არ არის? მის წერილში ხომ ჩემი მდგომარეობის ყველა მხარეა განხილული, ცილეტაც ალბათ თავისთავად იგულისხმება და ამიტომაც საჭიროდ არ ჩათვალა დაესახელებინა, ვინაიდან იგი სინამდვილის შეცნობის ერთ-ერთი ნაწილია. ეს სინამდვილე კი მე თვითონ უნდა შევიცნო და შევიცნობ იმის მიხედვით, როგორ გადაწყდება ჩემი შინაგანი ჭიდილი და რისკენ მიბიძგებს ჩემი ფიქრი.

რა ნელა და რა ძნელად აღწევს ჩვენამდე გონიერების ნათელი სხივი! რამდენი ჩრდილი და ხსნის რამდენი მაცდუნებელი იმედი ხვდება გზაზე, მართალ, ადამიანურ სახეებს რომ იღებენ, სინამდვილეში კი მოჩვენებითნი არიან! რა ხშირად გვხვდება ჩვენი ცხოვრების გზაზე ადამიანები და რა ხშირად გვესმის სიტყვები, კაცთმოყვარეობით რომ არიან გამსჭვალულნი! რა ხშირად მეჩვენებოდა, რომ ამ ადამიანებსა და ამ სიტყვებში ვპოვებდი დიდი ხნის ნანატრ გრძნობებს! მაგრამ საკმარისი იყო გონების თვალთ შემეხედნა, რომ ეს ადამიანებიცა და ეს სიტყვებიც სულერთიანად გადასხვაფერებულიყვნენ! ამ ფიქრებიდან (ვგრძნობდი, რომ დრო იწურება, დოქტორი მაქსის მეგობრული განწყობისა და სულგრძელობის მიუხედავად ბოლოს და ბოლოს მაინც უნდა გადაწყვიტო რაღაც) ტელეფონის ზარმა გამომარკვია. ეს იყო მთელ ქალაქში განთქმული ვეჟილი. დოქტორი მაქსი ყოველთვის მას მიმართავს ხოლმე, როცა რაიმე ძნელი საქმე აქვს გადასატრელი: მაგალითად, თანამშრომლის მოხსნა უნდა, ან უმუშევრების დახმარებისა თუ გაფიცვის საკითხია მოსაგვარებელი. მირეკავდა პირადად ვეჟილი და არა მისი მდივანი. მან თავაზიანად მთხოვა, უახლოეს დღეებში, როცა კი მოახერხებთ, ჩემთან შემოიარეთ.

„აჰა, ესეც შენი დასასრული“ — ვფიქრობდი გზად, როცა ვეჟილთან მივდიოდი. საკითხი თავისთავად გადაწყდება, უფრო სწორად, ისევ დოქტორი მაქსი გადაწყვეტს, ოღონდ თავისივე ვეჟილის მეშვეობით. მაშასადამე, კვლავ ვიღაც გადაწყვეტს ჩემს საქმეს (დღემდე მაინც ვიმედოვნებდი, იქნებ როგორმე ზედაპირზე გავძლო, არ ჩავიძირო-მეთქი). მეტი წამება და თავის

მტვრევა აღარ მჭირდება, აღარც ოცნება მიშველის, ამაოა იმედი. დაე, მოსახდენი მოხდეს. ახალი სინამდვილე ძალასა და მხნეობას შემმატებს. ტყუილად კი არ უთქვამთ, ადამიანი ყველაფერს უძლებს, კიდევ რომ გამოცალოს სასოწარკვეთილების ფიალა, იმედი ისევ გააცოცხლებსო.

ვერც კი შევამჩნიე, როგორ მივადექი წისქვილისა თუ ელევატორის მსგავს დიდ რუხ შენობას, — იგი ქალაქის შუაგულში, ოპერის უკან იდგა. ფართო, წითელი ფარდავით მოგებული კიბე ავიარე და კანტორაში შევედი. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე სუფევდა, ქუჩის ხმაური აქ არ აღწევდა, მხოლოდ სადღაც შორიდან თეატრის ქოროს გალობა ისმოდა. მდივანი ქალი შემომეგება; ჩემი გვარი რომ ვუთხარი, დიდი, ჩაბნელებული მისაღები ოთახისკენ წამიძღვა. მალე მაღალი, წითელი ხის კარი გაიღო და ვექილი დავინახე.

— უკვე მობრძანდით? — წამოიძახა ღიმილით და ხელი გამომიწოდა, — რატომ აჩქარებულხართ, აკი გითხარით, როცა გენებოთ, მაშინ მობრძანდითმეთქი.

— მე მეგონა... — წამოვიწყე მე და გავჩუმდი, ვექილი ღიმილით შემოიყურებდა, თითქოს მიხვდა, რომ სიმართლის თქმას არ ვაპირებდი. ერთხანს მიყურა ასე, მერე თქვა:

— რასაკვირველია, რასაკვირველია, გასაგებია. ჩემთან წამობრძანდით! — მან ბებრული, მაგრამ ღონიერი ხელი იდაყვში წამავლო გასამხნეველად თუ გზის საჩვენებლად და წითელი ხის კარისკენ წამიძღვა. ოთახი, სადღაც შემოიყვანა, წიგნებით იყო სავსე, კედლებზე სურათები ეკიდა. ვექილი წინ მიდიოდა, იგი საწერ მაგიდასთან, მაღალ სავარძელში ჩაჯდა.

— დაბრძანდით, გეთაყვა, — მითხრა და ტყავის დაბალ სავარძელზე მიმითითა. დავჯექი და მაშინლა მივხვდი, რამდენად დაბალი იყო ეს სავარძელი და მეც რამდენად დაბალი მდგომარეობა მეკავა ვექილთან შედარებით, სადღაც მაღლა რომ წამოჭიმულიყო მაგიდის იქითა მხარეს. მაგრამ ასეთი სავარძელი ხომ ყველა კაბინეტში დგას და, როგორც წესი, მათი სიმაღლე ყოველთვის პატრონის წონას შეესატყვისება. ჩემამდეც არა ერთი მჯდარა ამ სავარძელში, ალბათ ჩემზე უფრო წარჩინებული, უფრო მდიდარი და გაცილებით მეტი წონის მქონე საზოგადოებაში. მაგრამ მაშინვე მეორე აზრიც დამებადა და აი რა: არც ერთ ადამიანს არ ჰქონია ვექილზე მეტი წონა, როცა იმ წუთში ამ სავარძელში იჯდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთ სავარძელში ისინი ისხდებოდნენ და არა ვექილი! ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყო, მას სხვა კაბინეტი ექნებოდა, ხოლო ის, ვინც საზოგადოებრივი კიბის უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ისეთ სავარძელში ჩაბრძანდებოდა, როგორშიც ახლა ვექილი იჯდა.

— მაშასადამე, — დაიწყო ვექილმა და დადუმდა, — პირადად მე არაფერი მაქვს სათქმელი, — განაგრძო კარგა ხნის მერე, — უბრალოდ, შუამავლობა დამაკისრეს, — ესა თქვა, მაგიდას ხელისგულებით დაეყრდნო და წამოდგა. რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ღია სეიფისკენ, იქ ქაღალდების გროვიდან ერთი წერილი ამოარჩია, ცერითა და საჩვენებელი თითით გამოათრია და დამანახა, — აი, ეს ნდობის სიგელია, — მითხრა მან, თავის ადგილზე დაბრუნდა და ზარი დარეკა. იმავე წუთში ოთახში მდივანი ქალი და ვიღაც ახალგაზრდა კაცი შე-

მოვიდნენ (იქნებ სტუდენტი-პრაქტიკანტიც იყო), — დოქტორმა მაქსმა დამავალა, ეს წერილი თქვენთვის მოწმეების თანდასწრებით გადმომეცა. ნება მიბოძეთ ეს ორი მოწმეც წარმოგიდგინოთ. ისინი ჩვენი კანტორის თანამშრომლებია.

მე ხელი გავუწოდე, მათ ჩამომართვეს და გაიღიმეს. მერე ყველამ სათითაოდ მოვაწერეთ ხელი რაღაც დავთარში. ვეჭილმა წერილი გადმომეცა და მოწმეებიც უსიტყვოდ გავიდნენ. მერე იგი კვლავ თავის ადგილზე დაჯდა, მეც მიმითითა სავარძელზე და ამოიოხრა.

— თუ ნებას მომცემთ, ძალიან მინდა, ჩემი მხრივ, რამდენიმე სიტყვა გითხრათ. რა თქმა უნდა, ჩემი სათქმელი ისევ მაგ წერილს შეეხება, ასლი მეცა მაქვს და დოქტორი მაქსის თხოვნით გავეცანი კიდეც. თუმცა იქნებ სჯობდა ჯერ თქვენ წაგეკითხათ, ჩემი მოსაზრებები კი მერე მეთქვა. ეს ჩემი საკუთარი მოსაზრებაა და შეგიძლიათ ანგარიში გაუწიოთ, შეგიძლიათ არა. მე ამას მხოლოდ გამოცდილება მკარნახობს. გამოცდილება კი დიდი სიმდიდრეა. ჩემს სახელსა და ავტორიტეტს, ისევე როგორც ჩემი კანტორის სახელს, მხოლოდ გამოცდილებას უნდა ვუმადლოდე და მეტს არაფერს. ჭკუა თუ ნიჭი, საგანთა არსში ჩაწვდომის უნარი სხვა არა არის რა, თუ არა გამოცდილება, დანარჩენი სისულებია. ჰო, წაიკითხეთ, წაიკითხეთ, არ მინდა დრო დაგაკარგვინოთ! — ესა თქვა და წინ გაშლილი რაღაც საბუთების კითხვას შეუდგა.

წერილი გავხსენი. აი ისიც:

„ვისურვებდი გასაქანი მიმეცა გრძნობებისათვის, მაგრამ სხვა ვერაფერი მოვიფიქრე და ამიტომ ისევ ამ წერილს გწერთ, ჩემს მეგობარ ვეჭილსაც ამ მიზნით მივმართე დახმარებისთვის; მეტი ვერაფერი გავაწყე, იმიტომ კი არა, რომ გრძნობებს თავისი საზღვარი აქვს, არამედ იმიტომ, რომ სინამდვილე არ გახლავთ უსაზღვრო. დიდხანს ვიფიქრე თქვენზე და თქვენ მიერ გადატანილ განსაცდელზე (არავისთან მითათბირი, თუმცა კი შემეძლო ფირმის ხელმძღვანელთათვის მიმემართა, რადგანაც თქვენი შემთხვევა განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს) და შემდეგ დასკვნამდე მივედი: თქვენ ფირმაში მიყრუებული პროვინციიდან ჩამოხვედით (იმედია, ჩემი სიტყვები არ გეწყინებათ, პირიქით, თქვენთვის ეს ქებადაც უნდა ჟღერდეს, თქვენს ადგილზე ამით კიდეც ვიამაყებდი), სადაც არაფერს არ წარმოადგენდით, უფრო სწორად, ჰგავდით ნორჩ ხეს (უკვე პარაზიტები რომ შესევიათ), გატოტვილ-გაფუჩრჩქნილს ყოველგვარი წესისა და, რაც მთავარია, მიზნის გარეშე. რისთვის იყო გაჩენილი ეს ხე, საით ან რისკენ ისწრაფოდნენ ეს ფოთლები და ტოტები, არაფერი რომ არ იფარავდა ქარისა და წვიმისაგან? არსაით და არაფრისკენ. უკეთ, მას ჰქონდა თავისი მიზანი: ეცოცხლა, გაზრდილიყო, ღრმად გაედგა ფესვები, განემტკიცებინა თავისი არსებობა, მეტი არაფერი. და აი, ამ ხემ, ასე ვთქვათ, ამოიძირკვა თავისი თავი, ჩამოვიდა აქ, ამ ბაღში, სადაც მეზაღვები სიყვარულით შეხვდნენ და სადაც მან განაგრძო ცხოვრება და ზრდა იმ შეგნებით (თან იმედით), რომ მოიპოვებდა წონას და იქცეოდა ბაღის ყველაზე წარჩინებულ ხედ. ის კი არ იცოდა, რა ძნელი იქნებოდა მისთვის (მანამდე ლაღად მცხოვრებისთვის) შეგუებოდა ბაღში გამეფებულ წესებსა და, რაც მთავარია, თვით ბაღის იდეას. მაგრამ იგი ძლიერი და ამტანი იყო და სხვებივით არ დაჩიავდა,

შეინარჩუნა არსებობის უფლება და მეზღვრათა დახმარებით კიდევ შეიძინა ის იდეალური, გეომეტრიული სილამაზე, ბალის ხეები რომ გამოირჩევიან. იგი პატრონის ყველაზე საყვარელი ხე იყო, სეირნობისას მუდამ მისი ტოტების ჩრდილში ჩერდებოდა და ალტაცებით შეჰყურებდა მას. რატომ ალტაცებით? იმიტომ, რომ არასდროს არც ერთი ხე (მართლაც აქამდე არც ერთ სოფლის ხეს არ მიუღწევია ასეთი ბრწყინვალე შედეგისთვის) არ ყოფილა ასეთი თვინიერი და არც ასე მორჩილად დაჰყოლია პატრონის ნებას! ადრე, სანამ პატრონი თავის სურვილებს გაანდობდა მეზღვეებს (პატრონს კი, აქვე უნდა დავძინოთ, სრულიად გარკვეული აზრი ჰქონდა იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ეს ხე), იგი თავად დანებდა, თავისთავად შეიცვალა დაბადებით ბოძებული იერი და სტიქიურად, შემთხვევის წყალობით ცვალებადი აგებულება. პატრონს განზრახული ჰქონდა შეექმნა სრულქმნილი რამ და ეს ჩვენი ხეც უნდა გამხდარიყო ამ ცდის საგანი. რასაკვირველია, მან დაავალა მეზღვეებს მკაცრად ედევნებინათ თვალყური ხის ზრდისთვის, მაგრამ წინასწარ მაინც ვერ განსაზღვრავდა, საით, რა მიმართულებით გაიზრდებოდა ქარის მიერ უკვე გაღუნული ტოტი ათი თუ ასი წლის შემდეგ. ამასთან ვერც მეზღვეები აღწევნენ ხოლმე ყოველთვის სასურველ შედეგს. ყველაზე მეტად მოვლილი მცენარეც კი ზოგჯერ ისე შეიცვლის იერს, კაცს გააოცებს. მაგრამ ამჯერად პატრონმა იწამა სასწაული, უფრო მეტიც, ხემ თვითონვე ჩაუნერგა ეს იმედი, ისეთი მონდომებით დაჰყვა პატრონის სურვილს და, რაც მთავარია, სანამ თვით პატრონს საბოლოოდ ჩამოუყალიბდებოდა თავისი აზრი, თავადვე მიხვდა, როგორ უნდა შეცვლილიყო, რომ გამხდარიყო ისეთი ხე, როგორსაც პატრონი ისურვებდა. მაგრამ იმდენად ხის ჭვრეტა არ ახარებდა პატრონს, რამდენადაც მისი ესოდენი თვინიერება. იგი ოცნებობდა, რომ ამ იდუმალი სიახლოვის და კავშირის წყალობით შესძლებდა შეექმნა სრულიად განსხვავებული, იშვიათი, უცხო ჯიშის მშვენიერი ხე, ახალი ჯურის მცენარედ რომ გარდაიქმნებოდა და, ასე ვთქვათ, პატრონის მიერ დათესილი თესლიდან აღმოცენდებოდა. მისგან კი წარმოიშვებოდნენ სხვა ასეთივე ჯურის ხეები, მხოლოდ მისი შთამომავლები მოეფინებოდნენ პატრონის ბაღს, დანარჩენებს კი ბრძანებდა მოეჭრათ და ამოეძირკვათ, თუკი თავისთავად არ გადაშენდებოდნენ ახალი, უფრო სიცოცხლისუნარიანი ნაგრამის მოძალებით. მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ და პატრონის ოცნება, როგორც ყველა ოცნება, განუხორციელებელი დარჩა. ხე უეცრად შეიცვალა, აღარ ეხმიანებოდა პატრონის სურვილებს, ესეც არ იკმარა, შუა გზაზე შეჩერდა, მეზღვრათა ბეჯითი ზრუნვისა და ცდის მიუხედავად ახალი რტოები გამოისხა (მათი შეხების უფლება კი პატრონის მეტს არავის ჰქონდათ) და ამ ბალისთვის უცხო, ყრუ და მუნჯი სიჯიუტე გამოავლინა, რაც ალბათ ჯერ კიდევ ბავშვობისას პროვინციაში გააჩნდა. პატრონი განაწყენდა, მაგრამ არაფერა იღონა, იფიქრა, ეს შემთხვევით მოხდა, ან წუთიერი ახირება ან წინაპართა ყივილიაო. ხე მაინც უყვარდა და ამიტომ ნებაზე მიუშვა; ხე იზრდებოდა და იზრდებოდა, თავის უზნეო ბუნებას აყოლილი, აღარც პატრონს დაგიდევდათ, აღარც მეზღვეებს, მით უმეტეს ბაღსა და სხვა ხეებს. და თუ სულ ცოტა ხნის წინათ ეს ხეები მის გვერდით მობუზულები იდგნენ, ახლა ნელ-ნელა გაიშალნენ, გაიფურჩქნენ, და კვლავ გამშვენიერდნენ. პატრონი მაინც არ ჰკარგავდა ხის გადარჩენის იმედს; ამიტომ გადაწყვიტა, მისი ეს უწყესო ზრდა შეჰყარე-

ბის გზით მაინც შეეფერხებინა. ვერ დაიჯერა, რომ სახეცვლილება შეიძლება თავისთავადაც მოხდეს, და ამიტომ გადაწყვიტა თვითონ ეცვალა მისთვის იერი. კვლავ დარწმუნდა, რომ ხეზე დამყარებული იმედი (ანუ მისი სიყვარულისა და ერთგულების იმედი) განუხორციელებელია, სინამდვილეს მოკლებული, რომ სინამდვილე თვითონ პატრონმა უნდა შექმნას თავადვე. ამგვარად მან გადაწყვიტა ეს ცვლილება შეჯვარების გზით მოეხდინა, მაგრამ ხემ კალამი არათუ დაიმყნო და ახარა, ახლოსაც არ გაიკარა. ასე გაუცრუვდა პატრონს იმედი, რაღა უნდა ელონა? მან მოავლო თვალი თავის ბაღს. რა ჯიშის მცენარეს არ ნახავდით აქ, ყველა დიდებული იყო, ყველა ერთნაირი და უძრავად მდგარი. და თუმცა მათი სიცოცხლისა და გამრავლების საიდუმლოს ვერავინ ჩასწვდებოდა, მაინც განხორციელებული იდეს ნიმუშს წარმოადგენდნენ. მხოლოდ ეს ბედკრული, აჯაგრული და თავხედი ხე, დაკრუნხხული ტოტების, ფესვებისა და ფოთლების მორგვად ქცეული, ლამობდა, თუმცა ამაოდ, თავის ჭკუაზე წარემართა თავისი ცხოვრება...

მაპატიეთ, რომ ეს იგავი მოგიყევით, რაღაც თავისთავად მოჰყვა კალამს. მინდოდა თქვენთვის ისეთი სიტყვით მომემართა, გონების დასკვნებზე რომ იქნებოდა დაფუძნებული. მაგრამ, როგორც ყოველთვის თქვენზე ფიქრისას, შედარებებმა გამიტაცა და პოეზიის ენით ავლაპარაკდი. გრძნობამ ამჯერადაც სძლია გონებას. ჩემს წინა წერილში მოგიწოდებდით, გულის ხმას აჰყევით-მეთქი, მაგრამ დადგა დრო გონებას მიმართოთ. თქვენ ხომ მარტო ჩემი ოცნებით შექმნილი ხე არა ხართ, თქვენ ადამიანიც ხართ და რაკი ადამიანი ხართ, ამდენად არც გონების უგულებელყოფა შეგიძლიათ. ისიც ვიცი, რას გიკარნახებთ იგი და რა აზრებს შთაგაგონებთ: „მე ვარ თავისუფალი ადამიანი, ახალგაზრდა. ფირმაში რომ მოვედი, სულ ყმაწვილი ვიყავი, ვიფიქრე, არაფერს დავზოგავ, ოღონდ კი ცხოვრებასა და საზოგადოებაში რაღაც ადგილი მოვიპოვო, მშობლები არ გავაწბილო, ამიტომ თავს დოქტორი მაქსის საკუთრებად ვაღიარებ და მონდომებითაც შევასრულებ ჩემს დანაპირებს, რადგანაც ვიცი, რა სიამოვნებას მივანიჭებ ამით. ასე დავეუფლები მის გულს და ფირმაშიც კარგად მოვიმგარებ ფეხს. ამას კიდევ მივალწიე. დოქტორი მაქსი სხვა საკუთრებაზე მეტად მე მაფასებს. ჰოდა, თავისი გულჩვილობით (ძალა არ უხმარია, თუმცა ერთი შეხედვით ასე გეჩვენებოდათ) შემომთავაზა ცილეთა შევირთო ცოლად, რათა უფრო ძლიერად მიმაჯაჭვოს თავის თავსა და თავის ოჯახს (რაკი ცილეთა მათი ოჯახის წევრია). მაგრამ აქ კი მე ავჯანყდი. მე — ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე კაცმა, ვისაც მთელი ცხოვრება ჯერ კიდევ წინა მაქვს, რატომ უნდა შევირთო ცოლად ჭკუასუსტი და ბედისაგან დაჩაგრული ქმნილება? რატომ უნდა ვიქცე სამუდამოდ დოქტორი მაქსის საკუთრებად, მაშინ როცა ადამიანი ვარ და ჩემი თავის მეტს არავის ვეკუთვნი! მე არც უსულო საგანი ვარ და არც ცილეთა! (რაც ერთი და იგივეა), მე ვარ ადამიანი და არაფრით განვსხვავდები იმ ადამიანთაგან, ვინც კაცობრიობის ისტორიას ქმნიდა და პიროვნების თავისუფლებასა და მის უფლებებს იცავდა. ამიტომ არც ცილეთას შევირთავ ცოლად, არც დოქტორი მაქსის საკუთრებად ვიქცევი და არც სხვა ვინმესი. ვიქნები თავისუფალი ადამიანი და არანაირ პატრონს არ დავექვემდებარები“.

მე კი გეტყვით, რომ თქვენი მსჯელობა არათუ ყოვლად უზნეოა, არამედ მცდარიცაა. უზნეოა იმიტომ, რომ უფლება არა გქონდათ ჩემთვის იმედები

ჩაგენერგათ. თქვენ ისე უცბად დამყევით ნებას, რომ გულუბრყვილოდ დავიჯერე თქვენი გულწრფელობა და ყმაწვილური სიალალე, ისე ეშმაკურად დამარწმუნეთ, რომ მართლა გიყვარვართ, მეგონა, თქვენ თვითონ ისურვეთ ჩემი საკუთრება გამხდარიყავით. ეს მსჯელობანი კიდევ იმიტომ არის უზნეო, რომ თქვენ მე ფირმის ყველა თანამშრომელზე უკეთ შემისწავლეთ, ყველაფერი იცით ჩემი და ასე მეგონია, ჩემი ნაწილიც კი ხართ უკვე! ამის მიუხედავად მაინც საშინელი ლახვარი ჩამეცით, რაკი გინდათ სულ მომწყდეთ და თქვენთვის, ცალკე იცხოვროთ! (მაგრამ თქვენ მიერ მოყენებული ტკივილი იმდენად მწვავეა, რომ ამის ნებას არ მოგცემთ!) თქვენი მსჯელობა უზნეოა იმიტომაც, რომ არ გინდათ ისარგებლოთ ჩემი გულჩვილობით და იქორწინოთ ცილეტაზე, თუმცა კი იცით, რა სარგებელი გელით აქედან. გინდათ უარი თქვათ ჩემზეც და იქცეთ სხვათა საკუთრებად (მაგრამ ვინ არიან ეს სხვები? ისევ ისეთივე პატრონები. ასე რომ ტყუილად გგონიათ, ვითომ სულ სხვა ცხოვრება გელით). ამას მე თავად ვაღიარებ.

თქვენი მსჯელობა უზნეოა, ფრიად უზნეოა ცილეტას მიმართაც, რადგან მასაც ასევე შთაუწერგეთ იმედები (მასაც კი!). კიდევ რომ ცამდე მართალი იყოთ და ამტკიცოთ, იგი ჭკუასუსტიაო, მას ისეთი ნიჭი აქვს მომადლებული, ვერა ქალი ვერ დაიქადნის (ვინც არ უნდა შეირთო ცოლად). ეს ნიჭი უბიწოებაა. ეს ნიჭი თქვენც გაგაჩნდათ, როცა პირველად მოხვედით ფირმაში, მაგრამ დაკარგეთ. მე იმ სულიერ სიწმინდეზე მოგახსენებთ, რაც სამაგალითო ხელქვეითს უნდა გააჩნდეს და ალბათ ოდესმე ყველასთვის სავალდებულო გახდება. დაბოლოს, თქვენი მსჯელობა უზნეოა იმიტომაც, რომ ცილეტაზე ლაპარაკისას დიდი სიძულვილით მსჯელობთ უსულო საგნებზე, თუმცა კი იქნებ სწორედ ნივთად და საგნად ქცევა უდიდესი მიღწევაა თქვენი სიბრძნისა ადამიანისთვის, თუკი გინდათ ფირმაში ფეხი მოიკიდოთ. მაგრამ სანამ თქვენ ადამიანად რჩებით (თქვენი გაგებით), თქვენთვის არც ერთ ფირმაში ადგილი არ მოიძებნება.

ახლა კი ისევ დასაწყისს დავუბრუნდეთ და მე დავიმტკიცებთ, რამდენად მცდარია თქვენი მსჯელობანი. თქვენ ამბობთ, რომ თუ ადამიანი ხართ, მაშინ ისეთი ადამიანი უნდა იყოთ, ვინც შექმნა კაცობრიობის ისტორია და დაიცვა პიროვნების თავისუფლება. მაგრამ ის გავიწყდებათ, რომ ასეთი ადამიანები არასოდეს არსებულან; ის ლეგენდარული პიროვნებანი, თქვენ რომ გინდათ მიემსგავსოთ, ასევე ცდილობდნენ სხვები ექციათ საკუთარ ნივთად და იარაღად. ყველა საკუთარ ტყავზე ფიქრობს, ყველა საკუთარი კეთილდღეობისთვის იღწვის მხოლოდ, დანარჩენები კი ამ იდეების განმტკიცებას ემსახურებიან და ემსახურებოდნენ. ეს არის ერთადერთი სინამდვილე, რაც ყველა ცოცხალმა არსებამ უნდა იცოდეს.

თავს ნუ იტყუებთ ამაო ოცნებით (აჰა, თქვენც ხომ გაებით), თითქოს პატრონის გარეშე შეგეძლოთ ცხოვრება. მე თავად გიბიძგეთ, სხვა სამუშაო გეძებნათ, სხვა პატრონი მოგენახათ. კვლავაც ეძებთ, მე სულაც არ მწყინს. უფრო მეტსაც გეტყვით, სანამ ჩემთან დაბრუნდებოდეთ (ამაში ეჭვიც არ მეპარება), საბოლოოდ გაიგებთ საგანთა ჭეშმარიტ ფასს და დარწმუნდებით, რომ სინამდვილე პატრონის გარეშე უბრალოდ არ არსებობს. ხოლო ის პატრონები, ვინც კი ჩემ შემდეგ გეყოლებათ, ჩემზე უარესები თუ არა, უკეთესები არ იქნებიან, რადგან მე მაინც ისე ვზრუნავდი თქვენზე, როგორც საკუთარ თავზე.

თუ ცილეთას არ შეირთავთ ცოლად და თავად ამოარჩევთ უფრო ჯანმრთელსა და სახიერ ქალს, ხელში შეგრიებათ არა უბრალო ნივთი, რამეთუ ყველაფერი ჩვენ ირგვლივ უსულო ნივთი და საგანია, არამედ შეუსწავლელი ნივთიც. ცილეთაზე კი ამას ვერ იტყვი, რადგან მის შესაცნობად მისი არსებობის ფაქტის დადგენაც საკმარისია. წადით, მოიარეთ ეს ქვეყანა, გამოცდილებას მაინც შეიძენთ, მე არც ვეცდები აზრი შეგაცვლევინოთ, მაგრამ ფრთხილად! პატრონს მუდამ როდი ემახსოვრება თავისი საყვარელი და სწორედ ამიტომაც დაკარგული საკუთრება. იქნება ერთ დღეს უეცრად აეხილოს თვალი და მიხვდეს, რომ ოდესღაც სასურველი საგანი სრულიად უვარგისი ყოფილა“.

ასე მთავრდებოდა დოქტორი მაქსის წერილი. ავხედე ვეჟილს, ვითომ თავისი ქალაქლების კითხვით რომ იყო გართული. მან ნელა, ძალიან ნელა ასწია თავი და შემომხედა.

— ჩაიკითხეთ? — მკითხა მან.

თავი დავუქნიე. იგი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო და ხელები მაგიდაზე დააწყო.

— ახლა კარგად დაფიქრდით! ოცდაორი წლისა ბრძანდებით, უკვე პატარა აღარ ხართ. როგორც წერილიდან გავიგე, რაღაც გალდებულებებითაც შეგიზღუდავთ თავი. ამის მიუხედავად, კვლავ დოქტორი მაქსის თხოვნით, მზად ვარ მოგეხმაროთ, თუმცა კი ერთმანეთისათვის უცხონი ვართ. მეტსაც გეტყვით და გეტყვით გულახდილად: ამაში მე ფულს მაძლევენ, დოქტორმა მაქსმა თავის თავზე იღო ხარჯი და არცთუ ცოტა ხარჯი! სხვა ფირმაში უნდა მოგაწყოთ, რადგან დახმარების მიღებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, თქვენ ანაზღაურების უფლებაც კი არა გაქვთ შრომითი ხელშეკრულების უქონლობის გამო. თქვენ მიკარნახეთ, რა მიმართულებით ვიმოქმედო და მეც მაშინვე მოვკიდებ საქმეს ხელს. რასაკვირველია, საქმე მხოლოდ სავაჭრო ფირმას შეეხება, ვინაიდან ეს არის თქვენი პროფილი და არც გირჩევთ სხვა გზის ძებნას, თუმცა არჩევანიც დიდი არა გაქვთ. სავაჭრო ფირმების გარდა არის კიდევ კერძო სავაჭრო წამოწყებანი, მაგრამ ეს გზა ძალზე ეკლიანია და წარმატებას იშვიათად თუ აღწევს ვინმე. ესეც არიყოს, ამ საქმეში მე ვერ მოგეხმარებით, ისევ დოქტორი მაქსის ფირმის ყაიდის რაიმე სავაჭრო საწარმოში უნდა მოგაწყოთ. ქალაქში, მოგეხსენებათ, შვიდი სავაჭრო ფირმაა და ისინიც სასტიკ მეტოქეობას უწევენ ერთმანეთს. რომელიმე აირჩიეთ. ჩემი საქმიანობის წყალობით შვიდივე ფირმასთან მაქვს მიდგომის საშუალება და შემოძლია პირდაპირ პატრონებს ველაპარაკო. თქვით, რომელი ფირმა გირჩევნიათ და ახლავე გავარკვევ, რა შემოძლია გავახერხო. ზვალ საღამომდე უნდა მომცეთ პასუხი. დრო საკმაოდ გაქვთ, იფიქრეთ, გადაწყვიტეთ.

ვეჟილი წამოდგა, კვლავ მკაცრად, დაკვირვებით შემომხედა. მერე მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

— ახლა კი ნება მიბოძეთ ორიოდ სიტყვა ჩემი მხრივ გითხრათ, მართლ იმიტომ, რომ ჩემი ვაჟიც თქვენი ხნისაა, თანაც ორივე ერთ თვეში ხართ დაბადებული. დამიჯერეთ, დარჩით, სადაცა ხართ, და დათანხმდით დოქტორი მაქსის სიტყვას! სხვა ფირმაშიც იგივე ბედი გეწევათ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ დოქტორი მაქსივით არავინ შეგიყვარებთ. მესმის, ეს თქვენთვის ცოტა

ძნელია, მაგრამ სიყვარულიც ხომ არაა ადვილი? ნუ გაუძალიანდებით არსებულ წესს და რიგს. უფრო სწორად, წინ ნუ აღუდგებით ძალას! აი, ახლა, ამ წუთში თქვენი განსაცდელიც დამთავრდა. ისეთ ასაკში ხართ, როცა სინამდვილე მთელი თავისი უგვანო სახით წარმოუდგება კაცს, როცა ძალა ერჩის ეს სინამდვილე ბრძოლით გარდაქმნას ანდა უკეთესისკენ შემოაბრუნოს, მაგრამ სხვა სინამდვილე არ არსებობს და არც იარსებებს.

მან გასასვლელამდე მიმაცილა, დივანმა ქალმა კარი გაგვიღო.

— მაშასადამე, ხვალ საღამომდე! — მითხრა ვეჭილმა და ხელი გამომიწოდა.

— მაგრამ... მე მგონი... ხვალ აღარც მოვალ... — ვუპასუხე და ვიგრძენი, როგორ გამიწელა ბაგე ღიმილმა.

XIV

მე ვიქორწინე ცილეტაზე. დოქტორმა ურადამ ქორწინებამდე რამდენიმე დღით ადრე გამომიძახა და მკითხა, გინდა თუ არა შვილები გყავდესო. უარი რომ მეთქვა, ალბათ ზომებს მიიღებდა და ცილეტას გააბერებდა.

— კარგად დაფიქრდით, უცხად ნუ გადაწყვეტთ, — მითხრა მან, — იმიტომ, რომ თქვენს გადაწყვეტილებას თავისი ზნეობრივი მხარე აქვს.

მე ვთხოვე, ჩემ მაგივრად თქვენ გადაწყვიტეთ-მეთქი, მაგრამ გაბრაზდა და მაგიდას სამჯერ დაარტყა ხელი.

— როგორ? ეს თქვენი სინდისის საქმეა და არა ჩემი. კარგად მოიფიქრეთ და ისე მითხარი, მეც უნდა ვიცოდე, როგორ მოვიქცე.

არ ვიცოდი, რა მეთქვა, კვლავ გასაჭირში ჩავვარდი. მერე ვთხოვე, ცოტა ხანს კიდევ ვიფიქრებ-მეთქი.

— რა მერყევი და ზოზინა ხართ! თუმცა კი გასაგებია. ალბათ ღელავთ, ბუნებრივია, ქორწინება ახლოვდება.

რა უნდა მეპასუხნა? მიზეზების ჩამოთვლა არ გამიჭირდებოდა, მაგრამ რაკი დოქტორი ურადას მითითებით უთვალავი გამოკვლევა და ანალიზები გავიკეთე, იმასაც უნდა მივმხვდარიყავი, რომ ალბათ უნდოდა მე და ცილეტას შვილები გვეყოლოდა. ესეც არ იყოს, სულ პირველად ცილეტაზე ლაპარაკისას ხაზგასმით მითხრა, ჩემს გაზრდილს სურვილი გაუჩნდა ქმარ-შვილი ჰყავდესო. მაშ კითხვას რაღა აზრი ჰქონდა? ზნეობრივია თუ უზნეო უბედური და არასრულფასოვანი შვილები გაამრავლო? იქნება უზნეოც არის და რაკი დოქტორმა ურადამ ასეთი საუბარი წამოიწყო, ამით მანიშნა, წინააღმდეგი ვარო. ანდა იქნებ ჩემი ზნეობის შემოწმება უნდოდა და თავის გულში იმას ფიქრობდა, რაც არ უნდა უბედური და საზიარო ბავშვები გააჩინო, ეს მაინც უფრო ზნეობრივიაო? ცოტა დავფიქრდი და ვუპასუხე, მინდა-მეთქი.

— ასეც ვიცოდი! — წამოიძახა დოქტორმა ურადამ, — რაკი გადაწყვიტეთ, იყოს ნება თქვენი!

მე პირდაპირ მოვახსენე, თუ შვილები გვეყოლება და თანაც მახინჯი შვილები, რაც სავსებით მოსალოდნელია, მაშინ ამასაც ისევე უნდა შევურიგდე,

როგორც ამ ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ სხვა ბევრ რამეს შევუთრიგდი და შეგვეგუე-მეთქი.

— აი, მესმის, ამას უკვე პასუხი ჰქვია, — წაიბუზღუნა დოქტორმა ურადამ.

ეტყობა, ჩემი გადაწყვეტილება მოეწონა, რაკი მაიძულა ცილეთა შემერთო ცოლად და ისე მომიწყო საქმე, სხვა გზა არც მქონდა. მაშასადამე, მასა და დოქტორ მაქსს განზრახული ჰქონიათ მე და ჩემი ჯურის სხვა ადამიანები რაღაც გენეტიკური (თუ სოციალური) უძრაობისთვის გაეწირათ. იგი ალბათ ასე ფიქრობდა: „ამ ახალგაზრდას მტკიცე ხასიათი არა აქვს და პატრონის მიმართ მისი განწყობილებანიც მერყევია. დოქტორ მაქსს კარგა ხანს ჰყავდა იგი თავისთან ახლოს და ფრიადაც გაანებივრა, ასე რომ თავში აუვარდა და იფიქრა, პატრონებს მივემსგავსებო. მაშასადამე, იმათ მივემსგავსები, ვისაც უფლება აქვს განიცადოს ევოლუცია, პროგრესი და თუნდაც უკვდავების ზღურბლს მიაღწიოს. ეს ქორწინება კი მას გაუღვიძებს სინამდვილის გრძნობას, რაც ასე რიგად აკლია, და შეუერთებს ხელქვეითთა ანუ თავისივე მსგავსთა ადამიანების რიგს“.

ასეც მოხდა: ქორწინების შემდეგ ჩემს ტანჯვა-წამებას, ყოველ შემთხვევაში დროებით მაინც, ბოლო მოეღო. დოქტორმა ურადამ დაპირება შეასრულა და ქალაქის განაპირა მდებარე დიდ შენობაში, სადაც ფირმის მრავალი სხვა თანამშრომელი ცხოვრობს, მზითევის კვალობაზე ოროთახიანი ბინა მოგვცა. მაქვს მაცივარი, სარეცხი მანქანა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რომ საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ვიგრძნო თავი. მშვენიერ ხელფასსაც ვიღებ, დოქტორმა მაქსმა კი სრულიად ახალი მანქანა მაჩუქა. ისე რომ, როცა დილაობით სამუშაოზე მივდივარ, ვერავინ მიმამსგავსებს იმ კაცს, ოდესღაც რომ ვიყავი. ჩემი დაქორწინების შემდეგ დოქტორი მაქსი საგრძნობლად დაცხრა და დაშოშმინდა, რადგან ჩემი ოჯახი მას მომავლის იდეალური ოჯახური უჯრედის სახედ ანუ აბსოლუტური საკუთრების შედეგად მიაჩნია. ალბათ მართალიცაა, რადგან ბორკილების ერთადერთი სახე, რაც არასდროს არ მოისპობა, ეს არის სახეობათა ბორკილი. უნდა ვაღიარო, რომ მისი გეგმა სადღაც მაინც გენიალურია. მაგრამ მთლად მაინც ვერ დაშოშმინდა და ალბათ ვერც დაშოშმინდება, სანამ მისი იდეა ბოლომდე არ განხორციელდება.

მგონი, სათქმელიც აღარაფერი დამრჩა. ყოველგვარი მოლოდინის მიუხედავად, ჩემი და ცილეთას ცხოვრება ურიგოდ არ წარიმართა. ჩვენ მარტოდ-მარტო სიტყვიერი ურთიერთობა გვაკლია. ცილეთა რომ ყველა ნივთის სახელს ჩამოთვლის, მერე ორივე ვდუმვართ. მაგრამ სიტყვები რა საჭიროა! ამბობენ, სიტყვები იმისთვისაა მოგონილი, ადამიანებმა ერთმანეთთან ურთიერთობა გააბან ანდა პოეტები გახდნენო. იქნება ოდესღაც ასეც იყო, მაგრამ ახლა, ჩემი აზრით, სიტყვები მხოლოდ თავდასხმისა თუ თავდაცვის იარაღად იქცა. მე და ცილეთას კი არც გასაყოფი გვაქვს რამე და არც ერთმანეთთან საბრძოლველი, ამიტომ არც სიტყვები გვჭირდება. სხვა ცოლ-ქმრებისგან განსხვავებით ჩვენ სავსებით ბედნიერნი ვართ, რადგან არც ვლაპარაკობთ და, მით უმეტეს, არ ვჩხუბობთ.

თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ცილეთა ფეხმძიმედაა. სანამ მოკვდება — ექიმები ამბობენ, ორი, დიდი-დიდი ხუთი წლის სიცოცხლე დარჩე-

ნიაო — იგი დედობასაც მოასწრებს. ჩემი გაჟიშვილი მასავით ჭკუასუსტი იქნება. სულითა და გულით მინდა ასეც იყოს და უკვე ახლავე ვშფოთავ ამის გამო.

ყველას უნდა თავის შვილს, გვარის გამგრძელებელს, მისი ზნე და ხასიათი გამოჰყვეს. მე კი იმედი მაქვს, რომ ჩემი შვილი მე არ დამემსგავსება, დედამისივით ბედნიერი იქნება, თუნდაც იმიტომ, რომ უბრალოდ არსებობს და მეტი არაფერი. ლაპარაკს ალბათ ვერ ისწავლის, მაგრამ სამაგიეროდ გაიგებს, ზნეობა ან უზნეობა რას ნიშნავს. ნეტავი იმ ქილის ბედი ხვდეს, დედამისს რომ უჭირავს ახლა ხელში, მაშინ ვერც ავს ვერავინ უზამს და ვერც ვერავინ ვერაფერს დაუშავებს.



მოთხრობა

თარგმნა იროდიონ ქავთარაძემ

I

კაცმა წაიბოროძია, დაეცა, მაგრამ მყისვე წამოხტა. მიხვდა: ამ გარეულობაში უნდა მოესწრო სადმე მიმალვა, იქნებ როგორმე გაელწია ქარხნიდან. მაგრამ მთელი საამქრო მტვრის ბუღს მოეცვა, თითქმის აღარაფერი ჩანდა და კაცი კინაღამ ჩავარდა ყუმბარით ამოთხრილ ორმოში. მერე ორმოს გარს შემოუბრინა. რაიმეს არ დავეჯახო, ცალი ხელი წინ გაიშვირა, მეორეში დამბაჩა ეკავა; ისევ წაიბოროძია, აფეთქებისაგან ამოტრიალებულ ბეტონის ფილაზე დაეცა და მუხლი იტკინა. ამ რიარიაში ხის ქოშები დაკარგა. რომ წამოხტა და ფეხშიშველა გაიქცა, საამქროში მიმოყრილმა ბეტონის ნამტვრევებმა ფეხები ატკინა. ზურგს უკან ყვირილი მოესმა. შენობის მეორე ბოლოში ავტომატი აკაკანდა. „ვერ მოგართვეს“, — ჩაილაპარაკა ივანემ, სახურავიდან ჩამოგდებულ რკინაზე შეხტა, წამოქცეულ, გადმოღრეცილ ბოძს გადაეგლო და სირბილით აუყვა ტიხარს. ქარმა დაუბერა, მტვერი თანდათან გაიფანტა. კაცმა ირგვლივ მიმოიხედა. მერე გადაირბინა ბეტონის კოჭი, თან გაშლილ ხელებს იშველიებდა, რათა წონასწორობა დაეცვა. ნანგრევებად ქცეული საამქროს ბოლოში აღმოჩნდა. ქვევით, სამიოდ ნაბიჯზე უკანასკნელი დაბრკოლება — გარე გალავნის ნახევრად დანგრეული კედელი იყო გადასალახი. იქით კი, თითქოს ქვეყანაზე არაფერი მომხდარაო, მზე აფიცებდა მწვანე ხეებში უდრტვინველად ჩაფლული სახლების კრამიტთან სახურავებს, ხოლო ფერდობზე შეფენილი დაბურული, წიწვიანი ტყე თავისკენ ეპატიჟებოდა.

ერთ წამს თვალი მოავლო იქაურობას, მერე პლასტმასისტარიანი დამბაჩა კბილებში გაიხარა და გადახტა. გალავანზე რკინის წვეტები იყო ამოხვერილი, დიდი სიფრთხილე სჭირდებოდა, ზედ რომ არ წამოგებოდა. როგორც იქნა აძვრა ზედ, მერე ჩამოეკიდა და მოსწყდა კედელს, ეკლებიან შამბნარში

ჩავარდა. მაშინვე წამოხტა, ხელი სტაცა დამბაჩას და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა კარტოფილის კვლებში, ეკლიანი მავთულის გასწვრივ. უკნიდან ისმოდა ყვირილი, გავეშებული ყეფა, რამდენიმე ადგილას სროლაც ატყდა და ტყვიებმა გაიწივლა შორიახლოს. ალბათ დაედევნენ. იმედი ეწურებოდა, მაგრამ უკვე აღარ შეეძლო განზრახვაზე ხელი აეღო. სიცოცხლეზე მეტად უღირდა აქედან გაქცევა. ღობეს გადაეგლო და წიდით მოფენილ ხრეშიან ბილიკზე ქარივით გაქანდა მახლობელი გარეუბნისკენ.

საამქროს აფეთქებამ ალბათ მოსახლეობა ააფორიაქა. თეთრი სახლიდან ორი ბიჭი გამოიჭრა, ქარხნისკენ მოჰქროდნენ. წინ გამოქცეულს სათამაშო თოფი ეჭირა ხელში. ბუჩქს ამოფარებული კაცი ბავშვებმა ვერ შეამჩნიეს. ივანე აკაციების ტევრიდან გამოვარდა და კინალამ დაეტაკა ვიღაც გოგოს, საესე სარწყული რომ მიჰქონდა. შეშინებულმა გოგონამ წამოიყვირა, სარწყული ხელიდან გაუვარდა. ივანემ უხმოდ ჩაურბინა გვერდით, მოკლე შუკას გაუყვა და გარეუბნის მოუკირწყლავ ქუჩაზე გაიჭრა. კვლავ მიმოიხედა გარშემო, კაციშვილი არ ჰაჭანებდა. ქუჩა გადაირბინა, მტვრიან ბარდებში გაძვრა და დაეცა. წინ სახლები არ ჩანდა. უზარმაზარ ფრიალო ფერდობზე გაშლილიყო გაუთიბავი, გვირილებით მოფენილი მდელო, გზის პირას უცნაური ბალახი ბიბინებდა. უფრო შორს, მაღლა, იწყებოდა ტყე, ტყის თავზე კი, ივლისის ზეცის სიმხურვალეში, ლურჯად ლაპლაპებდა ალპები.

ივანემ სუნთქვა შეიკრა და დააყურადა: უკნიდან ისმოდა ყვირილი, ნაგაზების გაბმული ყეფა. მაგრამ ყოველივე ეს იქ, ქარხანაში ხდებოდა, მას თითქოს ჯერჯერობით არავინ მოსდევდა. ზოლებიანი ქუთრუკის სახელოთი თვალებზე ჩამოდენილი ოფლი შეიმშრალა და წამოიწია, დაზვერა, უფრო მოკლე გზა რომელი იქნებოდა. მახლობლად ღარტაფი იყო, იგი თითქმის ქალაქს ეკვროდა. იწყებოდა ფრიალო ფერდობი, ფერდობს მეჩხერი ნაძვის ტყე ასდევდა.

საშინლად გაუჭირდა ერთთავად აღმართზე სირბილი: სხეული მეტისმეტად დამძიმებოდა, სისუსტისაგან კი მუხლები ეკეცებოდა. შუა ფერდობზე ისევ უკან მოიხედა — ძაღლის ყეფა თითქოს შორიდან მოდიოდა. სადღაც ავტომატი აკაკანდა, მაგრამ ტყვიების წივილი არ გაუგონია, — ეტყობა, მას არ ესროდნენ, სხვებს მისდევდნენ. ალბათ სხვადასხვა მხარეს გაიქცნენ ტყვეები. ჯერჯერობით თითქოს ბედი სწყალობდა. უნდა ეჩქარა.

მაგრამ ძალა ეცლებოდა, უჭირდა აღმართის დაძლევა. უკან ხელისგულივით მოჩანდა მთელი ქალაქი; ამ პატარა ქალაქის ერთი მხარე პატარ-პატარა ქარხნის შენობებს ეჭირა. სულ ახლახან დაბომბილი გრძელი გალავანი ერთგან ჩამონგრეულიყო, ნანგრევებში სახურავების მობრეცილი რკინები ამოჩხორილიყო. ივანე დაიხარა, მას უკვე ბეჭი ფარავდა. როგორც იქნა, წყაროსთან მიირბინა, შვევით ამოისუნთქა, გასწორდა. ტყე ახლო იყო, ფერდობზე ნაბიჯი შეანელა, სახელოთი მოიმშრალა ოფლი. უფრო შორს გზა ბალახიან ფართო ხევის ფსკერს ასდევდა, აღმართი ფრიალო ხდებოდა და ნაკადული ბობოქრობდა სლიპ, მრუდე ქვებს შორის. საბოლოოდ ძალაგამოლეულმა ივანემ მიაღწია ფერდობზე მიმოფანტულ ნაძვის ხეებს. ისევ მოესმა ძაღლის ყე-

ფა. გერმანელები, ეტყობა, გორაკს გადალმა იყვნენ. ოღონდ ტყემდე მიერბინა, იქ კი უფრო ადვილად დაიმალებოდა, როგორმე გზა-კვალს აუბნეგდა მდეგრებს. ხოლო თუკი ამას ვერ მოახერხებდა და ბედი უმტყუნებდა, ამაოდ მაინც არ დაიღუპებოდა.

მაგრამ ვერ მოასწრო ტყეში თავის შეფარება. მაღლა და მაღლა გარბოდა ბალახბულახში, გვერდს უვლიდა კლდეთა ნამზღვლევეებს, დიდსა და პატარა ლოდებს, ხვინჭა რომ მოსდებოდათ. აი, მიაღწია კიდევაც ტყისპირს, და უცებ, თითქოსდა მიწიდან ამოძვრაო, სულ ახლოს აყეფდა ძაღლი. ივანე პატარა ნაძვთან მიიჭრა, ჩაიმალა და ტოტებში გაიჭვრიტა. გორაკის თავზე ლეგა ნაგაზი მორბოდა.

ივანემ გაიფიქრა, უღრან ტყემდე მისვლას ვეღარ მოვასწრებო, ფეხები გააბოძიძგა, დამბაჩას ხელი მოუჭირა. არ იცოდა, რამდენი ვაზნა ჰქონდა შემორჩენილი, მაგრამ ის კი იცოდა, ტყვიები იხსნიდა მხოლოდ. ერთი წუთით კუნთები მოადუნა, რათა მშვიდად ესუნთქა და ტყვია არ აეცდინა.

ძაღლმა კაცი დაინახა და უფრო გააგებულ იყეფდა, უფრო გააღმასდა. დაინახა კიდეც ლოდს უკან მიმალული ივანე. კაცმა თვალთ გაზომა მანძილი, ორმოცდაათი ნაბიჯი თუ იქნებოდა. ამოშვერილ ლოდთან გამართა დამბაჩა. ნაგაზი სწრაფად უახლოვდებოდა, ყურები დაეცქვიტა, კუდი აეპრიხა, უჩანდა დაღებუი ხახა, გადმოგდებუი ენა და მგელივით დაკრეჭილი კბილები. ივანემ სუნთქვა შეიკრა, ცდილობდა, რაც შეიძლება უკეთ დაემიზნებინა. ორმოცდაათ ნაბიჯამდე მოუშვა, გაისროლა და მაშინვე მიხვდა, რომ ააცდინა. ნაგაზი უფრო გააგებით აყეფდა. ახლა არც დაუმიზნებია, ისე ალაღბედზე ისროლა. იმწამსვე სიხარულმა აიტანა, — ძაღლმა შემზარავად დაიწყა მუტანა, მიწას დაენარცხა, გადაკოტრიალდა და ჯირკვებში მიიმალა. კაცი ის იყო ტყეში უნდა შეჭრილიყო, რომ ვეება, წითლად დაფორეჯებული ნაგაზი ამოხტა ისევ ლოდიანებიდან, გრძელი საბელი ბალახზე მოსთრევდა.

ივანემ სწრაფად აღმართა დამბაჩა, ძაღლს მიუშვირა, მაგრამ ვერ გაისროლა. ეტყობა, გაეჭედა ტყვია, ვაზნის გამოცვლა ვერ მოასწრო, მხოლოდ ხელისგული დაარტყა საკეტს. მაგრამ მგელძაღლა უკვე ახლო იყო და ისკუბა კიდეც. ივანემ როგორღაც მოახერხა ნაძვნარს მოფარებოდა. ძაღლი ტოტებს წამოედო, ჰაერშივე ამოტრიალდა და ხახადაღებუი კვლავ კაცს ეტაკა. ივანემ ვერ მოისაზრა, თავი როგორ დაეცვა და ხელები შემართა. ნაგაზმა ისკუბა. ივანეს დამბაჩა ხელიდან გაუვარდა, თავი ვერ შეიმაგრა და ნაგაზთან ერთად ჩაგორდა ფერდობზე. თითქოსდა გათავდა ყველაფერი, მაგრამ დაცემისას მოასწრო და ნაგაზის საყელურს ხელი სტაცა, მკლავები დაძაგრა, სცადა ძაღლი მოეცილებინა. ნაგაზმა ბრჭყალები გაჰკრა, ტანისამოსი გაუფხრიწა. ივანემ ცალი ხელით ძაღლს საყელური გადაუგრიხა, მეორე ხელი კი წინა თათზე სტაცა და გადაუტრიალა. ორივეს სული ეხუთებოდა, ერთიმეორეს გადასკვნილები ერთხელაც გადაკოტრიალდნენ. მერე ივანე მთელი ტანით დააწვა ძაღლს და ყელში წაუჭირა ხელები. ნაგაზი უზომოდ ღონიერი იყო და ივანეც წამსვე მიხვდა, ამგვარ ჭიდილს დიდხანს ვერ გაუძლებდა. მაშინ იმარჯვა, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ძაღლს მუხლი ჩააზილა ფერდებს შუა. ნაგაზმა დაიწკმუტუნა, მძლავრად გაიქაჩა, საყელური კინაღამ ხელიდან გამოჰგლიჯა. ივანემ იგრძნო, რაღაც გატკაცუნდა, კინაღამ დაემტვრა თითები, მაინც უფრო მაგრად მოუჭირა ხელი საყელურს. მაგრამ ძალა

აღარ ეყო, ძალდი რომ მოეგუდა, ნაგაზმა თავგანწირულად გაიბრძოლა და კაცს ხელიდან დაუსხლტა.

ივანე დაიძვინა ახალი ნახტომის მოლოდინში, მაგრამ ძალდი აღარ გადმომხტარა — იქვე გაშხლართულიყო, სქელი დრუნჩი წაეგრძელებინა, ენა გადმოეგდო, ჩქარა-ჩქარა, ხრინწიანად სუნთქავდა, ბოროტად უცქერდა ადამიანს. ივანეს ხელისგულები ეწვოდა, ძალდის საყელურმა რომ გადაუყვლიფა, მხარიც უთრთოდა, გულიც ლამის ამოვარდნოდა, აკანკალებული ხელები ბალახზე დაუშვა და, დაჩოქილი, გაშმაგებით შეაჯქერდა. ერთმანეთს თვალს ვერ აშორებდნენ იმის შიშით, მეორემ არ დამასწროსო. ივანეს იმისიც ეშინოდა, გერმანელები არ გამოჩენილიყვნენ. ბოლოს მოისაზრა ივანემ, რომ ნაგაზი ვერ დაასწრებდა, წამოდგა, ბალახში ქვა მოიძია და სტაცა ხელი. უნდოდა ძალდისთვის ჩაერთყა, მაგრამ მაშინვე გადაიფიქრა, ნაგაზი წამით დაიკრუნჩხა, შეძაგდა და ზურგი აზნიქა. არც იმას ადგა კარგი დღე, ისე უღონოდ, უმწეოდ წკმუტუნებდა. ივანემ ფრთხილად დაიხია უკან, ძალდმა წამოიწია, ბალახზე გაითრია საბელი, მაგრამ წამოხტომა ვერ შესძლო. ამან უფრო გაათამამა ივანე და არაქათგამოცლილმა იმ ალაგს მიაშურა, საცა დამბაჩა დაუვარდა.

ძალდმა უილაჯოდ წამოიღრინა, ცოტათი გამოფოფხდა ბალახზე და შეჩერდა. ივანემ აიღო ბალახში დავარდნილი დამბაჩა და, რაც კი ძალა შესწევდა, ღარტაფისკენ მოუსვა, მაღლა, სადაც დაბურული ნაძვნარი ეგულებოდა.

II

ხუთი წუთიც და ტყეში იყო, უჩვეულოდ გამჭვირვალე ნაკადულის პირას გარბოდა. ფერდობზე სუფთა ტყე შეფენილიყო, აქ ფარჩხი არ ხარობდა, მაგრამ ლოდები ეყარა და სირბილს უშლიდა. მერე და მერე აღმართი უფრო ციცაბო გახდა, ჰირდა ფეხის მოკიდება. თან იმის ეშინოდა, ისევ არ დამედევნონო ძაღლები. კვალი რომ აეზნია, ნაკადულში შევიდა, მაგრამ ყინულივით ცივმა წყალმა ფეხი დაუშუშხა, ათიოდე ნაბიჯი გაირბინა და ნაპირზე ამოხტა, კლდოვან კბოდეზე წამით შეჩერდა, რათა დამბაჩა ხელახლა დაეტენა. საკეტმა გამრუდებული ვაზნა ამოაგდო. ივანე დაიხარა, ქვებში ჩავარდნილი ვაზნა ამოიღო და უეცრად გაშეშდა: ნაკადულის ჩხრიალში ზურგს უკან ლაპარაკი მოესმა. ვაზნას თავი დაანება და სწრაფად გაიქცა მაღლა, ცოტათი დასცილდა ნაკადულს, ნორჩი ნაძვების ტევრში გაძვრა, ფორთხვით განაგრძო გზა, სულს ძლივს ითქვამდა.

ქარმა დაუბერა. ცაზე, მთებს შორის, გაფოფრილი ღრუბელი გამოჩნდა. ეტყობა, წვიმას აპირებდა. ანაზღად ყრუ, დაჟინებული ძახილი ჩაესმა: „რუსო!“ კაცი მოიკუნტა, თავი მხრებში ჩამალა — არა, ეს გერმანელი არ იყო, გეფტლინგი¹ თუ იქნებოდა ვინმე. გამოცდილებით იცოდა, რა ძნელია ასეთ დროს ვინმე რომ აგეკიდოს. გერმანელებმა ალბათ უკვე განგაში ასტეხეს, არც ისე ადვილია ხელიდან დაუსხლტე იმათ.

¹ ტყვე (გერმ.).

ივანე კვლავ გაიქცა, კვლავ მიფორთხავდა ქვებსა და ნაძვებს შორის მთის ტყიანი კალთის გასწვრივ. ფერდობს რომ შესდგომოდა, ძალა აღარ ჰქონდა. ნაკადული სადღაც განზე დარჩა, მიწყნარდა მისი ჩხრიალი; უფრო ძალუმაღ და მკაფიოდ აშრიალდნენ ნაძვები — გრილი ქარი აქანავებდა ხეთა კენწეროებს. მზე მწვერვალს მიეფარა, მოქურუხებულ ზეცას შავი ღრუბელი ფარავდა. სული ეხუთებოდა ივანეს, ოფლმა ქურთუკი დაუსველა. ზოლებიანი ბერეტი ჯერ კიდევ აფეთქებისას დაეკარგა და ახლა პირისახეს სახელოებით იმშრალებდა, ერთთავად გარშემო იცქირებოდა და ფხიზლად აყურადებდა გარემოს. ერთხელ მოტოციკლეტების შორეული, მაგრამ თანდათან მომძლავრებული ხმაური შემოესმა. აქ სადღაც გზა გადიოდა და გერმანელებმა ალბათ მღევარი დაადევნეს. ავი წინათგრძნობით ატანილი ივანე ტვინს იჭყლეტდა, რა გზას დასდგომოდა. ამ ფიქრში იყო, რაღაც გაურკვეველი ჩქამი რომ შემოესმა და მიხვდა, ვიღაც მოსდევდა ფეხდაფეხ. ისკუბა, ხავსიან ნაძვს ამოეფარა და დამბაჩა გაატკაცუნა. მოტოციკლების ხმაური ახლოვდებოდა! „გარს მერტყმიან, არამზადები!“ ივანემ იკითქენ მიიხედა, ნაძვის უკან ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და დამბაჩა შემართა. ქვემოდან ისევ მოისმა ფეხის ხმა. ივანემ მზერა დაძაბა და უკვე სწრაფად განსაზღვრა, სად იმყოფებოდა ის ადამიანი. ერთხანს ბარდებში არავინ გამოჩენილა, მერე ტოტები შეირხა, და ვიღაც მსუბუქად გამოხტა კოროზე ფერდობს შეავლო თვალი.

— რუსო!

ქალი?! ესლა აკლდა! გაბრაზებულმა კაცმა კინაღამ შეიგინა, მაგრამ მოტოციკლეტების მოახლოებულმა ხმაურმა მიიპყრო მისი ყურადღება. მიწას გაეკრა, არ იცოდა, საით გაქცეულიყო. მეჩხერ ნაძვებში ადვილად შეამჩნევდნენ. მიტომაც ფრიალო კლდის ქვეშ, არცთუ ისე ღრმა წალოში ჩახტა, ერთიანად მოიკუმშა და მტრის დასახვედრად მოემზადა. ის ქალიც მაშინვე მიეფარა კლდის ნაპირს, ივანე უკვე აღარ იყურებოდა იქითკენ, სმენად ქცეულიყო, ყველაზე უფრო მოტოციკლებს უფრთხოდა. ანაზღად, ქვევით, ოციოდე ნაბიჯზე, ლოდებს შორის ისევ გამოჩნდა ქალი. ტანზე ფომფლოდ მომდგარი ზოლებიანი ქურთუკი ეცვა, გრძელი სახელოები ჩამოფლაშოდა, წითელი სამკუთხედი უჩანდა მკერდზე. გოგონა იყო. მან სწრაფად მიმოიხედა გარშემო და ივანემ შეამჩნია, დაუფარავი სიხარულით რომ უციმციმებდა იმ შავთმიან გოგოს მაყვალივით შავი თვალები.

— ჩაო!

ეს სიტყვა გაგონილი ჰქონდა ივანეს, — ასე ესალმებოდნენ ხოლმე ერთმანეთს გეფტლინგი-იტალიელები. მაგრამ ამ ღროს ისე ახლოს გაისმა მოტოციკლეტების ტკაცატკუცი, რომ კაცი მოიკუნტა, ხმა არ გაუღია. იფიქრა, გოგოც სადმე თავშესაფარში მიიმალეზაო. ქალმა კი, თითქოს საფრთხე სულაც არ აღარდებსო, ისევ მიმოიხედა და სხაპასხუპით რაღაცა თქვა გერმანულად, თითქოსდა ვიღაცას თავიდან იშორებსო. ივანემ ბუჩქნარისკენ გაიხედა და ქვებს იქით კაცი დაინახა. იმასაც ზოლებიანი ტანსაცმელი ეცვა. მან ქალიშვილის შეძახილზე მაშინვე ღურთა თავი ბარდებში. ივანემ ის-ის იყო გადაწყვიტა თავი დაედწია დაუპატიჟებელი თანამგზავრებისაგან, რომ ქალი მსუბუქად გამოხტა ნაზვავიდან, დაიხარა, ფეხები წარგო ქოშებში, მანამდე რომ ხელით მოჰქონდა, და ბაკიბუკით მიიჭრა ივანესთან.

მოტოციკლები თითქმის მათ თავზე ღრიალებდნენ, და ქალის ამ უგუ-

ნურმა კადნიერებამ გააბრაზა ივანე. ასე ხომ ადვილად შეამჩნევდნენ. ივანე დაიხარა, ქალს ხელი ჩაავლო და წალოში შეათრია. თან ჩუმად, მაგრამ თავ-შეუკავებლად შეიგინა. ქალი არ გასძლიანებია, დაჰყვა კაცის ნებას. უეცრად ცალი ქოში წასძვრა ფეხიდან და ქვებზე კაკუნით დაგორდა.

— ვაი, კლუმპეს! — თითქოს რაღაც ჩასწყდაო, ისე წამოიძახა გოგომ.

ზედიზედ მოჰქროდნენ მოტოციკლები, გრუხუნით აყრუებდნენ მიდამოს, ხან სულ ახლოს იყვნენ მათგან. მაგრამ ქალი თითქოს ყურადღებას არ აქცევდა მათ, მერე კაცს ხელიდან დაუსხლტა და თავის ქოშს დაედევნა. ივანემ ვერ მოასწრო შეეჩერებინა იგი, გაბრაზებულმა მუშტილა დაჰკრა ქვას და კბილები გაახრჭიალა. ამასობაში ქალი ქოშს დასწვდა და უკანვე გამოქანდა. უცებ ივანე გოგონას გზნებით მოკიაფე თვალებს წააწყდა და გაბოროტებულმა სილა გააწნა. გოგონამ წამოიკივლა, მაგრამ არ გაქცეულა, ივანეს გვერდით დაეცა და ჩუმად ამოხედა კაცს: გაბრაზება კი არა, სიანცე და გაოცება ედგა თვალებში...

მოტოციკლებმა ჩაიარეს და ივანემ ინანა, რატომ გავარტყი, თავი რად ვერ შევიკავეო. ქალი წუთით ჩაფიქრდა, თვალები დაუმრგვალდა, დააყურადა. ეტყობა, ახლად მიხვდა, რა საფრთხეც ელოდა, წამოიწია (ზოლებიანი დას-გრილი შარვალი ეცვა), ერთხელაც შეხედა კაცს და ბავშვური მიაშიტობით, თითქოს ღიღინებსო, რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა, — ივანეს გინება გაიმეორა.

ეს ისე მოულოდნელი იყო, თან ისე უჩვეულო, რომ ივანე სულის სიღრმემდე შეძრა, ადამიანური რამ სითბო შეიჭრა მის გამოფიტულ გულში და პირველად მთელი დღის განმავლობაში გაკვირვებით, ფართოდ გააჩილა თვალები:

— ოჰო!

— ოჰო! — გაიმეორა ქალიშვილმა, თითქოს გამოაჯავრაო, და მხოლოდ ახლად შეათვალა ივანე. სავსე ტუჩები ჭირვეულად მოკუმბა, თვალები ანცად, ეშმაკურად აუციმციმიდა. ივანეს თითქოს სადღაც ენახა ამ შავგვრემან, მეტისმეტად გამხდარ პირსახეზე მოელვარე ეს უცნაური თვალები. გულში რაღაც ახალი, უცხო რამ გრძნობა მოუზღვავდა და მოიღუშა. ქალის გამომწვევმა სილამაზემ, მისმა უჩვეულო გამბედაობამ ასეთ დროს კაცი სრულიად დააბნია.

— შენ საით გარბიხარ? — მკაცრად ჰკითხა ივანემ და თან ქალის ქოშებს დახედა.

— ვას? ¹

— ვას! ვას! საით გარბიხარ?

— რუსო მირბიხარ — მეც მირბიხარ.

ივანემ თავი შეიკავა და გაგულისებულმა ქეშად შეხედა გოგოს. მისი მოძრაობი, ნაზი პირისახე ცნობისწადილით გაფაციცებულიყო, ნეტავ რას მეკითხებიანო. გადაბმული ხშირი შავი წარბები აეძვინა.

— შენ იცი, საით მივრბივარ? რუსლანდს მივრბივარ. დამიჭერენ და მომკლავენ — ბაც, ბაც. შენ კი ასე... — ივანემ თითი კისერზე მოივლო და ზევით აიხედა, რაც მრავლისმთქმელი ნიშანი იყო ბანაკელი ტყვეებისათვის.

¹ რა? (გერმ.).

ქალი მიხვდა, წამით გაეღიმა და თითქოს ჩაეცინა კიდევ: მე და სახრჩობელო?! მისმა ქარაფშუტობამ კვლავ გააგულისა ივანე:

— გამამაცებულხარ! აბა, მოუსვი აქედან, სულელი ხომ არ გგონივარ, ისლა მაკლია, შენ ამეკიდო. გულშიც არ გაივლო ეგ ამბავი, მე შენ, რასაკვირველია, ვერაფერში დაგეხმარები!

— რასაკვირველია! — ისე მეგობრულად გაუღიმა ქალმა, ივანემ გაიფიქრა, ჩემი ნათქვამი ვერ გაიგო.

ის იყო დააპირა კიდევ ეთქვა რაღაც, ქალი გულისხმაში რომ ჩაეგდო, მაგრამ ამ დროს ქალაქის მხრიდან ისევ მოესმა სროლა, ყვირილი და ძაღლების ყეფა. „ჯანდაბას ეს გოგო, აქაურობას უნდა გავეცალო“, გაიფიქრა ივანემ და სწრაფად აჰყვა აღმართს.

ცას ლეგა ღრუბელი მოეფინა. მშფოთვარედ ირხეოდა ნაძვების კენწეროები, ტყეც არ ისვენებდა, გუგუნებდა. მალე წვიმის პირველმა წვეთებმა ირიბად გასერა ხეებს შორის გამომზირალი სივრცე.

ივანე შეუსვენებლად მიდიოდა, ხეებსა და ქვებს შორის მიიკვლევდა გზას. ახლალა შეამჩნია, რომ შარვლის ტოტი ძაღლს შემოეთხრიწა მისთვის. სისხლიც წამოუვიდა მუხლიდან. სანამ კლდის ქვეშ იდგა, ეტყობა, შეახმა სისხლი. სიარულში კი კვლავ გაეხსნა ჭრილობა და ისევ სისხლმა დაიწყო დენა. ქვებზე დაუეჭილი ფეხის თითებიდანაც მოჟონავდა სისხლი, ქუსლიც რაღაც ეკალზე დაედგა და ტკივილმა შესამჩნევად დააკოჭლა.

უკანა მხარეს ყველაფერი მიწყნარდა. მდეგრებისა არაფერი ისმოდა, მაგრამ ივანემ იცოდა, გერმანელები გაქცეულებს არ მოეშვებოდნენ. ალბათ დაცვის მთელი რაზმი და პოლიცია დააყენეს ფეხზე. ძალზე ძნელია მდეგრებს თავი დააღწიო. წვიმა თუ უშველის კიდევ, ჩაახშობს ფეხის ხმას და ჩარეცხავს ნაკვალევს. ივანე ფხიზლად, მოუსვენრად აცეცებდა ირგვლივ თვალებს, შიშობდა, ვაითუ ბუჩქებში ჩასაფრებულ მდევარს გადავეყარო. დროგამოშვებით უკნიდან ესმოდა თანამგზავრის აჩქარებული ნაბიჯები — ქალი ფეხდაფეხ მოჰყვებოდა. მხოლოდ ხანდახან, ქოში რომ წაძვრებოდა, წუთით შეჩერდებოდა, მერე ისევ გამოიქცეოდა. მაშინ ივანეს ქალის ხშირი სუნთქვა ესმოდა.

III

კაცი არ იხედებოდა უკან. ქალი რომ ჩამორჩენილიყო და სულაც ჩამოხსნოდა, ივანეს კიდევ გაეხარდებოდა, მაგრამ ვერ გაავდებდა და ვერც მართოკა დატოვებდა. რა მისდა ჭირად აეკიდა ეს ქალი. დაჟეთ, იმანაც დააღწია თავი ქარხანას, დაეწია ივანეს. რა ჩქარა ამოიზოდა ივანე მთაზე და მაინც არ ჩამორჩა მას. თუმცა ძაღლთან ბრძოლასაც ცოტა დრო როდი დასჭირდა — კიდევ კარგი, გერმანელები დაყოვნდნენ და მაშინვე არ დაესხნენ თავს.

ამასობაში წვიმა მომძლავრდა. თბილი წისლი სქლად მოეფინა ტყიან ფერდობებს. გაქცეულებს გულზე მოეფონათ, ავდარში უფრო ადვილად დაიმალებოდნენ და ქალაქსაც შორს გაეცლებოდნენ.

მაგრამ წვიმაში სიარული ჭირდა. გაუდენთილი ქურთუკი უამურად ეწებებოდა ტანს. დასველებული და ჩამოფლაშული შარვლის ტოტები დაიკარწახა, როგორც თიბვის დროს იცოდა ხოლმე. კიდევ კარგი, წვიმას ჩაეშავები-

ნა მისი ზოლებიანი, შორიდან აღვილად შესამჩნევი ტანისამოსი, მხოლოდ ზეთის საღებავით გამოყვანილი წყეული რგოლები — სამიზნეები ძველებურად ულაპლაპებდა მკერდზე. ისინი ვერ დაესველებინა წვიმას და ჩაშავებულ ქურთუკზე კიდევ უფრო შესამჩნევი გამხდარიყო.

ამასობაში გავიდა საათი, შეიძლება უფრო მეტიც. გაქცეულები ბუჩქნარში მიძვრებოდნენ. ტოტებს შორის გაბმულ ობობას ქსელში წყლის ციციქნა წვეთები ციმციმებდა. ანაზღად გზა დაინახა ივანემ. გატყეცილი, წვიმით აპრი-ალებული ბეტონის გზა აქ უხვევდა და ზევით იკარგებოდა. ივანე შეჩერდა, მიაყურადა — გზა, ეტყობა, ცარიელი იყო. ახლად მიიხედა უკან: ქალი თავპირზე შემობლარდნილ სველ ტოტებს სწრაფად იშორებდა და მისკენ მოიჩქაროდა... უნდა დაეცადა და გზა მასთან ერთად გადაევიდა, თორემ თანამგზავრს იქნებ ისეთი რამ ჩაედინა, მღევართა ყურადღება მიეპყრო.

ქალი მიუხვდა, მიირბინა და გვერდით დაუდგა დაღლილი. გზა რომ დაინახა, ახლა უფრო ფრთხილად ირჯებოდა, ვიდრე წინათ. ივანემ თვალი შეავლო მის სველ ქურთუკს, მჭიდროდ რომ შემოტმასნოდა მოქნილ ტანზე, და კვლავ მოიღუშა. ეს ყოველივე სრულიად არ შეეფერებოდა მათ ახლანდელ ყოფას. ქალიშვილს კი, ეტყობა, ესიამოვნა წუთიერი დაყოვნება: ცოტათი სული მოითქვა, ცალი ხელი ნაძვის ტოტს ჩაავლო, მეორეთი ქოშებიდან წყალი გადმოღვარა და დაქანცულმა ამოიოხრა. ივანემ ცოტა შეიცადა, სანამ ქალი სულს მოითქვამდა, მერე გზისკენ გასწია. გოგო ფრთხილად მიჰყვა მას.

გზის მახლობლად ივანემ კვლავ მიიხედ-მოიხედა, მიირბინა გზის გასწვრივ ჩაბეტონებულ თხრილთან, შეჩერდა, ქალს წასჩურჩულა, აქ მოდიო, და ხელი გაუწოდა. იგი უსიტყვოდ მისწვდა კაცის თითებს და მალე ყრუდ აბაკუნდა ქოშები ბეტონზე. — ქოშები გაიხადე! — უბრძანა ივანემ, ქალმაც მორჩილად გაიხადა ხის ქოშები და მეორე ხელში დაიკავა. ხელიხელჩაკიდებულებმა გადაირბინეს ბეტონის სველი ფილები. წვიმა თქეშად ჩამოდიოდა და პირწმინდად შლიდა ლტოლვილთა ნაკვალევს. ისინი მშვიდობიანად გადავიდნენ გზის მეორე მხარეს და კაცმა თანამგზავრს ხელი შეუშვა. თხრილს მიღმა ქალმა ღორღზე ფეხი გაიკაწრა, ვაიო, შეჰყვირა ჩუმად, მერე ქოშები ჩაიცვა და სწრაფად აჰყვა ივანეს აღმართზე.

აქ ციცაბო აღმართი იყო. ფერდობზე დაგვაჯული, შემხმარი ხეები ამოზრდილიყო, ტოტებს შორის კი ბზინავდა გზა. ივანე ახლა აღარ ჩქარობდა, თვითონაც დაიღალა და ქალიშვილსაც ამჩნევდა, თითქმის მთლად გამოსცლოდა ძალ-ღონე. ციცაბო აღმართი პირველმა ივანემ დასძლია დიდი ვაივაგლახით, სული მოითქვა ტოტებგაშლილი, ნუჟრიანი ნაძვის ძირას და დააცქერდა, როგორ მობობლავდა მალლა მისი თანამგზავრი. ქალიშვილს ცალი ქოში კვლავ წასძვრა ფეხიდან და სწრაფად ჩაგორდა ლოდთანზე. დაბნეულმა ქალმა წამოიძახა: „სანტა მადონა“¹, — დაბლა ჩაიხედა და უილაჯოდ ჩამოჯდა, ალბათ ვერ გადაეწყვიტა, ჩასულიყო თუ არა ქოშის ამოსატანად. ბოლოს მაინც ჩავიდა კოჭლობით, ქოში აიღო და ივანეს ამოჰხედა. უთქმელი მადლიერებით იყო სავსე მისი მზერა, რაკი კაცმა არ მიატოვა მარტოკა, არ წავიდა. ივანე მშვიდად ჩამოჯდა გამომშრალ მიწაზე და ასე იცდიდა, ვიდრე ქალმა აღმართი არ აათავა და მერე არაქათგაცლილი არ დაეცა მის გვერდით.

¹ წმინდა ღვთისმშობელი (იტალ.).

— გადაყარე ეგ ოხერი, — თქვა კაცმა.

ქალმა შავი, დიდრონი თვალები მიაპყრო. ივანემ ქოშებზე მიუთითა და ანიშნა, გადაადგეო. ქალმა უარის ნიშნად თავი გააქნია, ამავე დროს თავისი პატარა, სველი და, როგორც კაცს მოეჩვენა, მეტად ნაზი ფეხი გაატოკა. კაცი მაშინვე მიხვდა, რომ უაზრო იყო მისი რჩევა, თუმცაღა იცოდა, კიდევ ბევრჯერ გააშწარებდა ეს ქოშები გოგოს. თვითონ მასაც ექავებოდა და ეწვოდა ქვებსა და ფარჩხებზე დაჩხვლეტილი ფეხები. მეტადრე მარცხენა ქუსლი აწუხებდა. წუთიერი შესვენებით ისარგებლა და დაშავებული ფეხის ტერფი მოათვალიერა.

— რუსო, ძალიან, ძალიან ფურიოზო! როგორაა ეს გერმანულად... ბიოზე!¹ — უცბად დაილაპარაკა ქალიშვილმა.

ივანემ გაიგო, რა თქვა ქალმა. ამ ერთ წელში, რაც ტყვედ იყო, ცოტა ისწავლა გერმანული, მაგრამ მაშინვე არ უპასუხა. ქუსლში ხიწვი შერჭობოდა და მის ამოძრობას ცდილობდა ახლა. მაგრამ ხიწვის ციცქნა წვერისთვის ვერა და ვერ ჩაევილო ფრჩხილები.

— ბიოზე! ასეთ დღეში ჩაგადებენ და ბიოზე იქნები, აბა რა! — გულმოსულმა ჩაიდუდღუნა და უფრო გულისხმიერად დაუმატა: — საერთოდ კი მე ვარ გუტ.

— გუტ?

ქალიშვილს ჩაეცინა, ორივე ხელით გაისწორა სველი, მბზინავი თმა, ხელისგულები შარვალზე შეიმშრალა და კაცს მიუახლოვდა.

— მომეცი! მე ვსინჯავ.

ივანემ ვერაფრით ვერ ამოიძრო ხიწვი, ქალმა კი საოცრად მსუბუქად შემოაჭდო ცივი და წვრილი თითები მის დიდ ტერფს, იარა მოჩიჩქნა, მერე დაიხარა და კბილებით ამოიღო ნამცეცი ხიწვი.

ივანეს არ გაჰკვირვებია, არც მადლობა უთქვამს, ფეხი მისწია, ქუსლს დახედა, ხელი გადაუსვა და წამოდგომა სცადა. თითქოს დაუამდა ტკივილი, გულთბილად შეხედა ქალის სველსა და შავგვრემან, გალამაზებულ პირისახეს. ქალსაც არ დაუხრია მომღიმარი თვალები, თითებით გამოიღო კბილებიდან ხიწვი და გადაადგო.

— მარჯვე ყოფილხარ! — თავშეკავებით თქვა ივანემ.

— მარჯვე, — გაიმეორა ქალმა და ჰკითხა: — რა არის მარჯვე?.. — ალბათ მთელი დღის განმავლობაში პირველად ახლა გაიღიმა ივანემ და გადახოტრილი კეფა ხუთივე თითით მოიფხანა.

— აბა რა გითხრა? ეს ნიშნავს გუტ.

— გუტ?

— მე გუტ.

— დუ გუტ, იჰ გუტ², — მხიარულად გაიცინა ქალიშვილმა. თითქოს რაღაც მოაგონდაო, ივანემ თვალი თვალში გაუყარა გოგოს. ის კი უცებ გამოერკვა, შემცივნებულმა მხრები აიჩეჩა და ივანემ მაშინვე ეს იფიქრა: გზას უნდა გავუდგეთო. ენანებოდა ტოტებგაშლილი ნაძვის დატოვება, სადაც წვიმა არ ჩამოდიოდა, მაგრამ მეტი რა გზა იყო, უნდა ამდგარიყო. ერთფეროვნად შრიალებდა ტყე — ავდარმა, ცხადია, ხელი შეუშალა მდევარს. ვინ

¹ ფურიოზო (იტალ.), ბიოზე (გერმ.) — ბრაზიანი, ბოროტი.

² შენ კარგი ხარ, მე კარგი ვარ (გერმ.).

იცის, რამდენი პატიმარი გაიჭრა მთებში, იქნებ ზოგიერთს კიდევ გაუღიმოს ბედმა, თავი დაადწიოს აქაურობას. ივანეს მესამე გეფტლინგი მოაგონდა, მათ რომ აედევნა, და სანამ ნაძვს გაშორდებოდა, ქალს ჰკითხა:

— ის ვინლა მორბოდა შენთან ერთად?

— მორბოდა? იქა? გეფტლინგი. ტედესკო გეფტლინგი.

— ვინა, ნაცნობი? ამხანაგი?

— ამხანაგი არა, კრანკ გეტფლინგი, ავადმყოფი, — ქალიშვილმა წვრილი თითები საფეთქელთან დაატრიალა.

— აჰ, გიჟი?

— ია, ია.

„უყურე, ამასთან თურმე შეიძლება ლაბარაკი!“ — კმაყოფილებით გაიფიქრა ივანემ და ქალიშვილს თვალი მოაშორა. რატომღაც წინანდებურად ვეღარ უმზერდა ახლა მის შავ, ღრმა, დიდრონ თვალებს, არაფრის დამალვა რომ არ ძალუძდათ.

— კარგი. ჯანდაბას მისი თავი, წავედით.

თითქოს საკმაოდ დაშორდნენ ბანაკს. იმ ფიქრმა, ალბათ გადავურჩითო გერმანელებს, გული გაუხალვათათ, შვებით ამოისუნთქეს. თითქოს შორეული წარსულის ამბავი ყოფილიყო, ისე გადაავლო ივანემ გონების თვალი ყოველივე იმას, რაც ამ ჯოჯოხეთურ დღეს მოხდა.

IV

წინა ღამეს დაბომბეს აქაურობა, ახლა ისინი, ხუთი სამხედრო ტყვე, ნახევრად დანგრეულ საამქროში მიწას თხრიდნენ, ეძებდნენ, სადმე ხომ არ ჩარჩენილიყო აფეთქებული ყუმბარა.

უკვე იმედი გადაეწურათ, აღარ ეგონათ, ამ ჯოჯოხეთს თუ ცოცხალი გადაურჩებოდნენ, და დღეს გადაწყვიტეს, უკანასკნელად ეცადათ ბედი, თავისუფლება მოეპოვებინათ, ან ისე ექნათ, როგორც ამბობდა ეს პატარა, ენამახვილი შავტუხა ყმაწვილი, მეტსახელად ხოჭო: თუ ამ ქვეყნიდან წასვლა გვიწერია, კარი მაგრად მაინც მოვიჯახუნოთო. აჰა, მგონი, მოთავდა ეს სახიფათო სამუშაო. ყუმბარა ძალაყინებით ამოსწიეს, მიწა შემოაცალეს, გაასუფთავეს და მერე ფრთხილად დაუშვეს ორმოს ფსკერზე. მაგრამ ყველაზე საშიში ჯერ წინ იყო. სანამ დანარჩენები სუნთქვაშეკრულნი და გაშეშებულნი ორმოს გარშემო იდგნენ, მხარგრძელმა პატიმარმა (იმასაც მკერდსა და ზურგზე ფერადი რგოლებით აჭრელებული ქურთუკი ეცვა), შავი ზღვის მეზღვაურმა გოლოდაიმ ამფეთქებელს გასაღები მოარგო და მთელი ძალით დააწვა ზედ. იდაყვამდე აკარწახებულ დაკუნთულ მკლავებზე ძარღვები დაებერა, კისერზე ვენები დააჩნდა. ამფეთქებელი ოდნავ დაიძრა. გოლოდაიმ კიდევ ორჯერ მოაბრუნა გასაღები, შემდეგ ჩაცუცქდა და სწრაფად დაიწყო ამფეთქებლის მოტრიალება. მიწაზე დაცემისას ამფეთქებელი, რასაკვირველია, დაზიანებულიყო. ეს ყუმბარა წუხელ ამერიკული ბ-29-დან თუ ინგლისური

¹ გერმანელი პატიმარი (იტალ. — გერმ.).

„მოსკიტოდან“ ჩამოაგდეს ალბებით შემოსაზღვრულ ამ პატარა ავსტრიულ ქალაქში. ამფეთქებელი არ უვარგოდა, თორემ ყუმბარა მაინც დიდ საშიშროებას უქადდა ყველას. სიკვდილმისჯილ ხუთ ტყვესაც სწორედ ამის იმედი ჰქონდა. როგორც კი ყუმბარის ჭრილი გათავისუფლდა, ხოჭომ ქურთუკის ჯიბიდან ამოიღო ახალთახალი ამფეთქებელი და გამხდარი ავანკალებული თითებით დაუწყო მიხრახვნა ყუმბარას. ყმაწვილი ჩქარობდა, ამფეთქებელს ჭრილში ვერ ათავსებდა, რკინა ჩხაკუნობდა. ივანემ თავი წამოსწია და ორმოდან ამოიხედა, ვინმე არ წამოგვადგესო თავზე.

ირგვლივ თითქოს სრული სიწყნარე სუფევდა. ორმოს პირზე დაზიანებული კოჭები გადმოკიდებულიყო. ჩამტვრეულ სახურავში სინათლის ირიბი სხივები იჭრებოდა. მტვერი ახრჩობდათ ტყვეებს. ბეტონის საყრდენების მიღმა, შუა საამქროში, მზის სხივებით აბრწყვიალებულ მტვრის ბულში კანტიკუნტი შეძახილები ისმოდა და აჩოჩოლებული მიმორბოდნენ ადამიანები, ნანგრევები და ნაგავი გაჰქონდათ. იქვე იყვნენ ესესელები, მაგრამ რაკი ყუმბარის განმუხტვაზე მიმდგარიყო საქმე, ზედმეტი ყურადღებით არ აწუხებდნენ ტყვეებს და მოშორებით იდგნენ.

— აბა, არამზადებო, ახლა კი გვიყურეთ! — ხმადაბლა, მაგრამ ბრაზით გამოსცრა ხოჭომ.

ყუმბარაზე წახრილმა გოლოდაიმ თავი წამოსწია და ჩაიბურღლუნა:

— ჩუმად, ჯერ გადახტი და „ჰოპ“ მერე დაიძახე.

— არა უშავს, ძმებო, არა უშავს! — ოფლი შეიმშრალა და ჩაილაპარაკა კოლმეურნეობის ყოფილმა ბრიგადირმა, ახლა კი ცალთვალა გეფტლინგმა იანუშკამ. ბუნებით იგი იმედიანი იყო, თუკი შეიძლება ტყვეთა ბანაკში იმედიანი ყოფილიყო ვინმე. ეს ცალთვალა კაცი, ელენთა რომ აწამებდა, მუდამ ყველას აიძულებდა და აგულიანებდა, ვინც კი გაქცევას განიზრახავდა.

სხვა ტყვეები რომ ლაპარაკობდნენ, სრებნიკოვი კედელთან მიმდგარიყო და გამუდმებით ახველებდა. ასევე ჩუმად იყო ივანეც. სრებნიკოვს იმთავითვე ჰქონდა ყველაფერზე ხელი ჩაქნეული, რადგან არც გაქცევა მიაინიჭებდა ბედნიერებას — ბანაკის რეჟიმი და ცემა-ტყეპა იმაზე მეტს რას უზამდა, რასაც ჭლეჩი უქადდა. თვალდახელშეუაღნებოდა კაცი. ივანე ტერეშკას კი ბუნებით მოსდგამდა სიტყვაძვირობა, ულაპარაკოდაც ცხადი იყო მისთვის ყველაფერი.

გოლოდაიმ ხელები ზოლებიან შარვალზე შეიწმინდა და ამხანაგებს გადახედა. ყველაფრის მოთავე ის იყო მუდამ.

— ვინ იკისრებს?

წამით ყველა გაყუჩდა, თავი დახარეს, გრძელ ყუმბარას მიაშტერეს მზერა, მწვანე გვერდებზე ნაკაწრები რომ აჩნდა. ლოყებჩავარდნილი, ჭალარა ჯაგრით გაბანჯგლული, მუდამ მოღუშული იანუშკა სმენად იქცა; ხოჭოს მოუსვენარ თვალებში ჩაქრა გაბედულების ნაპერწკალი. სრებნიკოვმა ხველაც კი შეწყვიტა, მკლავები უღონოდ ჩამოეყარა და თვალებში ნადველი ჩაუდგა. ეტყობა, ყველას ეს ამბავი აწუხებდა, ყველა ღუმდა, ყველა თავის გულში წყვეტდა ამ ფრიად სახიფათო საკითხს.

გოლოდაის ბრტყელი პირისაზე მოუთმენლობას გამოხატავდა.

— მოხალისე თუ არავინ არის, — მოიღუშა იგი, — მაშინ კენჭი ვყაროთ.

— ჰო, ასე აჯობებს, — შეტოკდა ხოჭო და გოლოდაის მიუახლოვდა.

— კარგი, ვყაროთ კენჭი! ერთმანეთში პირნათლად რომ ვიყოთ, — და-

ეთანხმა იანუშკაც. სრებნიკოვმა თავისუფლად ამოისუნთქა, თითქოს სული მოითქვაო. ტერეშკამ ჩუმად, ერთი მოქნევით ჩაასო მიწაში ბერკეტის წვერი. მაგრამ გოლოდაიმ ბარძაყზე დაირტყა ხელი და შეიგინა.

— რითი უნდა ვყაროთ კენჭი, არაფერი რომ არა გვაქვს. — გოლოდაიმ მოუთმენლად მიმოიხედა, მერე ხელი დაავლო ორმოს კუთხეში ნიგდებულ მძიმე, გრძელტარიან უროს.

— აბა... ყველამ ჩავავლოთ ხელი.

ჩაჯდა და ტარს ძირში ჩაავლო ხელი. დანარჩენები მას მიუჩოჩდნენ. გოლოდაის შემდეგ ხოჭომ ჩაავლო ხელი უროს, მერე იანუშკას დაკორძებუბული ხელი მიჰყვა, მერე სრებნიკოვი მოეჭიდა ტარს, შემდეგ ისევ გოლოდაი, შემდეგ ხოჭო, იანუშკა და, როდესაც ხელების წნულის მაღლა ტარის ბოლო დარჩა თავისუფალი, იმ ადგილს ნელა შეეხო სრებნიკოვის აკანკალებული, ოფლიანი ხელი.

ყველამ უნებურად შვეებით ამოისუნთქა, წამოდგნენ და კედელთან ჩამწკრივდნენ. ასე იდგნენ ნახევარი წუთი, ცდილობდნენ ერთმანეთისთვის არ შეეხედათ. მერე გოლოდაიმ მტკიცედ გაუწოდა ურო სრებნიკოვს, ვისაც სიკვდილი არგუნა ბედმა ამ უროთი ხელში.

— ასე სჯობს, ერთმანეთთან პირნათლად რომ ვიყოთ, — ისევ უხეშად, მაგრამ ოდნავ შესამჩნევი თანაგრძნობით თქვა გოლოდაიმ.

სრებნიკოვმა რატომღაც ხველება შეწყვიტა, გადაექანა, ხელი მოჰკიდა უროს ტარს, სცადა მისი ადგილიდან დაძვრა და კვლავ დაუშვა ხელი. გაუქარვებელი სევდით სავსე თვალები მიაპყრო ამხანაგებს.

— ვერ შევძლებ, — წყნარად, განწირული ხმით წაილაპარაკა მან. — ვერ დავძრავ ამ უროს.

ისევ მიუჩიდა ყველა. გოლოდაიმ მრისხანედ დაუბრიალა თვალები სასიკვდილოდ განწირულს:

— რაო? რა თქვი?!

— ვერ მოვერევი... ძალა არ მყოფნის, — აუხსნა დაღონებულმა სრებნიკოვმა და ყრუ ხველა აუტყდა.

გოლოდაიმ შეხედა და უეცრად ბოროტად შეიგინა.

— აბა, აბა! — გესლიანად ჩაილაპარაკა ხოჭომ. — ნულა აჯანჯლებ საქმეს...

— ცხადია, ვერც შესძლებს, სული აღარ უდგას, — იანუშკა უკვე შერიგებოდა ამ ამბავს.

ტერეშკას თითქოს რაღაც ჩაუწყდა გულში. გრძნობდა, სრებნიკოვი რომ არ თვალთმაქცობდა, და მაინც გააბრაზა ამ მოულოდნელმა ამბავმა. ერთხანს უბღვერდა სნეულს, რაღაცას საზრობდა. რასაკვირველია, სიკვდილი არ უნდოდა, სიცოცხლე ერჩია, როგორც ყველას. სამჯერ სცადა გაქცევა (ერთხელ თითქმის ეიტომირამდეც მიაღწია) და, მიუხედავად ამისა, ცხოვრებაში დგება თურმე ისეთი წამი, როცა ერთბაშად, ერთი დაკვრით უნდა გადაწყვიტო ყველაფერი. და მან ნაბიჯი გადადგა სრებნიკოვისკენ.

— მოიტა აქა.

გაკვირვებულმა სრებნიკოვმა ნაღვლიანი თვალები აახამხამა და მორჩილად გაშალა თითები. ტერეშკამ უროს ხელი მოავლო და ოდნავ შემკრთალი ხმით გასცა ბრძანება:

— აბა, რას გაჩერებულხართ. მე უნდა დავკრა, რაღას ვუცადოთ?

მკაცრმა გოლოდაიმ, ფიცხმა ხოჭომ, დაძმარებულმა იანუშკამ გაოცებით შეხედეს ტერეშკას, უეცრად გამოცოცხლდნენ და ყუმბარას მიუახლოვდნენ.

— აბა, დავიწყეთ! ხოჭო, თოკი მოიტა! — ნაძალადევი მხნეობით იძახდა ტერეშკა და, წინასწარ მომარაგებული ჯოხების მოსატანად რომ მიდიოდა, ორმოდან ამოიხედა. ამოიხედა და შეკრთა, დანარჩენებიც ადგილზე გაშეშდნენ.

ორმოს მახლობლად, ირიბი სხივების მტვრიან ჩქერალში კომანდოროფი-ურერი ზანდლერი იდგა. მან მაშინვე შეამჩნია ივანე, მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. ზანდლერმა თავი დაუქნია.

— კომ!

ტერეშკამ ხმადაბლა შეიგინა, ურო კედელს მიაყუდა და სწრაფად (და-ყოვნება არ შეიძლებოდა) აცოცდა ორმოს გარშემო დაზვინულ მიწაყრილზე. დაძაბული ამხანაგები მიწყნარდნენ. გაინახნენ.

გერმანელებს ყუმბარის აფეთქებისა ეშინოდათ და საამქროდან დაზგებს ეზიდებოდნენ. იდგა მტვრის ბული, სუნთქვა ჭირდა. ფარღალა სახურავიდან შუადღის მზის მტვრიანი სხივები ეცემოდა იატაკს. უზარმაზარი ნაგებობის მეორე ბოლოში, სადაც „ს“ სექტორის ქალთა რაზმი მუშაობდა, უამრავი ადამიანი მიმოდიოდა. ქალები ღორღით დატვირთულ ურიკებს მიაგორებდნენ ფიცარნაგზე. ზანდლერი შესასვლელში გამწკრივებული ბოძების ქვეშ იდგა, იმ ადგილის ბოლოს, სადაც ბეტონის იატაკზე მაღლიდან ეცემოდა შუქი, ზურგზე ხელები შემოეწყო და ისე იცდიდა. ტერეშკამ სწრაფად ჩაირბინა მიწაყრილი ქოშების ბრახაბრუხით და ზანდლერისაგან ხუთიოდე ნაბიჯზე, სწორედ იატაკის განათებულ კვადრატზე შეჩერდა. ესესელმა ზურგზე შემოწყობილი ხელები ჩამოიღო და ქუდი შეისწორა.

— ვი ისტ მიტ დერ ბომბე?¹

— მალე. გლეიხ², — თავშეკავებულად მიუგო ივანემ.

— შნელერ ჰინაუსტრაგენ!³

ზანდლერმა იჭვის თვალთ გახედა ორმოს, საიდანაც ოთხ ტყვეს ამოეყო თავი, მერე ივანეს მიაჩერდა გამომცდელად. ივანე ჯარისკაცივით გაჯგიმულიყო და გერმანელის გაპარსულ, მზემოკიდებულ პირისახეს, ძალაუფლებისა და ღირსების შეგნება რომ აღბეჭდოდა, თვალს არ აცილებდა, თან გერმანელის მარჯვენა ხელის ყოველ მოძრაობას უთვალთვალებდა. მახლობლად ზოლებიან ტანსაცმელში გამოწყობილმა ორმა ქალმა მიწაზე დაუშვა ტვირთი, შიში დასძლიეს და ცნობისმოყვარეობით დაუწყეს ცქერა, რა მოხდაო. გერმანელმა გახედა გეფტლინგის ფართე მხარბეჭს, ვისი შემართული სხეული თითქოს ყველაფრისთვის მზადყოფნას გამოხატავდა. ეს გერმანელმა თავისებურად გაუგო, მიუახლოვდა და დამტვერილი ჩექმა მიუშვირა.

— აბა, სუფთა, — უთხრა და ჩექმებზე დაიხედა.

რასაკვირველია, მიხვდა ივანე, მისგან რას მოითხოვდნენ (ეს აქ ახალი

¹ აბა, როგორაა ყუმბარის საქმე? (გერმ.).

² ახლავე გავიტანთ (გერმ.).

³ სწრაფად მოაშორეთ აქედან! (გერმ.).

ამბავი არ იყო), მაგრამ უცებ დაიბნა, რაკი სხვა რამეს ელოდა, და რამდენიმე წამი დააყოვნა. ზანდლერი კი ელოდა, უხეშ, დაწვმალალ პირსახეზე ახლა მუქარა აღბეჭდოდა. მეტი დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, იგი გერმანელის წინ ჩაცუცქდა. ამ დამცირებამ გააცოფა ივანე, ძლივს დაიოკა ამჯერად უადგილო რისხვა. თავჩაღუნული უწმენდდა ჩექმებს თავისი ქურთუკის სახელოთი. ამ ახალ ჩექმებს ყოველ დილას საგულდაგულოდ აპრიალებდნენ. მალე ჩექმის პირმა ნათლად აირეკლა მზე, მერე ჩექმის ყელი და ქუსლიც გაბრწყინდა, მხოლოდ ლანჩის კიდევებში ჩარჩა ცოტაოდენი მტვერი და არც ჩექმის წვერს მოსცილდა ნაფხაჭნში ჩარჩენილი ჭუჭყი. ამასობაში კომანდორფიურერმა სანთებელა გააჩხაკუნა, სიგარეტს მოუკიდა და პორტსიგარი ჯიბეში ჩაიღო. სიგარეტის კვამლმა ყნოსვა მტკივნეულად გაუღიზიანა ივანეს. მერე გერმანელმა ფერფლი დაფერთხა და ჩამოცვენილმა ნაპერწკლებმა კისერი აუწვა ტყვეს. ბრაზი წაეკიდა ივანეს, თავი ძლივს შეიკავა, არ წამომხტარიყო და არ გაეთელა ზანდლერი, მაგრამ თავს შეებრძოლა, შეეცადა ჩქარა გაეწმინდა ჩექმები და მალე გასცლოდა გერმანელს. მაგრამ ზანდლერი სულაც არ ჩქარობდა, ფეხი მანამდე არ გაუნძრევია, სანამ მთელი ჩექმა არ ალაპლაპდა. მერე მეორე ფეხი მიუშვირა ივანეს.

ივანე ოდნავ გაიმართა წელში. იმავე წამს იქით გააპარა მზერა, სადაც რამდენიმე გეფტლინგი-ქალი შეჩერებულყო და მას უთვალთვალეზდნენ. თავდაპირველად ზერელედ შეავლო მათ თვალი, მაგრამ უეცრად თითქოს გონს მოეგო და დაკვირვებით შეხედა ქალებს. ერჩივნა მიწა გახეთქოდა, ვიდრე იმ ქალების გამანადგურებელ, ზიზლით სავსე გამოხედვას წასწყდომოდა. წამით სხვა არაფერი დაუნახავს, ვერც გაარჩია, ახალგაზრდა ქალები იყვნენ თუ ხანდაზმულები. მათმა გამკილაგმა მზერამ თითქოს მღუღარე წყალი გადაასხა. ამასობაში მეორე ჩექმაც მიუტანეს ცხვირთან. ჩექმა მტვრიანი იყო, ყელზე თეთრი ლაქა აჩნდა. გერმანელმა მოუთმენლად წაიბუზლუნა რალაც და ტყვეს ჩექმის წვერი ატაკა მკერდში. აქამდე როგორღაც იკავებდა თავს ივანე, ახლა კი თითქოს გაუწყდა მოთმინების ძაფი, ჩექმას ხელი შეუშვა და სიმწრისაგან ფრჩხილები ხელისგულს ჩაასო. დაუოკებელი მრისხანებით შეჰკრა მერე მუშტი, წამოიჭრა გააფთრებული და გერმანელს სთხლიშა ყბაში. ეს ისე სწრაფად მოხდა, თვითონ ივანესაც გაუკვირდა, ზანდლერი რომ ძარს დაინახა გაშხლართული. სადღაც შორიდან ჩაესმოდა აღგზნებული წამოძახილები სხვადასხვა ენაზე, თუმცა ივანეს უკვე ვეღარ გაერკვია, ტუქსავდნენ თუ აფრთხილებდნენ. ესესელი ჯიქურ არ დასტაკებია ტყვეს; აუჩქარებლად, თითქოს ტკივილს უნდა სძლიოსო, გვერდზე გადაბრუნდა, წამოჯდა; იატაკიდან ქუდი აიღო, ნელა, წკიპურტით გააცალა მტვერი; თითქოს არც ჩქარობდა ადგომას. ისე გულგრილად იჯდა, გეგონებოდა, მისთვის ყველაფერი სულ ერთიაო. როცა თმაზე ხელი გადაისვა, ქუდი დაიხურა, მაშინდა შეხედა ამღვრეული, მუქარით სავსე თვალებით. ივანეს ჯერ კიდევ არ განელებოდა სიბრაზე, თუმცა დაბნეული და გაოგნებული იყო. ესესელმა რევოლვერის ბუდე გახსნა და ივანემ მსწრაფლ გაიფიქრა: „ყველაფერი გათავდა!“ რევოლვერის საკეტმა გაიჩხაკუნა; გერმანელი ფიცხლად წამოიჭრა. უცბად გამოერკვა გაშეშებული ივანეც და სიკვდილს მტერთან პირისპირ შეებმა არჩია.

მაგრამ ვეღარ მოასწრო: მიწა უცბად შეტოკდა, მოულოდნელად იქუხა რალაცამ. აფეთქების ტალღამ აიტაცა ივანე, გააყრუა და შავ უფსკრულში

გადაისროლა. ირგვლივ ყველაფერი ყავისფერმა მტვერმა დაფარა. იგრძნო ივანემ, რომ იატაკზე ეგდო და გარშემო რაღაცა ცვიოდა. მყრალი კვამლი დუღდა, შიშინებდა და კაცს ზურგი ეწვოდა. საიდანღაც აგური ჩამოვარდა და ნამსხვრევებად მიმოიფანტა. ივანემ იქაურობას მოავლო თვალი: ბეტონის იატაკს უღონოდ ფხაჭნიდა ნაცნობი, გაქაწრული ჩექმა. მტერის-ბუღში ბუნდოვნად ჩანდა გერმანელი, სადღაც რომ ლამობდა გაბობღებულიყო. ივანემ ხელი სტაცა იქვე დაგდებული ბეტონის მძიმე ნატეხს და მთელი ძალით ჩაარტყა მტერს ზურგში. ზანდლერმა წამოიყვია და ხელი გაასავსავა. ამ მოძრაობამ ივანეს დამბაჩა გაახსენა. მუხლებით შესდგა ესესელს, ნახევრად გაშლილი თითებიდან რევოლვერი გამოჰგლიჯა და მტერის კორიანტელში შეიჭრა, — გული ამოვარდნაზე ჰქონდა.

V

უკუნმა ღამემ გაქცეულებს ქვიან, ფიჭვნარით დაფარულ ხეობაში მოუსწრო. ხეობა თანდათან ვიწროვდებოდა და ირიბად მიიწევდა მაღლა და მაღლა. სქელ ნისლს შეებურა ხეობა. ივანე წინანდებური სიმარდით გადადიოდა ხავსმოდებულ ქვებზე, ქალს დაუცდიდა ხოლმე, ჯიუტად რომ მიჰყვებოდა ძალაგამოლეული. ივანე ჩქარობდა გარიდებოდა ამ შავბნელ ნაპრალს. იქ, ზევით, ალბათ ასეთი წყვდიადი არ იქნებოდა. მაგრამ მაღლა ასასვლელად არც გამბედაობა ჰყოფნიდა, არც ძალა. იგი სასწრაფოდ უნდა გასცლოდა ქალაქს. მათი ბედი, რომ წვიმამ დასცხო და ნაგაზებს კვალი აუბნია. მხოლოდ იქ, ალპებში, დაუსხლტებოდნენ საბოლოოდ მტერს. ქვემოთ, სადაც გზა მიდიოდა, ორივეს სიკვდილი ელოდა.

წყეული მთები! თუმცა მიუდგომელნი კი იყვნენ გუშაგებისა და მოტოციკლისტებისათვის, მაგრამ ძალას დაუნდობლად ართმევდნენ ადამიანს და პირწმინდად ფიტავდნენ. ახლანდელი გაქცევა სრულიად არ ჰგავდა წინანდელს. სიღეზიიდან გაქცეულთათვის ადვილი იყო ღამით მინდვრებსა და მდელოებზე სიარული — ნათელ ზეცაზე მოკაშკაშე. გარსკვლავები სამშობლოს გზას უნათებდნენ ღტოლვილებს. მაშინ პატარა ჯგუფად მიდიოდნენ, მაღულად შეიპარებოდნენ ხოლმე გერმანულ სოფლებში, გლეხთა პატარა კარმიდამოებში შოულობდნენ საჭმელს, უმთავრესად ბოსტნეულს, რძეს. დილდობით ჭიშკრებთან ქალაქს გასაგზავნად რძით სავსე ბიდონები ჰქონდათ ხოლმე გადმოდგმული მცხოვრებლებს. მთელი იმ უბოლოოდ დღის განმავლობაში უსაქმობით გაწამებული ღტოლვილები რიგრიგობით ფხიზლობდნენ, საღმე ჭვავის ყანაში ან ბუჩქნარში ისხდნენ მიმალულნი. თუმცა მაშინაც დიდი შიში ნახეს. მთელი თვის გაუპარსავნი, ჩამოგლეჯილები, საზარელი შესახედავნი, ნელ-ნელა მიიწევდნენ მშობლიური მიწის სანატრელი საზღვრებისაკენ. ივანემ არ იცოდა, სხვებს რა ბედი ეწიათ. მას კი ბედმა უმუხტლა მაშინ: ესესელებს კი დაუძვრა, მაგრამ მერე ისეთივე არამზადების ხელში ჩავარდა, გარეგნულად თავისიანებს რომ მიაღმგავსა. როდესაც ქალაქში ჩაიყვანეს, არც კი სჯეროდა, რომ ეს არამზადები არ ხუმრობდნენ, — ისინი ჩვეულებრივი სოფლელი ბიჭები იყვნენ; წარამარა უდარდელად იგინებოდნენ ნაცნობ ენაზე, ნახმარი გლეხური ხალათები ეცვათ და არც სხვა იარაღი გააჩნდათ საფანტის

თოფების გარდა. მხოლოდ ერთს, სახელოზე თეთრი ნაჭერი რომ ჰქონდა შე-
მოხვეული, გერმანული კარაბინი ეკიდა მხარზე.

ახლა კი ეს მთები ედგა წინ, ლახტალის ალპები — უცნობი, გაუგებარი
მხარე, არასდროს არ ენახა და იმედი, პატარა, ჯიუტი იმედი თავისუფლებისა
ასულდგმულედა.

ივანე ძალიან დაიღალა, მიმოიხედა, ღამით თავი სად შევაფარო. ანაზ-
დად უკან რაღაც ყრუ ხმაური მოესმა. ლოდები ჩაზვავდა ხრამში. ივანემ თავი
მიაბრუნა — ქალი ფერდობზე იწვა, ადგომასაც არ ცდილობდა. მაშინ ისიც
შეჩერდა, გასწორდა, სული მოითქვა. უკვე ბინდდებოდა. მალეიდან უჩუმრად
ჟინჟლავდა, თითქოს მტვერი ცვივო. გარშემო მკრთალად მოჩანდა რუხი
ლოდები. მალა ჩაშავებული, ბანჯგვლიანი ფიჭვები იდგა. ავდრითა და სიბ-
ნელით დამძიმებული ზეცა მიწას ჩამოსწოლოდა. სიარულის დროს სხეული
ხურდებოდა და სველ ტანისამოსს ოხშივარი ასდიოდა, მაგრამ გაჩერდებოდა
თუ არა, კანკალი შეუდგებოდა ხოლმე ტანში. შორიდან ხედავდა თანამგზავ-
რის მუქ ლანდს, უძრავ, იდაყვებამდე მოშოშვლებულ ხელებს, ხედავდა, რო-
გორ ატოკებდა იგი თავს. ქალი კვლავ იწვა. მაშინ ივანე დაბლა ჩავიდა, დამ-
ბაჩა უბეში ჩაიღო, დაიხარა და სათუთად წამოსწია ქალი. იგი შეინძრა, წა-
მოჯდა, თვალი არ გაუხელია. ივანეც შეჩერდა და ნაწყენმა გაიფიქრა, ალბათ
აქ მოგვიწევსო ღამის გათევა.

ერთ მხარეს ფრიალო კლდე აღმართულიყო, ლოდების ზვავი, მეორე
მხარეს კი ჩაბნელებულ უღრან ტყეში ინთქმებოდა ფერდობი. იქიდან მო-
ცოცავდა ბლანტე, ნოტიო ნისლი. ნისლის ფარდაში უკვე აღარაფერი ჩანდა,
მხოლოდ სადღაც შორს, მტრედისფერ სიწყნარეში, გაბმით ჩხრიალებდა ნაკა-
დული. ტერეშკამ ქალიშვილს მხარზე შეახო ხელი, აქ მომიცადეო. თვითონ
კი წავიდა, ბინდში ჩაძირული შემოგარენი მოათვალიერა. ერთგან ქვიან ფერ-
დობზე გადმოხრილი კლდე შეამჩნია. თავშესაფრად, რასაკვირველია, არცთუ
ჩინებული იყო, მაგრამ წვიმისაგან მაინც დაიცავდა. ისე რომ ამას უნდა დას-
ჯერებოდნენ.

ივანე დაბრუნდა, წვეტებიან ქვებზე ფრთხილად ადგამდა ფეხს.

საოცარია, სად გაჰქრა ქალის წედანდელი სიმკვირცხლე, მისი სითამამე,
მოტოციკლისტებთან შეხვედრისას რომ ჰქონდა. იგი ახლა დასველებულ,
დაღლილ ფრინველს ჰგავდა, უცნაურ ბედს რომ გადმოესროლა ამ ხეობაში.
მძიმედ სუნთქავდა, თითქოს ვერც გრძნობდა ვაჟის ხელის შეხებას. ფეხზე
ვერ დგებოდა, კიდევ უფრო მოიკუნტა, პატარა გუნდას დაემსგავსა.

— წამო, დავისვენოთ, — უთხრა ივანემ. — დავისვენოთ, გესმის? აბა,
შლუფენ, თუ როგორ გითხრა...

წამით ქალი დამშვიდდა, კანკალიც დაიოკა, მაგრამ ისევ თავდახრილი
იჯდა. ივანე ცოტა ხანს იდგა, მერე ორივე ხელით აიტაცა გოგო და თავშე-
საფრისკენ წაიყვანა. ქალმა მოულოდნელი ძალით გაიბრძოლა, რაღაც წამო-
იყვირა იტალიურად, ფეხების ქნევას მოჰყვა. ივანემაც, რაღა გზა ჰქონდა,
დაბლა დაუშვა. წუთით შემკრთალი იდგა, მერე გაბოროტებულმა გაიფიქრა:
„ჯანდაბას შენი თავი! იჯექი, ჭირვეული ხარ ვიღაცა!“ თვითონ კი კლდეს შე-
აფარა თავი. მაშინდა იგრძნო, როგორ გამოლეოდა არაქათი. თვალეები დახუჭა,
ქურთუკის საყელო კეფაზე წამოიფარა და მაშინვე ჩაეძინა.

ჩაეძინა და, ქვეყანა უკვე აღარ არსებობდა მისთვის, მისი გონება არე-

ულ-დარეულმა სიზმრებმა მოიცვა. ცხადი ისე შეუმჩნევლად შეცვალა სიზმარმა, თითქოს მტანჯველი სინამდვილე გრძელდებოდა. მუდამ ერთი და იგივე რამ ესიზმრებოდა. მთელი ეს წელი ყოველდღე ხელახლა განიცდიდა ძილში ომის საშინელებას. თუმცა განცდები აღარ იყო ისე მწვავე, მათ სხვა, დიდი თუ მცირე ბედუკულობათობა გადაეფარა, მაგრამ მაინც იგივე სიმწვავეთ ტანჯავდა ივანეს.

ჯერ ჩვეულებრივი ალიზის ქოხის ჩამოფლეთილი კედელი ეზმანებოდა. კედელზე კუთხესთან ნახშირით ეწერა „ალექსეევის მეურნე“. გვერდით კი მაჩვენებელი ისარი გასდევდა. წარწერა დაახლოებით ერთი თვის წინანდელი იქნებოდა, როდესაც ჯარის ნაწილები წინ მიიწევდნენ ზმიევისკენ, ხარკოვის-თვის რომ შემოევლოთ. ახლა კი ისინი უკან ძხევდნენ. არ ჰქონდათ ბენზინი, მინდორში ფანტავდნენ ქვემეხებზე მოხსნილ საკეტებს, ბაღებში წვავდნენ შტაბის ქაღალდებს. განთიადისას ეზოში, სადაც ერთხელ თავი შეაფარეს, მოვიდა პოლკოვნიკი, ალყაშემორტყმული ჯგუფის მეთაური. მათ ასეულს და-ვალეხული ჰქონდა უკანდახეული ნაწილები დაეცვა. და სამმა ჯარისკაცმა ჭა-ბუკ ლეიტენანტთან ერთად განაპირა ქოხთან ამოთხარა პატარა სანგარი.

ეს ამბავი ივანეს სულ ახსოვდა, მაგრამ ახლა, მშფოთვარე ძილში, ის პოლკოვნიკი რატომღაც ეზოში მიდი-მოდიოდა, ხელში პლანშეტი ეჭირა და გოლოდაის აგინებდა, — შავი ზღვის მეზღვაურს, შემდეგში მეავტომატეთა ასეულის მეთაურს. ვერც ის გაეგო ივანეს, მის სანგარში აბდურახმანოვის, მათი განადგურებული ბატარეის მეზობლის ნაცვლად, ვისაც თითქმის ერთი კაკალი რუსული არ გაეგებოდა, რად იჯდა სრებნიკოვი. იმის მაგიერ, რომ ტყვიამფრქვევი ბრძოლისთვის გაემზადებინა, იგი არაფრის მაქნისი გერმანუ-ლი ხანჯლით გააფთრებით იფხეკდა გიმნასტურაზე მიმაგრებულ ნიშანს და ერთთავად ბურღლუნებდა: „არც ერთი ნაბიჯი უკან!.. არც ერთი ნაბიჯი უკან!“

ეზმანებოდა იმ შორეული დილის ცხადი სურათიც, ზაფხულის მოწმენ-დილი ცა, გზაზე ირიბულად გაწოლილი მოლურჯო, გრძელი ჩრდილი ქოხი-სა, წნულ ღობესთან მოზაბანე ჭინჭარი და სარზე ჩამოცმული კოკა, ქარი რომ ატოკებდა წარამარა. ღობის მიღმა შარაგზაზე მოდიოდნენ ტანკები, აგერ სო-ფელს უწიეს და პა, საცაა უნდა გამოჩენილიყვნენ ქოხის კუთხესთან. ივანე ტერეშკას კი ვერა და ვერ მოეხერხებინა ფალია ჩაედო ხელყუმბარაში. მთე-ლი ძალით უჭერდა თითებს, მაგრამ თითბრის პატარა ცილინდრი არა და არ ჯდებოდა ჭრილში. მერე დაინახა, რომ სულ მარტო იყო სანგარში, ყველანი წასულიყვნენ. მაშინლა მიხვდა, უკან დახევის ბრძანება რომ არ გაუგონია. ბრუსტვერს მიეტანა, რათა სანგარიდან ამოსულიყო, მაგრამ უცნაურად დამ-ძიმებული სხეული არ დაემორჩილა და უკანვე ჩავარდა სანგარში.

ტანკები კი უკვე სულ ახლოს მოსულიყვნენ.

ბოსტნებიდან ჰაერში ბედურების დიდი გუნდი აფრთხილდა და ლამის დაფარა ზეცა. სწრაფად მიმოფრენდნენ, ხან ერთ მხარეს მიაწყდებოდა მთე-ლი გუნდი, ხან მეორეს.

ცოტა ხანიც და, პირველი ტანკი გამოჩნდა, ქოხს მოუარა და მოსახვევს გამოსცდა. მოდიოდა და მიწას თხრიდა მუხლუხებით.

ივანემ გაიფიქრა, გაქცევას ველარ მოვასწრებო, და უნდილად მოიქნია ხელყუმბარა. ის კი რატომღაც არ აფეთქდა, მხოლოდ დაბზრიალდა და შიში-ნი დაიწყო. ცოტაც და ტანკი გვერდს აუვლიდა ივანეს, მაგრამ ტანკისტებმა

შეამჩნიეს კედელთან გათხრილი სანგარი და ტანკი მოაბრუნეს. მაშინ კი თავ-
ზარი დაეცა ტერეშკას — ეს ხომ ცნობილი ოცდათოთხმეტეტიანი იყო.

შიშით შეძრულმა წამით თავი ვერ შეიკავა და კინაღამ პირისახით ზედ
დაეგო დანასავით ბრტყელპირიან ხიშტს. გერმანელი წინ გამოხტა და ხიშტი
ისე რბილად და უმტკივნეულოდ ჩაასო მკერდში, თითქოს ივანეს კი არა,
სხვის მკერდს ურჭობდა. ივანე მიხვდა, რომ აღსასრული დაუდგა, რომ მოჰ-
კლეს და, სასოწარკვეთილს, სუნთქვა შეეკრა, თუმცა ტკივილი არ უგრძვნია.
ამ დროს ჩვეულებრივ შიში აღვიძებდა ხოლმე ივანეს. მაგრამ ახლა შეგნება
თითქოს მისი არსებისაგან განცალკევებულად, სადღაც განზე მოქმედებდა,
ამხნევებდა და უკარნახებდა, რომ ეს არ იყო დასასრული, რომ მომავალში
ტყვეობა ელოდა, ელოდა ტყვეობიდან ორგზის გაქცევა და ამიტომ არ შეიძ-
ლება დაღუპულიყო, თუგინდ ხიშტითაც გაეგმირათ. სიზმრები ირეოდა,
იცვლებოდა. და აი, ივანე უკვე სოფელში იყო, თავის ტერეშკაში, კრივიჩთა
ძველ მიწა-წყალზე. თითქოს ეს ყველაფერი ჯერ კიდევ ომამდე მომხდარიყო,
ივანეს ჯარში გაწვევამდე. ცხვრის ჩლიქებით დათხრილი ორლობით გარბოდა
იგი კოლმეურნეობის ბედლისკენ, სადაც (მან უკვე იცოდა) ხელებშეკრული გო-
ლოდაი და მასთან ერთად კიდევ რამდენიმე გეფტლინგი დაემწყვდიათ. ივანეს
ლამის გული გასკდომოდა ბოლმითა და ჯავრით: ეგონა, დაიგვიანებდა და ვერ
დაუშტკიცებდა იმ ადამიანებს, რომ ტყვეობა დანაშაული კი არა, უბედურებაა,
რომ ისინი ტყვედ კი არ ჩაბარდნენ — ისინი ტყვედ ჩაიგდეს, ზოგი კი მოლა-
ლატეებმა გასცეს, როგორც ხშირად მომხდარა ხოლმე. მაგრამ ივანეს ვერა
და ვერ მიეღწია ბედლამდე. შიშველი ფეხები ტალახში ეფლობოდა, ნაბი-
ჯის გადადგმა უჭირდა, მთელი ტანი გაქვავებოდა. ნელა, გაჭირვებით მირ-
ბოდა, თითქოსდა წყალში იდგა. გზას შეარჩევდა, მესრისკენ მიბრუნდებოდა
და უცბად დაინახავდა შიშველ კანჭებს; ზედა ლატანზე უცნობი ქალიშვილი
ჩამომჯდარიყო, შავი წარბები აეძგება, მზეზე მბრწყინავი თეთრი სამოსი
ეცვა, მწიფე ქლიავისფერ შავ თვალებს ღიმილით შეანათებდა და ასე
ეტყოდა:

— ჩაო, ივანე!

და ივანეც შეჩერდებოდა, შეცრად ავიწყდებოდა გოლოდაი თუ სხვა
ყველაფერი ამქვეყნად. გახარებული და ბედნიერი იყო მასთან შეხვედრით.
ეს გოგო თავისი ძველი ნაცნობი ეგონა, ის, ვისზეც მთელი სიცოცხლის მან-
ძილზე ქვეცნობიერად ოცნებობდა გულში. სიხარულისაგან გაციკროვნებუ-
ლი ივანე მიიჭრებოდა ღობესთან, მაგრამ უცებ თავის ტანსაცმელს დახედავ-
და და გონს მოვიდოდა: აკი მინდვრიდან მოიბრინა, ტრაქტორზე მუშაობდა,
ძველი, დაკერებული შარვალი და გახუნებული ხალათი ეცვა, ხელებიც მაზუ-
თით ჰქონდა მოთხვრილი! ქალსაც ჩამოერეცხებოდა გაციკროვნებული ღიმი-
ლი. მოულოდნელად უხუნდებოდა თვალისმომჭრელი თეთრი სამოსი და
მოჩვენებასავით ნელა ქრებოდა ქალი.

მაშინ ივანე ღობეს მივარდებოდა, შეარყევდა ლატნებს, ვაზებით შემო-
ბარდნილ მარგილებს, მაგრამ დედას დაინახავდა ანაზღად. ღობის გადაღმა
იდგა კარტოფილის კვლებში, ხელები ზედა ლატანზე დაეწყო და სევდიანად
ეუბნებოდა:

— ფაშისტია ეგ გოგო, ჩემო შვილო. შენი ძმაცაცები გერმანელებთან
დააბეზდა.

„სად არის? სად წავიდა?“ — უნდოდა ეყვირა ივანეს, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან ყელზე ბაწარი ჰქონდა შებმული, — შავი, აბრეშუმის ზონარი. ამ ზონრით ხომ ტყვეებს ახრჩობენ ბანაკში, თან დოღს აბრაზუნებენ. ეხვევა თოკი კისერს, მისი მეორე ბოლო კი სადავესავით იჭიმება და იქით მისრიალებს, სადაც ნაგაზი დაყუნცულა. ძაღლი ღონივრად ექაჩება თოკს. ივანე ეცემა ძირს, და ამ დროს, თითქოს რაღაცამ უბიძგაო, უცებ ეღვიძება.

VI

— ჰა-ჰა-ჰა! — ქალის კისკისი ჩამოესმა მალლიდან. ივანემ თავი აიქნია, კისერზე ხელი მოისვა, ფართოდ გაახილა ნამძინარევი თვალები და პირველი, რაც დაინახა, ცის ნათელი უსასრულო სილურჯე და მხიარულად მოღიმარე კბილებქათქათა ქალიშვილი იყო.

— დასასრული, შლიაუფენ! მარშ-მარშ საჭიროა.

ივანეს ისე გააჟრჟოლა სიცვიისაგან, თითქოს დენმა დაუარაო ტანში, საზარელი სიზმრისაგან ჯერაც ვერ დაედწია თავი, ამიტომ პასუხი არ გაუცია. რის გაჭირვებით დაუბრუნდა სავალალო სინამდვილეს, შეხედა ქალს და გაუკვირდა, ნეტა რა ემხიარულებო, ის კი, ხელზე დაყრდნობილი, გვერდით ეჯდა და ღეჭავდა ბალახის ღერს. ეტყობა, ამ ღერით შეუღიტიანა მძინარეს. გუშინდელი უხალისობისა და დაღლილობის ნიშანწყალიც არ ეტყობოდა.

— შენ ამბობ „მარშო“? აბა, ვნახოთ.

— ვნახოთ, ვნახოთ, — დაეთანხმა ქალი და ეშმაკურად მოცინარე თვალები მიაპყრო.

ივანემ კი ერთხელ კიდევ შეაქანა მხრები, ამოძრავდა, რამდენჯერმე გააქნია ხელ-ფეხი, ჩაცუცქდა, წამოდგა — ეს ნაცადი, ჯარისკაცური ხერხი იყო. ქალს გაუკვირდა, აძგიბა მორკალური წარბები, და უეცრად ისე ხმამაღლა გაიცინა, რომ ივანემ შიშით წასჩურჩულა:

— სუ... ჩუმად იყავ შენ მანდ!

ქალი მიხვდა, პირზე ხელისგული მიიფარა და მიმოიხედა. თვალებში კი ისევ უციმციმებდა მოუსვენარი, ანცი ნაპერწკლები.

ივანემ მკაცრად გადახედა, დატუქსაო თითქოს. მერე იგრძნო, გათოშილი სხეული როგორ უთბებოდა ნელ-ნელა. ქალმა ისევ უდარდელად, დაცინვით ჩაიკისკისა:

— ტო გიმნასტიკ?

— რა იყო, ვარჯიშია. აბა ჯობს გავიყინო?

ივანე შეწუხებული იყო და სახუმაროდ არ ეცალა. ქალი, ჩანს, მიუხვდა და დადინჯდა, აღელვებულმა აიწურა ვიწრო, გამხდარი მხრები, ამოიოხრა — გუშინს აქეთ ეს სველი ქურთუკი არ გაუხდია — და ცნობისმოყვარედ ახედა ივანეს.

ძველი ჩვევებისამებრ ივანემ უწინარეს ყოვლისა მიმოიხედა და მიხვდა, რომ დიდხანს ეძინა. უკვე კარგა ხანია გათენებულიყო, თუმცა მზე ჯერ კიდევ არ ამოგორებულიყო მთებიდან. ლაჟვარდისფრად კამკამებდა დილის მოწმენდილი ცა. ნაირფრად ბრწყინავდა ხეობის მოპირდაპირე განათებული მხარე — რუხი კლდეები, ფიჭვები, ფართო ნაპრალები და ციცაბოები. მათი კლდე კი-

კვამლისფერი და ქუფრი კლდე ჯერაც თვლემდა, ღამის ბინდისაგან ჯერაც ვერ დაეღწია თავი.

— მთები კარგი! — თქვა ქალმა, რა ნახა, ივანე გარემოს ათვალერებდა. — როგორაა?.. ესთეტიკო!

ქალმა ქოშები ააბაკუნა და ქვიდან წამოხტა, გამოიქცა, თავშესაფარს გამოსცდა, მზის სიუხვით ვერა და ვერ დამტკბარიყო. ივანე კი ბუნების მიმართ გულგრილი იყო. სწორედ ისე, როგორც ტყვეობის დროს სჩვეოდა ხოლმე, გაღვიძებისთანავე მთელი მისი არსება, სხეულის ყოველი ასო მტკივნეულმა სიცარიელემ მოიცვა, მისთვის ნაცნობმა შიმშილის გრძნობამ შემოუტია. ახლაც არაფერი ჰქონდათ საჭმელი. არც იცოდა, ამ წყეულ მთებში რა საჭმლის შოვნა შეიძლებოდა. ამავე დროს ისიც კარგად იცოდა, რომ მშვიგრები შორს ვერ წავიდოდნენ. ცოტა ხანს შეიცადა, ნერწყვი გადაყლაპა და გულგრილად ჰკითხა ქალს:

— საით წახვალ?

მან ვერ გაუგო და წარბები აჭიმა.

— მარშ-მარშ, საით? — გაუმეორა ივანემ ბრაზით და ხელით ანიშნა, იქით თუ აქეთ, საით გარბოდით?

— ო, ოსტრონტი! რუს ფრონტი მიგრბოდი.

ივანემ გაოცებით შეხედა.

— სი, სი,¹ — დაუდასტურა ქალმა, რომ ივანესთვის ეჭვი გაექარწყლებინა. — სინიორინა ტედესკი² — პუფ-პუფ.

ამ გოგოს გულუბრყვილობა დილიდანვე აბრაზებდა კაცს. მოღუშული უცქერდა ამ მოძრავსა და, მისი აზრით, მეტისმეტად ღამაზ პირსახეს: ხომ არ ხუმრობსო? მაგრამ, როგორც ჩანდა, ქალი არ ხუმრობდა, სავსებით სერიოზულად გამოთქვა სურვილი და ახლა ელოდა, ივანე რას იტყვისო. უძირო თვალებს არ აცილებდა.

— რის პუფ-პუფ? ნუ სულელობ რაღაცას, — თქვა ივანემ და ქურთუკის კალთები მჭიდროდ შემოიხვია ტანზე.

— ვას? რა არის სულელო? რუსო ასწავლოს სინიორინას შპრეჰენ?

— ვნახოთ.

— ვნახოთ არის კარგი, თანხმობა, ია? — კეკლუცად ღამობდა გამოცნობას ქალიშვილი. მაგრამ ივანემ არაფერი უპასუხა — ქურთუკის სინესტემ ზურგში გაატანა და შეკრთა, ქურთუკზე მიკრულ უცნაურ რგოლებს დახედა. ტანისამოსზე უნდა ეზრუნა. ამ ზოლებიანი სამოსით შორს ვერ წავიდოდა. მერე გამოსდო თითი და ქურთუკს ტკაცუნით ააგლიჯა ნომერი. ქალმაც მიბაძა მას, მაგრამ წვრილი ნაზი თითებითა და ფრჩხილებით ვერაფერი დააკლო თავის ნომერს. მაშინ ივანეს მიაშურა და ქვედა, სავსე ტუჩი ბავშვურად გამოხურცა, მხრები აიჩეჩა:

— მომე.

— მომე კი არა, აი ესა, — გაუსწორა ივანემ და მისკენ მიბრუნდა. სველ ქურთუკში ამოხურცული პატარა მკერდის დანახვაზე მამაკაცს პირისახე შეეჭმუხნა, ტუჩები მოკუმია; ქალმა შეამჩნია და სწრაფად მოიქუჩა მკერდზე ნა-

¹ ჰო, ჰო, (იტალ.).

² გერმანელები (იტალ.).

ოჭები. მცირე ყოყმანის შემდეგ ივანემ ნომრის წვერს ხელი ჩაავლო და ქუთ-
თუკს აჰგლიჯა იგი. კვალი რომ არ დაეტოვებინა, ჩვრები დაჰმუჭნა და ქვის
ქვეშ ჩატენა.

— გრაციე! მადლობა.

— შენ რუსული სად ისწავლე? — ჰკითხა კაცმა.

— იტალია, რომა ვისწავლე. ბანაკში რუსკა სინიორინა მარუსია მას-
წავლა. კარგა რუსკა შპრეჰენ?

— კარგად, — გულგრილად დაეთანხმა კაცი.

— ვიცოდი ძალიან უფრო კარგა, — დაიტრაბახა ქალიშვილმა. ივანეს გა-
ელმა მის გულუბრყვილობაზე, თუმცა სხვა რამეზე ფიქრობდა.

— ტრიესტი სად არის, იცი?

— ო, ტრიესტე! მთები! — მკვირცხლად უპასუხა ქალმა.

— ვიცი, რომ მთებია, მაგრამ საითაა?

ქალმა გახედა ერთ მხარეს, მეორეს და დარწმუნებით გაიშვირა ხელი
იქით, სადაც მზე იწვევებოდა მთებიდან.

— იქითა გზა ტრიესტე.

„გზა!“ — სევდიანად გაიფიქრა ივანემ. განა გზა ეთქმის ალპების მთიან
გრებილს, ხრამებსა და მდინარეებს? თანაც მანამდე მჭიდროდ და-
სახლებული ველები და მანქანებით გაჭედილი ავტოსტრადები უნდა გა-
იარონ. არც ისე ახლოა ეს პარტიზანული ტრიესტი. ბანაკში რამდენი რამ სმე-
ნია მასზე. თუ ბედი გაუღიმებდათ და ჯოჯოხეთს თავს დააღწევდნენ, უკვე
სისულელე იქნებოდა მტრისთვის საშუალება მიეცათ, დოლი აახშიანე, ბა-
ტონო, და ჩამოგვახრჩეო. ამიტომ უნდა გაშორდეს აქაურობას გინდაც სირ-
ბილითა და გინდაც ფოფხვით! დაბეჩავება არ შეიძლება, ძალა უნდა მოიკ-
რიბოს, მთელი გამოცდილება გამოიყენოს, მთავარი ქედი გადალახოს, პარ-
ტიზანები იპოვოს — სულ ერთია სლავები იქნებიან ეს პარტიზანები თუ იტა-
ლიელები, ოღონდ კი ძველებურად მწყობრში ჩადგეს, ხელში იარაღი აიღოს.
ეს იყო ახლა ივანესთვის ცხოვრების აზრი, მისი მოწოდება და ჯილდოც იმის-
თვის, რაც ტყვეობის ერთი წლის მანძილზე ტანჯვა და სირცხვილი
ეგემა.

ნესტიან, ჩაბნელებულ ზევში ციოდა. ღამით გათოშილ სხეულს ახლაც
გამაბეზრებელი კანკალი შედგომოდა. რაც შეიძლება მალე უნდა გასულიყ-
ვნენ მზის გულზე. ფერდობზე აფოფხდნენ და ლოდთანში შეძვრნენ. ამჯერად
წინ ქალი მიდიოდა, ივანე კი ოდნავ მოშორებით კვალდაკვალ მიხობაგდა.
ახლა პირველად მიენდო იგი ქალს. ქვიანი ფერდობი აქ საკმაოდ ციცაბო
იყო, ქალს ფეხი უცურდებოდა, ქოში სძვრებოდა. ბოლოს ქოშები გაიხადა,
ხელში დაიკავა, მეორე ხელით კი ბალახის ეკლიან ღეროებს ეჭიდებოდა და
ხვლიკივით მარდად ხტებოდა ქვიდან ქვაზე.

— რუსო, — არ შეჩერებულა, ისე ჰკითხა ქალმა, — შენ ოფიცერი?

— რის ოფიცერი, ტყვე ვარ.

— ტყვე, ტყვე. გავიგე. ომამდე ვინ იყო?

ივანემ პასუხი დააყოვნა. არ ეამა, დაკითხვა რომ მოუწყეს, მეტადრე ამ
მტკიცეულ ამბებზე, და თავშეკავებით ჩაიბურღლუნა:

— კოლმეურნე.

— რა არის კოლმეურნე?

— არ გესმის და მეკითხები! — უხეშად უსაყვედურა. — გლეხის მაგვარი, ფერშტეინ?

— ჰო, გავიგე. ლიანდვირშაფტ?¹

— ჰო, ჰო, კოლმეურნეობა.

— ძალიან მიკვარს კოლმეურნეობა! — უცრად მკვირცხლად დაილაპარაკა მან, — კოლმეურნეობა ღია ვორარე კომპანია. დასვენება — კომპანია. ტუტო კომპანია. კარგია კომპანია. რუსო კოლმეურნეობა კარგი ეკონომიკო. მე კარგი გავიგე? — ჰკითხა ქალმა და გამოხედა.

კაცმა პასუხის გაცემა ვერ მოასწრო. ქალს მიწა და ღორდი მოერღვა ფეხქვეშ და ქვევითკენ ჩაზვავდა. ივანემ განზე გახტომა ძლივს მოასწრო. ქალიშვილმა კი ანცად ჩამოსცინა მაღლიდან და გვერდით ფერდობს მიეკრა.

კაცმა გაბოროტებულმა შეუყვია:

— ეი, მანდ, წყნარად!

ქალი მაშინვე გონს მოვიდა, პირზე ხელი მიიფარა და მოხედა:

— პარდონ.

— პარდონ, პარდონ! წყნარად იყავი, რას აქოთქოთდი?

ქალის უდარდელობა ძალიან აბრაზებდა და იმიტომაც დაუყვია ასე უხეშად. მაგრამ, ჩანს, მეტისმეტი მოუვიდა, რაკი მან წყენით შეავლო თვალი კაცს და ტუჩები მოკუმა.

— ჩემი სახელია ჯულია. სინიორინა ჯულია, — თქვა ბოლოს.

კაცმა კუშტად შეათვალიერა ჯულია. „დიდი ამბავი! სინიორინა!“ — გაიფიქრა თავისთვის. მისთვის ეს სულაც არაფერს არ ნიშნავდა, არც დიდი თავზიანობის გამოჩენას აპირებდა აქ, ჯულიას კი, მგონი, ეწყინა ეს, დადუმდა და მომეტებული მონდომებით აფოფხდა მაღლა. ივანე ცოტათი ჩამორჩა. ღმერთმა იცის, ვინ არის, ალბათ ვინმე მსუბუქი ყოფაქცევის გოგო იქნება — „გურენ“, როგორც გერმანელები ეძახიან, იტალიური ქალაქების უსახლკარო მაწანწალა, ომის ცეცხლით შეტრუსული ღამის უდარდელი პეპელა. ყველაზე უფრო ამას აფიქრებინებდა ქალის ანცი და ფათერაკის მოყვარული ხასიათი. მართალია, ვინკელი მას წითელი — პოლიტიკური პატიმრისა ჰქონდა და გერმანელებსაც ზიზღით ახსენებდა, მაგრამ ივანეს არცთუ მაინცდამაინც სჯეროდა, რომ ფაშისტები ჯულიას რაღაც დიდი მიზეზის გამო სძულდა. შესაძლოა ვინმე ფაშისტმა მართლაც აწყენინა, მერე, რასაკვირველია, ბანაკშიაც იწვნია ბევრი ტანჯვა, მაგრამ ამნაირი ქალები წყენას არცთუ დიდხანს იმახსოვრებენ. ივანეს კარგად ესმოდა, რომ ამისთანა ღროს საჭირო იყო დიდი სიფრთხილე გამოეჩინა და მხოლოდ საკუთარი თავის იმედი ჰქონოდა.

VII

როდესაც ნამზღვლევებს მიაღწიეს და სულის მოსათქმელად შეჩერდნენ, თვალწინ გადაეშალათ უზარმაზარი, ფიჭვებით დაბურული დამრეცი ფერდობი. ნესტიანი ჩაბნელებული ხეობის შემდეგ აქ უჩვეულო სიბო და ხალვა-თობა სუფევდა. ქვევით ფართოდ გაშლილიყო ველი, იქით, მკრთალ-იასამნისფერ სივრცეში მთათა ქედები მოჩანდა.

¹ სოფლის მეურნეობა (გერმ.).

— რაუპენ!¹ — თქვა აქლოშინებულმა ჯულიამ. — ცოტა რაუპენ!

ივანე მდუმარედ დაეშვა მიწიდან ამოშვერილი ლოდის კიდეზე. ჯულიამ კლდეთა უსასრულო რიგებს ჰკიდა თვალი, მერე დაბლა ჩაიხედა და ტყიან ფერდობს დააცქერდა, სადაც ფიჭვებს შორის ყავისფერი მიწა მოჩანდა. ივანე ქალს დაბლიდან უმზერდა. უცებ მიხვდა, ჯულიამ რაღაცას მოჰკრაო თვალი: ქალი გაინაბა, ერთი ფეხი შემოიკეცა, ქოშის ჩაცმაც კი დაავიწყდა. ივანე წამოხტა. შორს, ფიჭვებში ბილიკი კრთოდა. ჯულია სახელოზე სწვდა კაცს, მისკენ არც კი მიბრუნებულა.

— რუსო, მენშე! ადამიანი!

უკვე ივანემაც დაინახა კაცი, ბილიკს რომ მოსდევდა გაჩქარებული... ორივე ჩაიკუზა. ჯულიას, ეტყობა, უკვე გადაავიწყდა წყენა, შავი ღრმა თვალები გამომცდელად მიაპყრო კაცს. ივანემ პირი იბრუნა, მოიღუშა, უბიდან დამბაჩა ამოიღო. ქალი განზრახვას მიუხვდა. კაცმა არაფერი უთხრა, მხოლოდ მხარზე შეახო ხელი — აქ იჯექიო, თვითონ კი დაკუზული შეიჭრა ფიჭვნარში, სწრაფად ჩაჰყვა ფერდობს, გზადაგზა იცილებდა ხეთა ტოტებს. მისი ვარაუდით ბილიკზე უნდა გასულიყო. უფრო დაბურულ ადგილებს ირჩევდა, — ხშირ ფიჭვნარს, ხეობას არ შორდებოდა, ქალი მარტო არ დარჩესო.

ჰაერში ფისის მძაფრი სუნი იდგა. ღორღიანი, წიწვებით დაფარული მიწა დაუნდობლად უკაწრავდა ისედაც დაჯგლეთილ ტერფებს. მალე მახლობელი ბუჩქბერაში მთებიდან დილის მზის სხივები ჩამოიჭრა. საგრძნობლად ჩამოცხა. მოაგონდა გუშინდელი მღევარი, დამბაჩა გაატკაცუნა და პლასტმასის ტარიდან სავაზნე კოლოფი გამოაძრო — ხუთი ვაზნა აღმოჩნდა, ერთიც ლულაში იყო. იმედი მიეცა. გაიფიქრა, ვინძლო რაიმე ტანისამოსი და ფეხსაცმელი ვიშოგოო, შეიძლება საჭმელიც. წინანდებურად ძალიან შიოდა. ჰამას რომ გაიხსენებდა, პირი ნერწყვით ევსებოდა, ძლივს ასწრებდა გადაყლაპვას.

ფიჭვებს შორის, ათიოდე ნაბიჯზე, უეცრად გამოჩნდა ბილიკი. გაჩერდა, მიმოიხედა, არც დაბლა, არც მაღლა, არსად არავინ იყო. შედგა, დააყურადა, უცნაურად მოხრილი ფიჭვიდან პატარა ჩიტი აფრთხილდა, მახლობლად ტოტს გამხმარი გირჩი მოსწყდა და კვლავ მიწყნარდა ყველაფერი. კაცმა მიიხედ-მოიხედა, რას ამოვეფაროო. ცოტა გაიარა და დაეშვა მეჩხერი ბალახით დაფარულ ჩხვლეტია მიწაზე, კლდის ლოდს მოეფარა. პირქვე იწვა, იცდიდა, ხშირად იცქირებოდა ფიჭვების კენწეროებში გამომკრთალი ბილიკისაკენ და იმას ფიქრობდა, როგორ მოქცეულიყო. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბილიკზე მომავალი კაცი სამხედრო არ იყო, ტანისამოსსაც წინააღმდეგობის გაუწევლად მისცემდა (მით უმეტეს, დამბაჩას თუ დაანახვებდა, ოღონდ ის არ იცოდა, შემდეგ რა ექნა მისთვის, — უიარაღო კაცის მოკვლას სინდისი არ ანებებდა, მისი აქ დატოვება კი თვითმკვლელობას უდრიდა.

კაცი უფრო ადრე გამოჩნდა, ვიდრე ივანე მოელოდა. გაიხედა და ქვევით ბილიკზე უეცრად დაინახა იგი. მაგრამ კი არ მოდიოდა, რატომღაც თითქმის მორბოდა, დაღლილობისაგან ქლოშინებდა და წარამარა უკან იხედებოდა. ნუთუ დაინახა ლტოლვილები? ივანე დაიძაბა, ლოდს ამოეფარა, მოიკუნტა, ცდილობდა, რომ იმ კაცს არ დაენახა მისი ზოლებიანი ტანისამოსი.

¹ შესდექ! (გერმ.).

უცებ ცხადად შეიგნო, თუ რა საზიზღრობა და საძაგლობა იყო, რაც ახლა უნდა ჩაედინა, და ბრაზი მოეძალა, შეიგინა.

მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა.

კაცი ახლოს მოუშვა, ფრთხილად მობრუნდა, ფეხები შეიკეცა. სახელო-ში ჭიანჭველა შესძვრომოდ და ასე ეგონა, თითქოს ჭიანჭველით ესუსებოდა მხარი. დაღლილ ავსტრიელს ბრეზენტის შიშვე ტომარა წამოეკიდებინა, ჩქარ-ჩქარა მოადგამდა სქელლანჩიან მაშეებს. მოახლოვდა და ივანე სამი ნახტომით გაჩნდა ბილიკზე. მგზავრს ხმაური მოესმა, მოიხედა. ეს იყო ხანშიშესული სქელ-სქელი კაცი, ტყავის მოკლე ქურთუკი ეცვა, ფოჩებიანი, ნიკაპთან ზონ-რით შეკრული ტიროლური ქუდი ეხურა, ნახმარი შარვალი მუხლებზე გამო-ბეროდა. თვალები დაახამხამა გაოგნებულმა, რაღაც სხაპასხუპით ჩაილაპარა-კა გერმანულად, ხელები მოიქნია და ივანესკენ წაიწია. ივანემ დამბახა შე-მართა.

— ჰერ გეფტლინგ!.. გეფტლინგ... — დუდუნებდა ავსტრიელი. — ვოცუ დი პისტოლე!.. ესეს!

ივანე მიხვდა, კვლავ უბედურება რომ მოელოდა, მაგრამ არ უნდოდა ამის დაჯერება. წყეული ჭიანჭველა ბეჭებზე აჰლოდებოდა, მაგრამ ივანე არც გატოკებულა. მრისხანედ და დაუნდობლად მიიჩერებოდა ავსტრიელს.

— ესეს! დორტ ესეს! შტრეიფე¹, — შეწუხებული ეუბნებოდა მგზავრი. აღელვებულს ოფლის ნაკადი ჩამოსდიოდა პირისახეზე. მკერდში თითქოს გარ-მონი აქვსო, ყრუდ უწრიპინებდა რაღაც, ხან კი უცნაური სტვენანარევი ხმა ამოსდიოდა. ივანემ მიმოიხედა და ტუჩები მოიკვნითა.

— სადაა ესესელი?

— დორტ! დორტ! იჰ მეჰტე ინენ გუტმაჰენ², — ხელს იქნევდა ავსტრიელი.

— დუ ნაინ ლიუგენ?³

— ო, ნაინ, ნაინ! იჰ ბინ გუტენ მენშ!⁴

მის შეშფოთებულ თვალებში გამოკრთა ალაც თბილი, როგორც მოგო-ნება, და ივანე მიხვდა: არ ტყუოდა ავსტრიელი, უნდა აჩქარებულიყო. საცაა მოაგნებენ მათ კვალს. ერთი ნაჭერი პურის პოვნის იმედიც გადაეწურა.

— შენ ვინა ხარ? — მკაცრად ჰკითხა ივანემ, ქურთუკის სახელოზე წასწვდა, მოიზიდა, ბილიკიდან გადმოიყვანა.

— იჰ ბინ ვალდგიუტე. დორტ ისტ მაინ ფორსტეი⁵.

ივანემ ზევით აიხედა, საითაც კაცმა მიუთითა, მაგრამ სახლის ნასახიც არ ჩანდა. უცებ უღრან ტყიდან ჯულია გამოხტა, ალბათ ესმოდა მათი ლა-პარაკი. გაჰყვიროდა:

— რუსო! რუსო! გაიქცა რუსო!

ქალის გამაფრთხილებელ ძახილს ივანემ ყურადღება არ მიაქცია, კიდევ ერთხელ შეანჯღრია ავსტრიელი და ხელიდან ტომარა გამოჰგლიჯა.

— ესენ?⁶

¹ ესეს! იჰ ესესელი! დევნა (გერმ.).

² იჰ! იჰ! მე თქვენთვის სიკეთე მინდა (გერმ.).

³ შენ არა სტყუი? (გერმ.).

⁴ ო, არა, არა! მე პატიოსანი კაცი ვარ (გერმ.).

⁵ მეტყევე ვარ. იჰ ჩემი სახლია (გერმ.).

⁶ საჭმელია? (გერმ.).

— ია, ია, — დაუდასტურა, — ბროტ¹.

ავსტრიელი, ეტყობა, მიხვდა ყველაფერს. მოიხედა, უმაღლესი და აკანკალებული ხელებით ტომარა გახსნა.

ივანემ ხელი დასტაცა არც ისე დიდ, ხმელ გოგორა პურს. ავსტრიელი არ გადალიანებია, ოღონდ ეგ იყო, როგორღაც მოეშვა, უცბად გაუქრა წინანდელი სიმკვირცხლე და ივანესაც წამით ჩაწყდა გული, მაგრამ მაშინვე ჩაიკლა გულში სიბრაღული და ფიჭვებს მიაშურა. ლეგა თოვლიან მწვერვალებს აჰხედა, მერე მობრუნდა და ავსტრიელს დაადგა თვალი. ავსტრიელი ტომარას კრავდა, მაგრამ აკანკალებული თითებით ვერა და ვერ შეეცრა.

მაშინ ივანემ პური გადაუგდო მასთან მიჭრილ ჯუღიას და კვლავ დაეძგერა ავსტრიელს.

— გაიხადე!

დაავიწყდა, რა ერქვა ქურთუკს გერმანულად. ავსტრიელი ვერ მიუხვდა. ჰოდა, რომ მიეხვედრებინა, ივანემ ქურთუკზე წაავლო ხელი. დაბერებულ, დანაოჭებულ მწითურ პირისახეზე დაბნეულობა დაეტყო ავსტრიელს. ივანემ დაუყვირა:

— შნელერ! — და უფრო მძლავრად მოჰქაჩა სახელოზე.

— შნელერ! შნელერ, რუსო! — ხმადაბლა ეძახდა ერთობ შეშფოთებული ჯუღიაც. ავსტრიელმა უილაჯოდ, თითქოს მთელი ძალა გამოაცალესო, გაიხადა ქურთუკი. ივანემ თითქმის გამოჰგლიჯა იგი ხელიდან და უკანასკნელად შეხედა ამ კაცს თვალებში. გრძნობდა, მისი მხრივ ეს დიდი უმადურობა იყო, მაგრამ რა ექნა, სხვანაირად ვერ მოიქცეოდა.

ფიჭვნარისკენ გაიქცა, სადაც ჯუღიას ზოლებიანი ქურთუკი კრთოდა. კარგა მანძილზე გასცდა იქაურობას, მიიხედა: ავსტრიელი ისევ იმ ადგილას იდგა, ღია ფერის პერანგზე ლურჯი აჭიმი უჩანდა, ხელები ჩამოეშვა, გაქცეულებს გასცქეროდა. რას მეტყველებდნენ მისი თვალები — ივანეს აღარ დაუნახავს, რაც კი შეეძლოთ, გარბოდნენ მაღლა და მაღლა.

თხუთმეტი წუთის შემდეგ უკვე წურწურით ჩამოსდიოდათ ოფლი, დაიქანცნენ, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით მირბოდნენ ახლა. ფიჭვნარი გათავდა. ისინი აბიბინებულ ფერდობზე გავიდნენ.

აქ ალბათ ტყის ზემო საზღვარი გადიოდა, მერე კი აღმართულიყო ტიტველი, ხავსით დაფარული კლდეები, ლოდები, სულ მაღლა, თითქმის ცაზე, მოჩანდა რუხი, კაკბის ფრთასავით თოვლით აჭრელებული ქედი. აღმართი სულ უფრო ციცაბო ხდებოდა და კედელივით აყუდებულ კლდეს ებჯინებოდა. კედელს რომ მიუახლოვდნენ, ივანე მიხვდა, ზევით ასვლას ვერ მოახერხებდა. მიტრიალდა და ისევ კლდეს გაჰყვა გასწვრივ. კლდოვან კედლებზე ეკლიანი ბუჩქნარი ეკიდა. დახეთქილი ლოდებიდან დაღალებივით გადმოშვებულიყო ბალახი. დაბლა დამპალი ძვლები ეყარა; ადამიანის მიერ შეშინებული ღამის რომელიღაც ფრინველი სტვენით შეიმალა ნაპრაღში. აქაურობა მეტად უემურ ადგილად მოეჩვენა, მაგრამ რაკილა მაინც მოასწრეს აქ თავის შეფარება, ამან ოდნავ დაამშვიდა ივანე. ნაბიჯი შეანელა, ხავსმოკიდებულ ლოდზე

¹ პური (გერმ.).

ავიდა და ჯუღიას დაუცადა. წონასწორობის დასაცავად ქალი ხელებს აქნევდა, ქვებზე მიხტოდა. მოკლე შავი თმა გასწეწოდა, სირბილისა და დაღლილობისაგან პირისახე ატკრეცოდა. შეხედა ივანეს და ჩვეული უდარდელობის ნაცვლად შიში გაუკრთა თვალებში.

— სანტა მარია! ჩვენ წავედი. ჰო? — ჰკითხა ჯუღიამ.

ივანემ სწრაფად შეუძახა:

— აბა, იჩქარე!

— რა არის იჩქარე? — ვერ მიხვდა ქალი.

ივანემ არ უპასუხა. ჯუღიამ უფრო ახლოს მიიღბინა მასთან. ძლივს სუნთქავდა. კვლავ ლოდებს გაუყვნენ ისინი.

— ბევრი კარგი ფატერ! კომუნისტო ფატერ! — თქვა გახარებულმა ქალმა.

— რის კომუნისტი! — წყენით თქვა ივანემ, — უბრალო ადამიანი.

— სი. სი, ადამიანი. ბენე¹ ადამიანი, — დაეთანხმა ქალი, ნაბიჯი არც შეუნელებია. ივანე დაბლიდან მოდენილ ხმაურსაც უგდებდა ყურს და თან გოგორა პურსაც ვერ აშორებდა თვალს, ჯუღიას რომ ამოედლიავებინა.

— ესენ? პური, ჰო?

ქალმა პურს ქერქი მოატეხა და ივანეს მიაწოდა. სწრაფად გამოართვა ივანემ, ორჯერ ხარბად ჩაჰკბინა, გადაყლაპა. უნდა ეჩქარათ, იქნებ გერმანელები გამოჩენილიყვნენ, მაგრამ ივანეს ვერა და ვერ მოეცილებინა პურზე ფიქრი. იგი მოიღუშა, ნაბიჯს უკლო. და ჯუღიაც მიუხვდა საფიქრალს, შეჩერდა, ჩამოჯდა, პური მკერდზე მიიღო, მოზრდილი ყუა მოატეხა და ფართო ხეშეშა ხელისგულზე დაუდო ივანეს. ქურთუკის კალთაზე დაცვენილი ნამცეცები კი საგულდაგულოდ მოიგროვა პეშვზე და პირში ჩაიყარა.

ივანემ სათუთად აიღო პური, შეატრიალა, თითქოს ამოწმებდნო, მალულად გახედა დანარჩენ პურსაც და თავისი ნაჭერი დინჯად გატეხა ორად. მერე, თითქოს ხელისგულზე ასწონაო, ერთი ნახევარი ქალს მიაწოდა. იმას უარი არ უთქვამს, გაიცილა და სწრაფად გამოართვა.

— დანკე. ნონ, გრაციე — მადლობა!

კაცი ხარბად ილუკმებოდა, ჯუღიას მადლობას ყურიც არ ათხოვდა. ისევ განაგრძეს გზა. ქალი მდუმარედ ჭამდა. პური ძალიან ცოტა იყო და ამ პაწაწინა ნაჭერმა მაღა გაუღიზიანა მხოლოდ. იგი სწრაფად მიუბრუნდა თანამგზავრს:

— რუსო! მოდი, სულ, სულ მანჯარე!

მხიარულად მოჭუტულ თვალებში წინანდებურად სიანცე აუკიაფდა, თითები ჩააჭდო პურს, მისი გატეხა დააპირა. შეშფოთდა ივანე, მიხვდა, ქალი რომ მართლაც სულ გაანადგურებდა ამ ისედაც მეტისმეტად ღარიბულ ულუფას, და ხელი გაუკავა ჯუღიას.

— აქ მოიტა!

გაკვირვებულმა ჯუღიამ წარბები შეჭმუხნა, მაგრამ ივანემ პური გამოსტაცა და სწრაფად შეახვია ქურთუკში. ქალი პირველად შეცბა, მერე კი უეცრად გაეცინა.

ივანე გაოცდა, ქალს შეხედა.

— ნეტა რა გაცინებს?

¹ კარგი (იტალ.).

— რუსო სწორი! ჯულიას პური ნორ ნდობა, სიტყვა ნდობა, სიყვარული ნდობა. ჯუსტო — სწორი, რუსო!

სიცილით მიუახლოვდა და მსუბუქად დაადო ბეჭზე ხელისგული.

ამ მოულოდნელ აღერსზე ივანემ უხერხულად აიწურა მხრები.

— ჰო, კარგი, კარგი, — ჩაიბურღლუნა და ის იყო ნაბიჯი უნდა გადაედგა, რომ შეცრად იჭექა თოფმა. ორთავემ ერთად მიიხედა და ლოდზე გაქვავდნენ. ქვემოდან, სადაც კარმიდამო იყო, მოისმა ყვირილი, ხეობაზე დაიგრგვინა ექომ. ივანე მოიკუნტა, დაძაბული აყურადებდა, საიდანმე ის საზარელი, ნაცნობი ყეფა ხომ არ ისმისო. მაგრამ ყეფა არ ისმოდა. ტყვიები ნაპრალამდე ვერ აღწევდა. რატომღაც სადღაც შორს გაჰქონდა ავტომატის ჯერს ტკაცუნა და ივანეს უკვირდა, ვის ესვრიანო. კიდევ ნახევარი წუთი აყურადებდა სროლას, მერე ქურთუკი ლოდზე მიაგდო და კლდეზე აცოცდა, ნაპრალიდან რომ გადაეხედა.

კაკანებდა ავტომატები, ზევით ზუილით გადადიოდა ტყვიები, შიგადაშინებოტოციკლების შორეული ტკაცატკუცი ისმოდა. თავგადაწეული ჯულიაც დაძაბული უსმენდა სროლის ხმას, თან ივანეს უცქერდა, უკვე რომ მიეღწია ფრიალო კლდის შუაგულამდე. ნაპრალის გასასვლელში რომ გაიხედა, მან დაინახა კარმიდამო, მოტოციკლისტები და გაშეშდა, მხრებში ჩარგო თავი. ჯულიამ ქურთუკს სტაცა ხელი, ქოშები წაიძრო, რაღაც დაიყვირა, ივანე კი, თითქოს კლდეს მიეწებაო, თვალს არ აშორებდა იმ სანახაობას, თვალწინ რომ გადაეშალა.

მეჩხერ ნაძვნარში, მეტყევის სახლის წინ სამი მოტოციკლი თუხთუხებდა, ტყვიამფრქვევი სადღაც მაღლა მიეშვირათ და გააფთრებით უშენდნენ ტყვიებს. ახლომახლო კიდევ რამდენიმე მოტოციკლს გაჰქონდა გრიალი, ეტყობა, მაღლა ასვლას ლამობდნენ, მათ კლდის ქიმი ეფარებოდა. აშკარა იყო, რომ ტყვიებიცა და გერმანელების მთელი ყურადღებაც ამ ნაპრალს იქით იყო მიმართული. ისეთი გააფთრებული სროლა გაეჩაღებინათ, ალბათ ხედავდნენ, ვისაც ესროდნენ.

ივანე ვერ მიმხვდარიყო, ასე რად ირჯებოდნენ გერმანელები. ჯერ განზე გაიწია, კლდის ქიმს მოეფარა, მერე ცოტათი ზემოთ აცოცდა და შეცრად დაინახა ყველაფერი, რაც დაბლა ხდებოდა. ქვემოდან ჯულია უყვიროდა რაღაცას, მაგრამ ივანეს არ ესმოდა მისი ყვირილი; კლდის ქიმს ჩაბლაუჭებული, კარგად ხედავდა, როგორ გამორბოდა ფერდობზე ამ კლდოვანი კედლისაკენ ვიღაც კაცი, ზოლებიანი ტანისამოსი რომ ეცვა. მის ირგვლივ ტყვიები ცვიოდა მიწაზე და მტვრის ბული დგებოდა. ტყვე წარამარა ეცემოდა, მაგრამ მაინც გარბოდა. სამი გერმანელი მოსდევდა შორით, მოტოციკლები მეტყევის სახლთან დაეტოვებინათ. დანარჩენები სახლთან იდგნენ და ტყვიამფრქვევიდან ისროდნენ. ტყვე კი გარბოდა და გარბოდა. ზოგჯერ მიიხედავდა, შიგადაშიგ თითქოს კიდევ ყვიროდა, მერე კვლავ მიწას დაენარცხებოდა. ივანეს ეგონა, მორჩა, ახლა ვეღარ წამოდგებაო ეს უბედური! მაგრამ როგორც კი შენელებოდა სროლა, წამოხტებოდა საბრალო და ისევ ზევით არბოდა.

— რუსო! რუსო! რას უყურებ? რუსო! — ეძახდა ლოდზე შემომჩადარი ჯულია და მოუთმენლად ცმუკავდა.

ივანე სდუმდა, თვალს არ აშორებდა გაქცეულს, ცდილობდა არ გატოვებულიყო. ფიქრობდა, დევნილი უკვე განწირულიაო. მართლაც სულ მალე

თითქმის ზედ კლდესთან დაეცა იგი და მერე აღარც გამოჩენილა. სრულად უცბად მიწყნარდა.

ივანეს თითქმის რაღაც ჩასწყდა გულში. სწრაფად დაეშვა კლდიდან. თავის გუნებაში მადლობა შესწირა ზედს, რომ თავშესაფრად ეს ნაპრალი უწყობლობა. გულდამძიმებული ჩახტა ძირს და მოკლედ უთხრა ჯულიას:

— კაპუტ!

— კაპუტ? — ვერ მიხვდა ქალი, თვალები დააჭყიტა.

— შენი კომპანიონი — კაპუტ.

— კრანკ გეფტლინგი?

— ჰო.

— ვაი, ვაი!

ივანემ ქურთუკი გამოართვა გაოგნებულ ქალს. ჯულიამაც აიღო თავისი ქოშები და ისევ გაუდგნენ გზას, ქვევით მოფენილ აღმართს აუყვნენ.

VIII

მაინც ვერ შესძლეს შეუმჩნევლად გავლა. და წინანდელი შეშფოთება კიდევ უფრო მოეძალა ივანეს. გასცემს თუ არა მათ ავსტრიელი?

მთელი მისი გამოცდილება, ორივე გაქცევისას რომ შეეძინა, აფიქრებინებდა ივანეს, სწორედ ამგვარი ვითარება ქცეულაო ხშირად ლტოლვილთათვის საბედისწეროდ. არც მინდვრად, არც მთებში, არც გზაზე ისეთი არაფერი შეემთხვეოდათ, რაც სოფლად ვისსამე კარმიდამოში თუ ხუტორში შესვლისას იყო მოსალოდნელი ადამიანების მხრიდან. სწორედ იქ ელოდათ მუდამ საფრთხე წინდახედულსა და ფრთხილ ადამიანებსაც. ძალიან ხშირად იქ მოედებოდა ხოლმე ბოლო მეტისმეტად ძნელ გზებზე თავისუფალ სიარულს; იქ იწყებოდა სხვა, კიდევ უფრო მტანჯველი გზა ხელახალი ტყვეობისა. მაგრამ რომ გარიდებოდნენ ადამიანებს, არც ეს ზერხდებოდა, ხომ უნდა ეჭამათ რაიმე, ეკითხათ გზა, ტანისამოსი გამოეცვალებათ. გაქცეულებს ხშირად ბედის, ბედნიერი შემთხვევის, ადამიანობის იმედი ჰქონდათ. ზოგჯერ კიდევაც უმართლებდათ ეს იმედი.

ერთი წლის წინათ ივანეს კიდევ ეიმედებოდა, როგორმე ყველაფერი მოგვარდებოდა, როგორც მაშინ, იმ ოცდათორმეტი დღის განმავლობაში მოგვარდაო. სამმა ტყვემ ბევრგან მართლა მარჯვედ აუარა გვერდი ჩასაფრებულ მტერს, გადასცურეს მდინარეები; შორიდან შემოუვლიდნენ ხოლმე სოფლებს, უფრთხოდნენ პოლიციელებთან შეყრას, ორჯერ მდევარსაც დააღწიეს თავი, — ოღონდ ეგ იყო, მეოთხე ამხანაგი დაედუბათ, ვალერიანი, ლენინგრადელი ტანკისტი. დანარჩენებმა კი მშობლიურ მიწას, კოლინს მიაღწიეს. გარშემო უკრაინული სოფლები იყო, მინდვრად გასული გლეხები ცხენებითა და ხარებით ხნავდნენ თავიანთ ყანებს. დათბა — უკვე შეიძლებოდა ტყეში ღამის თევს. ცხვირსაც არავინ შეჰყოფდა სოფელში, ეს ოხერი ჭამა რომ არ ყოფილიყო საჭირო. სწორედ საჭმლის საშოვნელად უწყევდათ სულმუდამ სოფელში შევლა.

იმ დილას ივანემ მეგობრები ტყის პირას დასტოვა და სოფლისაკენ მართკამ გასწია. წინა დღეს სხვები წავიდნენ, ახლა მისი ჯერი იყო.

ცოტა შეუგვიანდა ტყიდან გამოღწევა — ბევრი დახვანჯული გზა გამო-
იარეს ამ ტყეში მოსვლამდე. უკვე თენდებოდა, შესაძლო იყო ვინმეს შეემ-
ჩნია. მაგრამ ივანე მაინც მიდიოდა, ეძნელებოდა ასე კუჭცარიელი მიმალუ-
ლიყო სადმე. ტყის პირიდან ყურადღებით დააკვირდა სოფელს, საეჭვო გე-
რაფერი დაინახა. ალბათ დიდი შარავნაც არ იყო სადმე ახლომანლოს. ჭაბი
გადაიარა და ბუჩქებს გაუყვა, განაპირა მდგარ ქოხს მიაშურა. კალთის ქვეშ
კრაკოვთან მოპოვებული გერმანული ავტომატი ჰქონდა ამოფარებული. თორ-
მეტი ტყვია ედო სავაზნეში, ჯარისკაცული ჩექმები ეცვა და მხრებზე უბრა-
ლო, გლეხური სვიტკა წამოესხა. გარეგნობით ჩვეულებრივ სოფელს ჭაბუკს
ჰგავდა, ყველა აქ მცხოვრები ჭაბუკი ასე დადიოდა. ბოსტნებამდე დაუბრკო-
ლებლად მიაღწია, ტყრუშულ ღობეებში მიმავალ შუკას გაჰყვა, უახლოეს ქოხ-
თან მოუხვია. საუბედუროდ, ქოხი ქუჩის გადაღმა იდგა. ივანემ მიმოიხედა —
ახლოს არავინ იყო, მხოლოდ სადღაც ეზოში კარმა გაიჭრაჭუნა და ძროხამ
დაიბლავლა, ალბათ დიასახლისი მის მოსაწველად მიდიოდა. ის-ის იყო ივანემ
ნოტიო გზა გადაირბინა, რომ მეზობელი ეზოდან ვიღაცა გამოვიდა ქუჩაში.
ივანეს მისთვის არც შეუხედავს, მხოლოდ იგრძნო, რომ იმ კაცმა თვალი ჰკი-
და. ივანე ეზოს კუთხეს მოეფარა და მალულად გახედა კაცს — კაცი გამჭრა-
ლიყო, სახლის მახლობლად კი მანქანის უზარმაზარი, ბრეზენტისანი ძარა ჩან-
და. არ ელოდა აქ მანქანას და შეშფოთებით შეჰყვირა მის დანახვაზე.
არსად ჰქონდა გასაქცევი, ქოხს იქით დაფარცხული, ფართო ბოსტანი გადაშ-
ლილიყო, და ღია წინკარში შეიჭრა. იქ შუახნის წვერგაუპარსავ გლეხს შე-
ეფეთა. გლეხი ალბათ უთქმელად მიხვდა ყველაფერს, მხოლოდ ოდნავ გაფით-
რდა, ეტყობა, შეძახილი გაიგონა, შეხედა ივანეს და უკან წადგა ნაბიჯი, ქოხ-
ში შეუშვა ლტოლვილი. ივანეს სიტყვაც არ უთქვამს, ისე შევარდა გაკრი-
ალებულ წინკარში. აქეთ-იქით ეცა, მაგრამ ვერაფერი ნახა, სადაც შეიძლე-
ბოდა დამალვა. ღია კარით მეორე ოთახში შევარდა. ღუმელის ქვემოთ შავად
დაედო პირი ღიობს. ჩაიჩოქა, სწრაფად მოავლო თვალი იქაურობას. ფანჯა-
რასთან მდგარ ტახტზე, შინ ნაქსოვი ზოლებიანი საბნიდან ბავშვების სამი
წყვილი პატარა ფეხი ჩანდა. გულში ავმა წინათგრძნობამ გაჰკრა — აქ რად
მოვედიო...

მაგრამ უკვე გვიანი იყო: ეზოში ჩექმების ბრახაბრუხი გაისმა. ივანე
ღუმელს ეცა, შეძვრა ღუმელის ვიწრო, მყრალ ხვრელში, გვერდები დაიჯ-
გლითა, მოიკრუნჩხა ვაგლახად. ვიღაცეები შემოვიდნენ წინკარში: გერმანელე-
ბი იყვნენ, ორი თუ უფრო მეტი. სახლის პატრონს მათი არაფერი გაეგებო-
და, შეიძლება არც უნდოდა გაეგო. ივანეს ყველაფერი ესმოდა, თარჯიმანი არ
სჭირდებოდა.

— ვერ ისტ? ვერ ლაუფტ? ინდიზემ აუგენბლიკ. იჰ ჰაბე გეზენ! ¹ —
ეკითხებოდა ერთი.

— ბატონებო, მე არ ვიცი. მე არავინ მყავს. რასა ბრძანებთ!

ივანემ შვებით ამოისუნთქა, — მაშ, მასპინძელი არ ყოფილა გამცენი,
ამაში სომ მაინც გაუღიმა ბედმა. შეიძლება აქ ვერ მოაგნონ. უფრო მჭიდროდ
მიეკრა კედელს, სულ მოიკუნტა, თითქმის არც სუნთქავდა. გერმანელები
ხმამაღლა აყვირდნენ, დაიწყეს გინება. კუთხეში ბავშვი ატირდა. საიდანღაც,

¹ ვინ არის, ვინ გაიქცა? სწორედ ახლა. მე თვითონ დავინახე! (გერმ.).

ალბათ ღუმელიდან თუ ჩამოხტა, მათთან ქალი მიიჭრა, დამშვიდება დაუწყო. ერთმა გერმანელმა შაშხანის საკეტი გააჩხაკუნა და ოთახში შემოვარდა; ღუმელთან გაკრთა მისი ჩრდილი. ბავშვებმა ღრიალი მორთეს, აჭრიალდა ტახტი. გერმანელებმა აშალეს და მიყარ-მოყარეს მათი ლოგინი. ივანე იცდიდა, ავტომატის კონდახს ჩაფრენოდა, თუმცა არ იცოდა, როგორ უნდა ესროლა აქედან. ისმოდა გერმანელების ჩექმების ბრახუნი, ღუმელშიაც შეიხედეს, ტკაცანით გახსნეს ღუმელის კარი და უცებ ღუმელისქვეშა ხვრელის უკანა კედელს მოხვდა ფარნის სხივი. ივანემ თვალი დახუჭა, ელოდა, აი ახლა მომადახებენ: „ჰერაუსკრიპენ!“¹, მაგრამ ფარნის სხივი სუსტი იყო, გერმანელებმა ვერაფერი დაინახეს. მალე უკვე მოშორებით გაისმა ჩექმების ბრახუნი. ცოტაც და ნაბიჯები მიწყნარდა, — გერმანელები ალბათ უკვე წინკარს ჩხრეკდნენ. ივანე არც განძრეულა, ისე ამოისუნთქა. არ სჯეროდა — ნუთუ მართლა გადარჩა? ჰო, ნამდვილად გადარჩა. ნაბიჯების ხმა მიწყდა, მხოლოდ ღუმელთან თავშეყრილი ბავშვები სლუკუნებდნენ, იქვე მათი ფეხშიშველი დედა დატყაპუნობდა. გერმანული ლაპარაკი უკვე ეზოდან ისმოდა. მასპინძელი, ეტყობა, გერმანელებს, უხსნიდა, საით წასულიყვნენ საძებრად. მართლაც ხმაური მალე მიწყნარდა. მასპინძელი წინკარში შემოვიდა. აფორიაქებულმა ცოლმა მასთან მიიღბინა; საცაა ატირდებოდა, მაგრამ ქმარმა მკაცრად დაუყვირა: „გეყოფა! გაჩუმდი!“ ქალიც დადუმდა, ქოხში შემობრუნდა და ბავშვებს დახედა.

ივანე ის იყო გამოძრომას აპირებდა, რათა სადმე, უფრო საიმედო ადგილას მიმალულიყო, რომ შეშფოთებულმა დიასახლისმა წაივიშვიშა:

— პეტრო! პეტრო! ვაიმე, გრიცი მოდის...

ივანე ისევ გაინაზა. მასპინძელი გარეთ გავიდა. წუთით სიწყნარე ჩამოვარდა, მერე კი ეზოდან ნაძალადევად თავაზიანი, გესლიანი ხმა მოისმა: „გამარჯობა, პერ პეტრო!“ მასპინძელმა თავშეკავებით დაუბრუნა სალამი. რალაცამ გაიტყაცუნა, თითქოს ჩექმის ყელს მათრახი დაჰკრესო, და იგივე ხმამ შინაურულად, თითქოს ძალზე უბრალო რამეზე იყო ლაპარაკი, თქვა:

— ვის მაღავ? აბა, მომგვარე აქა!

— არავისაც არ ვმაღავ, რასა ბრძანებთ, ნათლიმამავ!

— ოჰო, არავის? აბა, შევამოწმოთ! ჰანნა!

— აქა ვარ, ნათლიმამა, — ზღუბრილიდან უკრაინულად გაეპასუხა დიასახლისი.

— პეტრო ვის მაღავს, გამოტყდი!

— ოი, მე განა ვიცი! არავისაც არ მაღავს, ნათლიმამა გრიც.

— არ მაღავთ! აბა, წასტუსია, შენ მითხარი. ყაჩაღს მამიკო სად მაღავს?

— არ ვიცი, — უპასუხა შეშინებულმა ბავშვმა.

— არც შენ იცი? შევამოწმოთ, — მრავალმნიშვნელოვანი, მშვიდი ხმით ჩაიდუღლუნა გრიცმა. ივანე ლამის ბოღმამ დაახრჩო, მზად იყო გამომხტარიყო და ათივე ტყვია მუცელში დაეხალა ამ არაკაცისთვის. მაგრამ არ იცოდა, რამდენი ხელქვეითი ახლდა გრიცს. კვლავ მოეძალა ავი წინათგრძნობა. მიხვდა, გრიცი გერმანელი არ იყო და თავისი საქმე ჩინებულად იცოდა.

¹ გამოძვრი! (გერმ.).

— გლუხ, ჩალა მოიტანე. ჟუპან, შენც. ახლავე გავიგებთ, სად იმალება, ახლა ვაჩვენებთ სეირს.

ეზოდან ნაბიჯების ჩმა მოისმა, სადღაც ახლოს კარი გაჯახუნდა, ალბათ ფარდულში შევიდნენ. ივანე მიხვდა, რაც განიზრახა კაცმა. ღმერთმა დასწყევლოს მისი თავი და ტანი! „ნუთუ მოყვარეს ასე მოექცევა კაცი? აქი ნათლი-მამას ეძახიან ამ წყეულს?“ — მწარედ ფიქრობდა ივანე.

ფანჯარასთან რაღაცამ გაიშრიალა. ღუმელი უცებ ჩამოხნელდა. „ალბათ ჩალით ამოავსეს“, გაიფიქრა ივანემ. მერე ყველაფერი მიწყნარდა, არც ნაბიჯის ჩმა, არც საუბარი ისმოდა. და უეცრად თავგანწირულად, გიჟივით დაიკივლა ქალმა, იფიქრებდი, ქოხს კი არა, მას წაუკიდესო ცეცხლი. ბავშვები აწივლდნენ. კვამლის სუნი დადგა. ივანე მიხვდა, რომ ყველაფერი გათავდა, თვითონაც დაიწვებოდა და ბავშვებსაც დაღუპავდა. უნდა გამომძვრალიყო, მოეკლა ეს არამზადა, მაგრამ ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, იქნებ არ წაუკიდონ ცეცხლი, იქნებ დასაშინებლად ირჯებიანო ასე. არადა, ცეცხლი რომ წაეკიდოს სახლს და მერე გამოვიდეს, ხომ დასაჯა თავისი თავიცა და ეს ოჯახიც. არ იცოდა, რა ექნა, და არც დიდი დრო ჰქონდა, ამ ორიოდ წამში უნდა გადაეწყვიტა ყველაფერი. ალბათ გამოიჭრებოდა კიდევ სამალავიდან (უკვე მზად იყო საამისოდ), რომ უეცრად ქოხში წყევლა-კრულვით არ შემოვარდნილიყო დიასახლისი. სანამ კაცი მიხვდებოდა, რატომ ააბაკუნა ქალმა ფეხები ღუმელთან, კიდევ მოესმა მისი ვიწვიში და ყვირილი:

— გამოძვერი! გამოძვერი! ქოხს მიწვავენ შენი გულისთვის, წყეულო! სულთამხუთავო, საიდან მოეთრიე? გამოძვერი!

ივანემ, როგორც იქნა, ამოისუნთქა: აი, ყველაფერი გათავდა. თუმცა არ ელოდა, თუ ასე წაუვიდოდა საქმე, ახლა რაღას იზამდა! ავტომატი ნაცარში ჩამალა და გამოძვრა. დიასახლისზე სულაც არ იყო გაბოროტებული, მხოლოდ ის სწყინდა, ამდენი გზა გამოიარა, ასე იტანჯა და ასე სულელურად კი ჩაეყარა წყალში ყველაფერი. ზღუბრბლს გადააბიჯა და დინჯად გავიდა ეზოში. ეზოდან მგელივით მისჩერებოდა ოთხი გლეხი, განსაკუთრებით ერთი ჯანიანი აყლაყუდა, ღია ფერის შარვალი რომ ეცვა და სახელოზე ლურჯი ნაჭერი ეკეთა. ეტყობა, ეს იყო გრიცი. მას ჩახმახშეყენებული გერმანული კარაბინი ეჭირა. იცოდა ივანემ, აქ ვერ გაბედავდნენ მის მოკვლას — გერმანელებს მიჰგვრიდნენ.

IX

იგი მალევე იხედებოდა უკან შიშით, ყოველ ჩქამს აყურდებდა, გერმანელებმა ძაღლები ხომ არ დაგვაღვენესო. გადიოდა დრო, გარშემო კი სიწყნარე იყო. მაშინ კი დარწმუნდა, ავსტრიელმა რომ მაინც არ გასცა ისინი, ხოლო მოტოციკლისტებმა მათ კვალს ვერ მიაგნეს და გაქცეულებს ჯერჯერობით სიმშვიდე არ დაუბრუნეს. ალბათ წაიღეს იმ გიჟის გვამი, რათა ბანაკში დაბრუნებულებს საბუთი რამ ჰქონოდათ. ასეთი ფიქრებით აშლილი მღელვარება თანდათან დაუცხრა ივანეს, სხვა საზრუნავ-საფიქრალმა წაიღო მისი გონება.

ღრმა ნაპრალი, მრუდე დერეფანს რომ ჰგავდა, თანდათან ვიწროვდებოდა. თითქმის დაუბრკოლებლად მიდიოდნენ ისინი მაღლა და მაღლა, ოთხი

საათი მაინც მიაბიჯებდნენ ასე, თუ მეტ ხანს არა. აცივდა, ყურები დაუგუბდათ, ალბათ უკვე მალლა ავიდნენ. ღრუბლებს მიეფარა ცის მოკამკამე ლაქვარდი — ნისლის ლურჯი ნაფლეთები კლდეების წვეტიან მწვერვალებს ეღვებოდნენ და სწრაფად მიჰქროდნენ ნაპრალის თავზე. საიდანაც ძლიერმა ქარმა დაუბერა. ისე ციოდა, სიარულიც ვეღარ ათბობდათ. აქედან არ ჩანდა, რამანძილით დაშორდნენ ქალაქს, მაგრამ ივანე გრძნობდა, ძალიან მალლა უნდა ყოფილიყვნენ, თორემ სიცივე ასე არ შეაწუხებდათ. იგი მაინც არ იცვამდა ქურთუკს, შიგ პური ჰქონდა შეხვეული. იცოდა, მთავარი სიძნელე წინ ელოდათ, მალე უფრო აცივდებოდა, ეგების თოვლში სიარულიც მოხდენოდათ. ივანე თავის თავზე ნაკლებად სწუხდა, უფრო სწრაფად ივლიდა, თუმცა კი დაიღალა და ქვებზე დაყეჟილი ფეხებიც სტკიოდა. ტყვეობის დროს არაერთხელ ყოფილა, სხვებს არაქათი გამოლევიათ, დაღლილობის, შიმშილისა და უძილობისთვის ვერ გაუძლიათ, ივანე კი ყველაფერს იტანდა. ახლაც ფიქრობდა, როგორმე დაეძლევ ამ ქედს, გადავლახავო (შეუძლებელია, ვერ გადავლახა), ოღონდ კი ეცოცხლა, ოღონდ თავისუფალი ყოფილიყო, ოღონდ ტყვეობიდან დაეხსნა თავი.

მაგრამ ჯულია? რა უყოს ამ ქალს?

ქალი თითქმის ფეხდაფეხ მისდევდა, უკან აღარ რჩებოდა, უფრო მონდომებული და ფხიზელი გამხდარიყო თითქოს... ჯულია გრძნობდა კაცის ყურადღებას და ცდილობდა საპასუხოდ ყოველთვის გაეღიმა მისთვის, თავი მოეჩვენებინა, ყველაფერი კარგად არის, არაფრის მეშინია და ჯერ არც ძალ-ღონე გამომლევიანო, მაგრამ მისი მკვირცხლი ბუნებისთვის შეუფერებელი ამგვარი ნელი სიარული იმას დაღაღებდა, გადაღლილი იყო ქალი. უცებ დაინახეს, რომ მათი შემფარებელი ნაპრალი ფრიალო კლდეს მიბჯენოდა. სურდათ თუ არა, მაინც ზევით უნდა ასულიყვნენ, ქარის სანავარდო იმ ტიტველ კლდეებზე. ივანემ გაუხვია ფრიალო ფერდობისკენ, თითქმის თხემზე აფოფხდა, ჩაიჩოქა და ჯულიას დაელოდა. ქალი უფრო ნელა მიფოფხავდა, ივანემ კლდის შვერილს მოსდო ფეხი, თავისი რბილი ცივი თითები კი — ქალს და მალლა აიყვანა.

ტიტველ ფრიალო ქედზე ქარი ქროდა. იქიდან არაფერი ჩანდა გარშემო. ნისლის ნაფლეთებს ქედზე ყველაფერი გადაებურა. ცივი ორთქლით შეიმოსნენ ლტოლვილნი. ნისლი ხშირდებოდა, მაგრამ ნაფლეთებს შორის აქა-იქ განმოკრთებოდა ხოლმე ჩაშავებული კლდეები და ცის შორეული მოლურჯო შუქი; შეჩერდნენ, ჯულიამ ქიმს მიაყრდნო მხარი. ქარი ტანისამოსს აგლეჯდა. კიდევ უფრო აცივდა. ივანემ მიწაზე გაშალა ყვითელი ტყავის გაცრეცილი ქურთუკი, პური აიღო და ჯულიასკენ გადადგა ნაბიჯი.

— ოჰ, ნონ... არა! — ჯულიამ უეცრად გამოცოცხლებული თვალები მიანათა კაცს და ხელი აუქნია. ივანემ უსიტყვოდ მოახურა მხრებზე ქურთუკი. ქალი შიგ გაეხვია, მოიკუნტა, თავი საყელოში ჩამალა. ივანე გვერდით მიუჯდა.

— ილ პანე-პური! — მიუხვდა გულისთქმას ქალიშვილი. ნერწყვი გადაუღაბა. ივანემ დახედა პურს, ხელში აიღო, ასწონ-დასწონა და ამოიოხრა: მეტისმეტად მცირე იყო ეს ულუფა. ჯულია კაცის მახლობლად მიწაზე დაემგვა. პური რომ არ დაფშვნილიყო, ივანემ კი არ მოტეხა, თვალთ მოზომა და წვეტიანი ქვით ფრთხილად ჩამოაჭრა პურს მცირეოდენი ნაჭერი. ქალი მორ-

ჩილად ადევნებდა თვალს მისი თითების მოძრაობას, როგორ ჭრიდა იგი პურს, როგორ ანაწილებდა ორად, როგორ მოატეხავდა ერთ ნაჭერს და მეორეს მიუმატებდა...

— კარგია?

— სი, სი, კარგია.

თითქოს გაქრა სიცივეც, დაღლილობაც. ჯუღიას თვალები გაუბრწყინდა, მოუთმენლად ელოდა, როდის დართავდნენ ნებას თავისი ულუფა ეჭამა. მაგრამ ივანემ შესაშური თავშეკავებით კიდევ ერთხელ გაათანაბრა ულუფა და მხოლოდ მაშინ უთხრა ქალს:

— აბა, მიბრუნდი.

ჯუღია მიუხვდა, ქურთუკიდან ხელი არ გამოუყვია, სწრაფად მიბრუნდა, კაცმა კი ერთ ულუფას ხელი დაადო:

— ეს ვის?

— რუსო, შენ! — მაშინვე მიუგო ქალიშვილმა და ისევ მოატრიალა თავი. ივანემ ფრთხილად აიღო მომცრო ნაჭერი, მეორეს სულსწრაფად დასწვდა ჯუღია.

— გრა... მადლობა, რუსო.

— არაფერია! — თქვა ივანემ.

— რუსო! — დაუძახა ქალმა, თან აჩქარებით ჭამდა პურს და ქურთუკში ეხვეოდა. — როგორა აქვს შენი სახელი? ივანე, ზომ?

— ივანე! — დაუდასტურა ოდნავ გაკვირვებულმა კაცმა.

ჯუღიამ მისი გაკვირვება შეამჩნია, თავი გადახარა და გაეცინა.

— ივანე! ჯუღია მიხვდა! ეს როგორ მოხდა?

— მიხვედრა ძნელი არაა.

— ყველა რუსო ივანე? მართლა?

— ყველა არა, მაგრამ ბევრია.

ჯუღიამ სიცილი შესწყვიტა, ამოიოხრა, უფრო მჭიდროდ გაეხვია ქურთუკში და მალულად გადახედა პურის ნარჩენს. ივანე აუჩქარებლად ამთავრებდა თავის ულუფას, იგრძნო ჯუღიას მრავლისმეტყველი გამოხედვა და პური აიღო, რათა უბეში შეენახა. მაგრამ ქურთუკის გახსნაც ვერ მოასწრო, რომ ჯუღიამ უეცრად წამოიყვია და ადგილზე გაშეშდა. პური არც შეუნახავს, ისე მიტრიალდა ივანე იმ მხარეს, საითაც ქალი იყურებოდა და მაშინვე დაინახა, რამაც შეაშინა ჯუღია. შორიახლოს კორდზე საზიზღარი შესახედლობის გეფტლინგი იჯდა, ხელებით კლდეს დაყრდნობოდა. ზოლებიანი ქურთუკის ფართო საყელოდან წვრილი კისერი და მელოტი თავი ამოშვეროდა. ჩაღრმავებული თვალებით კი მონუსხულობით მიშტერებოდა ლტოლვილებს. ივანეს რომ პური დაუნახა, გეფტლინგი გამოცოცხლდა, ადგილზე ზტუნვა დაიწყო და ზრინწიანი ხმით მოჰყვა ყვირილს:

— ბროტ! ბროტ! ბროტ!

მერე უეცრად ხმა ჩაუწყდა, მოიკუნტა და უკვე სრულიად ადამიანური, სასოწარკვეთილებით აღსავსე ხმით შეიხვეწა:

— გიბ ბროტ!²⁵

— ეჰე, რა მოისურვა! — გესლიანად ჩაიციხა ივანემ და გეფტლინგს შე-

²⁵ პური მომეცი (გერმ.).

ხედა. შეშლილი რამდენიმე წამს დუმდა, მერე მოულოდნელად, გაბოროტებულ-
ლი აყვირდა:

— გიბ ბროტ! გიბ ბროტ! იპ ბეშაინე გესტაპო! გიბ ბროტ!

— აბა, გესტაპოვ, დაიკარგე აქედან! — წამოდგა ფეხზე ივანე და მუქა-
რით გაიწია შეშლილისკენ, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოას-
წრო, რომ გიჟი კლდიდან ჩახტა და უჩვეულო სიმარდით დაეშვა ქვემოთ.

— გიბ ბროტ — ნიკს გესტაპო! ნიკს ბროტ — გესტაპო!

— ოპ, შე ძაღლო! — დაემუქრა ივანე. ბრაზმა შეიპყრო, სურდა დასწე-
ოდა გეფტლინგს, მაგრამ გიჟი დაფრთხა და კიდეც უფრო შორს გაიქცა. ხო-
ლო როცა დაინახა, ივანე აღარ მისდევდა, შეჩერდა.

— გიბ ბროტ!

ივანემ ხელი ჩაიყო ჯიბეში, გერმანელი გაშეშებული ელოდა. ივანემ
დამბაჩა ამოიღო და ჩახმახი შეაყენა.

— პისტოლე! — წამოიძახა შეშფოთებულმა გიჟმა და უკან გაიქცა.

ივანემ ტუჩი მოიკვნითა. ჯულია მიეჭრა.

— მივცეთ პური! მივცეთ პური! ნონ გესტაპო! — შეშფოთებული მო-
თხოვდა იგი.

„გამყიდველი! წამგლეჯი!“ — გაიჭიქრა ივანემ და გაბოროტებულმა თვა-
ლი გააყოლა მობარბაცე გერმანელს. „ცხადია, საშიშია ამასთან ხუმრობა.
ყვირილს ასტეხს და ესესელებს მოსწავლის ჩვენს სამყოფელს. გიჟს რა მო-
ეთხოვება! მოსაკლავადაც ცოდვია, არადა ვერც მოიცილებ. ძაღლებს მოგვი-
სევენ, კვალს მოაგნებენ. მაშინ ყველაფერი დაღუპულია“.

— ეი! — დაიყვირა ივანემ. — აპა ბროტ!

გიჟი კლდეს ჩაეჭიდა, შეჩერდა, მოიხედა, მალე ქარში მისი ხმა მოისმა:

— ნიკს... დუ შისსენ! იპ ბეშაინე გესტაპო! — და ისევ ქვევით დაეშვა.

— ჯანდაბას შენი თავი! ნიკს შისსენ! აი... აი!

ივანემ მართლაც მოატეხა პურს ნაწილი და ხელი ასწია, რომ შეშლილს
დაენახა. ჯულია გვერდით ედგა, სიცივისაგან კანკალებდა და გეფტლინგს
უყურებდა. ის კი ცოტა ხანს დაყოვნდა, მერე კლდის შვერილზე ჩამოჯდა.
შეეშინდა მოსვლა.

— ოპ, შე ძაღლო! — ისევ დაიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა ივანემ. —
ჯანდაბას შენი თავი! წადი გესტაპოში, წადი.

— ივანე, ნონ გესტაპო! ნონ, ივანე! — სახელოზე მოქაჩა ჯულიამ. —
მისცე ცოტა პური! ნონ გესტაპო!..

— მაგის თავის ხეთქამ, პურს მივართმევ! წავიდეს, სადაც უნდა.

— ის ცუდი გეფტლინგი. ის კრანკია, ის გესტაპო!..

ივანემ არაფერი უპასუხა, უბეში ჩაიღო ნახევარი გოგორა პური, დამბა-
ჩა შეინახა და წინანდელი ადგილისკენ წამოვიდა. ჯულია ჩუმად მიჰყევებოდა.
ივანე გრძნობდა, გიჟთან ასე მოქცევა საშიში იყო, მაგრამ ახლა დათმობა აღარ
შეეძლო, მოწოლილი ბრაზი კეთილგონიერებაზე ძლიერი გამოდგა. ჯულია
იშვიათად მიიხედავდა ხოლმე უკან. მალე სიბნელებს ჩანთქა ორივე. აღარა-
ფერი ჩანდა ირგვლივ, გარდა დახეთქილი რუხი კლდეებისა. ვერ გაიგებდით,

1 მომეცი პური — არ ვიქნები გესტაპო! არ მომცემ — დაგასმენ გესტაპოსთან! (გერმ.).

გეფტლინგი იქვე დარჩა, თუ მართლაც უკან დაბრუნდა. ივანემ ქალიშვილს შეშფოთება შეატყო და ჩაილაპარაკა:

— არსად არ წავა! ტყუილი თქვა ყველაფერი.

ჯულიას ამშვიდებდა, მაგრამ თვითონაც არ სჯეროდა თავისი ნათქვამი. ეშმაკმა უწყის, რამდენ არამზადაზე ჰკიდია ადამიანის სიცოცხლე! ავადმყოფია, მაგრამ გადარჩა, მთებში გამოაღწია, ალყას გაუსხლტა, ტყვიებს გაექცა. განა ამას რომელიმე ღირსეული კაცი მოახერხებდა? ის კი ცოცხალია და ამასთანავე სხვების სიცოცხლესაც ემუქრება. სხვადასხვა ეროვნების რამდენი კარგი ბიჭი დაიხოცა ბანაკებში. ამას ხშირად იხსენებდა ივანე და უილაჯო რისხვით შეპყრობილი კბილებს აკრაჭუნებდა: უნდა მოითმინო, ყველაფერი გადაიტანო, თორემ სიკვდილი მოგელის!..

ლტოლვილები უკვე აუყვნენ გზას კლდის შემოსავლელად. ივანემ უკან მიიხედა და უბისკენ წაიღო ხელი. ჯულიამაც მიიხედა, მაგრამ შეშლილი არსად ჩანდა, ივანემ მაინც ამოიღო პურის ნატეხი, დაბრუნდა და პური იმ ქვაზე დასდო, სადაც თავად ისხდნენ სულ ცოტა ხნის წინათ.

— ეგრე იყოს! ყელშიაც გაჩხერვია! — თითქოს თავს იმართლებსო, ჩაილაპარაკა მან.

ჯულიამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. ეტყობა, იმანაც კარგად იცოდა, დასმენას რა მოჰყვებოდა.

მალე შემოუარეს უზარმაზარ კლდეს, ფრინველის გაქვავებულ ბოლოსავით რომ ამართულიყო ცაში, და მალლა ავიდნენ. უეცრად ჯანლი გაირღვა, ტიტველ ქვიან ფერდობზე არცთუ დიდი დაქანებით მიიკლაკნებოდა ბილიკი. იგი ძლივს აჩნდა დახერგილ კლდეთა გროვას, მაგრამ მათ მაინც შეამჩნიეს და გაიხარეს. ჯერ ივანე გავიდა ბილიკზე, უკან მიიხედა: იქ, ნისლის ნაგლეჯებში, დროდადრო გამოკრთოდა პირქუში კლდეები, უფსკრულები, აქა-იქ მიცურავდა ლეგა ღრუბლები, მალლა, ჩაბნელებულ ცისკიდურთან მზით განათებული, დათოვლილი, ლილოებით აჭრელებული ქედი ლაპლაპებდა. თუშცა ერთი კი არა, ორი ქედი იყო, უფრო შორს რომელიც იყო—დიდი და ფართო, დათვის ვეება უძრავ ზურგს ჰგავდა. უფრო ახლოს მყოფს კი დაკბილული, ოდნავ დათოვლილი და თითქმის ზეცისთვის მიბჯენილი მწვერვალი ჰქონდა. ეს მწვერვალი აქედან ყველაზე დიდი გეგონებოდათ, მაგრამ ივანე ჩამხვდარიყო მთების მაცდურ კანონს, — ყველაზე ახლომდებარე მთა ყველაზე მაღალი რომ ეჩვენება თურმე თვალს. ეტყობა, მთავარი მაინც ის შორეული, დათვის ზურგს მინაგვარი მთა იყო. იგი ვარაუდობდა, ამ ქედს რომ გადავლახვით, მაშინ ვეწევით სანუკვარ მიზანს, პარტიზანულ ტრიესტში ჩავალთო.

ივანემ თავი ასწია და წამით დააკვირდა იმ მაღალ ქედს, იმედი უღვივოდა გულში, — ალბათ დააღწიეს მღევრებს თავი, ყველაზე ძნელი გზა გაიარეს, ადამიანებს ალბათ აღარც გადაეყრებიან. მაგრამ ახლა ბუნება აღდგა მათ წინააღმდეგ; ბუნებასთან შესაჭიდებლად კი მხოლოდ ღონე და გამძლეობა იყო საჭირო. მიჩუმებულ თანამგზავრს გადახედა, მთების სიდიადით მოხიბლული თოვლიან ქედებს რომ მისჩერებოდა. და მაშინ პირველად განიცადა ნაზი სიხარული იმის გამო, რომ ბუნების მრისხანე სიძნელეთა წინაშე მარტო არ იყო, გვერდით ადამიანი ჰყავდა. ივანემ იგრძნო კმაყოფილება, გული გაუხალვათდა და ბავშვობიდანვე მისი საყვარელი სიტყვა წამოიძახა:

— ჰაიდა!

ჯულიამ ალბათ არც იცოდა ეს სიტყვა, მაგრამ ახლა იმდენად შეხმატებული იყო მათი გრძნობები, რომ მიუხვდა და თვითონაც გაიმეორა:

— ჰაიდა!

და ისინი გაჰყვნენ ბილიკს, კლდოვან ფერდობს რომ გარს უვლიდა. მალე-მალე, ნისლის ნაფლეთებს შორის, ძალუმი სიკაშკაშით გამოანათა ჩამოდაბლებულმა მზემ; ღრუბლების ნაფლეთებმა ფერი იცვალეს, თვალისმომჭრელი სითეთრით გაბრწყინდნენ მთების კალთებზე, კლდეებსა და უფსკრულებში აფუთფუთებული, დანაკუწებული შავი ჩრდილები. მოუსვენარი ქარი ივანეს ქურთუკს აგლეჯდა, შარვალი ებერებოდა. ჯულიამ ქურთუკის ტყავის საყელო აიწია. ზემოდან უფრო გარკვევით გამოჩნდა განათებული ნაპრალის შავი უბე და ქვიანი ფერდობები. ერთ მათგანზე, გრძელი ჩრდილი რომ ეფინა, წიბოვანი კლდე აიჩხორა. ივანემ ქვევით ჩაიხედა და შეჩერდა. იმ ადგილას, სადაც ცოტა ხნის წინათ ისხდნენ, შეშლილი გეფტლინგი ცმუკავდა.

— აბა უყურე! რომ აღარ გვეშვება.

— ტაჩიკო ადამიანი, — თქვა ჯულიამ, — პიკატო, მეცოდება.

— რა შესაცოდებელია? არამზადაა.

— მას უნდა რუსოსთან იაროს, მაგრამ რუსო ბიოზე, ეშინია.

— სწორადაც იქცევა, — მოკლედ მოუჭრა ივანემ და წინ გასწია. გიჟზე ფიქრს თავი ანება, თუმცა უკან რომ მისთანა კუდს იტოვებდნენ, არც ეს სიამოვნებდა. მაგრამ გიჟთან რას გახდები, გაგდებითაც ვერ გააგდებ და ვერც გაიქცევი. ეტყობა, დაღამებამდე უნდა ითმინონ მისი კვალიკვალ ჩანჩალი.

— ივანე, — თქვა ჯულიამ და „ი“-ზე დაუსვა მახვილი. — შენ ბოროტი არა ხარ ჯულიაზე?

— რატომ უნდა ვიყო ბოროტი?

— შენ ნონ ბიოზე?

— ჩემი ნუ გეშინია.

— არა გეშინია, ზომ? — გაიღიმა ქალიშვილმა.

— ჰო.

მაგრამ ჯულიას მალე გაუქრა ღიმილი, დაღლილი პირისაზე დაეძაბა. ეტყობოდა, უამური რამ ფიქრი მოეძალა.

— ჯულიას რუსოს არ ეშინია, ჯულიას თოვლის ეშინია.

წინ მიმავალმა ივანემ ამოიხვნეშა: თვითონაც ეშინოდა ამისი, სწუხდა იმასაც, რომ პური ასე ცოტა ჰქონდათ. ახლა უკვე ნანობდა, იმ მეტყვევს ფეხსაცმელი მაინც რომ არ წავართვით. მართლაც რომ სიგიჟეა ასეთ თოვლში ფეხშიშველა სიარული. ჭკვიანური აზრები ყოველთვის გვიან მოსდის ხოლმე ადამიანს. თავდაპირველად არც კი ეგონათ, თოვლიან მწვერვალებამდე თუ მიაღწევდნენ. ავსტრიელს უნდა უმაღლოდნენ. მას რომ არ გადაყროდნენ, ეს პურიც არ ექნებოდათ. ივანე გაჩქარებული მიდიოდა ბილიკზე, მიმავალთ ორი გრძელი ჩრდილი მიჰყვებოდათ კვალდაკვალ. ივანეს არ სურდა ტყუილად უნუგეშებინა თანამგზავრი. მხოლოდ ეს უთხრა:

— ქურთუკი გაქვს, რისი გეშინია. მოსასხამს ვინ მოგართმევს.

ქალმა ამოიოხრა, ცოტა ხანს დუმდა, მერე სევდიანად დასძინა:

— ჯულიას რომში ბევრი მოსასხამი. ფირ მანტ. შავი, თეთრი.

ივანემ ნაბიჯი შეანელა.

— რაო, ოთხი მოსასხამი?

— ია, ფირ. მანტო ოთხი, — დააზუსტა.

— შენ რა, მდიდარი ხარ?

ქალს გაეცინა:

— ოჰ, ნონ მდიდარი. ღარიბი. პოლიტიშე გეფტლინგი.

— შენ კი არა, მამაშენი, ვინ არის მამაშენი?

— მამა?

— ჰო, ფატერ, ვინ არის?

— ჰა, ილ პადრე! — მიხვდა ჯულია. — ილ პადრე კომერსანტო. დირექტორე ფირმა.

ივანემ ჩუმად დაუსტვინა:

— ეჰე-ჰე!

„ისლა გვაკლია, ფაშისტი იყოს ამისი ფატერი. კარგი გასეირნება კი მოგვიწევს ალპებში!“

— ფატერი ფაშისტია?

— სი, ფაშისტო, — უბრალოდ უპასუხა ჯულიამ და მკვირცხლად შეხედა მრისხანე თვალებში — კომანდირ მილიტო.

— კიდევ უკეთესი! ეშმაკმა უწყის, რა ხდება ამქვეყნად. ტყუილად კი არ იტყოდა ხოლმე ხოჭო: ძაღლს ჯოხს ესვრი, ფაშისტს მოახვედრებო.

ივანე ბილიკზე შეჩერდა და ქალს დაუცადა, პირველად ახლა შეათვალიერა აშკარა ცნობისმოყვარეობით მისი წერწეტა, შნოიანი ტანი. საოცარია და ეს ზოლებიანი, სხვისი გამონაცვალის ულაზათო ტანისამოსი არას აკლებდა მის ბუნებრივ მომხიბვლელობას, — მკვირცხლ მიმოხვრას, სასიამოვნო, მოალერსე პირსახეს, თავისებურ, გადამდებ და სიხარულისმომგვრელ დიმილს. ქალი თვინიერად, ერთგულად შესცქეროდა ივანეს, ქურთუკის სახელოებში შემალული ხელები ერთმანეთზე გადაედო, უხეში ქოშებით მიბაკუნობდა ბილიკზე.

— შენ კი ვინა ხარ?.. იქნებ შენც ფაშისტი ხარ! — ფარული დაძაბულობით ჰკითხა ივანემ.

— ჯულია ფაშისტა? კომუნისტა! — ღირსეულად, თან საყვედურით განუცხადა ჯულიამ.

— შენ?

— ჰო, მე.

— სტყუი! — ცოტა ხანს იყუჩა და მერე უთხრა, — რა კომუნისტი შენა ხარ!

— კომუნისტი. სი. ჯულია კომუნისტა.

— პარტიაში ხარ? ბილეთიც გქონდა?

— ოჰ, არა. ნონ ტესარე. ფორმალურად ნონ. მორალმენდე კომუნისტა.

— აჰ, მორალურად, მორალურად არ ითვლება.

— რატომ?

ივანემ არაფერი უპასუხა. რა უნდა ეპასუხა ამ გულუბრყვილო კითხვაზე? ვინც განაცხადებს — კომუნისტი ვარო, თუ ყველას კომუნისტად ჩავთვლით, რამდენი ვინმე მოგროვდება! თანაც ბურჟუას ვინ მიიღებდა პარტიაში? ლაყბობს უბრალოდ. ივანემ თავი შეიკავა, აღარ ჩაეძია. ნაბიჯს აუჩქარა.

— ჩვენთან კაცი კომუნისტად მაშინ ითვლება, როცა ბილეთს მისცემენ.

— ჰო, რუსლანდ? რუსლანდ სხვა. მე გაიგე: რუსლანდ სოვეტიკა.

— მააშ? რასაკვირველია, ჩვენთან ისე არა, როგორც თქვენთან, ბურ-
ჟუებთან.

— სოვეტიკა ძალიან კარგი, ემანსიპაციო, ლიბერტა, ძმობა. ხომ?

— ჰო.

— ეს ძალიან კარგი, — გულში ჩამწვდომად ლაპარაკობდა ქალი, —
ჯულია ძალიან, ძალიან პატივი რუსლანდ. ნონ ფაშიზმი, ნონ გესტაპო. ძალიან
კარგი. ივანე ბედნიერი თავის ქვეყანა, ხომ? — ქალმა ბილიკი გაიბინა, ივა-
ნეს მიეახლა და ორივე ხელი მოჰკიდა იდაყვზე. — ივანე, ომამდე როგორ? რო-
გორა შენი სოფელი? გამიგონე, შენ სინიორინა, გოგო უყვარდი? — უეცრად
ჰკითხა და დაკვირვებით შეხედა თვალებში. ივანემ განზე გაიხედა, მაგრამ
ხელი არ გამოსტაცა, ქალის სიახლოვემ ანაზღად გული უჩვეულოდ შეუკუმშა.

— რომელი გოგო? გოგოებისთვის სად მეცალა.

— რატომ?

— ისე, ცხოვრება ნებას არ მაძლევდა.

— რა, ცუდად ცხოვრება? რატომ?

ივანემ უცხად მოისაზრა, რომ ეს არ უნდა ეთქვა, თავის ცხოვრებაზე არ
უნდა ელაპარაკა. მით უმეტეს, ამ ქალთან, ვისაც ალბათ თავისებური წარ-
მოდგენა ჰქონდა მის ქვეყანაზე.

— ცხოვრებაში რა არ ხდება ხოლმე.

— ოჰ, არა მართალი, არა, — ჯულიამ ეშმაკურად გახედა ივანეს. — ბევ-
რი სინიორინა გიყვარხარ?

— არა.

— რომელია შენი პროვინცია? რა ადგილი ცხოვრობდი? მოსკოვი?
კიევი?

— ბელორუსია.

— ბელორუსია? ასეთი პროვინცია?

— რესპუბლიკა.

— რესპუბლიკა? ეს კარგი. იტალია მონარქია. მონტე — მთები არის შე-
ნი რესპუბლიკაში?

— არა. ჩვენთან სულ ტყეებია, ულრანი ტყეები, მდინარეები, ტბები, ძა-
ლიან ლამაზი ტბები. ჩემი სოფელი ტერეშკა სწორედ ორი ტბის მახლობ-
ლად მდებარეობს. საღამოთი ტბას რომ უყურებ — სულ არ იძვრის, სარკე
გეგონება მისი ზედაპირი. ტყეც თავდადმა არის შიგ ჩაკიდებული, დახატულსა
ჰგავს. მარტო თევზი გაიტყლაშუნებს და ეგაა. ქარიყლაპია, აი ასეთი ვეება,
როგორც ეს მთები.

ერთბაშად თქვა ყველაფერი, ბევრი თქვა, თვითონაც მიხვდა ამას და
ჩაჩუმდა. მაგრამ მოგონებებით შეშფოთებული მისი ფიქრები კვლავ შორე-
ული მხარისკენ ილტვოდა, და ახლა კლდეთა ამ აღრეულ ზეგებებში იმგვარმა
აუტანელმა სევდამ შეიპყრო, რაც დიდი ხანია არ განეცადა. ქალმა ალბათ
იგრძნო ეს და, როდესაც ივანე გაჩუმდა, სთხოვა:

— კიდევ ილაპარაკე, ილაპარაკე შენი ბელორუსი.

ამასობაში მზეს კვლავ გადაეფარა ლეგა ღრუბლები. გლუვ ფერდობზე
სწრაფად ჩამოწვა ჩრდილი, კვამლისებური სველი ნაფლეთები გარდიგარდმო
მოედო ფერდობს. ივანეც ისევ ალაპარაკდა: თავიდან არცთუ ძალიან ხალისი-
ანად ჰყვებოდა, თითქოს ხელახლა განიცდიდა იმ შორეულ შთაბეჭდილე-

ბებს, ხშირ-ხშირად წყვეტდა სათქმელს; რტოებით მოფენილ მუხნარს იგონებდა, როგორც რაღაც შორეულს, ძვირფასს და არაჩვეულებრივს, ტბებში. — თახვების პაწია ქოხებს, არყის ხის გრილ წვეს და სამაისოდ აყვავებული სურნელოვანი შოთხვის ვეება ტევრებს. რა ხანია ამდენი არ ულაპარაკია, ასე არავისთვის გადაუხსნია გული, თავის თავს ველარ სცნობდა. ქალიშვილსაც გულწრფელად აინტერესებდა ყოველივე, რაც კი მშობლიური იყო ივანესათვის. უცებ დაუახლოვდა ივანეს, თითქოს დიდხნის ნაცნობები იყვნენ და ხანგრძლივი, მძიმე განშორების შემდეგ ახლად შეხვდნენ ერთმანეთს.

ბოლოს ივანე დადუმდა. ქალმა უფრო გაბედულად, ბუნებრივად მოიქცია ხელებში ივანეს უხეში თითები. მერე ჰკითხა:

— ივანე, შენი დედა კარგი?

— დედა? დედა კარგი მყავს.

— ილ პადრე — მამა?

ქალი ოცნებას წაედო, ფერდობს გასცქეროდა. ვერ შეამჩნია, უცბად როგორ შეუკრთა ივანეს მოღუშული ნაკვთები.

— არ მახსოვს.

— რატომ? — გაოცდა ქალი, კიდევ შეჩერდა, თუმცა ჩაჭიდებული ხელები ერთმანეთისთვის არ გაუშვიათ.

— მამა მომიკვდა. ჯერ კიდევ პატარა ვიყავი.

— მოკვდა? რატომ მოკვდა?

— ისე, ცხოვრებამ მოტეხა.

ჯულიამ ხელი შეუშვა, გვერდიდან მოუარა, ეგონა, ივანე რაიმე ნიშნელოვანს ეტყოდა, აუხსნიდა, რაც ვერ გაიგო. მაგრამ კაცმა აღარ განაგრძო. ჯულიამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ჰკითხა:

— ივანე, წყენა? ჰო?

— რის წყენა?

— შენ ბედნიერი, ივანე! — პასუხს არ დაელოდა ჯულია, — შენი დიდი ფატერლანდ! ასეთი კოლოსალური ომი გაინარჯვებს. ეს დიდი ბედნიერება. წყენა — ეს პატარა წყენა, თუ გინდა, ივანე...

ივანემ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ამოიხვნეშა. აბა რად უნდა იცოდეს ამ ქალმა ის სიძნელებები, რაც მან ცხოვრებაში გაიარა?

ასე ფიქრობდა ივანე და მაღლა მიბობლავდა ბილიკზე. დარწმუნებული იყო, სწორად ვიქცევით. ვინ არის, მართლა და მართლა, ეს ლამაზი ქალი, ომის უაზრო შემთხვევითობის წყალობით ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკში რომ მოხვედრილა, ჰო, ვინ არის, რომ ამას გადმოუღაგოს ყველაფერი, რასაც თავის დროზე ამდენი სულიერი ძალა შეაღია? გაიგებს კი ეს თუნდაც გულისხმიერი, პატიოსანი არსება მისი ქვეყნის მკაცრ სიმართლეს, რაშიც, ღმერთია მოწმე, თვითონაც ვერ გარკვეულა? ალბათ თანაუგრძნობს, მაგრამ თანაგრძნობაც არაფრად სჭირდება, თავისი სიცოცხლის ოცდახუთი წელი უამისოდაც გაუძლია როგორმე. ამიტომ დარჩეს ჯულიასთვის ყველაფერი ისე, სწორედ ისე, როგორც თავად მას წარმოუდგენია.

მიუხედავად ამ ფიქრებისა, მაინც ჩქარა მიდიოდა იგი და დროს ვერ ამჩნევდა. ჯულია მიხვდა, კაცის სულის მეტად მგრძნობიარე სიმა რომ შეეხო, და ისიც დადუმდა, ჩამორჩა წინმავალს. ასე მდუმარედ დიდხანს მი-აბიჯებდნენ აღმართზე. ამასობაში დიდებულმა, უზარმაზარმა მთებმა სწრაფად

იწყო ჩაბნელება. დავიწროვდა უამისოდაც ღრუბლებით შემოზღუდული სივრცე; ჩაქრა ქედის ვერცხლისებური ციალი, ბურმა შთანთქა იგი მთლიანად. ოდნავ განათებულ ცაზე შავად ჩანდა მახლობელი ტყუბი მწვერვალი, უფრო იქით კი სხვა მომცრო მწვერვალები. უნაგირაზე ალბათ უღელტეხილი იყო, ეს ბილიკიც იქით მიდიოდა. სადამო ჩვეულებრივ გულს უმძიმებდა ხოლმე ივანეს. არც დღისით, არც ღამით, არც დილით ისე ნაღვლიანი და მიუსაფარი, ისე შეშფოთებული და შეწუხებული არ იყო, როგორც შებინდებისას. ეს მთელი სიმძაფრით იგრძნო ომის წლებში, მერე — ტყვეობასა და უცხოებაში, მონობასა, შიმშილსა და სიცივეში. სადამოობით განსაკუთრებით მძაფრად გრძნობდა მარტოობას, უპატრონობას, მტრის დაუნდობელ სისასტიკეს და აუტანლად სწყუროდა სიმშვიდე, მყუდროება, გვერდით კი — ახლობელი კეთილი გული.

— ივანე!.. — მოულოდნელად დაუძახა ჯულიამ. — ივანე!

როგორც ყოველთვის, მახვილი „ი“-ზე დასვა. ეს უჩვეულო გამოთქმა პირველად კიდევ აშინებდა ივანეს, ასე ეგონა, მახლობლად ჩვენ გარდა კიდევ ვიღაც არისო. ივანე შეკრთა და შეჩერდა.

ჯულიას მეტი არაფერი უთქვამს, ჩუმად მოჩანჩალებდა უკან და ივანე უთქმელად მიხვდა, რაც აწუხებდა მას. მაშინვე შეატყო, როგორ დაიღალა ქალი. დაღლას თვითონაც გრძნობდა, უნდოდა დაესვენა, მაგრამ ამ ღრუბლის-ზედა სივრცეში აუტანლად აცივდა, გაცოფებული ქარი ბობოქრობდა, ორთავეს აგლეჯდა ტანისამოსს, გუგუნებდა ნაპრალებში. ხელ-ფეხი სულ გაუშეშდათ სიცივისაგან. ბუნება მთელი თავისი დაუნდობელი ძალით თავს დააცხრა ლტოლვილებს. ივანე ჩქარობდა, კარგად ესმოდა, რომ აქ ღამის გათევა შეუძლებელი იყო, რომ მხოლოდ მოძრაობა იხსნიდათ და თუ ამაღამ ზეკარი ვერ გადალახეს, ზვალ უკვე გვიანდა იქნებოდა.

— ივანე, — მიუახლოვდა ჯულია, — ძალიან, ძალიან დავიღალე.

ივანემ ფეხები შეინაცვლა. ტერფები ტკიოდა, სწიწკნიდა რაღაც, მაგრამ ახლა ცდილობდა ტკივილი არ შეემჩნია, შეწუხებულმა მოხედა ჯულიას.

— აბა, როგორმე გასძელ... ხედავ, იღრუბლება.

მახლობელი მწვერვალებიდან გადმოგორდა, ფერდობს მოეფინა სქელი შავი ღრუბელი. ზეცას თანდათან ეკარგებოდა ბრწყინვალება. მკრთალად აციმციმდა და შავ სიბნელეში გაუჩინარდა პაწაწინა ეული ვარსკვლავი. გარშემო ყველაფერი — კლდოვანი ბუშბერაზები, ფერდობები, ხეები და ველები ღრუბელთა ლეგა ზეწარმა დაფარა.

— რატომ ნონ უღელტეხილი? სად არის უღელტეხილი?

— მალე იქნება, — აიმედებდა ქალს ივანე, თუმცა თვითონაც არ იცოდა, კიდევ რამდენი დარჩენილიყო უღელტეხილამდე. ისევ გაჰყვნენ ლოდებში ჩაკარგულ, ძლივს შესამჩნევ ბილიკს. ახლა უკვე ივანე შიშობდა თანამგზავრი არ დაგვარგო, ყურს უგდებდა მისი ქოშების ბაკაბუკს. თვითონ ნელა მიდიოდა, ფრიალოებთან ჩერდებოდა, ჯულიას უცდიდა, ხელს გაუწოდებდა ხოლმე და ზევით აჰყავდა. არადა გული ყელში ებჯინებოდა, გაცოფებული ქარი ტანისამოსს აგლეჯდა. ქარი ხან ზურგზე ეძგერებოდა ხოლმე, ხან მკერდზე. სუნთქვას აძნელებდა, სტვენდა ლოდებში, ხშირად იცვლიდა მიმართულებას — ვერც კი გაიგებდი, საიდან მოჰქროდა. მალე სულ ჩამოხნელდა. უზარმაზარი კლდეები თითქოს გაერთიანდა, წყვდიადით მოცული ზეცა მთებს შე-

ერწყა. ისე დაბნელდა, რომ ივანე ხშირად ბილიკს ჰკარგავდა, ქვებს ეჯახებოდა, რამდენჯერმე ფეხი იტკინა. და მაშინ პირველად შეიპყრო შიშმა — სადაა ბილიკი? დაიხარა, დაკვირვებით დაათვალიერა საგალი, ფეხითაც მოსინჯა ბილიკი, მაგრამ გარშემო ქვების მეტი არაფერი იყო. მიხვდა, რომ გზა დაბნეოდათ.

კოჭლობ-კოჭლობით მოაღწია ჯულიამაც. „აქ დამიცადე“, უთხრა ივანემ და განზე გაუხვია. ჯულიას არაფერი უთქვამს, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო ყველაფერი, მაშინვე ქვებზე დაეშვა და სიცივისაგან მოიკრუნჩხა. ივანემ კი დაიოკა შიში, გზა განაგრძო. ქვემოთ იცქირებოდა, ხანგამოშვებით ფეხით სინჯავდა მიწას — ბილიკი არ ჩანდა და არა. თანდათან რაღაც აციმციმდა ჰაერში. ივანემ ხელი გაიშვირა და მიხვდა: თოვს დაიწყო. წვრილი, მეჩხერი ხორხოშელა ირიბად ცვიოდა იმ ქარსა და წყვდიადში. თოვლი გროვდებოდა ორმოებსა და ნაპრალებში. ივანე იდგა, სიბნელეს გაჰყურებდა და დაძაბულად ფიქრობდა, აწი როგორ მოქცეულიყო. თოვლი შესქელდა, ქვევით თანდათან ნათდებოდა გარემო. უეცრად სულ ახლოს დაინახა დაკარგული ბილიკი.

— ეი, ჯულია! — ხმადაბლა დაუძახა.

ქალი რატომღაც არ გამოეხმაურა. ივანე გაითოშა, გაბრაზებული ელოდა: „რა დაემართა, ჩაეძინა? ეს ვის გადამყარა ღმერთმა! ამასთან მარტო ბულვარში თუ გაისეირნებს კაცი“. ქარი კი კვლავინდებურად, გააფთრებით ეჯახებოდა კლდეებს. უხვად თოვდა, თოვლის ხორხოშელას შრიალი გაჰქონდა ლოდებზე. სიცივისაგან ფეხები დაუბუჟდა ივანეს. ხელები სახელოებში დამალა, სწვავდა უბეში გათოშილი დამბახაც.

— ეი, ჯულია!

ქალმა არც ახლა უპასუხა. ივანემ ჩუმად შეიგინა და ზანტად გაუყვა სველ ცივ ქვებს ჯულიასკენ.

ქალი ქვაზე იჯდა. სულ მთლად მოკრუნჩხული, მუხლები ქურთუკით დაეფარა. არც მის დაძახილს გაეხმაურა, არც ფეხზე წამოუდგა მოახლოებულს. გულმა რეჩხი უყო ივანეს, თავს წააღია ჯულიას.

— ფინიტა, ივანე!¹ — ჩუმად, თავაუწევლად ჩაილაპარაკა ჯულიან.

კაცმა მღელვარება დაიოკა.

— რაო? რა ფინიტა? აბა, წამოდექი!

— ნონ წამოდექი, არა წამოდექი.

— შენ რა, ხუმრობ? აბა, ადექი! ცოტა კიდევ და ზეკარია. ქვევით უკვე სულ თავისით ირბენს ფეხები.

ჯულიამ არც ახლა გასცა ხმა.

— აბა, არ გესმის?

— ფინიტა. ნონ ჯულია მარშ... ნონ..

— გესმის, აქ დარჩენა არ შეიძლება. გავიყინებით, ხედავ, თოვს!

მაგრამ ქალს თითქოს არ ეყურებოდა მისი სიტყვები. ივანე ხედავდა, რომ იგი ძალაგამოღებული იყო. მიხვდა, რომ ლაპარაკით ვერაფერს გახდებოდა, მაგრამ როგორ აიძულოს, როგორ წაიყოლიოს? ჩაფიქრდა, უბიდან პურის გაჭყლეტილი ყუა ამოიღო, ქარს მოეფარა და პურის გული გაუწოდა ქალს.

¹ მორჩა (იტალ.).

— აჰა, პური!

— პური?

ჯულია გამოცოცხლდა, იმწამსვე თავი წამოსწია. კაცმა პური მისცა და ჯულიამაც მაშინვე შეჭამა.

— კიდევ, პური!

— არა, მეტს არ მოგცემ.

— ცოტა, ცოტა პური! მომე პური! — ბალღივით საბრალოსად ითხოვდა ჯულია...

— უღელტეხილზე რომ ავალთ, მოგცემ.

ქალი მიუყუჩდა და მოიკუნტა.

— ნონ უღელტეხილი!

— ჯანდაბას „ნონ!“ — უცბად დაუყვირა ივანემ, — აბა, ადექი! შენ რა, გინდა გაიყინო? ხომ არ გგონია, გერმანელები თავს მოიკლავენ? არადა, წადი, დაბრუნდი ბანაკში, დიდ ხანია ალბათ მიგელიან! — ყვიროდა სუნთქვაშეკრული კაცი.

ქარი აქეთ-იქით ფანტავდა თოვლის ზორხოშელას. თუმცა წვრილად თოვდა, გარშემო თანდათან ძაღობდა ნათელი.

— აბა, ადექი! — ივანე ჯულიას ქურთუკს ჩაეჭიდა და ქალს მკაცრად უბრძანა: — ადექი-მეთქი!

— ჯულია ფინიტა. ალეს! ივანე ტრიესტო, ჯულია ნონ ტრიესტო.

— აზრადაც არ გავივლებ!

ივანე გახზე გადგა, მერე თავადაც ჩამოჯდა კლდის კიდეზე.

— კიდევ ამბობდი, კომუნისტი ვარო, — უსაყვედურა. — პანიკიორი ხარ!

— ჯულია ნონ პანიკიორ! — გაცხარდა ქალი. — ჯულია პარტიჯანო.

ივანემ წყენა დაატყო ხმაზე და ამას ჩაეჭიდა. „შეიძლება ამით ავალელო“, — გაიფიქრა.

— მშიშარა ხარ და მეტი არაფერი!

— ნონ მშიშარა, ნონ პანიკიორ. ღონე ცოტა.

— თავს ძალა დაატანე, — მოლბა უკვე კაცი. — იცი, ერთხელ ფრონტზე რა მოხდა? ოსტფრონტზე, სადაც შენ წასვლას აპირებდი? ქოხში გერმანელებმა ალყა შემოგვარტყეს. გასვლა აღარ შეიძლებოდა, ფანჯრიდან ავტომატებით დაგვიშინეს ტყვიები. რუს, ჩაგვბარდიო! ჰოდა, ჩვენი ოცეულის უფროსმა პეტრენკომ თქვა: „ალეს კაპუტ“. აიღო დამბაჩა და შუბლში მიიჭედა. ჩვენც ასე ვაპირებდით. უცბად ასმეთაურმა ბელოშეევმა გვითხრა: „შესდექით, ბიჭებო! თავის მოკვლას სულელიც მოახერხებს. სამშობლოს ჩვენთვის იარაღი ამისთვის არ მოუცია. აბა, მომყევით, — გავარდვიოთ ალყა!“ ყველანი კარში გავცვივდით. დაგვიშინეს ავტომატები, მაგრამ ზოგი ღობისკენ გაიქცა, ზოგი ბოსტნებისაკენ, ზოგნი კუთხეს მოვეფარეთ. და რა გგონია? გავარდვიეთ ალყა. სხუთი კაცი დაგვედუპა, რაც მართალია მართალია, ბელოშეევიც, მაგრამ მაინც ვუშველეთ თავს. პეტრენკოსთვის რომ ყური გვეგდო, მარტო გერმანელებს გავახარებდით.

ჯულია დუმდა.

— მაშ, წავიდეთ?

— ნონ.

— დალახვროს ეშმაკმა! — სიცივისგან აკანკალებული ივანე მოთმინებას

კარგავდა, — გაიყინები, სულელო. საცაა სამშვიდობოს გავალთ, ამისთვის ცის თალამდე ღირს ასვლა.

ქალი კვლავ დუმდა.

— მაშინ რა ჯანდაბისთვის აიფეთქეს თავი! — გაიხსენა ივანემ დაღუპული ამხანაგები. — ვინმე ხომ მაინც უნდა გადარჩეს. შენ კი უკვე თავბრუს ჩამოგტირის.

კაცმა იგრძნო, სულმთლად რომ გათოშა ქარმა. გაიარ-გამოიარა ბილიკზე. რუხ თოვლს შიშველი ფეხების კვალი დააჩნდა. კიდევ კარგი, მეტისმეტად არ ყინავდა, თორემ აქ სიკვდილს ვერ გადაურჩებოდნენ. ივანე წუთით შეყოყმანდა, მერე მტკიცედ გაჩერდა ჯუღიას პირდაპირ.

— არ წამოხვალ, ხომ?

— ნონ, ივანე.

— მაშ, თუ გინდა, დაიღუპე თავი, — უთხრა და მერე მკაცრად მოსთხოვა: — აბა, გაიხადე ქურთუკი. — ქალმა უილაჯოდ გაიხადა ქურთუკი და ქვაზე დადო. მერე ფეხებიდან ქოშები წაიძრო და ივანეს დაუდო წინ. ივანემ გაყინული ფეხით განზე მისწია ქოშები:

— დაიტოვე... ბანაკისკენ გასაქცევად დაგჭირდება.

ძლივს მოირგო კაცმა ქურთუკი ფართო მხრებზე, შემოიხვია, მაშინვე ჩათბა. მიხვდა, ის ძაფი, რაც მათ აერთებდა, სამუდამოდ უნდა გაწყვეტილიყო ახლა. იმასაც მიხვდა, ქალს ასე არ უნდა მოპყრობოდა, მაგრამ გაბოროტებულს ისე მოეჩვენა, თითქოს ამ ქალმა მოატყუა და ამიტომ იყო, უნებლიეთ რომ მისი დასჯა მოინდომა. მაგრამ არც ისე ადვილი გამოდგა წასვლა. არა, შეცდა, ასე უხეშად რომ მოექცა. ჯუღიასაც ხომ ძალიან უჭირდა და თავისებურად მართალიც იყო. ეს რომ გაიფიქრა, ბრაზი უნებურად დაუცხრა.

ორიოდე ნაბიჯი გადადგა ბილიკზე და ისევ ქალთან დაბრუნდა.

— ჩაო! — წყნარად წაილაპარაკა ქვაზე მოკუნტულმა ჯუღიამ, თითქოს არც სწყენია და არც გახარებია მისი დაბრუნება. ამ სიტყვამ ივანეს ერთბაშად მოაგონა გუშინდელი მათი შეხვედრა და ქალის აციმციმებული თვალები. გაახსენდა მისი უგუნური სიმამაცეც, გერმანელთა ცხვირწინ რომ გამოიჩინა. რაღაც უცნაური გრძნობა დაეუფლა ივანეს. ეს არ იყო არც სიხარული, არც თანაგრძნობა — მაგრამ გულს კი უკლავდა იგი. ესეც კია, რომ თავის თავს ვერაფერს უსაყვედურებდა, ბოლოს და ბოლოს რა მოვალე იყო ამ ქალის წინაშე! მარტო უფრო ადვილად ივლიდა, ეს თავიდანვე იცოდა. ან რად უნდოდა ამ ქალიშვილის აკიდება. აგერ ახლა მხრებზე ქურთუკი აქვს მოსხმული, ცოტა პურიც უდევს უბეში, ერთს უფრო დიდხანს ეყოფა. გამოიზოგებს, მხოლოდ ას გრამს შესჭამს ყოველდღე. მარტო ყველაფერს აიტანს, ქედს გადალახავს, თუგინდ წელამდე თოვლში ფორთხვა მოუხდეს, მიაღწევს ტრიესტს, პარტიზანებს. რაში ჭირდება ეს გოგო? რა მახლობელია მისი?

სწრაფად აირბინა ციცაბო, თითქოს ჩქარობდა თავიდან მოეშორებინა დაბლა დატოვებულ ქალზე ფიქრი, მაგრამ ვერა და ვერ დაიმორჩილა აფორიაქებული გრძნობა-გონება. მის არსებაში აქამდე უქმად შემონახული რაღაც გრძნობა სულ სხვანაირად სჯიდა, ფეხებმაც კი შეანელეს ნაბიჯი. მიიხედა ერთხელ, მეორედ... ჯუღია ძლივს შესამჩნევ წერტილივით მოჩანდა ფერდობზე. სიკვდილის წინაშე ქალის ასე აშკარა მორჩილებამ, მისმა უძლურებამ უცებ დათრგუნა მისი აღრინდელი წადილი... უნებლიეთ მობრუნდა, ვერ

დასძლია თავის არსებაში გაღვიძებული ეს გრძნობა და დაბლა დაეშვა. ჯუ-
ლიამ გაიგო მისი ფეხის ხმა, შეკრთა, შეშინებულმა აიღო თავი.

— ივანე?..

— ჰო, მე ვარ.

ქალი, ეტყობა, რაღაცას მიხვდა, დაიძაბა:

— რატომ?

— მომეცი კლუმპესი!

ქალმა მორჩილად წაიძრო ქოშები. ივანემ სწრაფად მოირგო გაყი-
ნულ ტერფებზე ეს უბრალო ფეხსაცმელი, ჯერ კიდევ რომ შერჩენოდა სით-
ბო. მერე ქურთუკი გაიხადა.

— ჰა, ჩაიცვი.

ჯულია არც წამომდგარა, ისე მოიხურა ქურთუკი. კაცი მიეხმარა და,
როცა ქალმა ქურთუკი ჩაიცვა, იდაყვზე მოავლო ხელი.

— მოდი აქ.

— ნონ.

— უყურე, კიდევ ამოიჩემა „ნონ“.

სწრაფად დაავლო ხელი და წამოაყენა. ჯულია ჩიტივით აფრთხილდა,
აკანკალდა კაცის მკლავებში, მოიკუნტა, რაღაც ჩაილაპარაკა. ივანე კი ყუ-
რადლებას არ აქცევდა, ცდილობდა ზურგზე წამოეკიდებინა ქალი. ხელები
მუხლებქვეშ ამოსდო. ჯულიამ ფართოდაა შესწყვიტა, მიწყნარდა, რომ არ
ჩამოვარდნილიყო, კისერზე შემოხვია ხელები. კაცმა პირსახეზე იგრძნო
მისი თბილი სუნთქვა, ცხელი კურცხალი საყელოში ჩაუგორდა.

— ჰო, კარგი, კარგი... როგორმე ავალთ...

მოულოდნელად ჯულია მოეშვა, კაცის ფართო მხრებს მიეხუტა, სული
შეუგუბდა. კაცსაც შეეკრა სუნთქვა, მაგრამ ქარისგან კი არა, — იმ უცნაურ-
მა, დიდებულმა და უჩვეულო, უძლიერესმა განცდამ შეუკრა სუნთქვა, სულის
შეუცნობელ სიღრმიდან ამოზღვავებულმა, მთელი მისი არსება რომ მოიცვა;
შერცხვა, მიტოვება როგორ დავუპირეო, მძიმედ მიაბრაზუნებდა ქოშებს და
უღელტეხილისკენ მიდიოდა. თოვლს უკვე სქლად დაეფარა მქისე ლოდები.
ქოშები ქვებზე ცურავდა. რომ არ დაცემულიყო, ციცაბოზე გვერდულად
ადიოდა ივანე, როგორც მეთხილამურე ადის ხოლმე ფერდობზე. ერთხანს
ვერც გრძნობდა ქალის სიმძიმეს. წელში მოხრილი ჯიუტად მიიწევდა მაღლა.
მაგრამ მის აღტყინებას მალე შეეკვეცა ფრთები. შეჩერება და წელის გამარ-
თვა მოუხდა, სულის მოთქმა უჭირდა, ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. ეს იყო, რომ
გათბა, გახურებული სხეული მთის ძალუმ ქარს აღარ ებუებოდა.